ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132-6023

# სოსკანი

6

1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქება
# ქართული ანბანისა

დავათისა და ბრდაძორის სტელების მეცნიერულმა შესწავლამ (გაზ. „კომუნისტი“ № 115, 1985 წ.) დაადასტურა, რომ ქართული ანბანისა და მწიგნობრობის დასაბამად შეიძლება მივიჩნიოთ ძვ. წ. აღრიცხვის 284 წელი.

შენა ხარ ვენახი, მზით გაბრწყინებული,
ვენახი უზრობელი, ვენახი უჭკნობელი.
ასგზის დაწრეტილი და დამცირებული,
მაინც უკვდავების წყარო უშრობელი.

შენა ხარ ვენახი, ფერფლიდან აღმსდგარი,
სისხლმა ქართველისამ გკვება და განგბანა.
და ლოცვად დამდგარი შენა ხარ საყდარი
და მზე ჩამოსხმული კაცთაგან ანბანად.

შენში შენახულ არს ჩემი საიდუმლო,
თვალს მოფარებული ხმოვან-თანხმოვნებად.
ვერვინ დაგიმდაბლოს, ვერვინ დაგიდუმოს
შენი თაღოვნება, შენი ახოვნება.

მე ნაწილ-ნაწილად დავყავი სული და
შენში მიმოვფანტე ანიდან ჰაემდი.
ზარი ხარ შენ ჩემთა ფიქრთა და სურვილთა,
სიმტკიცე რვალის გაქვს და სილბო ხავერდის.

მარად მსხმოიარე შენა ხარ ვენახი,
თავს გადგას დიდების გვირგვინი მაღალი,
და ჩემი ლოცვის და სიმღერის შემნახველს,
და ჩემი შვების და ტკივილის შემნახველს,
და ჩემი ვნების და ოცნების შემნახველს,
შენ, მზეს, ოცდაცამეტს, მუხლს გიყრი თაყვანით!

ვახტანგ ხარჩილავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სვეკრა

335
გამოცემის ოცდამეცხრე წელი

6

ივნისი
1985
თბილისი
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი


## დიადი გამარჯვების 40 წელი

3. ვანო ჩხიკვაძე — ჩიტები ზამთარში. რომანი. დასასრული.

## პოეზია და პროზა

43. ნაილი ნეკერიშვილი — ლექსები
45. გიორგი კაპანაძე — მთვარით მიტოვება (ფრაგმენტები პოემიდან)
47. რევაზ მიშველაძე — ნოველები
68. დალილა გედიანიძე — ლექსები
71. ნანა ღვინეფაძე — ლექსები
73. მერი შალვაშვილი — ლექსები
74. თენგიზ ჩალაური — გაქცეულია განსაკუთრებით საშიში დამნაშავე. მოთხრობა.
85. ნოდარ გაჭრაძე — ლექსები
86. ლევან დუმგაძე — ლექსები
87. გიორგი შეთეკაური — ლექსები

## ასფურცელა

89. ტარიელ ხავთასი — ფერად-ფერადი ამბები. საბავშვო მოთხრობა
100. ავთანდილ მეგრელიშვილი, ალექსანდრე დიდებაშვილი, მაია გელუტაშვილი, შოთა ამირანაშვილი, მანანა კაკაჩია, თემურ შიმშილაშვილი — ლექსები

## ახალი თარგმანები

104. ინგლისელი პოეტები — უილიამ ბლეიკი, როი ფულერი, დილან ტომასი, კინგსლი ემისი, დ. ჯ. ენრაიტი — ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ
108. ალკეოსი — ლექსები. ძველბერძნულიდან თარგმნა ნანა ტონიამ

## დიადი გამარჯვების 40 წელი

111. ვახტანგ ჭიჭინაძე. — ბერლინის შტურმი

## სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

121. ჯემალ მეხრიშვილი — მძიმე მრეწველობა: პრობლემები და განსჯა. ნარკვევი.
126. ეკოლოგიური პროგლემები

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

145. მზია შენგელია — უცნაური პოემა
154. ნათელა ჩიტაური — ილია ჭავჭავაძის ორი პროზაული თარგმანი

## რ ე ც ე ნ ზ ი ა

158. ნათელა ფოფხაძე — „ეროთეოსის წიგნის“ შესახებ


მთავარი რედაქტორი
ჯანსულ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თეიმურაზ ბოლქვაძე
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვანო ჩხიკვაძე

# ჩიტები ზამთარში

## რომანი

დავშშვიდდი, გიორგი არაფერ შუაშია.

— ახლა რა მოხდება? — დაარღვია სიჩუმე თინამ.

— საყვედური თუ აკმარეს, კმაყოფილი უნდა იყოს დირექტორი. რას იფიქრებს, მოსწავლეებმა თუ იხუმრეს, ეჭვი მასწავლებლებზე აქვს, ვერ მიტანენ, ჩემი მოცილება უნდათო... მაინც რად გააკეთეთ?

— ღირსი იყო!

— ნუ მაფიქრებინებ, რომ მთლად უსინდისო ხარ!

— ნიკო!

— დამაცა, თინა! — წამოდგა, ფანჯარასთან დადგა გარინდული, — აღარ იტყვი, რას ერჩოდით? — მომიბრუნდა ცოტა ხნის შემდეგ.

— გაკვეთილზე ფეფო მასწავლებელი გალანძღა. არ უგინებია, თორემ ისე არაფერი დააკლო...

— მარტო ეგ იყო მიზეზი?

— სხვაც, მაგრამ...

საკიდიდან პალტო ჩამოვიღე.

ნაღველმა შემიპყრო, ცხლად დამიარა მკერდში და გულის რომელიღაც პარკუჭში მიყუჩდა.

„პარკუჭი“ რა უცნაური სიტყვაა, ანდა ახლა რამ გამახსენა.

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 4, 5.

გუშინ ფეფო მასწავლებელი იყო საცოდავი, დღეს — ლავრენტა, ხვალ... რიგრიგობით ყველა ერთნაირად უმწეო, უილაჯო მდგომარეობაში ვვარდებით და ხშირად ისიც არ ვიცით, რატომ და ვისი მიზეზით... ეტყობა, ყველას თავის ეშმაკი ჰყავს აჩენილი და სულ იმას ფიქრობს, როგორმე ფეხი დაუდოს.

უნებურად მეც ის ეშმაკი გამოვდექი ლავრენტასთვის.

ავუარ-ჩავუარე დირექტორის სახლს, მინდოდა შევსულიყავ და მეთქვა რომ... თუმცა რა უნდა მეთქვა, ანდა, როგორ დამეწყო, ეს კი ვეღარ მოვიფიქრე და ჩემ კეთილშობილურ გადაწყვეტილებაზე ხელი ავიღე.

— გესროლო? — ლავრენტას შვილიშვილს გუნდა უჭირავს და გაღიმებული მომჩერებია.

— მესროლე და მე და პაპაშენი ბარიბარში ვიქნებით! — ავწიე ხელები.

გუნდა პალტოზე დაიფშვნა და თოვლი ძირს დაცვივდა.

სახე დავლრიჯე, მოვიკუნტე, ვითომ ძალიან მეტკინა.

ბავშვი აკისკისდა, ლამის დავლური დაუარა.

გაგიჟდები — თუ მართლა დაიჯერა, რომ მეტკინა, რაღა აცინებს, ასე სასიხარულოა სხვისთვის ტკივილის მიყენება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე გუნდა ზურგში მომხვდა...

თამრიკომ ჩამიარა. ვითომ ვერ დამინახა, თვალი ამარიდა.

— მოიცა... მოიცა-მეთქი! — ჩამოვქაჩე სახელო.

— რა გინდა!

„მართლაცდა, რა მინდა... რა და, გასივდა გული. ამ ორ მომწვანო-მოცისფრო ტბაში მინდა ჩახრჩობა, ჩაკარგვა, ფსკერზე სულის დალევა... აქვს კი ფსკერი?..“

— რა გინდა! — გამიმეორა და ხელი გამაშვებინა.

— იცი, ხვალ ბათუმში მივდივარ, საზღვაოსნო სასწავლებელში... — მე არა, ვიღაც სხვა როშავდა ამ სისულელეებს.

— კეთილი მგზავრობა! — მითხრა და ტუჩები აუკანკალდა.

მე სიცივეს დავაბრალე.

— სულ, სამუდამოდ... დილაზე პირველ ავტობუსს მივყვები.

მივატოვე და წამოვედი. ლამის ავტირდი. თვითონვე დავიჯერე, რომ ნამდვილად მივდიოდი და ერთმანეთს უკანასკნელად ვხედავდით. — მართლაც, რა გაიგება ზღვაზე გასული კაცისა, ვინ იცის, რომელი ზვიგენი მომინელებს...

სახლში ჟორჟიკა დამხვდა — არყის ჭიქა ეჭირა და სკამზე ყანყალებდა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს... თუ არ გეწყინება, ერთი უნდა გაკოცო... ასე... დალევა კი არ მინდა, ისე შემოვედი, დაგათვალიერეთ... ჩამოჯექი, ძაღლო, აქ დამიჯექი... ხო არ გეწყინა, ძაღლო რომ გითხარი?.. მეც ძაღლი ვარ, მეცა... ძაღლი კარგია, ბიჭო, ერთგულია, ძაღლის ტყავს არ დახევს... მგელია უბედურება, მგელი!.. არ ინდობენ, ფლეთენ, ძვლიანად ხრავენ... აუუ, მომრავლდა მგლები, ძალიან მომრავლდა...

ცხოვრება გადის, დეიდა ბაბალე, მგლები კი ყმუიან და ყმუიან. აღარ უნდა გათავდეს? დღედაღამ კბილების ღრჭიალი მესმის, გასკდა ყურები...

— ვიღაცამ გაწყენინა და არ ამბობ... ხანდახან უნდა წაუყრუო, გულს ნუ აჰყვები. ასეა, რას იზამ.

— გული სადღაა, — ჩაეცინა, — ეგრე გამოიწურა, კლერტიც არ შერჩენია... ეხლა დოთიაანთა ვსვამდით და, შე ნაციხაროო, — ჩვენმა ნოქარმა წამომძახა, ამ ზინტლიანმა წურბელამ. ხელი რო გაეჭრება, სისხლი კი არა, შხამი გამოსდის და იმანა, ადამიანო, — ხელი ხელს გაჭრა, — ვიფიქრე, ერთს მივაფარებ და მოვასვენებ-მეთქი, მაგრამ აღარ მინდა, მეყო, რაც ვხეხე.... ღირდეს მაინც, ვისი გულისთვის მივბრუნდე იმ დასაწვავში!..

— შენც ადექი და ეგეთ ხალხს ერიდე, მაგათთან პურის გატეხაც არ უნდა იკადრო.

—რამდენს მოერიდები... უუ, მგლები, მე ამათი...

ჭიქა წაექცა და არყის სუნი დადგა.

— ეტყობა, მართლა დავთვერი, წავალ, ჩემ ცოლს გავახარებ... მაინც ვუყვარვარ, — შებარბაცდა, — მე მძულს ჩემი თავი და იმას კი ვუყვარვარ... აბა, ცოტაზე გამაცილე! — გადამხვია ხელი, — ხო არ გეწყინა, ძაღლო-მეთქი? მეც ძაღლი ვარ, გაიგე? ცხოვრებამ მოკლე ჯაჭვით დამაბა და როცა დავლევ, ჯაჭვი ოდნავ დაგრძელდება ხოლმე, ეგ არის და ეგ... გეყოფა, გაბრუნდი!

— ბარემ სახლამდე გამოგყვები.

— გეშინია, არ წავიქცე? არც ეგრეა საქმე, აბა, მიყურე, როგორ წავალ... ისევ მომიტრიალდა.

— შენ არ ეწევი, არა?.. ალბათ სუფრაზე დამრჩა, — მოიჩხრიკა ჯიბეები. — ჩემი ეწევა... ვცემო, როგორ ვცემო, უკვე კაცია, არ შემიძლია, ხელი მიდუნდება... გინახავს, დიდ, ღონიერ კაცებს როგორ სცემენ, დაუნდობლად, ტყავის აძრობამდე?.. ღმერთმა არც განახოს, მძიმე საყურებელია, ძალიან მძიმე, ატირებული კაცი... ჰო, პაპიროსი არა გაქვს. ჩემ ბიჭს ექნება, სახლამდე მოვითმენ... ოო, მგლების...

ჟორჟიკას ჩექმებს თოვლში ორი დაბრეცილი კვალი გაჰყავდათ.

კარგა ბლომად დადო, ასე თუ გაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძელდა, დილამდე ნახევარ მეტრამდე მაინც მიაღწევს...

— ამ ღორს რა აჭყვირებს!

— გასკდა მაგის მუცელი, ველარ გაძღა. ეს ნარეცხი გაიტანე და ტაშტში ჩაუქცია, — მომაწოდა ქვაბი.

ცარიელი წყალი გააძღობს.

— რათა ცარიელი, პურებიც ყრია.

დინგი ჩამიკრა და ქვაბი ლამის თავზე მოიპირქვავა. საძაღლედან ცუგა გამოიზლაზნა, — მე ხომ არ დაგავიწყდიო.

გავუყავი ორივეს, ღორს უფრო მეტი ვარგუნე, ღორია და იმიტომ, თანაც ორი კვირაც აღარ დარჩენია...

— შე საცოდავო, რომ იცოდე, რისთვის გასუქებენ, ალბათ ჯავრით გათავდებოდი.

გაიტვრინა, მოსწონს მუცელზე ფხანა. ხანდახან ამოიღებს წუწიან პირს, დაიღრუტუნებს, გაყუჩდება და მერე ისევ ტაშტში სტუცავს...

— და-თოო! —

„რა მიკნავლებული ხმაა!"

— ნატო, შენა ხარ? მოდი!

„ნუთუ იმან გამოგზავნა", — გავიფიქრე და გული სიხარულისგან შემიხტა.

— ჩემთან წამოდი.

— რა ხდება?

— ჩქარა, გველოდებიან.

— ვინ გველოდება?

— ჩემი დაბადების დღეა, და... — თავი ჩაღუნა.

— წადი, შვილო, — ჩაერია ბებიაჩემი, — რამდენის გახდი?

— თექვსმეტის!

— ღმერთმა ასი წლისა მოგყაროს, — უთხრა და მეორე ოთახში გავიდა.

— როგორ წამოვიდე, მოსამზადებელი ვარ... — ისევ „გადამიბრუნდა" ტვინი.

— მართლა მიდიხარ?.. მერე, ბებიაშენი?

— რა ვქნა, ასეა საჭირო!

— თამრიკო მაინც არ გეცოდება?

— მგონი უკეთეს ხასიათზეა, აქაურობას რომ ვშორდები.

— უკეთესზეო... ეგ მე მკითხე...

ოო, როგორ შემიჩქროლდა გული.

— აჰა, ეს ხალათი ჩაიცვი, გიხდება... ესეც შენა, მცირეზე არ დამძრახო, გოგო! — გაუფრიალა კოპლებიანი თავსაფარი.

— მაგიტომ კი არ ვთქვი... დიდი მადლობა.

— მზით გაცვითე... რაღას ზოზინებ! — მომიბრუნდა მე.

საჩქაროდ პირი ჩამოვიბანე, თმაც დავისველე და მამაჩემივით გვერდზე გადავიყავი.

გიორგი გარეთ დაგვხვდა.

— აქ რას აკეთებ?

— მოვაცილე! — მანიშნა ნატოზე.

— მერე, არ შემოგესვლებოდა?

— მომერიდა!

„ფხუკ" — წამსკდა სიცილი, მალავს სიყვარულს ბიჭი. მოკლედ, ქურდს ქუდი ეწვისო, რა, ეგრეა.

— ჯვარს როცა დაიწერთ, გამაგებინეთ. მაშინ ალბათ ატლანტის ოკეანეში ვიქნები.

— ჰოო? — დამცინა გიორგიმ.

— წმინდა ელენეს კუნძულები მინდა ვნახო, ნაპოლეონის საფლავი მაინტერესებს.

— მერე, საით აპირებ!

— სამხრეთ აფრიკიდან მაგადასკარში ჩავალ, იქიდან ბომბეიში და ორ თვეს მაინც დავრჩები.

— ეჰ, — ამოიოხრა ნატომ, — რა ბედნიერი ხარ!

— თქვენ ვიღა გიჭერთ, შავი ზღვით წამოდით, გამოიარეთ სუეცის არხი — გიბრალტარით შორია, მთელ აფრიკას უნდა შემოუაროთ — გამოხვალთ არაბეთის ზღვაში და ბომბეიც იქვეა... აკი გითხარით, ორ თვეს მაინც დავრჩებიმეთქი.

— რუკა თუ არ ჩამოგიხიე, უარესად ააფრენ! — წამჩურჩულა გიორგიმ.

შუშაბანდში, პატარა, მრგვალ მაგიდასთან ნატოს მამა — ყორე-გოგია, ბურდღუნა-კოლა და... პირველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალს არ დავუჯერე — ივანე დავინახე.

— შეყრილან მძახლები.

ჩუმათო, — ფერმა გადაუარა გიორგის.

— მოდით, ბიჭებო, მოდით! — დაგვიძახა ყორემ.

— თქვენთან რა უნდათ... შედით, შვილო, შიგნით...

— რათა, ქალო, მაგათზე ნაკლებები ვართ?

— ამათ თავისი კამპანია აქვთ... ჩაიხრჩვე მაინც, მთელი საღამოა, სვამს! — უკანასკნელი სიტყვები ჩუმად ჩაილაპარაკა დეიდა ნუნუმ და ხორცის ქვაბს თავსახური გადახადა.

— თან როგორ უხდებიან ერთმანეთს! — თვალი ჩავუკარი გიორგის.

— მიდი, მიდი, ფეხი არაფერს წამოჰკრა! — ისევ გადაუარა ფერმა.

აზრზე არ არის, რომ ივანემ იცის მისი ტრფიალის ამბები.

ნატო შეგვიძღვა, სულ ჩვენები იყვნენ, ერთია უცხო, ნატოს დეიდაშვილი ჩამოსულა ქალაქიდან. ანდა, რა უცხოა, ლამის ყოველ ზაფხულს აქ არ ატარებს? წელს უმაღლესში მოეწყო.

თამრიკოს ელაპარაკება, ეხლა „ჩარლსტონი“ შემოდის მოდაში, მაგარი რამეა, რუსებს ვუყურე, რესტორანში ცეკვავდნენ, თუ გინდა, გასწავლიო.

„გააგებინა, რესტორანში დავდივარო... ესეც როგორ შესაციინებს...“

— გამარჯობა, თემო!

— ისე გავერთე, რომ... როგორ ხარ?

— კარგად არის, ხვალ ბათუმში მიდის, მეზღვაური უნდა გამოვიდეს, — უთხრა თამრიკომ.

— ჩემს მაგივრად რად ლაპარაკობ!

— არ მინდა მგზავრობის წინ დაიღალო.

ძალიან ცდილობს დამცინავი იყოს, ქვედა ტუჩი ისევ ნერვიულად უკანკალებს, თუმცა ოთახში სულაც არ ცივა.

— ოო, — ხელებს იფშვნეტს თემო, — მეზღვაურობა ჩემი ბავშვობის გატაცებაა, მაგრამ, რას ვიზამთ, როცა მშობლები მბრძანებლობენ ჩვენს სურვილებზე.

— კარგია სტუდენტობა?

— საოცრება... რექტორმა რომ პირველად გადმომცა სტუდბილეთი...

— აღარ დასხდებით? — შემოვიდა გოგია, — შენ თავში — თემო...

თავპატიჟი არ დაუწყია, მოწყალედ გაუღიმა, თამრიკოს იდაყვზე მოჰკიდა ხელი და თან გაიყოლა.

ბოღმისგან თვალები ამემღვრა.

— იმას გეუბნებოდი, სტუდბილეთი, რომ გადმომცა რექტორმა...

„რა სიტყვების რახარუხი დააყენა... ასეთი ლაპარაკი რომ შემეძლოს...“

ერთხანს ყურში ეტუტუნა, ალბათ ისევ სტუდბილეთზე და მერე დაიწყო და რა დაიწყო:

ჯერ ნატო ადღეგრძელა, ჩემი დაა და ვინც დად არ მიიღებსო...

„შენ გემუქრება-მეთქი“. — მხარი წავკარი გიორგის.

— ყველამ რომ დად მიიღოს, ვეღარ გათხოვილა და ეგ არის, — ჩავილაპარაკე და აქეთ-იქიდან გადმომბღვირეს ნუ აწყვეტინებო...

მერე, მშობლები დავულოცოთო, შემოიყვანა ყორე და ნუნუ, იმდენი იქაქანა, რომ ცოლის მხარზე ჩამოყრდნობილ გოგიას, ორჯერ ჩამოუვარდა თავი საძილედ...

ვერ გავიგე, ფიზკულტურის გაკვეთილზე ვარ? ყველა სადღეგრძელოზე ფეხზე წამოგვახტუნებს და ვდგევართ სარგადაყლაპულებივით. უნდა ვკითხო, მარტო სტუდენტებმა იციან თუ მთელი ქალაქი ასე ვარჯიშობს სუფრასთან, რაც შევჭამე და დავლიე, ყელთან ადიჩადის...

ახლა სკამის საზურგეზეც რომ გადაუდო მკლავი?

„ჰაა, არ ამადუღო... ჰო, ეგრე!“ — თამრიკო შეიშმუშნა და ჩამოიღო.

— ძვირფას სადღეგრძელოებს რა დალევს, მაგრამ ჩემი სამშობლო, ჩემი საქართველო... დედას გეფიცებით, იცით, როგორ მიყვარს! „სამშობლო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზე-
და...“ ვაჟა-ფშაველას მარტო ეს სიტყ-
ვები ეყოფოდა...

დათვრა და სულ გამოჩურჩუტდა.

— რათა, „ტყემ მოისხა ფოთოლიც“ მაგარი ლექსი აქვს! — ძლივს შევიკავე სიცილი.

თამრიკომ ალმაცერად ახედა თემოს და ღიმილი მუჭში ჩამალა. სხვებმაც ჩაიფხუკუნეს.

თამადა წამოჭარხლდა — მიხვდა, რომ რაღაცაში ჭამა.

— დათო, სიტყვაში ნუ ჩამიხტები, შეიძლება არ იცი და, მაგას „გოიმობა“ ჰქვია... ჰოდა, იმას ვამბობდი, ვაჟა-ფშაველას გაუმარჯოს... გამოცდაზე „ბახტრიონი“ შემხვდა რა, დაღეჭილი მქონდა, გადაყლაპვაღა უნდოდა...

— აკი, ჩვენ სამშობლოს გაუმარჯოსო? — შეეკამათა თამრიკო.

— სამშობლო მოიცდის! — ჩაიკიკინა ბურდღუნა კოლას ნელიმ.

— მე ვეღარ მოვიცდი, უნდა დავჯდე! — სკამი ააჭრაჭუნა გიორგიმ.

— დააცათ, თქვას, „ბახტრიონი“ გადაყლაპა თუ უკან ამოიღო! — ცეცხლს ნავთი გადაასხა ილომ.

— თემო, გახსოვს კატას დინამიტი რომ შეაჩი კუდზე და თარიაანთ ბებერს, ლამის კალთის ქვეშ აუფეთქდა? — დავუძახე.

— აუ, რა იყო, — ჩაბუირდა თემო, — წამოხტა საწყალი ქალი, კატა კიდევ, ხეზე ავარდა თუ არა, დინამიტმაც დაიძახა...

ტყეში რომ ვიჩხუბეთ, მაშინაც ასეთი სახე ჰქონდა თამრიკოს, მერე ზიზღმა მოუბრიცა ტუჩები და ვიგრძენი, რომ სტუდენტს მთელი კურკური და თავმოწონება წყალში ჩაეყარა.

მეც კარგი ბოლმა ვარ, პირდაპირ ნემსის ყუნწში ვაძვრენ. მაშ, როგორ, ამას ხომ არ ჰგონია, მართლა ბათუმში მივდივარ!..

თამადას გავლა მოუნდა. მე და გიორგიც წამოვდექით, სტუმარს გავყვებით და თან ჩვენ გასაჭირსაც მოვიცილებთ.

შუშაბანდში სამივეს ალმურა ასდოდა. ივანე შედარებით ფხიზელი ჩანდა.

ხრაშახრუშით გავიარეთ თოვლი და სახლიდან მოშორებით, ღობესთან მივდექით.

— თამრიკო რა გოგო დამდგარა! — თქვა თემომ.

სუნთქვა შემეკრა.

— ეგეთი ფერის თვალები ჯერ არ მინახავს, ახლა ტანი, ფეხები? — ჩაეცინა. — მაგ საქმეში ცოტა რაღაც გამეგება და...

— მოეშვი, უკვე ჰყავს თავისი პატრონი...

— აქ ვინ არის მაგის ღირსი, ბიჭო... უჰ, გახდილი რა იქნება!..

— გაჩუმდი-მეთქი! — დაუტია გიორგიმ.

— აა, შენა ხარ ის პატრონი? ჩვენ ბოდიში...

რამ შემბორკა, რატომ აქვე არ შევაკვდები, — მიკვირს და ვკანკალებ, სულ კბილი-კბილს მაცემინებს.

„რაო, რა თქვა?“ — ძლივს ვაკოწიწებ აზრებს, თანდათან საფეთქლები მიხურდება და ბოლოს ალბათ იმ დინამიტივით გასკდება.

ამასობაში თემომ თავი გაუქნია დასარტყმელად. გიორგიმ მოგვერდით ტომარასავით გადმოიღო. მეც არ ვიცი, რატომ, ხელი შევაშველე და რბილად დაეცა.

— თავი დაანებე, სტუმარია.

— მაშინ შეიფეროს სტუმრობა! — კიდევ წაიწია, მაგრამ არ მივუშვი.

თემო წამოვაყენე და გავბერტყე.

— ორმა გამომიჭირეთ, ხომ?.. მაგრები ხართ! — გამოსცრა და კიბისკენ წავიდა, — ნახავთ, ვინც არის პატრონი! — უკვე მაღლა ასულმა გადმოგვძახა.

— „შარო საიდან მოდიხარო...“ — ხელები გაპარჭყა გიორგიმ და უაზრო, ნერვიული ხარხარი ამიტყდა.

— ავიდეთ?

—არა, თამრიკოს დაუძახე, ორ სიტყვას ვეტყვი და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იფიქრებს, შეეშინდათო.

— ეგეც სწორია... მაშინ ავიდეთ.

„მართლაც რად უნდა გავიპაროთ, დავაშავეთ რამე? თუ არ შეუძლია, ნუ სვამს, ვინ აძალებს... მაინც, როგორ მოვუთმინე, ამ... თანაც რო გვიბღვერის?.. იბღვირე, რა...“

— ილო, ნემსი გამოცვალე, „პლასტინკას“ გააფუჭებს, „კეკელა და მარო“ არ გეგონოს, ძლივს ვიშოვე, ჰარი ბელაფონტეა... იცეკვეთ, რა ძალიან ადვილია...

ისე დაიგრიხა, რომ მის მაგივრად შემრცხვა, ეტყობა, ამას ცეკვავდნენ რუსები რესტორანში.

ყველანი აჰყვნენ, მარტო ჩვენ ვსხედვართ შავი ღრუბლებივით, ცხვირჩამოშვებულები, ხასიათწამხდარნი.

— ადექით! — შემოგვეხვეწა აწითლებული ნატო.

— ილო, თავიდან დაუდე! — ჩამრთველს მისწვდა თემო.

ოთახი სიბნელეში ჩაიძირა, თანდათან გამოიკვეთა თოვლით განათებული ფანჯრები.

„აანთეო“, — აკივლდნენ გოგოები, აირივნენ ლანდები და ლაწანის ხმამ ფეხზე წამომაგდო. მოწყვეტილი, ცივი ხმა ჰქონდა. ყველა მიჩუმდა, მერე ისევ აირივნენ...

განათდა ოთახი და თემომ მალულად მოისვა ლოყაზე ხელი.

ალეწილ თამრიკოს შევხედე და თითქოს დალმართზე დამაგორეს — აგორგოლდა თოვლი, შემომეხვა, გამბოჭა, ამომევსო ცხვირ-პირი... ცოტაც და, ალბათ დავიხრჩობოდი...

ვიღაცამ ჩანგლიანი ხელი გადამიტრიალა და პირველად რაც დავინახე, შიშით თვალგადმოკარკლული, კუთხეში მიმწყვდეული თემო იყო.

გადატეხილი ფირფიტა ყვავის ფრთებივით ეყარა იატაკზე.

— წავიდეთ, გეხვეწები, წავიდეთ! — ხმა არ გამიგია, ტუჩების მოძრაობაზე მივხვდი, რაც მითხრა თამრიკომ.

გოგია, კოლა და ივანე ვერ გარკვეულიყვნენ, რა მოხდა.

— ჩაიცვი, დათო! — პალტო მომასხა ხმააკანკალებულმა დეიდა ნუნუმ.

— ჩემი ბრალი არ არის...

— ჰო, ვიცი, ვიცი... ეგეთი უგემური და უხასიათოა, მაგას დავაყარე მიწა.

გოგიამ ჩანგალი მაგიდაზე დააგდო.

— ვიდრე მამაშენივით ციხეში არ წახვალ, ვერ მოისვენებ.

„სუო“, — ეცა ცოლი.

— რა ზნის ხალხი ხართ, ვერ გავიგე! — არ ცხრებოდა გოგია და აფოფრილ ცოლს იცილებდა.

— არ გინდა ეგეთი ლაპარაკი, გოგი... წამოდი! — ხელი მომხვია ივანემ...

კიბე ჩავირბინე და ეზოდან გავედი...

— მოიცა, ვერ გეწევი! — მომესმა უკნიდან.

ნაბიჯს უფრო ავუჩქარე და ბოლოს გავიქეცი.

„შეჩერდი, შეჩერდი, შე ვირო. ახლა თუ მიატოვე, არ დაელაპარაკე, ღამე ჯავრისაგან კვახივით გასკდები“, — გავლანძღე საკუთარი თავი და რაც იშვიათად ხდება ხოლმე — დამიჯერა, შედგა.

უკან არავინ ჩანდა.

„ასე უცებ სად გაქრა!“ — სირბილით გავბრუნდი.

თოვლში ჩამჯდარიყო და ტიროდა.

— ადექი!

— არ მინდა!

— გაიყინები!

— გავიყინო... რა გინდა ბათუმში!

— თემოს რად ჩამოეკიდე!

— შენი გაბრაზება მინდოდა. რა გინდა-მეთქი ბათუმში!

— მოგატყუე, არსადაც არ მივდივარ... ადექი, შენს პატრონს სად წამესვლება! — ამიჩუყდა გული, — მოიცა, თოვლი გაგაცალო... რად გაარტყი?

—გრძელი ხელები აქვს და იმიტომ.

—თავიდან რას აჰყე.

— შენი გაბრაზება მინდოდა-მეთქი.

— დაწყნარდი? ხომ გამაბრაზე!

— მეტს აღარ ვიზამ, თორემ შენ ისეთი გადარეული ხარ...

— შეიძლება ციხეში მოვხვდე, არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მწარედ გამახსენდა ყორე-გოგიას ნათქვამი.

— გეწყინა?

— არა, მეტკინა. ხანჯალივით გამიარა. თავის მოკვლა მოგინდება. ეს რა ხალხი დადის ქვეყანაზე...

თამრიკოს თბილი კისერი ჰქონდა. სახეზე ცივი წერტილივით შემეხო საყურე.

— როდის გაიხვრიტე?

— რამდენიმე დღეა... მიხდება?

— გახვრეტილი ყური?

— ჰი, ჰი... საყურე. ბებიაჩემმა მაჩუქა.

— ვეცდები, უკეთესი გიყიდო.

— აბა, შენ იცი...

ეტყობა, აიშალნენ, ხმაური თანდათან ახლოვდებოდა.

ჩავკიდე ხელი და გავიქეცით.

გზა თეთრია და უსასრულო, სიბნელეში ჩაკიდული თავისი ალმართ-დალმართებით, მოსახვევებით, ორმოებით, სოფლებით, ქალაქებით... აუჰ, რამდენს უვლია, რამდენი ეცადა ბოლოში გასვლას, მაგრამ უხილავ ტყვიას ყველა რიგრიგობით მოუცელავს. უსახელოდ გადაგებულან, ყრუ სასაფლაოებს შეჰფარებიან სულის მოსათქმელად... სულ ჰგონიათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძებენ, გადაიგორებენ მძიმე ქვებს, მოიფშვნეტენ თვალებს, — ეს რამდენი გვძინებიაო, და ისევ გაუდგებიან არსაითკენ მიმავალ გზას...

— გვეყოფა, დავიღალე!

— ცოტაც და, რომში შევალთ.

— რატომ მაინცდამაინც რომში?

— იმიტომ, რომ ყველა გზა რომში მიდის.

— რა გვინდა ბატების გადარჩენილ ქალაქში, სხვაგან წავიდეთ.

— გაიხედე, კიდევ მოგვდევენ?

— ჰო, ბუზისტოლად ჩანან.

— გადააგდე სავარცხელი.

— გადავაგდე! — გაიქნია ხელი.

—ეხლა შევისვენოთ, ვიდრე მაგ ტყეს გამოივლიან... მგონი მამაშენი მოდის.

სიბნელეში მივდექი.

„საიდან გამოტყვრა, ლამის ბელ-ა გადავაწყდით?"

— რად დაიგვიანე... დედაშენმა შემჭამა, წადი მოიყვანეო.

— ნასვამი ხარ?

— ცოტა... ბიძაშენი ჩამოვიდა.

— ბავშვები?

— არა, მარტო. წამლები ჩამოიტანა და ადრიანად უნდა გაბრუნდეს.

ხმა თანდათან მიწყდა.

„ეჰ, სავარცხელი უკან კი არა, წინ უნდა გადაგვეგდო..." — საყელო წამოვიწიე, ნიკომ რომ იცის ხოლმე, ეგრე და ბუნაგიდან ცხვირგამოყოფილი ნადირივით დავყნოსე ჰაერი.

„საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას, სად ვპოვებ შვებას მიუსაფარი?.." — ნიკო იმეორებს, როცა შეთვრება.

ფიზკულტურის მასწავლებელმა, კოკროჭინა კაკომ უთხრა, რას აიკვიატე, — გზის მოწყენა ვის გაუგია, მაგარი იეთიმ-გურჯია, იმას ვენაცვალე ყანყრატოშიო.

ადგა ეს ჩვენი ნიკო და გალაკტიონ ტაბიძის თხუთმეტი ლექსი მაინც წაუკითხა, თანაც სულ ზეპირად.

მე მაინც იეთიმ-გურჯი მირჩევნიაო, — არ დაუთმო კაკომ.

გაბრაზდა ნიკო და სუფრა მიატოვა.

ესეც კარგი ფხუკიანია, რას გარბოდა, კაცია და გუნება, როგორ არის ნათქვამი? — ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს მღვდლის ცოლიო...

საწყალი დედაჩემი, რამდენ წიგნებს ყიდულობდა. არ ბეზრდებოდა მაინც? საათობით ხმამაღლა მიკითხავდა. რამდენჯერ აბუზღუნებულა ბებიაჩემი, — ქალი რო წიგნებს გადაჰყვება, იმ ოჯახის საქმე კარგად ვერ არისო.

მეტი რა შერჩა, რა წაიღო, ერთი კინკილა ბეჭედი ჰქონდა, სიგამხდრისგან თითზე აღარ უჩერდებოდა, საავადმყოფოში წაყვანამდე წაუძრია და ბებიაჩემისთვის ჩაუბარებია, ეგებ რა ხდება და, დათოს შეუნახეო...

ჩვენ კი ახალი ფეხსაცმელიც ვერ ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაცვით. ისე გავუყენეთ თავის „მოწყენილ გზას...“

გალაკტიონ ტაბიძე რომ გარდაიცვალა, დაადო თავი და დაკრძალვაზე წავიდა. შუალამისას ძლივს ჩამოაღწია, გაციებულმა და სიცხიანმა.

მეორე დღეს სანახავად მოსულმა ერთმა ჩვენმა მასწავლებელმა მასხარად აიგდო, — ნეტა შენც მოგცლია, რა მიგარბენინებდა, უშენოდ ვერ დამარხავდნენო!..

— ცოტა შემამცივნა და ადრე ჩავწექი.

— პიტნის ჩაი გაგიკეთო?

— უკვე დავლიე... ფეხები ვეღარ გავითბე.

— აბა, მაჩვენე... კრამიტიც სულ გაგციებია.

— ფურნიდან მეორე გამოიღე და დამიდე... კარგი დრო გაატარე?

— გადასარევი.

— ვინა ჰყავდათ?.. კიდევ შემოახვიე, თორემ ძალიან ცხელია... ვინა ჰყავდათ-მეთქი.

— ირანის შაჰი და თურქეთის სულთანი ცოლებით. საფრანგეთისა და ინგლისის პრეზიდენტები გვიან მოვიდნენ. ერთი ცხვირში რგოლგაყრილი, ძალიან შავი კაციც იჯდა, მაგრამ საიდან იყო, ვერ გავარკვიე...

— შენ ხომ წესიერად სული არ ამოგივა.

— ჩაყავი ხელი ბაბალე და ოფლი მოიდინე... ისეთი არავინ ჰყავდათ, შენ რომ არ იცი, — საბანი ამოვუკეცე და დერეფნიდან შეშა შემოვიტანე.

— რა სამწვადე ნაკვერჩხალი დაუდია!

— ჯამშია ხორცი, კატომ ამოგვიტანა და შეიწვი თუ გინდა.

— ყოჩაღ, კატო, სულ მჭლეა.

— იცის მსუქანი რო არ გიყვარს. მე კი გემოს ვერ ვატან თუ ცოტა... სად მიგაქ.

— გარეთ, ცივად დავდგამ, არ გაფუჭდეს.

— შეგეწვა, აკი მინდაო!

— გადავიფიქრე.

— ხორცი დერეფანში გავიტანე და ზემოდან უფრო დიდი ჯამი დავამხე.

სათონის და ღობის კუთხეში ალუბალი დგას, თეთრად დაბინდული, აწურული, თითქოს ბოდიშობს, უხერხულ ადგილას ამოვედი, მაგრამ ჩემი ბრალი არ არისო.

ღორი მაგას არ უსვენებდა და ცხვარი, რამდენჯერ შემოქერქეს, საპნიან წყალს გარუებულში რომ ჩავაქცევთ ხოლმე, ისიც მაგის ძირში გადის, — მაინც იძალავა, ამოიზარდა, მოიკეთა. შარშან ნიშანი ება, წელს კი დაიხუნძლა, დადგა წითლად მორთული და დააძღო ჩიტები.

გასულ დეკემბერშიც ასეთი იყო, ასე შევცქეროდი მაშინაც. მერე გუნდა ვესროლე, გაუმეტებლად, დანდობით, გოგოებს რომ ვესვრით ხოლმე, ეგრე.

იქნებ მას შემდეგ აქ ვდგევარ და ფეხი არ მომიცვლია? იქნებ არც გაზაფხული ყოფილა და არც ზაფხული, წელიწადმა გაკვეთილივით გამოტოვა, კალენდრიდან ამოხია სამი დრო და პირდაპირ ზამთარი — ზამთარს გადااბა? ან თუ ყველაფერი უსიამოვნო სიზმარი იყო, წამით ფეხზემდგომელს რომ ჩამთვლიმა და მომეჩვენა, მაშინ ხომ უნდა გამეღვიძოს, ზურგს უკან კაკუნი მომესმას და ფანჯარასთან დედაჩემის ნახევრად განათებული სახე დავინახო, — საჩვენებელი თითით რომ მიხმობს და დაორთქლილ შუშაზე თანდათან იცრიცება, მკრთალდება სახის ნაკვთები...

რად მიძახდა?.. ღმერთო გამახსენე... ალბათ ისეთ უმნიშვნელო რამეზე, რომ არც დამახსომდა.

ჰმ, „უმნიშვნელო...“ რა უაზრო სიტყვაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დედაჩემის მოძრაობა, საუბარი, საქმიანობა მინდა აღვიდგინო.

„მეძახი?“

„შემოდი, შეგცივა“.

„ალუბალი რომ მარტო დარჩება?.. შევიყვანოთ სახლში“.

„არ შემოვა“.

„ძალიან შევეხვეწები“.

„მოეშვი, ოცნებებს დაუფრთხობ, საოცნებო კი იმდენი აქვს...“

„მერე, აუხდება?“

„გაზაფხულზე, თეთრად როცა აყვავილდება, უნდა ჩათვალო, რომ მთელი ზამთრის ნაოცნებარი აუხდა...“

ჩემი დედილო, ოთხად მოკეცილი, საწოლის თავებს ჩაფრენილი, ოფლით დაცვარული, მოღრეცილი სახით რომ ივედრებოდა, მიშველეთო, ეგა მკლავს, იმ წუთებს ვერ ვიგდებ თავიდან, მეცემა ყელში და მახრჩობს.

რა უნდა მექნა, გარდა იმისა, რომ მოწმესავით შევყურებდი და თითებს ვიჭამდი. თითქოს კანზე სამართებელს მისვამდნენ, მანაკუწებდნენ. იქნებ სჯობია, ინკუბატორის წიწილასავით დაიბადო, არავინ გყავდეს გულის დამწველი და არც შენ გლრღნიდეს ვინმეს ჯავრი, წადი და იარე, არც ჭირი გეხებოდეს და არც ლხინი, ყველგან უცხო, ფეხებზე მკიდია მოგზაური, საკუთარი თავის ანაბარა, ჩიტივით თავისუფალი... მაგრამ, ამას წინათ რომ წავიკითხე, საქართველოში დაბადებული მერცხლები, ვიდრე გაზაფხულზე უკან არ დაბრუნდებიან, სხვა ქვეყნებში არ ჭიკჭიკებენო?..

ეგეც შენი „ჩიტივით თავისუფალი!“

ყორე-გოგიამ, როგორ ღვარძლიანად მითხრა... ბებიაჩემს რომ მოესმინა, თვალებს ამოკორტნიდა... ღირსი არ იქნებოდა? ჯერ გაიგე, შე კაი კაცო, რაშია საქმე, ვინ ტყუის, აღარ არის სამართალი? ვითომ ჩამომავლობითა ვართ შარიხვეტიები, ეგრე გამოიყვანა. დამაყენე ჩემთვის, დაუკრეფავში რას მიძვრები...

ვირისთავი... „დაღეჭილი ჰქონდა ბახტრიონი!..“ წადი, შენი... ღეჭე და იყავი...

ოთახში ფეხაკრეფით შევედი.

ჩაუძინია, ღრმად, თანაბრად ფშვინავს და ყოველ ამოსუნთქვაზე თეთრად ჯაბრწყინებული თმა ოდნავ ირხევა.

რაზე ეკვლევინები, შეიჭერი, თანაც აღარც მოდაშია გრძელი თმა-მეთქი.

პაპაშენი ჩემმა ნაწნავებმა მოხიბლა, — თორემ მე დიდი მზეთუნახავი კი არ ვიყავი, რო შევიჭრა, იქ როცა მივალ, როგორ შევხედო სახეშიო...

დაჯდება თავის ხის სავარცხლით, მოჰყვება ზემოდან და ნელა, ნებივრად ივარცხნის.

მონუსხული შევყურებ ხოლმე მის ერთადერთ სიმდიდრეს, ხშირ წვიმასავით სახეს და მკერდს რომ უფარავს, ჩამოსდის უწყვეტ ნაკადად და კალთაში საპნის ქაფივით ფუვდება...

სავარცხელს შერჩენილ ღერებს გააცლის, თითებით დაასორსოლებს, თმას თანაბრად, შუაზე გადაიყოფს და ან ჩაიწნავს, ან პირდაპირ დაახვევს და აიკეცავს — გააჩნია, როგორ ხასიათზეა...

შევრჩით ერთმანეთს რობინზონ კრუზოსა და პარასკევასავით. ჩამოვა მამაჩემი და რაღაც შეიცვლება, სამი ადამიანი ცოტა არ არის. თუმცა, რატომ სამი — დედაჩემი, ბიძაჩემები? რა ვუყოთ, რომ ვერაფერში გვეხმარებიან და უხმოდ იყურებიან — ყორე-გოგიას აღარ სჯობიან, კაცს მაინც არ მოწამლავენ!..

სხვაგან რატომ არ ჭიკჭიკებს ჩვენი ეზოდან წასული მერცხალი? ნაღვლობს? იქნებ ტირის კიდეც!..

ეჰ, მამაჩემო, როდის გამოფრინდები!..

„ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე, რა არის?“

„რამდენჯერ უნდა გითხრა!“

„კიდევ მითხარი“.

„გზა...“

ათი წელია, ვეღარ დაკეცა. ეგებ ბრტყელია დედამიწა, მრგვალი რომ იყოს, აქამდე ხომ მოაღწევდა, თუნდაც ახლა კარზე მოაკაკუნებდა...

„კაკ... კუკ“.

„ვინ არის?“

„მამაშენი ვარ, შვილო!“

ყირავდება ფეხწამოდებული სკამები, მაგიდა... ვინ ჩახვრგა ამდენი ხარახურა, ვეღარ მივაღწიე.

„ფრთხილად, რამე არ იტკინო...“

„ახლავე... შუქს ავანთებ და...“ — მაგრამ სად არის კარი, სულ კედელია, ყრუ კედელი, გარეთ კი მამაჩემი იცდის...

ერთ წუთს წამთვლიმა და უკვე ამოუშენებიათ, უჰ, თქვენი...

სული შემეხუთა, თითქოს მართლა უკარფანჯრო ოთახში ვიყო გამოკეტილი...

საწოლიდან ფეხი არ მომიცვლია და არც სკამები წაქცეულა, კარ-ფანჯარაც თავის ადგილზეა, მაგრამ რად გინდა, აღარავინ აკაკუნებს...

ბებიაჩემი წამოდგა, ჩითის გაფოფრილ პერანგში ჩაკარგული, მაგიდასთან მივიდა, წყალი ყლუპყლუპით დალია და ვიდრე ჩაწვებოდა, ჯერ ჩემთან მოვიდა, მკლავქვემოთ მოქცეული საბანი ფრთხილად გამომაცალა და ზემოდან წამაფარა.

გავინაბე, ვითომ მძინავს.

„უკვე მიდიხარ? მაგრამ დილა შორსაა კიდევ. ის ბულბულია, ტოროლას ხმა ნუკი გგონია...“ საიდან მახსოვს?.. ღმერთო, გამახსენე, ღმერთო!.. ნეტა დამახედა, როგორ გძინავს, თამარ, თამრიკო, თამრო! ძილში ვის უღიმი, მე თუ ანგელოზებს!

რა იციან თქვენებმა, რომ ისევ შევრიგდით და მაგათ ჯიბრზე საერთოდ აღარ ვიჩხუბებთ... მაშ!“

V

ბიძაჩემმა მანქანა იყიდა. სულ კრიალი გააქვს. ამოვიდა ცოლ-შვილით, დაგვხედა, დაგვათვალიერა. რას გავიბღინძე! ავიარეთ და ჩავიარეთ სოფელში. მე რა მბღინძავდა, ვერ გავიგე.

რკინის მესერი შევუკვეთე, ნაახალწლევს მზად იქნება, ამოვიტან და შემოვავლოთო, — ამოუჯდა გული, ავტირდით ორივე.

— ის დღე დაიწვას, როცა აქეთ გამოთხოვდი.

გაკვირვებით შევხედე, მაგრამ არაფერი მითქვამს, ვიცი, მამაჩემზეა ნაწყენი, თავიც დაიღუპა და ჩემი დაც მოინელაო.

— ჩემ ხელში გაიზარდა, რვა წლითა ვარ უფროსი. უმაღლესში როცა სწავლობდა, ლამის ყოველ კვირა ჩავდიოდი, საჭმელი ჩამქონდა. მაშინ ყველას უჭირდა და მით უმეტეს, ობლებს რა გვექნებოდა, რამდენჯერ მე მშიერი დავრჩენილვარ... იმ უმაღლესშიც გამეპარა და ისე ჩააბარა, თავისით, რა თქმა უნდა, ვინ მიეხმარებოდა...

ეხლა, როცა ცოტა მოვღონიერდი და სული მოვითქვი... ეჰ! — ჩაიქნია ხელი.

უცებ ძალიან მივამგვანე დედაჩემს, აქამდე არც მიფიქრია მათ მსგავსებაზე — იმიტომ რომ სულ სხვადასხვანაირები არიან, მაგრამ რაღაც საერთო მაინც ჰქონიათ. ამ „აღმოჩენამ“ გული მომიწურა.

— მამაჩემს არავინ მოუკლავს, შენც ხომ კარგად იცი.

— მე ეგ არ მითქვამს, მაგრამ რათ წაეკიდა. რაკი ნიკალა აღარა არის რა, ქვეყანა გასწორდა? ნაგავს რაც მეტად გაქექავ, უფრო აქოთდება... შენზეც რაღაცები მესმის და... არ გინდა, ყოჩობა არავის გამოადგება, მამაშენის მაგალითი წინ გიდევს.

— ეგრე ნუ მელაპარაკები, — ვერ დავმალე წყენა.

— აბა, რა ვქნა, სხვა სულ არ გეტყვის და წადი და გადაიჩეხე... სოფელი როგორც მიდის, ჩვენც ისე უნდა ვიაროთ, ფეხს აუჩქარებს? — ავუჩქაროთ, შედგება? — გავჩერდეთ.

ნაშუადღევს წავიდნენ. ჩემი ბიძაშვილი შემობრუნდა და დამეჭყანა.

არ ვიცი, მეწყინა თუ გამეხარდა ბიძაჩემის სტუმრობა. მეტი რა უნდა ექნა, რაც შეეძლო, მოგვიტანა, საფლავზეც უზრუნია, ფულიც დაგვიტოვა, მაგრამ მომეჩვენა, რომ ყველაფერი უგულოდ, მოვალეობის გამო გააკეთა. თითქოს ჩვენთან მხოლოდ დედაჩემი აკავშირებდა — გაწყდა ეს ძაფი და მეც კი გავირიყე... აბა, ხომ უნდა ეკითხა, როგორ ვარ, რა მიჭირს, ვსწავლობ, არ ვსწავლობ... ამ ფუყე, დამრიგებლურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვებს ხომ ვეღარ ვიტან, ცოტა თბილად მითხარი, შე კაი ადამიანო, უცხო, გამვლელი ხარ? მშივრები კი არ ვიხოცებით, ორი კინკილა ადამიანი კუტზე და წყალზეც გადავივლით, გავძლებთ როგორმე და არც საფლავი დაგვრჩება შეუღობავი.

ეგებ ვცდები, ეგებ დედაჩემის სიკვდილმა ისე აუმღვრია ხასიათი, რომ...

მანქანას კი საგულდაგულოდ წმენდდა, გამოასუფთავა, ჯერ სველი, მერე მშრალი ნაჭერი გაუსვა და ამ მეტისმეტმა გულმოდგინებამაც რატომღაც ნერვები მომიშალა, შეკრული შუბლი ვეღარ გავხსენი, ერთი სული მქონდა, მალე წასულიყვნენ...

გულს კიდევ ის მილბობს, სასაფლაოზე რომ ატირდა, თორემ... და, საერთოდ, მამაჩემს ყველა მოეშვას! „ის დღე დაიწვასო...“ მაშინ ხომ მეც არ დავიბადებოდი, ნუთუ ჩემი გაჩენა სულ არაფერს ნიშნავს?

რა გაბღენძილი ვიჯექი მანქანაში, — ახლა ვბრაზდები საკუთარ თავზე...

ნიშნები გამოვასწორე. ნიკო მართალია, ბევრი კი არ მინდა, ერთხელ წავიკითხო და...

— კაკ ტებე ნე სტიდნო, — მითხრა ანგელინა მასწავლებელმა, — ჭკუა გაქვს და ვერ იყენებ, ასე მოინდომე და ბიჭი არ გემჯობინება!

რა ვიცი, რა ხასიათზე იყო, ის ბეჭდიანი ხელი რამდენჯერ თავში ჩაუკაკუნებია და ახლა ლოყაზე მომისვა, მომეფერა. ისე მესიამოვნა, ლამის მე თვითონ გავუგზავნე ბებიაჩემი პურის გამოსაცხობად.

— სმატრი, იქით მეოთხედებში ყალთაბანდობას აღარ გაპატიებ!

ღმერთი უშველის თინას, ეს დღეები ძალიან მომეხმარა, რუსული წყალივით იცის...

კატების ამბავი ჩაიფარცხა. ნიკო კარგად მყავდეს და... ეხვეწა თურმე ლავრენტა, მითხარი, ვინ იყო, ბუზს არ ავუფრენო. საყვედური ხომ აგაცილე და საიდუმლოს ნუ გამათქმევინებ, ვინც ჩაიდინა, ისედაც ძალიან ნანობს...

აბა, ღამეები არ მძინავს!

ჩვენში დარჩეს და, მართლა შემეცოდა, ისე აფართხუნებდა იმსიგრძე მკლავებს.

ამბობენ, ჩონჩხი წინასწარ აქვს გაყიდულიო — ხუმრობა ხომ არ არის, ორი მეტრი და შვიდი სანტიმეტრია, როცა დაწვება, ფეხები გარეთ აქვს გადაყოფილი და ხანდახან გამვლელები მოუღიტინებენ ხოლმე... მართლა ეგრეა, ვისაც გინდათ ჰკითხეთ...

დაბერდა ჩვენი ფოსტალიონი, გვერდზე გადახრილი მოჩლახუნობს და ყურიანი, დაბამბული სამხედრო ქუდი ნიკაპთან გაუბანტავს.

ძაღლები გნიასით მოსდევენ. იცის ფოსტალიონმა, რომ არ უკბენენ, მოწყენილობის გამო უფრო ღავღავებენ ფაფხურობენ, ვითომ გაიქეცი, თორემ სადაცაა გეცემითო. ძაღლებიც გრძნობენ, რომ რაც უნდა იდავიდარაბონ, ნაბიჯს მაინც არ აუჩქარებს, ეგეთი ქვა და რკინაა, ეს დაჩამიჩებული ბერიკაცი. გაბრუნდებიან კუდამოძუებული, უკმაყოფილო ღრენით, თავ-თავის ეზოებისკენ და ახლა სხვას ჩაუსაფრდებიან, რომ ისრებივით გამოცვივდნენ, კიდევ ერთხელ სცადონ ბედი.

— გამარჯობა!

— ღმერთმა აგაშენოს... შენა ხარ, ბიჭო? შენთვის ისეთი რამე მომაქვს! — საჩქაროდ ჩამოდგა ჩანთა.

გული ამიძგერდა, — „ნამდვილად მამაჩემის წერილია“.

— სადაც კი მივედი, ყველას ვუთხარი... აი, გენაცვალე! — გამიფრიალა გაზეთი.

— მე წერილი მეგონა! — ჩამიქრა იმედი.

— ისიც იქნება... ნახე!

— „ლიტერატურული გვერდი“, — წავიკითხე ხმამაღლა და ის იყო მხრები ავიჩეჩე, მე რა შუაში ვარ-მეთქი, რომ თვალები ამიჭრელდა — ჩემი სა-

ხელი და გვარი, შავი, ლამაზი ბეჭდური ასოებით...

მგონია მეჩვენება. სადაცაა გაქრება და ამიტომ კითხულობ ერთხელ, მეორედ... მეათედ... სახელსა და გვარს ქვემოთ ჩემი სამი ლექსია მთელ სიგრძეზე დაბეჭდილი. ყელი გადამეკეტა, ხმა თუ არ ამოვიღე, ნამდვილად დავიხრჩობი.

— არ გიხარია? — ცოტა არ იყოს, შეცბა ფოსტალიონი.

„არ გიხარიაო!" — რაღაც გაურკვეველი ბგერები აღმომხდა, გადავეხვიე და მარტო შეცივნული სახე კი არა, ქუდიც დავუკოცნე.

— საიდან, აქ საიდან გაჩნდა! — ვლუღლუღებ და აქოშინებულ მოხუცს სახლისკენ სირბილით მივაძუგძუგებ.

დერეფანში მოვითქვი სული.

—ჯერ ნუ ვეტყვით, თორემ აღარ გადაგვახუხინებს, — თვალი ჩამიკრა და პირდაპირ მაგიდას მიუჯდა.

— შენ კარგი ამბავი მომიტანე და... — დაფაცურდა ბებიაჩემი.

— გეხუმრე, ოთხ ჭიქაში ვარ, მეტი არ მინდა... აჩვენე, დათო! — დამრთო ნება.

გაზეთი გავუშალე.

— სათვალე სადღა გადაიქაჯა! — წინსაფრის ჯიბე მოისინჯა ბაბალემ.

— აჰა, გამომართვი! — თავისი მიაწოდა ფოსტალიონმა.

ცხვირზე დაიკოსა და დამარცვლით წაიკითხა.

— ეე, — ამოხედა გაკვირვებით და აღელვებული სკამზე დაეშვა.

— ეს კიდევ ჩემი ლექსებია.

— შენები?.. მე კიდევ ვეჩხუბები, რა თვალებს იწყალებ, დაწექი-მეთქი.

— ბაბალე, გაგვიშრა ყელი! — ჩავიბრუნე მომდგარი ცრემლი.

— ახლავე... მოიცა, ერთიც წავიკითხო... სად იყო?.. ჰო, აი...

აღარ მოეშვა, მე თვითონ გამოვდგი არაყი და ჭიქები.

— ამ საქმისა ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ, კარგი როა, ეგ კი ვიცი! — გაზეთს ისეთი სიყვარულით გადაუსვა ხელი, თითქოს ჩვილ ბავშვს ეფერებოდეს.

— კარგი და ეგრე?.. გაგიმარჯოს, შვილო, იმხელა წიგნებს რო წერდნენ, თავიდან შენნაირი ბიჭები იყვნენ, მაშა!.. ასე მტერი დაგეცალოთ! — პურს ცოტა წაატეხა და ბომბორა ქუდი ისევ ჩამოიმხო.

— მოიცა, — ჩამოქაჩა ბებიაჩემმა.

— ასე იოლად ვერ გადარჩები, ქათამი უნდა დაკლა, ქათამი!

— ქათამი რას მიქვია, შენ ოღონდ...

— ნახევარი სოფელი კიდევ მოსავლელი მაქ, სხვა დროს იყოს-მეთქი... როგორ გამოვჩერჩეტდი, თან არ მიმქონდა? აჰა, რამდენიმე ზედმეტი წამოვიღე, თქვენთვის.

გაზეთები ჩამოვართვი და თვალი გავაყოლე, დინჯად რომ მიჰკვალავდა თოვლს და ჩაფართხუნებული პალტო კოჭებამდე სცემდა.

რამდენი ხანია ეს კაცი ისე დადის, გაზეთი თუ დააგვიანებს, მაშინ ახსენდებათ; თორემ საერთოდ რომ არ გამოჩნდეს, თვალში არავის დააკლდება.

ერთხელ, აგერ, ჩვენ ღობესთან, ქვაზე ჩამოისვენა, დაღლილობისაგან წასთვლიმა, თავი სასაცილოდ აუკანტურდა.

მივეპარეთ, ჩანთაში რიყის ქვები ჩავუწყეთ, თანაც ისე რომ ერთბაშად არ შეემჩნია.

ათრია საწყალმა უბნიდან — უბანში. ჩვენ უკან მივყვებოდით და სიცილით ვიჭაჭებოდით... სად მქონდა ჭკუა!

— მამაშენი რო გაასამართლეს, ამ გაზეთში ეწერა.

— მაჩვენე!

— რა ჯანდაბად მინდოდა, დავხიე და გადავყარე... უთოფოდ მოგკლავდა, იმდენი ღვარძლი იყო. თან სულ ტყუილები, გული, როგორ არ გამისკდა — მიკვირს... მკვლელობა კარგა ხნით ადრე იყო ჩაფიქრებული და მომენტს ელოდნენო.

მერე, ვითომ მამაშენმა თვაურის ბიჭს დანა მისცა, აგერ, მთვრალი მობანცა-

ლებს და ჩასცხეო. დანა მართლა ჩვენი იყო — მთელი უბანი იმით კლავდა ღორებს. თვაურის ბიჭმა წინა დღეებში გამოგვართვა, — ღორისთვის, რა თქმა უნდა, — ნიკალა კი შემოაკვდა.

— შემოაკვდა რა, თავისით წამოეგო? ალბა იმხელა ხანჯალი ჯიბით რათ დაჰქონდა...

— მომისმინე, შვილო, — არხთან რო ონისიმეაანი ცხოვრობენ, ხო იცი, თურმე იქ სვამდნენ კაცები. შუა ქეიფში ეს ცოდვის შვილი ნიკალაც შეხეტებულა. როცა კარგად შემთვრალან, თვაურის ბიჭს ახირებია, თქვენსას რასა ვჭამ, რას მებრძვით, მე თქვენი დედაო... ზუსტად ასე უთქვამს.

ერთი პირობა ჩაუწყნარებიათ, მაგრამ კაცს რო ეშმაკი შეუჩნდება, არ მოასვენებს, — ისევ ამტყდარა, ფეხებსაც ვერ მომჭამთ, ცხრიანი მიდევს და ორივეს გეყოფათო.

— მაშინ ამოიღე და მესროლეო! — ამასაც შეუგინებია და სავსე ჭიქა სახეში შეუქცევია.

— გესვრი კიდეც და შენ ცოლსაც მკლავზე გადავიგორებო!..

დიდი დაუნდობელი იყო, ამოუღია და ხალხი რო არ ყოფილიყო — ესროდა.

ფერდაკარგული თვაურის ბიჭი გამოურიდებიათ, წადი, შარში არ გაეხვიოო.

გონებადაბნელებული, თვალებზე ლიბრგადაკრული ამოვარდნილა სახლში, დაულეწავს იქაურობა და იმ ცოდვიანი დანისთვის ხელი დაუვლია...

ბედისწერაა, მა რა ჯანდაბა, ონისიმეაანთა რო აშლილან და წამოსულან, ნიკალა მარტო დაწინაურებულა... მერე რაც მოხდა, შენც იცი...

— თვაურის ბიჭი რატომ არ დახვრიტეს?

— ოცდახუთი წელი დახვრეტაზე ნაკლებია? რაღას უნდა მოეწიოს!

— ომში იყო?

— ვინა.

— ნიკალა.

— ომში არა, სიკვდილში... წავიდა კიდეც... არტემასთან იყვნენ დედაბუდიანად შემძვრალი. დღედაღამ ბაღ-ვენახში ტრიალებდნენ და გიჟი იყო, უფასო მოსამსახურე ომში გაეშვა?.. ჩემები კიდევ მაშინვე გაცვივდნენ, ვითომ... მამაშენიც მაგან გადარია, ჩვენ იქ ჩავიხოცეთ, ეს დეზერტირები კიდევ სხედან და სუქდებიანო...

გაზეთში ეწერა, ბრიგადირობიდან მოხსნილმა და გაბოროტებულმა, თავის დამქაშთან ერთად უდანაშაულო ადამიანზე შური იძიაო...

გაზეთში რა იცოდნენ უდანაშაულო ვინ იყო? — ამ სულძაღლიანმა არტემამ ქნა ყველაფერი, მოეწიოს ნიკალას... კიდევ არ იცი მაგის კუდების ამბავი, — სამძღვარზე აქვს გადებული... გგონია, ეს ყველას გაუხარდება? — ხელი დაადო გაზეთს, — სად მიხვალ?

— ნიკოსთან, თინა უნდა წაეყვანა და გავიგებ, რა ქნა...

სიხარულს ისევ ღრუბელივით წამოეპარა, წლების მანძილზე ადევნებული ნაღველი. როდის გაჩნდა? იქნებ მაშინ, ოთარმა და ანზორამ რომ მცემეს და სახლისკენ დამუქრებული წამოვედი, მამაჩემს ვეტყვი, ამოუვარდება და ყველას დედას უტირებს-მეთქი... შუა გზაზე გამახსენდა, რომ ვერაფერსაც ვერ ვეტყოდი, რადგან ჯერ კიდევ არ ამოეყვანა „საღამოს ავტობუსს“. ისედაც გამწარებული ქალებისთვის კი რა უნდა მეთქვა, მე მამაჩემის გამოსარჩლება მინდოდა, მეტი არავისი!.. იძულებული გავხდი, ბოლმა ჩამეყლაპა, დასისხლიანებული ცხვირ-პირი ციგის გადაბრუნებისათვის დამებრალებინა.

ალბათ... ალბათ იქიდან დაიწყო, ყველაფერზე მე უნდა მეგო პასუხი, სხვა ბავშვებივით ჩემზე ძლიერს საშველად ვერავის მოვუხმობდი.

იქიდან დაიწყო-მეთქი, მოდიდდა, მოქურუხდა დამთრგუნავი ნაღველი, რომელიც ხან გაქრებოდა, ხანაც ყელში საწამლავივით ჩაივლიდა.

ახლაც დამეძგერა, მაგრამ ძველებურად ვეღარ მომღუნა, ამჯერად ვიღაც მომიდგა გვერდით, ჩემი თავი არ დაა-

ნება და ის ვიღაც გულთან მიკრული, უცნაურად თბილი და იმედიანი, გაზეთში დაბეჭდილი საკუთარი გვარი და სახელი იყო.

ახლა უკვე ორნი ვიყავით, მე და მე.

ერთადერთხელ გავაგზავნე ლექსები საბავშვო გაზეთის რედაქციაში და ისიც სანანებლად დამრჩა.

დედაჩემი ამიტყდა, სუფთად გადამაწერინა, თორმეტფურცლიანი რვეული დიდ კონვერტში ჩავდეთ და ქალაქისკენ გავუშვით.

პასუხი მალე მოვიდა:

შენი ლექსები ყურადღებით წავიკითხეთ, — მაშინ ვიფიქრე, პატივი უციათ, თორემ ალბათ ზოგიერთის ლექსებს უყურადღებოდ კითხულობენ-მეთქი, — მაგრამ მხატვრულად სუსტია და ვერ გამოვაქვეყნებთო.

„ისე, გეტყობა, რომ წერა გეხერხება, გვიამბე შენს სკოლაზე, მეგობრებზე...“

კიდევ იყო რაღაც-რაღაცები ჩამოთვლილი და ბოლოს — ველით შენს წერილებსო, ესე იგი, ლექსები აღარ გამოგვიგზავნოო.

აღარც გამიგზავნია.

●

ნიკოს ტაშტი ტაბურეტზე დაედგა და დიდი მონდომებით ირეცხავდა ხალათს. მე რომ დამინახა, დაიმორცხვა.

— რას იზამ... ხანდახან ასეც ხდება!

თინას ბალიშები ერთმანეთზე მიეწყო, თავი აემაღლებინა და ისე მიწოლილიყო.

— საყელოს კარგად გაუსვი... რა მოუხერხებელი ხარ, რა გეშველება... მოდი ჩემთან, — მანიშნა.

მივედი.

— ახლა დაიხარე, — ლოყაზე მაკოცა, — ნახე? — დამანახვა გაზეთი.

— ჰო, მაგრამ მე არ გამიგზავნია.

— ეგ უკვე ნიკოს ჰკითხე.

— დაგავიწყდა შენი ლექსების რვეული რომ მათხოვე? რედაქციაში მეგობარი კაცი მუშაობს. ვაჩვენე, მოეწონა, ეგ სამი დაიტოვა. დანარჩენებსაც დავბეჭდავდი, მაგრამ ძალიან სევდიანია და გაზეთში არ გამოვაო.

— აქამდე რატომ არ მითხარი?

—არსებობს ასეთი სიტყვა „სიურპრიზი“, რომელიც მოულოდნელ, სასიამოვნო ამბავს ან საჩუქარს ნიშნავს. ჰოდა, მეც „სიურპრიზი“ გაგიკეთე.

— შეიძლება უსიამოვნო იყოს?

— არა, „სიურპრიზს“ მხოლოდ სიხარული მოაქვს, — გამიცინა, — ამაში ხომ შენც დარწმუნდი!

დიდი ჩიტირეკია რამეა სიხარული, წელან ლამის ყირაზე გადავდიოდი, ახლა კი...

— რას იცრემლები?

— მადლობასაც რომ ვერ გეუბნებით, ყველაფერს ისე ვიღებ, თითქოს მოვალენი ხართ...

— ადამიანი ყოველთვის იყო და იქნება ადამიანის მოვალე.

— ყველა რომ ასე არ ფიქრობს?

— ჩვენ ხომ ყველა არა ვართ.

— ერთიც გაავლე, თორემ საპნის სუნი ექნება... დათო ფანჯარა შეაღე, ჰაერი არ მყოფნის...

თინა მძიმედ სუნთქავდა, ოთახი უცებ გაცივდა.

ნიკომ ხალათი ჩამოფინა და გვერდით მიუჯდა.

— რა გიშველო.

— კორდიამინი მომეცი... ეგ ძველია... ვალერიანიც შეიძლება... თექვსმეტი წვეთი...

— გითხარი, წაგიყვან-მეთქი და არ დამიჯერე.

— დილამდე როგორმე გავძლებ... რად დამეწყო ასე ნაადრევად ტკივილები... იცი?.. — ყურში რაღაც ჩურჩულა.

— არ გადამრიო! — შეწუხდა ნიკო.

სახლში ავედი და ნიკოც ფეხდაფეხ მომყვა.

მალე სამივე გამოვედით, გზად კატოს შევძახეთ. ის და ბებიაჩემი თინასთან წავიდნენ, ჩვენ კი თავმჯდომარის შოფერს გავუარეთ.

„კოლხოზნიკი“ ეზოში იდგა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად გინდა, — ეგეთი მთვრალია, გონში ვერ ვაგდებო, — გვითხრა ცოლმა.

— რა ვქნათ? — ნერვიულობისგან ლამის თითები დაიმტვრია ნიკომ.

შემეცოდა, ამხელა კაცი ფოთოლივით თრთოდა.

სოფელში კიდევ ორი მანქანა იყო, დაფეხვილი შურას „პობედა“ და თამრიკოს მამის „მოსკვიჩი“.

ჯერ შურას მივაკითხეთ.

ცოტა კი გაიჯღანა, — მოშლილია, გზაში არ დავრჩეთო, მაგრამ რაღას იზამდა.

თავისით არ დაიქოქა, დავაგორეთ და, როგორც იქნა, ამუშავდა.

თინა გამზადებული უნდა დაგვხვედროდა, მაგრამ...

— ვერ წაიყვანთ, შეიძლება გზაში იმშობიაროს... ახალსოფელში ჩადით, ფიდო ექიმი ამოიყვანეთ... ნუ გეშინია, ამას ჩვენ მივხედავთ, ადრე სულ არ ვიცოდით ექიმი რა იყო... ჰოდა, ეგრე, ნულარ დააგვიანებთ. — კატომ სუფთა ზეწარი გამოიღო და საწოლის თავზე ჩამოფინა.

ტკივილით სულშეგუბებულმა თინამ ისეთი განწირული, შეშინებული მზერა გამოგვაყოლა, რომ მუხლი მომეკვეთა...

შურა მართალი გამოდგა, მანქანა თითქმის ხელით ვათრიეთ, ძლივს ჩავხრიგინდით ქვემოსოფელში.

ვიდრე ნიკო და შურა ექიმს მოძებნიდნენ, — ბიძაჩემი გავაღვიძე და იმის მანქანით წამოვედით.

ექიმი წინ დავსვით, ხელჩანთა ფეხებთან ჩაიდგა და გულმოსული მოგვიბრუნდა.

— კულტურული ხალხი ხართ, აქამდე საქმე როგორ მიგყავთ. ექიმი მაინც არ იყოს, გაუნათლებელ დედაკაცს რაღა უნდა მოვთხოვო.

— ჩვენ ნაახალწლევს ველოდით და წასვლა ამიტომ არ ვიჩქარეთ.

— მძიმე ხომ არ ასწია.

— არა, მოულოდნელად დაეწყო.

— ნწ, ნწ, — გადააქნია თავი, — ან სისხლდენა ატყდეს, ან რაღაც... თავსაც იღუპავთ და მეც...

მთელი გზა იბუზღუნა, ისედაც გულგაწვრილებულ ნიკოს ექიმის საყვედურები ყელში ამოსდიოდა, მაგრამ უნდა მოეთმინა.

მანქანა ჭიშკარს მივაყენეთ და წინ მიმავალ ექიმს ავედევნეთ.

— კაი დროს კი მოხვედით, — შემოგვეგება არჩილი, — გამარჯობა, ფიდო... მაჩვენე ერთი ყური სადა გაქვს, — გადაეხვია ნიკოს.

— უკვე? — ამოხდა გაოცებულს.

— ნახევარი საათი მაინც იქნება... ეგეთი იყვირა, ლამის სახლი დამინგრია, — გაეხუმრა არჩილი.

ექიმი შევიდა. ნიკო ქანცგაწყვეტილივით სკამზე დაეშვა.

— მაშ, ბიჭია?

— აბა, ყური რად აგიწია!

— ღმერთო!.. — ხელისგულებში თავი ჩარგო.

— აჰა, გააგებინე ქვეყანას! — მიაწოდა ცალლულიანი.

— არასოდეს მისვრია...

— რა დიდი ამბავი მაგას უნდა, კონდახი მაგრად მიიბჯინე და სასხლეტს გამოჰკარი...

ქუხილი ჩაბნელებულ ცას შეასკდა, გავარდა, გადაიკარგა. აწიოკდნენ გაღმაგამოღმა ძაღლები, შეირხა, თვალი აჭყიტა ზამთრის ძილმიცემულმა სოფელმა...

— ისევ მოვიდა ამ ქვეყანაზე პაპუნა ბერიშვილი.

— პაპუნა ვინ არის? — იკითხა ბიძაჩემმა.

— მამაჩემი!

— მშვიდობა მის მობრძანებას! — არჩილ მასწავლებელს საღვინე და ჭიქები ეჭირა.

●

ყველაფერმა კარგად ჩაიარა, პაპუნა და თინა ხუთ იანვარს წაიყვანა ნიკომ და თვითონ ძველი ახალწლისათვის ჩა-

---

ვანო ჩხიკვაძე
ჩიტები ზამთარში

მოვიდა, — ისეთი სასაცილოა, ნუთუ ეგეც ადამიანად უნდა იქცესო, — თან სულ თვალები უციმციმებდა.

თვრამეტ იანვარს ბიძაჩემმა მესერი და ორი პარკი ცემენტი ამოიტანა, შაბათ-კვირას მოვიცლი და შევღობოთო.

ოცში კი... ოცში მამაჩემი ჩამოვიდა. სკოლაში მივდიოდი.

ალბათ გზადაგზა ჩამოიცალა, ავტობუსმა ერთადერთი მგზავრი ამოიყვანა.

დაბამბული ქურთუკი ეცვა, ხელჩანთა და ხის აქერცლილი, ძველი ჩემოდანი ეჭირა. ჩამოსვლისთანავე ხელჩანდა დადო, შეჭაღარავებული თმა ნერვიულად გადაისწორა.

ეზოდან გამოსული კატო პირისპირ შეეჩეხა. ერთხანს დააკვირდა და მერე გადაეხვია. ვიფიქრე, სტუმარი მოუვიდათ-მეთქი, მაგრამ უცნობმა გზა განაგრძო, ჩემკენ წამოვიდა.

ერთმანეთი წამით შევათვალიერეთ და გავცდით.

— ქეთო, გოგო, ბავშვს მიხედე, ბაბალესთან ავალ, ბიჭი ჩამოუვიდა! — მომესმა კატოს ხმა.

„ვინაო?.. ბაბალე აქ მეტი არავინ ცხოვრობს... ნუთუ?..“ — მღელვარებისგან პირი გამიშრა, თითქოს მდუღარე ჩამასხესო, დამეფუფქა გულმუცელი. ვუყურებ მიმავალ „ბაბალეს ბიჭს“, მინდა გამოვეკიდო, მაგრამ ფეხი ვერ დამიძრავს.

კატო ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა ეზოდან.

— დათო, შენი ჭირიმე, სულ მაგის გზას გაჰყურებდი და ჩამოგვიდა... წამოდი, რაღას უდგეხარ.

ჩანთა კატოს შევატოვე, მამაჩემს გამრვეკიდე.

„რა ვუთხრა!“

„რაზე რა უთხრა?“

„შენზე, სად არის-მეთქი, სად... შეკაი ადამიანო, ცოტაც მოგეცადა, რა მოხდებოდა!“

თითქოს კედელს შევასკდი — თავბრუდასხმული შევჩერდი. არა, არ შემეძლო ბებიაჩემის შეცხადების მოსმენა, იმის ყურება, თუ როგორ შეხვდებოდნენ ერთმანეთს მამაჩემი და დედაჩემის გადიდებული სურათი.

„ბაბალეს ბიჭმა“ ჭიშკარი შეაღო.

მოვწყდი ადგილს და გავიქეცი. ასე ალბათ ცეცხლმოკიდებული სახლიდან გარბიან, უაზროდ, ანგარიშმიუცემლად, ოღონდაც კი თავი გადაირჩინონ.

აბურდულ გონებაში ერთადერთი კითხვა კიოდა: „რა ვუთხრა, რა?..“

— დედა, მამა ჩამოვიდა, დედა! — დავიჩოქე საფლავთან და დაწეულ მიწას ხელი გადავუსვი, — არ შემეძლო მეთქვა, რომ აღარა ხარ... ვერ გავბედე პირველი შევხვედროდი... არადა, ხომ იცი ამ წამს როგორ ველოდი...

სასაფლაოზე ცივი, სუსხიანი ქარი სისინებდა, სველ სახეზე თოვლს მაყრიდა, დამაბრმავებელ სითეთრეს წაელეკა მთა და ბარი, მალე ალბათ მეც გადამივლიდა, ქანდაკებასავით დამდგამდა ყურისწამღებ ზუზუნში. ასეთ დროს კაცი ოცნებით თბება, ოცნებას კი ლამაზი ფრთები გაეშალა და გაფრენილიყო — დღევანდელი დღე ვერაფრით მივამგვანე ჩემს წარმოდგენილ შეხვედრას. როგორც ეტყობა, სინამდვილე უფრო მკაცრი, დაუნდობელი და მწარეა, ოცნება კი თავშესაქცევი ამბავი, სადაც ყველაფერი ისე ხდება, როგორც ჩვენ გვინდა.

ისინი ისევე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ახალგაზრდობა და სიბერე.

მამაჩემს ეძინა.

მოვიდა თუ არა, დაწვაო!

— შეცვლილა, ძლივს ვიცანი, — წაუტირა ბებიაჩემმა და ცომს ტილო წააფარა.

თითებში გაჭყლეტილ სახაჭაპურე ყველს კატო ჩაფიქრებული ჩაჰყურებდა.

გამოხურულ კარს მიღმა მამაჩემი სუნთქავდა.

„ჩემს უნახავად როგორ დაიძინა-მეთქი“, — გამიკვირდა...

საღამოს ვინც გაიგო და მოესვლებოდა, ყველა გვესტუმრა. პაპაჩემიც ჩამოვიდა, ვიღაცას ჩაეტანა ამბავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ დამბერებიხარ, ბიჭო! — ვერ მოითმინა შემოსვლისთანავე.

მამაჩემს ფითქმის არაფერი უჭამია, მხოლოდ სვამდა და ეწეოდა. მალე დათვრა. ბებიაჩემი არ დამჯდარა, ზურგს უკან უდგა და ეფერებოდა.

შუაღამისას სტუმრები წავიდნენ.

— მომიტანე! — მანიშნა ჩემოდანზე, ისევ გაუხსნელად რომ იდგა კუთხეში, — წელან მკითხე, ბიძაჩემო, ახლა რას აპირებო, — ახადა თავსახური, — აბა, რა გითხრა... გამომადგა მამაჩემის ხელობა, დურგლად ვმუშაობდი... ცოტა რაღაც დავაგროვე...

ჩამოვედი მოსკოვში, შევედი უნივერმაღში და როცა ამას ვყიდულობდი, — ქალის შავი, ბეწვიანი პალტო ამოიღო, მაგიდაზე გადაფინა და ზედ ლაკის მაღალქუსლიანი, თეთრი ფეხსაცმელი დააწყო, — მაშინ ვიცოდი რაც უნდა მექნა... როდემდე უნდა დამცინოს ბედმა, თურმე მიცვალებულისთვის შემიძენია. ვის ჩავაცვა, მითხარი!..

ფეხსაცმელი პალტოში გადაახვია, ამოიღლიავა და საწოლქვემოდან წალდი გამოიღო.

— რას აპირებ! — გადაუდგა ბებიაჩემი.

— გამატარე, დედა! — უთხრა სასოწარკვეთილი ხმით.

კარი გაიჯახუნა.

ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ გამეტებით იქნევდა წალდს და კუნძის გარშემო ნაკუწები ცვიოდა. ყოველი დარტყმა მე მხვდებოდა, მკეპავდა, მაგიჟებდა...

ყურებზე ხელი ავიფარე და მეორე ოთახში გავვარდი, მაგრამ დარტყმის მოგუდული ხმა მაინც აღწევდა სმენამდე.

— აღარ შემიძლია! — ვიღრიალე და ბალიში თავზე წავიფარე.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ბალიში რომ გადავიგდე და წამოვჯექი, მამაჩემი დავინახე... არა, სხვა ვიღაც იყო, „ახალგაზრდა ბებერი“ მომიახლოვდა, დაიჩოქა და ოფლიანი სახე კალთაში ჩამიდო.

ზურგის კანკალზე მივხვდი — ტიროდა, მაგრამ სიბრალულის ნაცვლად, სევდა შემომაწვა — ათი წლის ნაოცნებარი, რომ მამაჩემის დაბრუნება დიდ სიხარულს მომიტანდა, ტყუილი გამოდგა.

გავხევდი, თანაგრძნობის ერთი სიტყვაც არ დამცდენია, ვიდრე ადგებოდა, სახეშებრუნებული ვიჯექი.

— ვერ გამიგე... ასეც ვიცოდი, ათი წელი ცოტა დრო არ არის...

აღარც გავსულვარ, ლოგინში ჩავწექი და იმაზე ვფიქრობდი, რომ მამაჩემის ჩამოსვლამდე უფრო ბედნიერი ვიყავი.

„ყოფილიყო, რას უშლიდა ის პალტო და ფეხსაცმელი!“

მე კარადაზე, შუშის ქვეშ ამოდებული, გაღიმებული მამაჩემის სურათი მიყვარდა, ახალგაზრდა, ღონიერი, კეთილი, დაუნაოჭებელი სახითა და ყორანივით შავი თმით. წავიდა, წავიდა და აღარ გამოჩენილა, მამაჩემის სახელითა და გვარით უცხო კაცი დაბრუნდა.

„იქნებ არც ტყუოდა, იქნებ...“ — ვცდილობდი გამემართლებინა მისი მოქმედება, მაგრამ წალდის ხმა თავიდან ვერ ამოვიგდე, ნაკუწები ყელზე მეხვეოდნენ, მახრჩობდნენ...

ბებიაჩემი შემოვიდა.

— გძინავს?

ხმა არ გავეცი.

— ვიცი, თავს იმძინარებ... ცოდვაა, მაგის გულშიც ხო უნდა ჩაიხედო.

— რათ დაჭრა, — წამოვჯექი საწოლში, — ასე მეგონა, დედაჩემს ურტყამდა.

— სსუ... ჩუმად ილაპარაკე. ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, კაცის ჯავრისას ვერ გაიგებ.

— ეგრე გეგონოს!

— ჭკუაზე როა, ეგეც მიკვირს. ათი წელი იტანჯა, დაბრუნდა და ადამიანის ნაცვლად, საფლავი დავახვედრეთ.

— მერედა, ვისი ბრალია, ნიკალას ნუ მოკლავდნენ და დედაჩემი დღესაც ცოცხალი იქნებოდა! — წამოვიძახე აკანკალებულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენც თუ ასე ფიქრობ, რომ მე მოვკალი, კარგად ყოფილა ჩემი საქმე! — კედელს მიეყრდნო გულხელდაკრეფილი მამაჩემი.

თვითონ ვერ გავიგე, როგორ აღმოვჩნდი მამაჩემის მოწინააღმდეგეთა „ბანაკში“, პირი ველარ გავაჩერე, ჩემსას მივერეკებოდი, ვუმტკიცებდი, რომ ტყუილად არავის იჭერენ.

— შენ რა იცი, ლაწირაკო, რა გესმის, ანდა რა გინახავს! — აძაგძაგებული ჩემკენ წამოვიდა.

„ეხლა რომ გამარტყას... რომ გამარტყას, როგორ უნდა მოვიქცე!“ — გამებურღა საფეთქლები.

ბებიაჩემი გაქვავდა, აზრზე ვერ მოვიდა, რა ხდებოდა.

— ყოჩაღ, კარგად ხვდებით მამა-შვილი! — შემოვარდა პაპაჩემი.

გამოერკვა, დაძაგრული მკლავები მოეშვა, მოუდუნდა, უღონოდ ჩამოუკონწიალდა.

— რად დაჭერი! —ავლაპარაკდი ისევ, — ყოველ კვირა შენ ტანსაცმელს წმენდდა, მტვერი არ დაედოსო, ჩრჩილმა არ შეჭამოსო... შენი წერილის კითხვაში...

— გაჩუმდი, ნუ გამაგიჟებ, გაჩუმდი! — თმაზე ხელი წაივლო.

დედაჩემი ნაწყენი გვიყურებდა. მერე ამოიოხრა და ნიკაპი სატირლად აუკანკალდა. ჩოცა ცოცხალი იყო, ასეთ შემთხვევაში ცხვირსახოცს აიფარებდა, შებრუნდებოდა, მაგრამ სურათზე არც ხელები ჰქონდა და მუქ ჩარჩოსაც საიმედოდ ჰკავდა ჩაკეტილი, ერთ მდგომარეობაში გაყინული.

დედაჩემის ოხვრა ყველამ გაიგონა, ისიც დავინახეთ, ცივი შუშა როგორ დალიბრა ცრემლის სითბომ.

— ისეთი რა შესცოდა, რომ იქაც არ ასვენებთ! — ფლარტუნით გაიარა ბებიაჩემმა და სინათლე გამორთო.

●

... თაკი და ბოლო არ უჩანდა. მიდიოდა ჯიუტი მონდომებით. არ ენახა და არც აინტერესებდა, ვინ მიუძღოდა, ვინ აჰყარა, სად იწყებოდა ანდა სად მთავრდებოდა, როდემდე უნდა ევლო.

ხანდახან სიკვდილი ჩამოიქროლებდა, გამოხშირავდა, წამით შეაჩოჩქოლებდა და გახარებული ხარხარით გარბოდა, რათა ისევ მოქცეულიყო და მშიერი მგელივით ახლა სხვა მხრიდან დასცემოდა.

ქარავანი კი მიდიოდა და მიდიოდა, რადგან არც თავი უჩანდა, არც ბოლო — სრულიად ბუნებრივია, რომ მისი თითოეული წევრი თავის თავს თვლიდა პირველ კაცად, ბელადად, წინამძღოლად მთელი მსვლელობისა, რომელიც არავინ იცოდა, ვინ და რისთვის წამოიწყო. სამაგიეროდ, ყველა კმაყოფილი იყო თავისი მოჩვენებითი პირველობით.

ქარავანს ადევნებული ძაღლები უყეფდნენ. მათ შორის ჩვენი ცუგაც შევნიშნე, ყელზე ჯაჭვის ნაწყვეტი ეკიდა და ყველას ფეხებში ედებოდა...

— ქარავანი დროა! — თქვა ერთმა.

— არა, ქარავანი ცხოვრებაა, — უარჰყო მეორემ.

— დრო და ცხოვრება რამ გაყო.

— აი, ამ ყვავილმა, — დაიხარა და მიწას გვირილა ააწყვიტა, — ეს ჩემი სიცოცხლეა. დაჭკნება და მოვკვდები, მოვკვდები თუ არა, ცხოვრება შეჩერდება, დრო კი ისევ ძველებურად ივლის.

— დროისას რაღას გაიგებ.

— ჩემი სხეული იგრძნობს, დრო გადააქცევს მიწად, მტვრად, ფოთლად, პურის თავთავად...

— ძაღლი რად იყეფება?

— იყეფოს, რა გენაღვლება, ეგ კიდევ მაგის ცხოვრება, მაგის სიცოცხლის აზრია.

— აზრი თუ კვდება.

— არა, ჩვენს შემდეგ სხვა ადამიანში ჩასახლდება და ისევ გზას განაგრძობს.

— დავუშვათ, რომ აზრიც...

— მაშინ დროც მოკვდება!..

ჩიტებით ახმაურებული ცა დაცარიელდა — ხოდაბუნზე მძიმე-მძიმედ მო-

ცურავდა სვავი. ცუგამ ახლა იმას შეჰყეფა. მაგრამ უცებ ქვა მოხვდა და დარეტიანებული დაბორიალდა.

საშველად გავიქეცი და... თვალები ვაჭყიტე.

— ადექი! — დამადგა ბებიაჩემი.

— გაიღვიძა?

— უთენია პაპაშენს გაჰყვა.

— რად წავიდა?

— არ ვიცი... ადექი, წუხელ ძაღლი მომკვდარა.

— რას ამბობ! — დავიწყე ჩაცმა.

— შენი ჭირიც წაუღია... ხევზე გადაათრიე და სკოლის მერე დაფალი.

გაფიჩხული იდო.

„ასე უცებ რა გეტაკა, შე საცოდავო... აშვებული რომ ყოფილიყავი, იქნებ მეტ ხანს გეცოცხლა". — ციგაზე დავდე და მოწნულიდან წერაქვი და ნიჩაბი გამოვიტანე.

— ჯაჭვი შეხსენი!

— მაგისი იყო და ჰქონდეს.

— შენზე მეტად მე მეცოდება... მოხსენი.

დახვეული ჯაჭვი საძაღლეში შევაგდე.

— ვერ მოასწრებ, მერე დაფალი-მეთქი.

— დღეს სკოლაში არ მივდივარ...

— თქვენ მე ჭკუაზე გადამიყვანთ! — გაბრაზებული შებრუნდა სახლში...

გაყინული მიწა ძლივს გავთხარე.

„შენი ცხოვრება დასრულდა, დრო კი ისევ ძველებურად მიდის... გული ნუ დაგწყდება, შენ კი არა, მთელი სოფელი რომ დაიხოცოს, მაინც არ შეჩერდება... ჩემს გარდა, არავინ იცის, რა ერთგული და ჭკვიანი იყავი, როგორ მყარაულობდი — ვინმეს არ ეწყენიებინა..."

მიწა მოვასწორე და გულდაწყვეტილი წამოვედი.

ცხადია, სკოლაში დავაგვიანე, ხელები დავიბანე, გავიხადე და ისევ ჩავწექი.

თვალი მეხუჭება, მაგრამ ვერ ვიძინებ, ასე უაზროდ კარგა ხანია არ ვყოფილვარ, მხოლოდ ტელეგრაფის მავთულების გაბმული ზუზუნი და ტრაქტორის რახრახი მესმის.

„სად მიდიან მინდორში ჩამწკრივებული ბოძები? რომ გავყვე, სად მიმიყვანენ?" — ვფიქრობდი ბავშვობისას და თითქოს ცა ირეკლებაო, ნახნავებზე მუქი იისფერი დედდებოდა. ზღაპრულ ლივლივში დასაკარგავად მეძახდა.

სანდლები გავიხადე, ფეხშიშველი დაფარცხულ მიწაზე გავრბოდი, მაგრამ იისფერი თანდათან ინაცვლებდა, სხლტებოდა... ბოლოს მივხვდი, რომ შორიდან მომეჩვენა, თორემ მიწა ყველგან შავი იყო, იისფერი კი ჩემს მისატყუებლად გამოიგონა...

„აღარ მოვალ შენთან, ამირან, ყოველ დიდ ხუთშაბათს პირველი მე ავიღებ ჩაქუჩს და ცოდვიან გრდემლს დავკრავ, რადგან მთა და ბარიც რომ გაასწორო, გაცრუებულ იმედებს ვერაფერს უშველი... ზღაპარი მთავრდება, მთავ-რდე-ბა!.."

— გეჭამა...

— არ შემიძლია, კრიჭა მაქვს შეკრული.

— რამე გტკივა?

— არ ვიცი, შეიძლება მტკივა კიდეც.

— რამდენიმე კოვზი მაინც...

— ნუ მეხვეწები, — კედლისკენ გადავბრუნდი და თავზე საბანი წავიფარე.

საღამოს ნიკო თავს დამაყენა.

— მთელი დღე თვალგაშტერებული წევს, ლუკმა არ ჩასვლია ყელში... იმანაც დაადო თავი და წავიდა. ახლა ჯიბრის დროა, მითხარი, ნიკო, შენი ჭირიმე.

—რა გჭირს! — მოაჩოჩა სკამი.

— ბაბალე უკვე გეტყოდა.

— შენგან მინდა გავიგო.

— მეტი არაფერი მაქვს დასამატებელი.

— სულ არაფერი?

— არა!

— მაშინ მე მომისმინე: კაცის განადგურების უამრავი ხერხი და საშუალება არსებობს: ტყვია, ხანჯალი, შხამი, ქვა... მაგრამ ერთია ყველაზე მწარე, პირდაპირ გულს რომ ხვდება, ჩაეხვევა, გაიბარჯლება... სამწუხაროდ, სამარ-

თლის კოდექსი არ ითვალისწინებს მკვლელობის. მე ვიტყოდი, ამ ყველაზე მძიმე სახეობის შესაფერის სასჯელს...

მხრები ავიჩეჩე, ვერ გავიგე, რას მეუბნები-მეთქი.

— გაიხსენე სულხან-საბა ორბელიანის „ენით დაკოდილი...“ დიახ, ეს საშინელი იარაღი იმის მიმართ გამოიყენე, ვისაც პირველ რიგში უნდა მოფერებოდი... როცა დაჭრა დააპირა, შეგეჩერებინა, აგეხსნა, — ამით დიდ ტკივილს მომაყენებ, შევინახოთ, დედაჩემის სახსოვრად იყოსთქო... შენ კი ამის ნაცვლად, მისდექი, არ დაინდე, რაც შენ თვითონ არ გჯერა, ისიც კი უკუღმა წააკეცე.

ნიკომ კიდევ დიდხანს ილაპარაკა, მაგრამ აღარაფერი მესმოდა, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ძალიან, ძალიან უბედური ვიყავი...

ორი კვირა გავიდა.

ჭირმა თავი არ დამალაო, — ვის რას გამოაპარებ, როგორც უნდოდათ, ისეთი კუდები მოაბეს. ზოგს ისიც უთქვამს, იქ თურმე ცოლ-შვილი ჰყოლია, იმათ ჩამოყვანა სდომებია და ამაზე მოსვლიათ ჩხუბიო.

სოფელს საბაბი მიეცი და მერე თვითონ იცის, ენას ძვალი აქვს თუ რა...

ყველა მე მომდგა, ივანე, ჟორჟიკა არჩილ მასწავლებელი, ლავრენტამაც კი თავი გამოიდო, მთელი საათი ჩამკეტა სამასწავლებლოში, — გულისხმიერება, დათმობისა და მიტევების უნარი, ადამიანის ზნეობის სამკაულებიაო... ესაო, ისაო... მოკლედ, ზვავი აგორდა.

„რატომ არაფერს მეუბნები!“

„რა გითხრა“.

„მართალი რომ ვარ, არც შენ გჯერა?“

„ისიც მართალია!“

„არ მიყვარს ეგ კაცი“.

„მამაშენია!“

„მამაჩემი არ ჩამოსულა!“

„აბა, შახარობლად რად ამოვარდი!“

„შევცდი, მეგონა, ის იყო“.

„სიჯიუტე გალაპარაკებს, ...ში კარგად ჩაიხედე!“

„მეტს რას ვაკეთებ... იცი, რა ლამაზი პალტო იყო? ძალიან მოგიხდებოდა...“

დედაჩემი გაჩუმდა...

მარტო ვარ. ღამდება. უაზროდ დავბორიალებ ოთახიდან ოთახში.

ნაშუადღევს ბიბაჩემმა ამოიარა. საქონელს აჭამეო, — გაბუტულმა ბაბალემ მე კი არა, თითქოს კედლებს დაუბარა და მამაჩემთან წავიდნენ.

„ნეტა, წამოჰყვება?“

იმ ღამის შემდეგ გაუხსნელად მიგდებული ჩემოდანი გამოვათრიე. ამოვქექე, ამოვყარე ძველი თუ ახალი ტანსაცმელი. ძირზე გაზეთი იყო დაფენილი და იმის ქვეშ დიდი, ყვითელი წიგნაკი აღმოვაჩინე, წიგნაკში რუსულ-ქართულად მისამართები ეწერა. დალაქავებული ფურცლები ერთმანეთს ეწებებოდა, შმორის თუ რაღაცნაირი უსიამოვნო სუნი ჰქონდა.

წიგნაკში გამოუგზავნელი წერილი იდო.

„...დღეს ცხრა წელი გავიდა, რაც არ მინახიხართ. ჰმ... აღსანიშნავი თარიღია...

ტრუბაჩისტი ხვრინავს, ხომ გახსოვთ, ადრეც გწერდით, მხიარული ბიჭია, მთელი დღეები უსტვენს, ვითომ ამას კი არა, სხვას შემოჰკვდომოდეს ცოლი, — საყვარელთან შეუსწრო და ორივეს ნაჯახით გაუხეთქა თავები... საყვარელი გადარჩენილა... ეს რა არის, აქ ისეთ ამბებს გაიგებ, თმა ყალყზე წაგივა.

ძველებიდან ჩვენღა დავრჩით, ყველა მიფანტ-მოფანტეს. მე — ერთი, ამან კიდევ ხუთი წელი უნდა ხეხოს...

მთელი ორი თვეა, ტყეში ვმუშაობთ, მასალას ვამზადებთ. გაზაფხულზე მდინარე გალღვება და გემებით წაიღებენ.

ერთადერთ სოფელს გავივლით ხოლმე და მაცხოვრებლები შეშინებულები გვიყურებენ. არც გაემტყუნებათ, პატიმარი, პატიმარია, ყველას ერთნაირი, დამნაშავის დაღი აზის სახეზე, გულში კი... გულში ვინ ჩაიხედავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელში არ გვაჩერებენ, სირბილით გაგვატარებენ და მერე სულ ტყე-ტყე მივწანწალებთ.

გუშინ რომ გავიარეთ, პატარა ბიჭი დავინახე, სახურავს თოვლავდა. „ერთი-ორი, ერთი-ორი“, — დაგვიძახა, მერე ნიჩაბი დაგვიქნია და ფეხი აუსხლტა, დაგორდა სახურავზე.

„ვაიმე, შვილო-მეთქი“, — მწკრივიდან გამოვვარდი, ღობეს გადავახტი და ჰაერში ისროლა კიდეც ყარაულმა — ეგონა, გაქცევას ვაპირებდი. აქედან სად წახვალ...

ბიჭი პირქვე ემხო, ხელი ამობრუნებული დაჰყოლოდა.

ხელთათმანები გავიძრე, თოვლიანი სახე გავუწმინდე, ყურები დავუზილე და თვალი გაახილა, ფშრუკუნი ამოუშვა, მომაყრდნო თავი და ატირდა.

მეგონა, დათო მეწვინა მკლავზე, მოვკვდი და გავთავდი კაცი. შინაურები გამოცვივდნენ, მაგრამ არ დავანებე, ავედი კიბეზე და სახლში შევიყვანე...

ოთახი სუფთა იყო, ფანჯრებზე თეთრი, გამჭვირვალე ფარდები ეკიდა. საწოლზე მოქარგული, ყვავილებიანი გადასაფარებელი ეფინა და აფუებული ბალიშები ეწყო. საიდანღაც ცხელი კერძის სასიამოვნო სუნი მცემდა, ცხვირში გამაღიზიანებლად მიძვრებოდა.

ცხრა წლის მანძილზე ოჯახში პირველად მოვხვდი და უცებ ველურის სიხარბე დამეუფლა, თითქოს ნადირი შემოვვარდი, რომელსაც სახლის სითბომ გაახსენა, რომ ოდესღაც ადამიანი იყო.

როგორ მინდოდა ერთი თეფში ცხელი კერძი, სახეზე ორთქლის მოფერებასაც კი ვგრძნობდი, მაგრამ მე უფლება არ მქონდა, არა, თუნდაც უცხო, გადამთიელი ოჯახის ჰაერი მესუნთქა.

ბიჭის მშობლებმა მადლიერი თვალებით გამომაცილეს, რომელიღაცამ ყარაულის ჩუმად, დაბნეული რომ შემოვარდა ოთახში და მკლავში ხელი ჩამავლო — ჯიბეში რაღაც ჩამიდო.

პატიმრები ღობესთან მომდგარიყვნენ და ისიც შურდათ, წამით რომ შევიხედე სახლში, სადაც ხმელი, აქოთებული ნარები კი არა, რბილი ლოგინი და თბილი ბალიშებია და იმ ბალიშებს გაუთოებული, ქათქათა პირები აქვს გადაკრული...

დავიძარით, ვერ ვიგრძენი, თურმე ცრემლი ჩამომდიოდა.

„რა გატირებსო“, — მკითხა ტრუბაჩისტმა.

„თვალში რაღაც ჩამივარდა-მეთქი“, — ვითომ გავუღიმე და ჯიბეზე ხელი დავიკარი.

ტყეში გავსინჯეთ, „სალა“ და პურის ნაჭერი გამოეტანებინათ. შუაზე გავყავით და ნაქურდალივით ჩუმად შევჭამეთ.

—ორასი გრამიც გამოეყოლებინათ, სამეფო პურ-მარილი გვექნებოდა, — თითები გაიტლიკა ტრუბაჩისტმა.

— ნამდვილად არ გვაწყენდა-მეთქი, — დავეთანხმე.

არ შემრჩა, ეტყობა, მსუყე საჭმელს გადავეჩვიე, ცოტა ხანში გული ამერია.

ტრუბაჩისტს სძინავს, მშვიდად, ბედნიერი სახით, თითქოს იმ ლოგინში იწვეს.

მეც დავიძინებ, ძილში ხომ დრო შეუმჩნევლად გადის... ნეტა წამოსვლამდე არც გამაღვიძა...“

წერილი აქ წყდება, ალბათ გამოგზავნა გადაიფიქრა და აღარ გააგრძელა. წიგნაკი ისევ გაზეთქვეშ ამოვდე და ჩემოდანი დავხურე.

ოთახს საცოდავად მოვავლე თვალი, საწოლზე თეთრი, „აფუებული ბალიშები“ ეწყო და თითქოს გულზე თითები მომიჭირეს, ეგრევე ჩავიმუხლე ჩემოდანთან.

როგორც იქნა, წამოვდექი, წყალი მოვსვი და სახლიდან გავედი. სათონესთან მიწყობილმა საფლავის მესერმა შემაკრთო. ამ ჩვეულებრივ, დათოვლილ რკინას რაღაც ჰქონდა შემაშფოთებელი.

„ცუგა რომ არ მომკვდარიყო, ახლა მარტო არ ვიქნებოდი!..“

მეც არ ვიცი, როგორ შევაბიჯე არტემაანთ ეზოში.

კიბეზე თამრიკოს ძმამ ჩამოირბინა.

— რა გინდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაუძახე!

— წადი, თორემ ავუშვებ! — წასწვდა გაავებული ნაგაზის საყელოს.

— დავალება მაქვს დასანიშნი.

— უკვე დაწვა.

— მატყუებ.

— ნუ მოდიხარ, გიკბენს, — ძაღლი უკან დასწია.

— მიკბინოს, შენ რა გენაღვლება.

ახლოს რომ დავუცუცქდი და ქეჩოზე ხელი გადავუსვი — ძაღლი გაოცდა, ერთხელ კიდევ შემომყეფა, კუდი ააქიცინა და წკმუტუნით თავი მუხლზე დამიდო.

— ეე! — სულ გამოთაყვანდა ბიჭი.

თვალებიც კი ამოიწმინდა, ხომ არ მეჩვენებაო.

—დედას გაფიცებ, დაუძახე.

ხმის ამოუღებლად წავიდა. შუა გზიდან ისევ მობრუნდა, დაგვაკვირდა და მხრების ჩეჩვით კიბეს აუყვა.

მალე ორივე გამოვიდა.

— ერთი ამას უყურე, ნატო გეძახისო, — ვითომ გაუწყრა ძმას. — რად კანკალებ, გცივა?

— არ ვიცი, ასე მგონია, დილამდე ვერ გავატან... წამოდით ჩემთან.

— რას ამბობ!

— მარტო ვარ... სულ ცოტა ხნით...

ვიდრე თამრიკო მამაჩემის ნაწერს კითხულობდა, თვალმოხუჭული, გაუნძრევლად ვიჯექი. თანდათან გულზე მომეშვა, ვიგრძენი, უკვე მქონდა იმის საჭირო ძალა, რომ მამაჩემისთვის პატიება მეთხოვა და წლების უკან წართმეული ოჯახური სითბო დაუყვედრებლად დამებრუნებინა.

— შენნაირი ხელი აქვს, — ფიქრიან სახეზე წამით ღიმილმა გაუელვა. — თან მეტირება, თან მიხარია... მე სულ სხვანაირი მეგონა.

„შენ კი არ გეგონა, ასე ჩაგაგონესმეთქი“ — მინდოდა მეთქვა, მაგრამ მივხვდი, რომ გულს ვატკენდი და გავჩუმდი.

დიდხანს უხმოდ შევყურებდით ერთმანეთს და მეგონა ზამთარში დარჩენილი ჩიტები ვიყავით, ტელეგრაფის მოზუზუნე მავთულზე ჩამომსხდრები რომ კანკალებენ და მოთმინებით ელოდებიან, როდის დაბზარავს ყინულს თოვლში დამარხული გაზაფხული...

თუმცა დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და არ შეიძლება ამ მოლოდინსაც საშველი არ დაადგეს. გაივლის პირველი ხნული, მინდვრებზე ისევ მუქი იისფერი შეტბორდება და მერე...

მეორე დღეს, სკოლიდან დაბრუნებულს ბებიაჩემი ჩამოსული დამხვდა.

— არ წამოგყვა?

— წამომყვა!

— სად არის?

— ტანსაცმელი ჩააწყო და ქალაქში წავიდა. მუშაობას დავიწყებ და თუ რამეს ვიშოვი, გამოგიგზავნითო.

ლამის წავიქეცი.

●

მარტის შუა რიცხვებიდან დათბა, ატალახდა გზები.

მამაჩემის ჯერჯერობით არაფერი ისმის.

ჩამოვა, დიდხანს ვერ გაძლებსო, — მამშვიდებს ბებიაჩემი, მაგრამ ვატყობ, რომ თვითონ არანაკლებად განიცდის.

ნიკომ ბრინჯაოს ცხენი მუზეუმში წაიღო. დიდი ამბები ამტყდარა, ნაცხარი უეჭველად უნდა გაითხაროს, ექსპედიციას გამოვყოფთ და მუშაობას ზაფხულში შევუდგებითო.

არჩილ მასწავლებელზე წერილიც დაიბეჭდა. ნეტა, სახენაყვავილარმა თუ წაიკითხა...

როგორც იქნა, საფლავი შემოვღობეთ, მიწა მოვასწორეთ და იქვე, პატარა ხის სკამიც გავაკეთე.

წუხელ ჟორჟიკამ სამკილოიანი ქილით თეთრი საღებავი მომიტანა. მესერს ჯერ ერთი პირი წავუსვი და შეშრა თუ არა, მეორეც მივაყოლე.

ნაშუადღევს მოვრჩი.

რა ამინდებია, უცებ გამწვანდა, ატმებმა და ალუბლებმა ხომ სულ გაიგიჟეს თავი.

ტყისპირში იები დავკრიფე, წყლიან ნატეხარში ჩავაწყვე და დედაჩემს დავუდგი.

„აი ია. აბა, „ი" რომელი ასოა?.. სწორია... იის სუნი ძალიან მიყვარს".

„კიდევ რომელი ყვავილი გიყვარს?"

„კიდევ შენ მიყვარხარ!"

„მე ხომ ყვავილი არა ვარ".

„ყვავილი ხარ, მაშ რა... ერთი ხაზიც გამოწერე და სათამაშოდ გაიქეცი".

„მეზარება!"

„მოდი, ეგ სიტყვა საერთოდ დავივიწყოთ, კარგი?.."

მას შემდეგ რამდენი დრო გავიდა, მე კი პირველად მივუტანე იები, თანაც მაშინ, როცა ვერც დაინახავს და ვერც სუნს იგრძნობს.

უკნიდან ჩრდილი მომადგა. დავიძაბე, თავის მიბრუნება ვერ გავბედე, მივხვდი, ვინც იქნებოდა.

მხარზე ხელი შემეხო.

— დათო, შვილო!

ჰო, ის ხმა იყო, ხსოვნას შერჩენილი ხმა...

რაღაცას გაურკვევლად ვლუღლუღებ და ისე პატარად და უმწეოდ ვგრძნობ თავს, როგორც მაშინ, ათი წლის წინათ, წითელებიანს რომ შემპირდა, საღამოს ავტობუსს ამოვყვებიო.

— იჩხვლიტები!

— ვერ მოვასწარი...

—მაგიტომ არ გეუბნები... აბა, გაიხსენე?

— მახსოვს, ყველაფერი მახსოვს, იმ დღის მერე ხომ არ მიცხოვრია, მხოლოდ დრო გავიდა... ძალიან გაწვალდა, არა? — თვალი გაუშტერა იებს.

— ჰო, ძალიან.

— მატარებელში გავიგე.

— მაშ უკვე იცოდი?

თავი დამიქნია.

— ჭირის ამბავი ისეთია, ცხრა მოას იქით მოგძებნის... სოხუმში ერთი კაცი ამოვიდა. ლაპარაკში მივყე-მოვყეთ და გაირკვა, რომ ბიძაშენი სცნობია.

ალბათ გული მიგრძნობდა, არ ვუთხარი, ვინც ვიყავი... იქან მიამბო, სიძე დაჭერილი ჰყავს, და კიდევ რამდენიმე თვის წინ დამარხაო...

სულ გამოვთაყვანდი, ვერ გავერკვიე, რა მოხდა, რად მოხდა ან რანაირად შეიძლებოდა, ცოცხალი არ დამხვედროდა. მე ხომ... მე ხომ ათი წელიწადი... ეჰ!

— მიკარგული, ყელში ჩამძვრალი ხმა ვეღარ ამოქაჩა და ხელი ჩაიქნია.

აკანკალებულმა პაპიროს ძლივს მოუკიდა.

— მერე?

— როცა წარმოვიდგინე ყველაფერი, დავიჯერე თავზარდამცემი სიმართლე, დავემხე ბალიშს და მთელი დარდი იქ ჩავცალე... უცებ ხვრინვა მომესმა — ეს ჩემი „მახარობელი" კედლისკენ გადაბრუნებულა და ვაგონს აზანზარებს.

სისხლი მომაწვა, წამოვვარდი და ვიღრიალე, გაიღვიძე შენი დედა-მეთქი.

წამოხტა გულგახეთქილი, დაბნეული:

— მაპატიე, ალბათ ვხვრინავდი და არ დაგაძინე... რა ვქნა, ეს რა უბედურება მჭირს! — ლამის ხელებში ჩამიკვდა. აბა, ის რა შუაში იყო...

— მე კი მეგონა!.. — მაგრამ რა მეგონა, ვეღარ ვთქვი, — წავიდეთ.

ერთხანს ხმის ამოუღებლად ვიარეთ.

— სად გამოსულა სოფელი.

— მალე ეფრემაანთ მიწებს სასახლკარეებად დაჭრიანო.

— სასახლკარეებადო!

— ეგრე თქვეს.

— კარგი ადგილია, წყალიც უდგებიქნებ ჩვენც აგვეღო?..

— ბაბალე გაგიჟდება, აქ უნდა მოვკვდეო.

— ნეტა მაგ სახლში რა სიკეთე ნახა... უჰ, როგორ დავიღალე, რამდენიმე დღე მაინც ჩამკეტა და...

— ათი წელი არ გეყო? — ვითომ გავეხუმრე.

— არ იცი და, ღმერთმა ნურც გაცოდინოს, ისე ომში არ გამჭირვებია — ბოლოს და ბოლოს შევეგუე, რომ შეი-

---

ვანო ჩხიკვაძე
ჩიტები ზამთრობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლებოდა ჩემ წილ ტყვიას გავეციებინე... იქ კი...

სახლს მივუახლოვდით.

— კაოგად მოთბება თუ არა, სახურავი გამოვცვალოთ.

რატომ. გამოსაცვლელი რა სჭირსმეთქი, — მინდოდა მეკითხა, მაგრამ გავჩუმდი, რახან ჩამოვიდა, ეტყობა, რაღაც მაინც უნდა შევცვალოთ და თანახმა ვარ, სახურავიდან დავიწყოთ.

VI

„ვინ გამოაღო ფანჯარა? ვინ გაიარა ფეხისწვერებზე, სუნთქვაშეკრულმა, რომ დილის ძილი არ დაეფრთხო?

დიდი მადლობა, ჩემო კეთილისმყოფელო! კარგია, რომ მაინც მოხვედი, შენი კაბის ნაცნობმა შრიალმა მაცოცხლებელი ნიავი მომბერა და თავბრუდამხვევი სურნელი მომაფრქვია.

დღედაღამ ვფხიზლობდი, რომ შენი მოსვლა არ გამომპარვოდა, მოლოდინმა მომქანცა, ოდესღაც შენს შესახვედრად გაშლილი მკლავებიდან ღონე გამომწურა, დამანგრია, მიმაღრძო და მაშინ, როცა სული უნდა ამომხდომოდა — მოხვედი!... ღმერთმა შეგინდოს დაგვიანებისათვის... მე ისევ ავივსები, როგორც წყლის ნაჟურს შედგმული დოქი და ნიაღვარივით ამომსკდება: — ჰე, ჰე, ჰეეე!..

გამარჯობა, გაზაფხულო! შენ ნაადრევად გაჭაღარავებული, მწუხარე მამა დამიბრუნე, რომელსაც ძილშიც ღრღნიან ღრმა, თვალჩაუწვდენელი ჭრილობები. არ ასვენებენ, განუწყვეტლივ ბორგავს, ჯერ ვერ შესჩვევია ადამიანურ ლოგინს და აფუებულ ბალიშს. ისევ ათწლიანი, მძიმე ხსოვნის გვირაბშია... ამასაც შენ უნდა უშველო, გამოიყვანო სინათლეზე, ფეხი თავიდან აადგმევინო... დრო თუ ყველაფრის მკურნალია, ალბათ ამის ქანცგაწყვეტილ სულსაც უწამლებს!..

რას იტყვი, გაზაფხულო, ხომ ასე იქნება?..“

— მამა, მა-მა! — ძარღვებდაბერილ ხელს ფრთხილად შევეხე.

— გათენდა? — მკითხა თვალის გაუხელლად.

— ჰო, დილის ვარჯიში უკვე იყო... „ხელები დაიჭირეთ მხრების სიმაღლეზე, განმკლავი, ჩაისუნთქეთ... თვლაზე ერთი-ორი — ჩაჯექით...“

ყურის ბიბილო მომწია, თითები მოფერებით მომიჭირა. გოჭს რომ მუცელზე მოფხანენ და ესიამოვნება, ისე გავიტვრინე.

— ბაბალემ, საბოსტნე ჩაბარეთ, თორემ პურა არ გაჭმევთო. ხომ იცი, რა ქალია, თუ თქვა, აასრულებს კიდეც.

— ბარები გვაქვს? — დაიწყო ჩაცმა.

— ერთს სატერფული აკლია.

— ეგ არაფერი, უცებ გამოვთლი.

— მეც გავაკეთებდი, მაგრამ აქამდე ერთი ბარიც გვყოფნიდა...

ბებიაჩემი სათონის შესასვლელთან იდგა, ფქვილიანი. ხელები წინსაფარზე დაეწყო და ჩვენ სამზადისს თვალს ადევნებდა. ვუყურებდი და ვფიქრობდი, — გამხდარი, ნაოჭებში ჩაკარგული ბაბალე იმაზე მეტი იყო, ვიდრე დღემდე წარმომედგინა: რომ არ დაბადებულიყო — არც ჩვენ ვიქნებოდით და, ცხადია, არც მწარე თავგადასავალი ჩვენი ოჯახისა. რა ვიცი, ეგებ მაინც მოვვლენოდით ამ ქვეყანას, მაგრამ სხვა სახელითა და გვარით, სხვა ნამუსით, სხვა მარიფათით... ეს იყო ჩვენი ღერძი, რომელიც გაჭირვებით, მაგრამ მაინც უძლებდა, წვალობდა, როგორც ძალით ცოდვააკიდებული უდანაშაულო დამნაშავე, როგორც რკინის ქალამანჩაცმული, აბდაუბდა გზას დამდგარი სიმართლის მაძიებელი...

ჩანაკვერჩხებული თონე მოჩხრიკა, ორომს ფქვილი მოაფრქვია და ვარცლს საფენი გადახადა. ცომი რეზინივით გაიწელა...

ივლისის ცხელი, უსიამოვნო ქარი უბერავდა. კაცები ნიჩბებით ხორბალს ანიავებდნენ, მუხლმორთხმული ქალები კი არჩევდნენ. მზე მწარედ იკბინებოდა და ამიტომ ჩქარობდნენ, იწვიმებს და ხორბალს ჩაახურებსო. მთელი კალო ბუღში იყო გახვეული, მტვრის კორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტელი ზანტად ირწეოდა ჰაერში, ყვითლად გაწოლილი ვეებერთელა ძნები გემებივით იდგნენ ველზე, გეგონებოდა, სადაცაა ატორტმანდებიან და დაიკარგებიანო.

ქალები უხმოდ მუშაობდნენ, სიცხემ გამოაცალათ არაქათი, ყველაზე ენატარტალებსაც კი დაუკარგა ლაპარაკის ხალისი. გაშავებულები, მტვერში ამოგანგლულები დააგდებდნენ ცხრილს, წელს გამართავდნენ, გატანჯული, საყვედურის ღიმილით ახედავდნენ ცას და ისევ მუხლში მოიკეცებოდნენ, გამღიზიანებელი სიჯიუტით ეძალებოდნენ ერთფეროვან, მოსაწყენ საქმეს. ხანდახან ნაქურჩალით თავდაცმულ სურას მისწვდებოდნენ, გამომშრალ პირში დუბელა წყალს უგემურად გაილაღლაღებდნენ და ნიკაპზე ჩამოგრძელებული, ოფლშერეული წყლის წვეთები ყელში ჩასდიოდათ.

აუტანლად რომ ჩამოცხა, და მზემ პირდაპირ კეფას დააჭირა, ფარდულს უკან, ჩრდილში შექუჩდნენ, კედელთან ჩარიგდნენ, მაჯებამდე ჩამოშლილი სახელოები აიკეცეს, თავსაფრები დაფერთხეს, მუხლზე გადაიფინეს და ბავშვებმა მორიგეობით წყალი დავუსხით.

დაიზარდენითო! — დაგვლოცეს და საგზალი გაშალეს.

ბებიაჩემს მივუცუცქდი. მომიტეხა პურის ყუა და სიცხისაგან მარილგამოსული, მწუთხე ყველი.

— ბევრი პური და ცოტა ყველი... — გადამისწორა შუბლზე ჩამოშლილი თმა.

მართალია, მე პირიქით მიყვარს, მაგრამ რას იზამ — ყველს ოდნავ მოვციცქნი და ყუას მადიანად ვკბეჩავ.

ორიოდე ლუკმა არ გაეღეჭა, რომ ჩამოეძინა. პურის ნატეხიანი ხელი კალთაში ჩაუვარდა. ძალიან დაღლილი, მოშვებული სახე ჰქონდა, რომელზეც მხოლოდ ერთადერთ ნატვრას ამოიკითხავდი — ნეტა დიდხანს მაძინაო, მაგრამ ვინ აცალა, გამოიარა რახრახითა და ორმოებში ბუქნა-ბუქნით ტრაქტორმა, თითქოს ჯიბრზე ჩვენ წინ უფრო მეტად ააბღუვლა, დააფეთიანა წათვლემილი ქალები.

— გაუქრი შენ პატრონსა! — მიაწყევლეს.

უშნოდ გაღრეჭილმა კარქოაანთ შამილამ ახლა ადგილზე დააბუღრავა ტრაქტორი, მუხლუხებით დაღეჭა ყამირი. მოშორებით, ხის ჩრდილში ჩამომსხდარ კაცებსაც გული მოუვიდათ, წამოუხტნენ და რომ არ გაესწრო, ცხვირპირს გაუერთიანებდნენ.

შემკრთალმა გაიღვიძა, ჯერ მე შემომხედა, მერე ხელში შერჩენილი ნატეხი შეატრიალა.

— მომიტაცა ძილმა, — გაიცინა და პური ქაღალდში გადაახვია, — გაიქე შვილო, მზე მიადგებოდა, ხბო გადაადი...

უკან რომ დავბრუნდი, კალოს თავზე ისევ მტვრის ბურუსი იწვა, ქალები მარცვალსა და ნაკმაზს ცალ-ცალკე ახორავებდნენ.

ცხრილზე დახრილ ბებიაჩემის ოფლის წვეთები ხორბალს ეპკურებოდა, მიჰყვებოდა მანქანაზე დაწყობილ, პირმოკრულ ტომრებს და მას შემდეგ მგონია, რომ მთელი ქვეყნის პურს ბაბალეს წმინდა ოფლი ურევია...

— ესეც ასე! — მამაჩემმა ბარს სატერფული გაუყარა და წალდი კუნძზე დაარჭო...

წამოზრდილა ბალახი, ღობისძირში თავი ამოუყვია ქორფა ჭინჭარს. ცოტა ხანში ჩამოუვლის ბაბალე აკალთავებული წინსაფრით, ისეთ შეჭამანდს აკეთებს, ჭამით ვერ გაძღები კაცი. ხეებიდან ყველაზე ადრე ატამი გრძნობს გაზაფხულის დადგომას — კვირტები დასასკდომად დაჰბერვია. ტყემლებიც იგივე დღეში არიან, ალუბლებიც, მარტო ბებერ პანტა-მსხალს ვერ შეატყობ, იღვიძებს თუ ისევ ღრმა ძილშია.

წლების მერე კვლავ ჩვენს ბაღში ვართ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ადრეული გაზაფხულია და არა ჭყინტი სიმინდის შემოსვლის დრო, კისერზე კი არ ვუზივარ, ერთად ვბარავთ და... დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჩემიც აღარ არის... ღმერთო, რა იქნება, ახლა გვიყურებდეს, იჯდეს ფეხმორთხმული ფარდაგზე და მწვანე ლობიოს ამტვრევდეს. ერთი წუთით მაინც, ღმერთო, ერთი წამით დასვი...

— დაიღალე? — მამაჩემი საფხეკით ბარის პირს ასუფთავებს, — დაჯექი, დაისვენე.

არაფერი მითქვამს, ჯავრიანად დავკარი ფეხი, ბარი სატერფულამდე ჩავიყვანე, ბელტს ამოსაბრუნებლად დავეჯაჯგურე და ჭახ... ხელში გადატეხილი ტარი შემრჩა.

— ეს როგორ მომივიდა! — გაბრაზებულმა მოვისროლე.

— არა უშავს, — დამიყვავა მამაჩემმა, — ყველა წვრილმანზე თუ გულს შეასკდი, ნერვები აღარ შეგრჩება.

— რა ვქნათ ახლა... გია, არ გესმის გია! — დავინახე ღობის გადაღმა ეზოში მოთამაშე ბავშვი, — ბარი გვათხოვე.

— ბებო, ბარიო! — დაიძახა გიამ.

— რა ბარიო! — გამოიხედა ქალმა.

— აი, დათოს უნდა, — მომაშვირა თითი.

— ჰოო, ეხლავე, — მიიხედ-მოიხედა, ეზოში და რომ ვერ დაინახა, ახლა იმან დაიძახა, — კაცო, მათე, მათე-მეთქი... დაყრუვდი? სად წაიღე ბარი!

— მამაჩემ გიგოლასთანა! — გვიან-გვიან გამოეპასუხა, თანაც იქიდან, მეფენი რომ თავის ფეხით დადიან.

— ნეტა არ მასხარაობდე!

— დამაცა, შე ოჯახქორო, ცეცხლი გიკიდია? — მიაგდო კარი და ფეხისალაგი შეზანზარდა.

როგორც იქნა, მოძებნეს, ღობიდან გადმომაწოდეს.

— რაღა გიჭირს. ბიჭი ძმასავით მოგესწრო, — გაუცინა მათემ მამაჩემს, — ახლა ლექსებსაც რო იგონებს? გაზეთში ვნახე და ისე გამეხარდა, თითქოს დიდი სიმდიდრე მეპოვოს... მიდი, შვილო, მარტო მიწის ჯაჯგურშიც არა ყრია რა, რა მოხდება, ერთი სატრაბახო კაცი ჩვენგანაც გამოვიდეს...

— მანამდე ჯერ ბევრი უკლია, — ბარს დაეყრდნო მამაჩემი.

— უკლიაო... უცებ სოფელი ვის აუშენებია... ჩემ ჯეელობაში, თბილისში, დალაქთან ვიდექი შეგირდად. გაუთხოვარი მამიდა მყავდა, იმან მიმიყვანა, კარგი ხელობაა, დაუყვედრებელ ლუკმას გაჭმევსო... ოსტატი ჯაჯღანა კაცი იყო, მაგრამ ეგეთი ხელი ჰქონდა — კლიენტი ბუზივით გვეხვია. არც თვითონ ისვენებდა, არც მე მაძლევდა საშველს, ის დალოცვილი მთელი დღე ციბრუტივით მატრიალებდა, ისეთი სისუფთავე უნდა იყოს, კაცი რო შემოვა, სული გაუნათდესო... რაც მართალია, მართალია, თავს არ ვზოგავდი და ძალიან შემიყვარა, უჩემოდ პურს არ გატეხდა.

ერთხელაც მეუბნება:

— აბა, მათეჯან, ეხლა შენი ნათლობა უნდა მოვაწყო და არ შემარცხვინოვო.

გამიკვირდა, რა ნათლობა, ნათლიაცა მყავს და ნათლიდედაც-მეთქი... პატარა ვიყავი, წივილაანთ ეფრემ და სონამ რო გამბანეს.

ოსტატი მიყურებს და იცინის:

— მამა გიცხონდა, ეგ კი არა, ახლა ქორწილიც მომთხოვეო, — მოკალათდა სარკინ წინ, — აბა, ააქაფე საპონი და დაიწყეო.

ავაქაფე საპონი, გავშალე სამართებელი, მაგრამ ეგრე ვღელავ, სულ ხელი მიკანკალებს... რაღა ბევრი გავაგრძელო, ეტყობა, გამოცდა კარგად ჩავაბარე, შუბლზე მაკოცა და ფული მაჩუქა, ესეც შენი ნათლობაო.

ამის მერე, როცა არ ეცალა, ანდა დაიღლებოდა, ვიდექი და ვმუშაობდი.

— გეყოფა, ხალხს ნუ აცდენ, რა ძაღლის ყბა გამოიბი, — დაუტია ცოლმა, ეზოს რომ რწყავდა.

— ასე იცის უდროო დროს ლაპარაკში ჩახტომა... დაიმოკლე, ქალო, ენა! — გაუწყრა მათე და ციოების ჩვეული მოძრაობით გრძელი ულვაშის ბოლო სასაცილოდ აიგრიხა მაღლა. — ამ ამბავს რად გიყვებოდით?.. მეც გამოვჩერჩეტდი... ჰოო, გამახსენდა... ერთხელაც გავაღე სადალაქო, მივალაგე იქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურობა და ნაბდიანი, ჯმუხი კაციც შემოვიდა.

— დაბრძანდით, — ვანიშნე სკამზე და კარგად რო შევათვალიერე — გავშრი, მართლა იეთიმ-გურჯია თუ თვალი მატყუებს-მეთქი. გავიხედე, გარეთ — მთელი გოგო-ბიჭობა სადალაქოსთან მოგროვილა.

„ვაიმე, ჩემო თავო", — გავიფიქრე.

— ოსტატი ჯერ არ მოსულა, — როგორც იქნა, შევბედე.

— მაშ შენ ვინა ხარ? — მოიხსნა ნაბადი.

— შეგირდი-მეთქი.

— არა უშავს, დაგახსომდება მაინც, იეთიმ-გურჯი რო გაპარსეო, — მხარზე ხელი მომითათუნა და სახელი მკითხა.

ვუთხარი.

არც დაფიქრებულა, კაცო, — ხელი ხელს გაჰკრა მათემ, — ამ ჩემ სახელზე უცებ ლექსი არ ააწყო? თან სუ წამლერებით მითხრა... ჩემზე ბედნიერი იმწუთას არავინ იყო. ხო ამდენი ხანი გავიდა, არა, გამახსენდება ის დღე და ახლაც ბედნიერი ვარ... მეტი რაა ჩვენი წუთისოფელი, კარგი თუ რამე მოგაგონდება, თორე, დანარჩენი გინდ ყოფილა, გინდა არა...

— მე როდის მოვიდე პირის გასაპარსად? — გადავხედე მამაჩემს.

— ჰაი, შე მამაძაღლო, დამცინი? — თითქოს მიზანში მიღებსო, თვალი მოჭუტა, — როცა გაგეხარდება, მაშინ მობრძანდი... ჰოო, ახალგაზრდა ვიყავი, თავში ოფოფები მიქროდნენ, ვერ შევიფერე ჰატივისცემა, ავყე ქალაქელ ყალთაბანდებს, რაც ფული მქონდა, გამომაჭამეს და დავბრუნდი ცარიელ-ტარიელი... ეხლა რო ჯეელი ვიყო და ეს ჭკუა მქონდეს... — ჩაიქნია ხელი.

— რას იზამდი?

— რასა და... — ჩაფიქრდა, ახლა ულვაშის მეორე მხარეს აუბზიკა ბოლო.

ცოლიც ინტერესით შეაჩერდა, აბა, რას იტყვისო.

— ჯერ ერთი, ამ ჩემ „ენატკბილ" დედაკაცს არ შევირთავდი, მერე...

— გაქრი! — ქოქოლა მიაყარა გაწბილებულმა ქალმა, — ეს ჭკუა რო მქონოდა, მე კი გამოგყვებოდი, რატო არ მეკითხები?..

ბარვა განვაგრძეთ.

— შენ რას იზამდი? — ვკითხე ახლა მამაჩემს.

—არ ვიცი, მაგაზე არ მიფიქრია.

— მაინც, მაინც? — ჩავეძიე.

— მე არ ვნანობ, როგორც ვიცხოვრე! —მიპასუხა მცირე დუმილის შემდეგ და ამობრუნებული ბელტი ბარის პირით ჩაკეპა, — ვცდილობდი, მართალი ვყოფილიყავ... როგორ ჩამოცხა...

ხალათი გაიხადა და ატმის ტოტზე ჩამოაკონწიალა. ალბათ უფრო იმიტომ, რომ უსიამოვნო საუბარი შეეწყვიტა...

ამას წინათ ნიკომ მითხრა, რედაქციაში შენი ახალი ლექსები უნდათ, თან შენი გაცნობაც აინტერესებთ, ან ერთად წავიდეთ, ანდა თუ უჩემოდ ჩახვალ, შოთა აბულაძე იკითხე, რედაქტორის მოადგილეა და მოგხედავს როგორც საჭიროაო.

გუშინ, ათ საათზე უკვე ქალაქში ვიყავი. კითხვა-კითხვით მივედი ორსართულიან, გახუნებულ შენობასთან. ხის ჭრიალა კიბემ მეორე სართულზე ამიყვანა და ნახევრად ბნელ დერეფანში აღმოვჩნდი. ვიდრე დერეფნის ორივე მხარეს ჩარიგებულ რომელიმე ოთახის კარს შევაღებდი, ერთ-ერთიდან ვიღაც ბუზღუნით გამოვიდა.

— კარგით ერთი, ჩემ ნებაზე პაპიროსიც არ მომაწევინოთ, მთელი დღე წინ და უკან ვირბინო? — მოიჯახუნა კარი, — გაგიგონია? ეს რა ხალხია! — ისე გამიშალა ხელები, ვითომც ან იმ ხალხს ვიცნობდი ან ამას, — ვერ იტანენ!.. ვინც ქალის მუშაობა მოიგონა... იცი, რამდენი ჭკუით გამოტენილი ბიჭია, სულის კაწკაწით რომ შემოგვყურებენ, ეგებ ნახევარ შტატზე მაინც მიმიღოთო, მაგრამ სად არის ადგილი, ა, ბატონო, — მანიშნა კარზე, — ქალებით არის გამოტენილი... რამეს მაინც აკეთებდნენ, თუ დროზე არ დააშველე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთს სულს ამოხდიან ქაქანით! — ღონიერი ნაფაზით კვამლის ღრუბელი მოპირდაპირე კედელს მიაწყვიტა და, თითქოს ახლა შემნიშნა უცხო რომ ვიყავი.

— „სოცუზრუნველყოფა“ დაბლაა, აქ რედაქციაა.

— მე სწორედ რედაქცია მინდა, შოთა აბულაძეს ვეძებ!

— ჰოო, სულ ეშლებათ, აქ მოდიან ხოლმე და მეგონა... აგერ ბოლოში, ტყავგადაკრული კარი როა, იქა ზის, — გაიშვირა პაპიროსიანი ხელი. — დროზე ნახე თორემ, ეგა და უფროსი თათბირზე მიდიან.

— ვინ უფროსი? — რატომღაც დავინტერესდი.

— რედაქტორი, — ვითომც ეგ როგორ არ იცით, დამცინავად შემათვალიერა.

„გასაგებია... თქვენ ვინ ბრძანდებით, შუათანა თუ უმცროსი? ალბათ არც ერთი და არც მეორე, თორემ ქალები მაგდენს ვერ შემოგბედავდნენ“.

— შეიძლება?

— შეიძლება! — თავი არ აუღია, ისე მიპასუხა სათვალიანმა, საფეთქლებთან შეჭაღარავებულმა კაცმა.

შუა ოთახში უხერხულად გავჩერდი, ველოდი, თავს როდის ასწევდა, მაგრამ ნამეტანი დიდხანს გაერთო საქმით, ვიფიქრე, ალბათ დავავიწყდი-მეთქი და მორიდებით ჩავახველე.

— ახლავე, ნომრის მასალაა, თუ დროზე არ ჩავაგზავნეთ... ამდენი ლაილაი არ არის საჭირო, — ბოლო წინადადება უკვე თავისთვის ჩაილაპარაკა და ფურცელი ჯვარედინად გადახაზა.

ღია ფანჯრიდან დაუბერა, მაგიდიდან ფურცლები „წამოკრიფა“.

— ვერ გაიგებ, რა ამინდია... მიხუარე, თუ ძმა ხარ, — როგორც იქნა, შემომხედა და გაეცინა.

ტანსაცმელზე დავიხედე, რა მჭირს სასაცილო-მეთქი.

— ძმად კი არა, შვილად უფრო შემფერი, — ამიხსნა სიცილის მიზეზი და ფურცლები ჩამომართვა, — მესამე, მეოთხე, მეექვსე... მეხუთე რა იქნა?.. ჰო, აქ არის! — სათვალე მოიხსნა, დაღლილი თვალები მოიფშვნიტა და მომაჩერდა, — გისმენთ!

— მე ნიკომ გამომგზავნა... დათო ვარ, საჩალელი.

კაცს სახე გაებადრა.

— გამარჯობა, დათო, — წამოდგა და ხელი ჩამომართვა, — თავიდან ვერ თქვი, ამდენ ხანს რომ დაგაყუდე... ძალიან კარგი... ძალიან კარგი... დაჯექი... ხომ არ გეჩქარება? სულ ორი წუთიც და... — ისევ ფურცელს ჩააცქერდა.

კაცმა რომ თქვას, როგორ არ მეჩქარება, ახლა მარტის არდადეგები გვაქვს, თამრიკო ქალაქშია, ბიძამისთან და უნახავად როგორ გავბრუნდები, არ კმარა, ხუთი დღე რომ თვალი არ დამიკრავს?

ჯიბიდან მისამართი ამოვაცოცე და კიდევ ერთხელ ჩავიკითხე: „ევდოშვილის, თხუთმეტი. ჭიშკარი ცისფრად არის შეღებილი“.

„ნეტა სად იქნება, აქედან ახლოა თუ შორს!..“ — წარმოვიდგინე, როგორ შემხვდებოდა და ჟრუანტელმა დამიარა.

— ესეც ასე! — თითი ღილაკს დააჭირა, თეძოების რხევით შემოსულ, ჩასუქებულ ქალს, როგორც თვითონ უწოდა, „ნომრის“ მასალა გაატანა, ისევ მოიხსნა სათვალე და კეთილად გაღიმებული მომაჩერდა.

— დათო, დათო, აი, თურმე როგორი ყოფილხარ... ლექსები მომიტანე?

„დიახ-მეთქი!“ — გავუწოდე რვეული.

— ძალიან კარგი, — წინ დაიდო და ხელი დააფარა, — ჰონორარი ალბათ ჯერ არ აგიღია...

სიტყვა „ჰონორარი“ პირველად გავიგონე და გაკვირვებით შევხედე.

გაეცინა.

—წამოდი ჩემთან, — მომხვია ხელი და გვერდით ოთახში შემიყვანა. — ანიკო, ერთი ამ ყმაწვილს ფული მიეცი, — უთხრა ცხვირწაწვეტებულ ქალს, საანგარიშოს კოჭების ჩხაკაჩხუკით რომ „ერთობოდა“.

„რა ფული-მეთქი“, — დავიხიე უკან.

,— კი არ გჩუქნით, შენი ლექსების ფულია, — ისევ გაეცინა აბულაძეს და მხარზე მიბიძგა, ახლოს მიდიო.

— თავიდან ეგრე არიან, მერე თავს წაგაჭამენ, ჩქარა-ჩქარაო... როდის დაიბეჭდა? — ანიკოს კაცივით ბოხი ხმა ჰქონდა და საულვაშეზეც ზომაზე მეტად მოსძალებოდა ღინღლი.

— იანვრის უწყისში, საჩალელი მონახე! — ჩემს მაგივრად უპასუხა აბულაძემ.

ქალმა ჯერ იმ ფურცელს ჩააყოლა თითი, უწყისი რომ უწოდეს, მერე საანგარიშოს გაჰკრა-გამოჰკრა.

— უშვილობა გეკავება? — ამომხედა.

მოადგილეს ვედრებით შევაცქერდი, რა უნდა, რა სატანჯველში ჩამაგდე-მეთქი.

— ეკავება, ანიკო, ეკავება, ვერ ატყობ, რომ ჯერ ბავშვია, ცოლ-შვილიანს რა უგავს! — თავი გადააქნია აბულაძემ.

— ჩემი მოვალეობაა, ვკითხო, — უწყისი გამომიწია, ჩემი გვარის გასწვრივ ხელი მომაწერინა და თექვსმეტი მანეთი და ოცი კაპიკი მომცა.

— ნუ გაგიკვირდება, ბუღალტრები საერთოდ უცნაური ხალხია და ეს მით უმეტეს, — მითხრა მოადგილემ, როცა ისევ თავის ოთახში შემიყვანა.

კარი ჩემმა პირველმა ნაცნობმა შემოაღო, ოთახში პაპიროსს რომ არ აწევინებენ, იმან.

— ბატონო შოთა...

— მოდი, მოდი... ჩვენი ლიტმუშაკია, ნუკრი დემურიშვილი, ეს კიდევ ჩვენი ავტორი დათო საჩალელი, დამწყები პოეტი, — გაგვაცნო ერთმანეთი.

ლიტმუშაკმა თავი დამიკრა, სავარძელში ჩაეშვა და მუხლზე თითები აათამაშა.

სიცილი ძლივს შევიკავე.

ნუკრიმ შემატყო, მოიღუშა და თითების თამაში შეწყვიტა.

— ბატონო შოთა, მანქანა უკვე მოვიდა.

— ძალიან კარგი, — დახედა საათს აბულაძემ.

მივხვდი, ჩემი წასვლის დროა და წამოვდექი.

— ლექსებს გავეცნობი, — უჯრაში ჩადო რვეული, — მაგრამ იქნებ წერილის ან ნარკვევის დაწერა გეცადა... ჰა, რას იტყვი? ცხრა მაისი მოდის, გამარჯვების დღე, შენ სოფელშიც იქნება ისეთი კაცი, რომელმაც ომის მძიმე გზა ვაჟკაცურად გაიარა. ნახე, ესაუბრე, გონიერი ბიჭი ხარ და თვითონ მიხვდები...

— მამაჩემი! — წამოვიძახე უცებ, — ჩვენი ოჯახიდან სამი ძმა წავიდა ფრონტზე და მარტო თვითონ დაბრუნდა.

— კარგი იქნებოდა, მაგრამ... შეყოყმანდა აბულაძე.

— დაიჭრა კიდეც, ჯილდოებიც აქვს, — ვცადე როგორმე დამეთანხმებინა.

— ბატონო შოთა, ცუდი თემაა? ორი დაიღუპა, ერთი დაბრუნდა! — გაუკვირდა ლიტმუშაკს.

— ნიკოსაგან ყველაფერი ვიცი... ერთი უხერხულობა რომ არა, ცხადია, მართლაც მშვენიერი თემაა, — თვალი თვალში გამიყარა, ვითომ ამასთან ყველაფერს ნუ მალაპარაკებო.

დამცეცხლა, მივხვდი, რასაც გულისხმობდა.

— მამაჩემი ტყუილად ჩასვეს!

— ჰოო, — უკან დაიხია დემურიშვილმა, თითქოს ცხელმა წყალმა დასწვაო, — პატიმარზე ვინ მოგცემს უფლებას...

— აღარ არის პატიმარი, ჩამოვიდა!

— რა მნიშვნელობა აქვს, ბიოგრაფიიდან შავ ლაქას ვეღარ ამოშლი, — ისე აათამაშა მუხლისთავზე თითები, ეტყობა, თვითონვე მოეწონა თავისი ნათქვამი და მომინდა ის თითები მომემტვრია.

— თქვენთვის ყველაფერი იოლია, ზოგი იმასაც ჰკითხეთ... — გული ყელში გამეხირა და ძლივს ამოვისუნთქე, — ან მამაჩემზე, ანდა... სხვაზე ვერ დავწერ.

— ეს ბიჭი ნამდვილად მთვარიდან ჩამოფრინდა, — შეხედა ჩაფიქრებულ აბულაძეს, რომელმაც დაუფარავი, უკმაყოფილო გამომეტყველებით ღიმილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეზე შეაცია და კვლავ შეაწყვეტინა თითების თამაში.

— ჰოდა, გავფრინდები ისევ იმ ჩემ მთვარეზე, — ნაწყენი წავედი კარისაკენ, ვითომც გარეთ გასვლისთანავე ფრთას დავიქნევდი და მივიკარგებოდი საწვიმრად მოქურუხებულ ცაში.

აბულაძე წამომეწია და კიბემდე მიმაცილა.

— მაპატიე, გული გატკინეთ, მაგრამ ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკიდებული... ხომ გესმის?.. კარგი ბიჭი ხარ, მამა რომ ასე გიყვარს! — გამომშვიდობების ნიშნად ხელი იდაყვთან მომიჭირა.

დერეფანში ნახევრად ბნელოდა, მაგრამ მაინც დავინახე აბულაძის თვალზე მომდგარი ცრემლი...

აფორიაქებულმა უმიზნოდ ვიხეტიალე, ხან ერთ მაღაზიაში შევედი, ხან მეორეში...

დიდხანს ვუყურე თაროზე ჩამოდებულ ხუთმანეთიან გარმონს...

დედაჩემი და მამაჩემი ქალაქში არიან საქმეზე. ველოდები, რადგან ვიცი, ქალაქურ პურს და პირის ჩასატკბარუნებელ რამეს ჩამომიტანენ. დაღამდა, მაგრამ მაინც არ ჩანან. ზაფხული იყო, ცხელოდა. ბაბალემ დერეფანში გამიშალა ლოგინი — ბუხართან, მარჯვენა კუთხეში ტახტი გვედგა მაშინ და ძალისძალით ჩამაწვინა.

მაინც არ დავიძინებ-მეთქი, — „დავემუქრე“ და იდაყვზე დაყრდნობილი ვიყურები ჭიშკრისაკენ ჩვენების მოსვლა რომ არ გამომეპაროს.

მაინც არ ჩანან, მიდი-მოდის სოფელი, მაგრამ ჩვენ ჭიშკარს არვინ აღებს. ვარსკვლავების თვლამ მეჭეჭის გაჩენა იცისო... მაინც ვითვლი... თანდათან ათასობით ვარსკვლავი შედედდა, შეტბორდა, ერთ დიდ ვარსკვლავად იქცა და კამკაშით გადაეხურა სოფელს...

ტახტის ჭრიალმა გამაღვიძა. მამაჩემი დახრილი დამყურებს, დედა გვერდით მიზის და ჩემ ლოყაზე ხელი უდევს, მსუბუქად, მოფერებით, რა თქმა უნდა. ისე გამეხარდა, თითქოს საუკუნე არ მენახა.

— მოხვედით? — წავიჩურჩულე და ისევ მომეხუჭა თვალები.

იქით ბაბალე ბრაზობს, ძლივს ჩაეძინა და ნუ აღვიძებთო.

— აბა, ნახე, რა მოგიტანეთ! — მესმის დედაჩემის ხმა.

— მაჩვენე! — ძილ-ბურანში ვიგრძენი, რომ ხელი რაღაც გრილსა და პრიალას შეეხო. მერე ზედ ყურის ძირთან ვიღაცამ სხვადასხვა ხმაზე გასტვინა და ახლა კი მართლა გამოვფხიზლდი.

სიხარულით ლამის გავგიჟდი — მუხლებზე ლამაზი გარმონი მედო.

გავწელე და გამოვწელე, იშლებოდა ჭრელი ნაკეცები, ჭყვიტინებდა არეულ-დარეულ ხმაზე, მაგრამ ჩემთვის იმაზე ტკბილად მოსასმენი არაფერი არსებობდა...

ნეტა იმ დროს, დედაჩემიც ცოცხალი იყო და არც მამაჩემის ბიოგრაფიას ჰქონდა „შავი ლაქები..“

— თუ არაფერს ყიდულობ, გაიარე! — მითხრა გამყიდველმა და გარმონს ძლივს მოვწყვიტე თვალი.

„ვიყიდო, არ ვიყიდო!“ — ჯიბეში მოვისინჯე ფული, მაგრამ გადავიფიქრე, „ბავშვი რომ მყავდეს, კიდევ ჰოო... თანაც არც უშვილობას დამიკავებდნენ... არა, იმ ანიკოს ნამდვილად ერთი „შარიკი“ აკლდა!“ — დავასკვენი ჩემთვის, მეორე დახლთან გადავინაცვლე და ბაფთები დავინახე, ცისფერი გამჭვირვალე... არც მიყოყმანია, ორი ცალი ვიყიდე...

ევდოშვილის ქუჩაც მოვნახე. ოხუთმეტი ნომერი ისეთი სახლი ჩანს, გარედანვე ეტყობა, რომ ამის პატრონს არ უნდა უჭირდეს. თამრიკოს დასაძახებლად ბავშვი შევაგზავნე, მე კი ყოველ შემთხვევისათვის მოშორებით, მოფარებულში მივადექი, რა ვიცი, ერთიც ვნახოთ, ბიძამისი გამოვიდეს, ეგღა უნდათ?

„გულო ჩადექ საგულესა, გულო ჩადექ საგულესა“, — ვაწყნარებ, მაგრამ გაგივონია?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ეე!“ — ამომხდა გაკვირვებით, — თამრიკოა, თუ... ის კია, მაგრამ...“ — დავენახვე და გამოქანდა.

— თმა რა უყავი?

— შევიჭერი, არ მიხდება? დედაჩემი რომ მნახავს, არ ვიცი, როგორ გადავურჩები... თუმცა, მთავარია, შენ მოგეწონოს... ჰა, არ მოგწონს? — თმა კოხტად გადაიწია უკან და ხელი არც ჩამოუღია, ეშმაკურად გაღიმებული შემომაჩერდა.

პასუხად შეხვეული მივაწოდე და ნაწყენი შევბრუნდი.

— რა ლამაზებია?.. რომ მცოდნოდა... კარგი, ბუტია ნუ ხარ, მალე გამეზრდება... მეგონა, მოგეწონებოდა.

— „ეგონა“, — გამოვაჯავრე.

— ბუტია, ბუტია, ბუტია! — წინიდან მომიარა და მაინც გამაცინა, — სად გქონდა ამის ფული...

— რედაქციაში მომცეს ჰონორარი.

— რა?

— ლექსებს რომ დაბეჭდავ, ფულს გაძლევენ და იმას თურმე ჰონორარი ჰქვია, მეც დღეს გავიგე.

ჩემმა ნათქვამმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ხუმრობა საქმეა, სახლში რაღაცას წაჯღაბნი და... უკმური ანიკო, გრძელ უწყისში ხელს მოგაწერინებს.

მოვუყე, რაც რედაქციაში გადამხდა, არც ის გამომრჩა, აბულაძე რომ წამდაუწუმ „ძალიან კარგიაო“, იმეორებდა, მარტო მამაჩემის ამბავი გამოვტოვე, რა საჭიროა...

— ბიძაჩემს ველოდები, სოფელში უნდა წავიდეთ... ნეტა შეიძლებოდეს, შენც ჩვენთან ერთად... იცი, წელან რას ვნატრობდი, ნეტა მატარებელში ვისხდეთ და შორს, ძალიან შორს მივდიოდეთ-მეთქი... გუშინ აიმ სახლში ქორწილი იყო. საღამოს ნეფე-დედოფალი სადგურზე გააცილეს, ჩასხეს მატარებელში და წავიდნენ... ჩვენც ხომ ეგრე გავაკეთებთ, ჰა?

„არა, მოკლე თმაც უხდება“, — ვფიქრობ და მკლავები მტკივა, ისე მინდა მოვეხვიეო.

წვიმა წამოვიდა, ჰაერში მტვრის სუნი დადგა.

— გეშიება... მოდი, რამეს გამოგიტან, — გაიწია სახლისკენ.

— არა, არ მინდა.

— გეხვეწები, გაჩერდი, ამ წუთში...

— არა-მეთქი... ცოტა ხანსაც გიყურებ და წავალ.

— ეგ თუ გეყოფა.

— მეყოფა! — დანამულ მკლავზე თითები ფრთხილად გავუსვი და ორივეს გაგვაკანკალა...

ავტოსადგურს გემრიელად გაწუწული შევეფარე. კედელთან ჩარიგებულ სკამებზე თავისუფალი ადგილი ვერ ვიპოვე, რომ ჩამომესვენა. ყველას თავის ბარგი-ბარხანა ფეხებთან მიედგა და ელოდნენ, მოწყენილები შეჰყურებდნენ ღია კარს მიღმა გუბეებში აცეკვებულ წვიმას. მოსაცდელში მძიმე, უსიამოვნო ოხშივარი იდგა, მაგრამ მაინც გამოვარჩიე თბილი პურის სუნი. ჩემს უკან შავებში ჩაცმულ ქალს მუხლებზე პურებიანი კალათა ედგა. ქალმა გადაფარებულ გაზეთქვეშ ხელი ჩააცურა, დაბრაწული ქერქი წაატეხა, გაზეთი ისევ ჩაუფინა და ნატეხი გაუბედავად მიიტანა პირთან.

ნერწყვი გადავყლაპე და ზურგი ვაქციე. გაგიგონია, ფული გქონდეს და გშიოდეს? გადაღებასაც არ აპირებს, უფრო მოუმატა, ფანჯარაზე წვიმის წყალი ჩამორბის, ჩარჩოს ჭრილში ძვრება და კედელი სველდება.

ავტობუსი მოვიდა. ხალხის ნაწილი დაფაცურდა, წამოკრიფეს ბარგი და გარეთ გაიხვეტნენ, ის ქალიც წავიდა, გაიყოლა პურის მადისაღმძვრელი სუნი, მეგონა, განიტვირთა მოსაცდელი, მაგრამ ახლა ავტობუსიდან ჩამოსული მგზავრები შემოეფარნენ და ისევ გაიტენა.

იმ ოთახში შევედი, „მორიგე დისპეტჩერი“ რომ ეწერა.

— რას გვიბრძანებ? — გაჯაგრული

---

ვანო ჩხიკვაძე
ჩიტები ზამთარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყბა მოიფხანა თმაშეთხელებულმა, ღაბაბჩამოგრძელებულმა კაცმა. — გეყოფა, რობიზონ, წადი ახლა, დააყენე საშველი, — უყვირა მოაჯირზე გადაყუდებულ შოფერს, მეორე მხარეს მოლარე გოგოს რომ ეკურკურებოდა და ისევ კითხვით შემომხედა.

— ერთ კაცს ვეძებ, ვალიკო ჰქვია...

— შოფერია?

— ჰო!

— გვარი?

— არ ვიცი.

— აბა, ეგრე რა გავიგო, ხუთი ვალიკო მაინცა გვყავს.

— ათი წლის წინ ციხისუბნის ავტობუსზე მუშაობდა...

— ვალიკო, ვალიკო... მეცოდინება, მაგრამ... — ჩაფიქრდა.

— მერე ქალაქის ავტობუსზე გადავიდა, — მივეხმარე გახსენებაში.

— ჰოო, ვალიკო კობიაშვილი გდომებია... ისევ ჩვენთან არის, მაგრამ დღეს ისვენებს, ეხლა რო ბიჭი გავიდა, მაგის ცვლაა... სახლი იცი?.. თუმცა საიდან გეცოდინება... მოიცა, დავრეკავ და თუ სახლშია, დაგალაპარაკებ, — აკრიფა ნომრები, — ხედავ, რა დრო დადგა, შოფრებსაც კი ტელეფონები უდგათ, ზოგი კიდევ ემდურება ამ ცხოვრებას... ვალიკო ხარ? — ჩასძახა ყურმილს, — აჩიკო, ერთი მამაშენს დაუძახე... „დრასტი“ ვალიკო... მიცანი? ჰო, მე ვარ... ისვენებ, არა, ნებივრობ... ეგრეა, მა, აღერღილი კი ვარ, მაგრამ ამდენი დალევაც არ შეიძლება... რას იზამ, შაქრიანი ღვინოა მოდაში, — გაიცინა და ოქრო-ვერცხლის კბილები გამოფინა, — ეხლა რაზე გირეკავ, ერთი ბიჭი გკითხულობს... ბიჭი-მეთქი... რა გქვია? — მომაჩერდა.

— დათო.

— დათო მქვიანო... გვარი — ისევ მომაჩერდა. — თქვენი ფოსტალიონი ხო არა ვარ, აჰა და ელაპარაკე! — გამომიწოდა ყურმილი.

— გამარჯობა, ძია ვალიკო...

— გაგიმარჯოს... რომელი დათო ხარ? — მკითხა ხმამ.

— საჩალელი...

— საჩალელი?.. ჰოო, რა გინდა?

— არაფერი, ქალაქში ჩამოვედი და ვიფიქრე, ვნახავ-მეთქი... მამაჩემი უკვე ჩამოვიდა...

— კარგია, კარგი, მომიკითხე...

მეწყინა, როგორ ველოდი მასთან შეხვედრას და, ეს კი... ეტყობა, დრო აციებს ადამიანებს. ყურმილი დავდე.

— რაო, გიცნო? — მკითხა მორიგემ.

— ჰო, ეხლავე აქ გაჩნდიო!

— ისემც რა გითხარი, — უნდობლად აიბზუა ტუჩი, — რას ეუბნებოდი, საიდან ჩამოვიდა მამაშენი?

„წადი შენი... ვინც მინდოდა, ის არ დაინტერესებულა და ახლა ამას აუხსენი“, კარი გავიჯახუნე და აღარც მოსაცდელში გავჩერებულვარ, გამოვედი იმ თავსხმაში.

ძაღლის გუნებაზე დავდექი, ვბრაზდებოდი საკუთარ თავზე, ვერ დაეტევი შენ ქერქში-მეთქი.

დავყე ქუჩას და ძალიან რომ გამატანა, ბაზრის მოპირდაპირე მხარეს, ნახევრად მიწურ სასადილოში ჩავეხეტე.

ერთადერთი აბლაბუდიანი ნათურა ძლივს ანათებდა იქაურობას, სახელოაკეცილ, ბანჯგვლებგამოფენილ მებუფეტეს ბუზების სახოცი ეჭირა და მოზუზუნე მწერს თვალს ადევნებდა, სად დაჯდებაო.

— ძმისწულო, აქეთ მობრძანდი! — მომესმა უკნიდან.

შევბრუნდი, მოვათვალიერე მაგიდებთან კანტიკუნტად მსხდომები, მაგრამ ნაცნობი ვერავინ აღმოვაჩინე, ალბათ სხვას დაუძახეს-მეთქი, ვიფიქრე და ბუფეტისკენ წავედი, რომ იგივე ხმამ ისევ შემაჩერა.

— რა გნებავთ, — წავადექი კუთხის მაგიდასთან მჯდომ, შუახანს მიტანებულ მარტოკაცს.

— მნებავს კი არა და... სკამი მოიტა და დაჯე! — კი არ მთხოვა, მიბრძანა და იქვე მომიბოდიშასავით, — თუ ჩემ „კამპანიას“ არ დაიწუნებ, ნახევარი, ჰა, დიდი-დიდი ერთი საათი წაგართვა... შენი სახელი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„დღეს ყველა სახელს მეკითხება!“ ვუთხარი.

— აბა, მოგვხედე, — დაუძახა მებუფეტეს და ისიც, თავისი გატიკნული ღიპის მიუხედავად, ცქვიტად წამოხტა, — მე „კოდალას“ მეძახიან, მამაჩემს და იმის მამასაც ასე ეძახდნენ... იმ პატიოსანი ხალხისა, სახელიღა შემრჩა... კიდევ ორი ბოთლი და ცხელიც რამე მოაყოლე, — უთხრა „ბუზიხოციას“, თეფში და ჭიქა რომ დამიდგა.

— მწვადს გავაკეთებ.

— იყოს მწვადი! — ანიშნა დროზე მომშორდიო, — მოკლედ „კოდალ-კოდალოვიჩი“ ვარ, მამაჩემიც ეგრე ყოფილა... როგორია, ჰა? მაგარია! — ღონიერ თითებში ისე ჩაბღუჯა ჭიქა, მეგონა, ჩაეფშვნება-მეთქი, თან როგორც ხერხის ერთი გავლა, ყბები ერთმანეთს კბილების კრაჭუნით გააყოლა და შუაში ჩატეხილი, განიერი ნიკაპი გვერდზე მოექცა.

„კოდალა“ რომ ძალიან მთვრალი იყო, ამას ბევრი ჩიჩინი აღარ ესაჭიროებოდა, მაგრამ ჩემგან რა უნდოდა, — ვერ გამეგო.

— ჯერ სხვაგან დავლიე, აქ კი სულ ოთხი სადღეგრძელო ვთქვი, შენ ერთში გამოგიბრი, მეტი რა ვქნა, აიღე, ეს წვიმიანი დღე მაინც დაკარგულია... „ბანი მომეცით, ბანელებოო, ბიჭებოო...“ — წაუმღერა, — გგონია, მთვრალი ვარ? არ დაიჯერო, — მუქარით გამიქნია თითი, — ჩემ სიცოცხლეში ესეთი ფხიზელი არა ვყოფილვარ. თან რა დროს, კაცო, ცხოვრება რო გავარდა, გავიდა ბოლოში... კაცს როცა გაუჭირდება, ღმერთი მაშინ ახსენდება და მოდი, ღმერთს გაუმარჯოს! ეტყობა, იმასაც უჭირს, ამ ქვეყანას თავი და ბოლო ვერ გაუგო და იმიტომ... მარტო მე როგორმე მომივლიდა, მაგრამ ჩემნაირი იცი, რამდენია? თმა ყალყზე დაგიდგება, რო გაიგო! უარესი — კიდევმეტი... ეგრე ნუ მიყურებ, კაცი კი არ შემომკვდომია... ოცდახუთი წლისა ბელორუსიის ჭაობებში ვეგდე, დამპალ აბუყბუყებულ წყალს მივტოპავდი, მუხლამდე ტალახში მივათრევდი იარაღს, ორთვალას, საჭმელს, ჯანდაბას და დოზანას, მაგრამ ჩემ სულს მაინც ჭუჭყისა არაფერი მიჰკარებია. მთელი ფრონტი ფოთოლზე დაგროვილი ნამივით სუფთად გავატარე...

„ა, ისეთი კაცი, რედაქციას რომ უნდა“.

— რად დაგიძახე, იცი? ამათზე უფრო პატიოსანი მეჩვენე, — თითი მოატარა ირგვლივ, — რა ვიცი, ეგებ შენი „ფიზიანომია“ მატყუებს, მაგრამ ეგრეა... მომატყუე, პირველი იქნები თუ უკანასკნელი... პირველია ძნელი, თორე, მერე სუ რაკრაკით მიდის, ტყუილი, ტყუილი, ტყუილი... როგორც ხელი გადაიბანო... მომატყუეს? მეც მოვატყუე! კიდე მომატყუეს? კიდე მოვატყუე!.. სახლი დავდგი — ცხენი გაჭენდება, გავტენე ავეჯით, გვერდს ვერ აუქცევ, იმდენია, მაგრამ თვალი ხარბია... ოთახები სუ მუხაში ჩავსვი, დილით რო ვიღვიძებ თავი კუბოში მგონია... მამაჩემს და დედაჩემს ერთი „შიფანერკა“, ტახტი და ორი ხელი ლოგინი ჰქონდათ, ძღომაზე ლობიოც არ გვყოფნიდა, მაგრამ ისეთი სიტკბოება, ისეთი სიყვარული... ვერ მივაღწიე! — დაჰკრა მუშტი მაგიდას, — ხო ავავსე, ხო არაფერი აკლიათ, ის სიტკბოება მაინც გაქრა... იმ დალოცვილებმა, მოკვდნენ და თან წაიღეს? თუ სადმე სიამტკბილობა და გაგებაა, აღარცა მჯერა... აი, შენ პატიოსანი კაცი ხარ, მითხარი, რა ვქნა!

— იკმარე რაცა გაქვს!

— ვიკმარო? მაშ ეგრე მირჩევ? — ჩაფიქრდა, — ვიკმარებ, ვიკმარებ კი არა, დავერევი იმ ავეჯსა, კედლებსა, შევუდებ ბომბსა და დედას ვუტირებ, ეგ ხო მაინც კარგად ვისწავლე იმ დასაწვავში... გავანიავებ, ნაცარტუტად ვაქცევ, მაგრამ... — ხმას აუწია, — სხვა რო არ იზამს? აკი გითხარი, ბევრნი ვართ-მეთქი... აბა, იმას ჰკითხე, კამეჩივით რო გასხვილებია კისერი, — მანიშნა მებუფეტეზე, ბუზი რომ აუფრინდა და ამის ყვირილზე მოქნეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი ჰაერში გაუშეშდა, — იზამს? არ იზამს!.. არც შენ იზამდი, არა, ღმერთმანი...

სასადილოში მსხდომნი შემობრუნდნენ, რას მიედ-მოედებაო.

— მიხედეთ თქვენ საქმეს... ხმამაღლა აღარ დამალაპარაკოთ! — ხელი აუქნია და იმათაც ისეთი სახეები მიიღეს, ვითომ ეს შეურაცხმყოფელი ხელის აქნევა, იმათ კი არა, გაზეთის გამყიდველს ეკუთვნოდა, სასადილოს ფანჯრის პირდაპირ, ნებებზე თავი რომ ჩამოედო და ჯიხურის ოთხკუთხედი სარკმლიდან მოწყენილი იყურებოდა.

— უარესის ღირსები არიან. თავმოყვარე კაცი გემრიელ ალიყურს მაჭმევდა... მეც ეგრე მოვიქცეოდი, ზურგი რო არ მქონდეს მაგარი... ზურგი ბეჭები არ გეგონოს! — გამაფრთხილა, — აიღე რამე!.. იფიქრებ, თუ ამდენის შემძლე ხარ, ამ ხუხულაში რამ მოგიყვანაო და, თუ მოხვედი, მარტო როგორ დაჯექიო... აქა, ჩემო ძმიშვილო, ჩვენი სამოსახლო იყო. სადაც მე და შენ ვზივართ, ბოსელი გვედგა. კაი ხნის ამბავს გიყვები, მაშინ ქალაქი სად იყო, მერე მოგვაწვა, „წითელმა ხაზმა“ გადაგვიარა და გადავსახლდით... რა გინდოდა, სულო და გულო, ჩვენი უბნის ბაღებში არ ყოფილიყო, ღვინოც პატიოსანი გვქონდა, მწვანილიც... ბლის მწიფობა რო დაიწყებოდა, ბავშვებს მუცლები აღარ გვივარგოდა, ვინ დაგიშლიდა, ოღონდ გქონოდა ჭამის თავი... ეხლა შვილებს აღარ აჭმევენ და ბაზარში მიარბებინებენ. არც ტყუიან, ცხოვრებამ მოიტანა... ამიტომ მოვდივარ, მარტო მივჯდები ამ კუთხეში, — თუ ვინმე ზის — მოვიცდი, ვიდრე წავა. ვზივარ და იმ ბოსლის სუნი მცემს, იმ ნეხვისა და თივის სუნი და მომდის ცრემლი... მეც არ ვიცი, რატომ ხდება ასე...

ბოლოს ისევ წამოუარა „მაგარი ზურგის“ სიამაყემ, ზიზღით მოებრიცა ტუჩები, ილაპარაკა ათასი აბდაუბდა, რომელიც იმით დაამთავრა, რომ ორივე ჯიბიდან იმდენი ფული ამოყარა, თვალები ამიჭრელდა.

— ყველაფერს ვიყიდი, თუ დამჭირდა, შენც გიყიდი! —დატრიალებული თითი ლამის თვალში წამატაკა და ცოტა არ იყოს, შემკრთალი წამოვხტი.

— სად მიხვალ, შეგეშინდა?.. ცხოვრება რო ყელში წაგიჭერს, მაშინ ვნახოთ, რა ბიჭი იქნები... თუ იკმარებ, მოდი და სახეში შემაფურთხე...

მებუფეტე შუაში ჩაგვიდგა და მანიშნა, წადი, გაეცალეო.

ჩემი ბედისა რა ვთქვი, ყველა გიჟს მე უნდა გადავეყარო?..

ავტობუსი უკვე ჩამომდგარიყო, ბილეთი ავიღე და ბოლო რიგში დავჯექი.

„შენც გიყიდიო, უჰ, შენი!“ — გულში კი შევუკურთხე, მაგრამ რატომღაც ჩემი თავი შემებრალა. ცალკე შიმშილით, ცალკე ნერვიულობით თავი ამტკივდა.

სკამები თანდათან შეივსო.

„ნეტა რომელი საათია, მალე გავალთ?“ — ფანჯრიდან ლეკვი დავინახე, სახლის კუთხემდე მიირბინა და ისევ უკან გამოიქცა, დაბნეულმა იტრიალა, მერე კედლის ძირში, მშრალზე გაჩერდა და წუწები გაიყრევინა.

დავუძახე, სულ თამაშ-თამაშით მოვარდა, ამოებღოტა ამოსასვლელს.

„წამოდი ჩემთან, რა გინდა ისეთ ქალაქში, სადაც „კოდალ კოდალოვიჩები“ ცხოვრობენ“, — დავისვი ფეხებთან.

ესეც ცუგას მაგიერი; გასუსული წევს, შავი წერტილებივით თვალებს არ მაშორებს, თითს ცხვირ-პირზე ვუცაცუნებ და მიხარია, მარტო რომ არ ვბრუნდები.

ავტობუსი დაქოქეს...

— დათო ხომ არა ხართ რომელიმე! — მომესმა უცებ...

წინა კართან ვიღაც კაცი დგას და ქუდიდან წურწურით ჩამოსდის წყალი.

— მე ვარ-მეთქი! — გავეპასუხე.

კაცმა ჩანთებზე გადმოალაჯა, გაბადრული მომიახლოვდა. გული უცნაურად შემიხტა და მეც წამოვიწიე.

— საჩალელი? — კიდევ ერთხელ შემამოწმა, არ ვცდებოდეო და როცა დავეთანხმე, ჩამიხუტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძია ვალიკო ვარ, ბიჭო... ძია ვალიკო!.. რამხელა კაცი გამხდარხარ!

ერთიანად ავდუღდი, ლამის ფშუკუნი ამომსკდა, წამით გამიცოცხლდა ყველაფერი, ისიც, პირველად რომ გავიცანი და ისიც, სასამართლოში მამაჩემისკენ ხელში აყვანილი რომ მივყავდი.

— რომელი ძია ვალიკო, ვერ გიცანი, — ვცადე გავხუმრებოდი, მაგრამ ხმის ამოღებისთანავე ცრემლს გზა გაეხსნა.

ვალიკოს სველ საწვიმარში სახე ჩავმალე.

— წადი, იოსებ, ოღონდ სახლისკენ აგვატარე, — დაუძახა შოფერს, — გეგონა, დამავიწყდი? სულ მახსოვდი, მაგრამ როცა დამირეკე, უცებ აზრზე ვერ მოვედი... მაშინ ხომ თითისტოლა იყავი და ახლა კი ვიღაც ვაჟკაცი დამელაპარაკა... მე ისევ პატარა მეგონე... მაშ, მამა ჩამოვიდა!

— ჰო, ჩამოვიდა.

— მაგით გამახსენდა, ვინც იქნებოდი, თორემ რას ვიფიქრებდი... თქვენები როგორ არიან?

ვიცოდი, რომ მკითხავდა და გული მომეწურა.

— ბებია — კარგად, დედაჩემი...

— რა ბიჭო, ცუდი ხომ არაფერი... — დადაბლებული ხმა სადღაც გაეპარა.

— დედაჩემი აღარ არის, შარშან გარდაიცვალა.

— უჰ, ეგ რა მითხარი, — მუხლზე გამეტებით დაირტყა ხელი და ისე დანაღვლიანდა, თითქოს სისხლით ახლობლის ცუდი ამბავი გაიგო, — როგორ, რანაირად, აღარა აქვს ღმერთს სამართალი?.. უჰ, უჰ... — იმეორებდა სახემოჭმუხნილი.

ავტობუსი გაჩერდა.

— ჩავიდეთ!

— სახლში მელოდებიან, სხვა დროს...

— სხვა დროს სხვა იქნება. საღამოს მანქანით აგიყვან! — მიბიძგა კარისკენ.

ლეკვიც ჩამომყვა.

—ესეც ჩემთან არის... ქუჩაში ვიპოვე და სოფელში მიმყავს, ძაღლს ქალაქში რა უნდა...

ვალიკოს სევდიანად გაეღიმა და ეზოში შეგვიძღვა.

სამი შვილი ჰყოლია — ორი ბიჭი, ერთი გოგო. ძალიან კარად შემხვდნენ, გამაშრეს, მაქეიფეს და უფროსი ბიჭი, ნუგზარიც მოვიდა მანქანით. იმან წამომიყვანა, ვალიკო აღარ გამომყვა, ადრიანად სამსახურში უნდა გამოვცხადდე, როგორც კი მოვიცლი, უეჭველად გინახულებთო.

— ნუ გეშინია, ცუგა, ხომ ხედავ, ქალაქში მარტო „კოდალ კოდალოვიჩები“ არ ცხოვრობენ, აქ არის ნიკო, თინა, ძია ვალიკო, შოთა აბულაძე... კიდევ, ვინ იცის, რამდენი კარგი ადამიანია, ჩვენ რომ არ ვიცით... — ველაპარაკებოდი გამძღარ, თამაშის ხასიათზე მოსულ ლეკვს და ნუგზარი იცინოდა...

— „სატრაბახო კაცო“, მოდი, ახლა თავს ნუ მიაკლავ, — დამიძახა მამაჩემმა.

ვერც კი გავიგე, ბაბალე როდის მოვიდა, ჩრდილში გაზეთი გაუშლია და შუაში პირდაპირ ქოთნით ჩაუდგამს ლობიო. გარშემო შოთები, ყველი, ნივრის მწნილი და მეტი რა გვინდა? არაფერი! „კოდალოვიჩს“ ბევრი ფული აქვს, მაგრამ ეს „სიამტკბილობა“ ვერ უყიდია. ვერც იყიდის!

„ორივე არ მოინდომა, იმ ოხერ-მამაძაღლმა!..“

— მიწა ჯერ კიდევ გრილია, არ გიხამოს! — უთხრა ბაბალემ და მამაჩემიც დამჯერე ბავშვივით მაშინვე წამოჯდა.

— ჩამოცხა, ალბათ იწვიმებს.

— დათესვა გვაცალოს და, მერე მოუხდება კიდეც, — ახედა ცას ბებიაჩემმა კავკასიონის მხრიდან თეთრად გაფოფრილი ღრუბელი რომ მოსდგომოდა.

— ცოტაც დაისვენეთ და საქმეს ვეწიოთ...

მამაჩემმა პაპიროსს მოუკიდა.

— ნეტა გულ-მუცელს არ იბუგავდე... ამოვარდეს მაგის მომგონი, რა სიამოვნებას ხედავ, ვერ გამიგია! — აბუზღუნდა ბაბალე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— გასინჯე, ეგებ მოგეწონოს, — თვალი ჩამიკრა მამაჩემმა და კოლოფი გაუწოდა.

— კარგი ერთი, მომაშორე თავიდან... წარმოვიდგინე ბაბალე რომ პაპიროსს აფუილებს და სიცილი ამიტყდა.

— იცინე, ამის ჯანმრთელობა ისევ შენ გჭირდება! — დამექადნა, — თორემ მე უკვე მოვჭამე ჩემი წუთისოფელი... არაფერს ჩემსას არ გაიგონებთ, წაიტეხთ კისერს და მერე გიკვირთ, რათაო, — კვნესით აიტანა წელი, — მეც აღარ შემიძლია, იმ ქათამივით არის ჩემი საქმე, „ძროხა დაკლეს — მე წამაკლეს, ცხვარი დაკლეს — მე წამაკლესო“, რო ჩივის...

— დედა, რა მოგივიდა...

— დავიღალე! აღარა ვარ, გაიგეთ? უეჭველად გულხელი უნდა დავიკრიფო, რო დამიჯეროთ?.. მთელი ღამეები ხველება მახრჩობს, ვიტანჯები, გული მეგლიჯება... ფერი შენ არა გაქ და ხორცი. გადააგდე რა, ეგ სატიალე, სხვას ხო არაფერსა გთხოვ...

— რაღა მაქვს, მეტი რა უნდა მომთხოვო, — წკიპურტით მოისროლა ნამწვი.

— თუ ჯავრს ასე თავს წაუღუნავ, არც გექნება, — სიბრალულით დაუყვავა ბებიაჩემმა.

მამაჩემმა წარბი შეიკრა, მაგრამ არაფერი უთქვამს, სასხლავი აიღო და ნაბარში გადავიდა.

— მარტო მე რო მალაპარაკებ, ხმას ვერ ამოიღებ? — მისაყვედურა ბაბალემ. — გაგიგონია, ღამეც კი იღვიძებს მაგის მოსაწევად. დადგება დერეფანში და როდის-როდის შემოვა. წასთვლემს ნახევარ საათს და კიდევ... მაგის ჯანს ეგღა უნდა? შენ უფრო დაგიჯერებს, ერთბაშად ალბათ ძნელია, მაგრამ ცოტა-ცოტა მოუკელითქო... ისეთი იყო, რკინას გაკვნეტდა, ახლა ხო ხედავ, რას დაემგვანა...

მამაჩემმა ხელი დამიქნია.

— ნახე? ნიშანი გამოუტანია... რამდენიმე წელიწადში გამართული ბაღი გვექნება, — ვაშლის ნამყენთან დაჩოქილს თვალები უბრწყინავდა.

მე მისი სიხარული გამეხარდა, თორემ, ნიშანს როცა იქნებოდა, გამოიტანდა, აბა, რას იზამდა...

ჩემი წასვლის დროც მოვიდა, — ხუთ საათზე ნაციხართან უნდა შევხვდე თამრიკოს, წუხელ ასე დავთქვით.

— საით, დათესვას არ გვიშველი? — მეკითხება ბაბალე.

უსიტყვოდ ვუწევ ყელს, ოღონდ ახლა გამათავისუფლეთ-მეთქი და გავრბივარ...

დღეს, ხვალ, ზეგ... როცა იქნება, მაინც დავწერ მამაჩემზე. მთავარია, დახურული გული გახსნას, სხივი შეუშვას და ალაპარაკდება... ოღონდ დრო არის საჭირო, რათა განთავისუფლდეს, სხეული კი არა, სული გამოიხსნას პატიმრობიდან... მაშინ დავჯდები და დავწერ. დასაბეჭდად არა, ჩემთვის, იყოს, რა ვიცით, რა ხდება, იქნებ დადგეს დრო და აღარავის ვეჩვენო მთვარიდან ჩამოსულად...

ფიქრში გართულს, ვიღაც წამომეპარა და თვალებზე ხელი ამაფარა. ცხადია, თამრიკოს თითებს თვალდახუჭულიც ვიცნობ.

— რომელი ხარ? — მაინც ვეკითხები.

— აბა, გამოიცანი! — ხმას წაუწვრილა.

— ნესტან-დარეჯანი...

— არაა!

— „მისი სახელი — თინათინ, არს ესე საცოდნარია!..“

— არც ისა!

— ღმერთო, ნუ გადამრევ!.. აბა, ვინა ხარ? — გავიოცე.

იმავ წამს ლამის მართლა გადავირიე — კისერზე მაკოცა და გაიქცა...

მოიხედა, ძალიან გაუკვირდა, უკან რომ არ მივდევდი, მობრუნდა, ჩამომიჯდა, თავი გვერდზე გადახარა, ნაწყენივით გადმომხედა და ყურზე ჩამოფარებული თმა გადაიწია, ბიბილოზე ჭიამაიასავით განაბული საყურე დამანახვა.

— იცი, რაზე ვფიქრობ? ფეხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მოკვეთილი მქონდეს, ადგილიდან ვერ ვიძვროდე, მაინც გეყვარები?

— მეყვარები, — შეშფოთებით დამხედა მუხლებზე.

— არც ხელები და ცალი თვალი? — ორივე ვერ გავიმეტე.

— კარგი, რა...

— მართლა გეკითხები!

— ოოჰ!. პირიქით რომ მოხდეს? — დამიბრუნა კითხვა.

— პირიქით არ შეიძლება!

— დავუშვათ...

— არა-მეთქი, მაშინვე თავს მოვიკლავ.

— ასეც ვიცოდი, თავს მოიკლავ და მიმატოვებ უპატრონოდ.

„ყოჩაღ თამრიკო!" — გამიკვირდა, ეს ხომ მართლა საკუთარი თავის შველა იქნებოდა.

— გასაგებია, არ მიმატოვებ, მაგრამ არც მიღალატებ ხელფეხთვალებიანებთან?

— რა თქვი? — სახე აენთო და ხელები რომ არ დამეჭირა, ყელში წამწვდებოდა.

სიტყვა „ღალატმა" მეც ყური მომჭრა, ვერ გავიგე, საიდან მოეთრა, დაუპატიჟებელი სტუმარივით, იქნებ ტურფას საწოლიდან ამყვა და ახლა შხამივით დაეწვეთა?

ხელები გამაშვებინა, განზე გაჩოჩდა, ყურს უკან ისევ გადაირკალა თმა და მუხლებზე შემოხვეულ მკლავს ნიკაპით დაეყრდნო.

— შენზე გაბრაზებაც არ შეიძლება, — თქვა წყნარი, მაგრამ გაღიზიანებული ხმით.

— მერედა, რატომ ბრაზდები, ჰა, — დავუცუცქდი წინ, — მზეთუნახავთ-მზეთუნახავო, რა ჰქვია იმ ბედნიერ ქვეყანას, სადაც შენ დაიბადე!.. მიბრძანე და მე და ჩემი უძლეველი ლაშქარი, ფეხქვეშ გაგიგებთ...

— ტრაბახა, — თვალები მე რომ მიყვარს, ისე მოწკურა, — ენა რომ არ გქონდეს...

— მერე და, ენა უბრალო რამე გგონია?.. „როგორ გეკადრებათ, ჩემო ბატონო, ნაციხარი ნაციხარია, ბიოგრაფიიდან შავ ლაქას ვერ ამოშლი, მოფრთხილება უნდა, ვერც ტანსაცმელივით გამოიცვლი... დიახ, ასეა!.." ხედავ, ენა რა ვაჟკაცია, — შუბლი შუბლზე მივაყრდენი და განცვიფრებულ თვალებში ჩავხედე, — მერე, როცა ერთად ვიქნებით... მატარებლით რომ წავალთ შორს, ძალიან შორს და უკან დავბრუნდებით, რაც არ უნდა მოხდეს, მამაჩემს არაფერი აწყენინო, გეხვეწები... შენ არ იცი...

— ვიცი, დათო, როგორ არ ვიცი, — წაიჩურჩულა მომფერებელი, მზრუნველი ხმით და თვალებში ცრემლი აენთო.

„დიდი მადლობა, მაგ წმინდა ცრემლისათვის, ჩემო მზეთუნახავთმზეთუნახავო, მიბრძანე და მე და ჩემი უძლეველი ლაშქარი..."

●

პირის პარსვას მორჩა, სამართებელი დაკეცა და ბუდეში ჩადო. პირსაბანში წყალი ჩავამატე.

ყურისძირიდან დაწყებული ნაჭრილობევი ბეჭამდე მიჰყვება. ხელი გავუსვი და თითქოს ბზარში ჩამყვა თითები.

ამომხედა, სველი, ნაღვლიანი თვალებით, გამიღიმა და პირსახოცი საჩქაროდ აიფარა. სიმინდებს რომ ვწვავდით, ალბათ თვითონაც ის გაახსენდა...

ბებიაჩემმა თეფშით ცხელი შეჭამანდი დაგვიდგა. მამაჩემმა ხმელი პური ამოარჩია, ჩაამტვრია, ჩაალბო.

— რბილი აიღე, შვილო.

— ეს მირჩევნია.

—ეჰ, ბაბალე, ამ ბოლო დროს ძალიან გაძუნწდი.

— რამე დაგაკელით? — გადახედა სუფრას.

— კაცს იქნებ ერთი ჭიქა არაყი ესიამოვნოს, — ვანიშნე მამაჩემზე.

— თქვენ კარგად მყავდეთ და...

წინადადება არ დაემთავრებინა, რომ ღია ფანჯრიდან თეთრი მტრედი შემოფრინდა, იტრიალა, იფარფატა ოთახიდან ოთახში, კარადის თავზე ლამპას გამოედო და შუშა წკრიალით დაიმსხვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი ნიშანია! — მამაჩემმა ფანჯრიდან გაფრენილ მტრედს თვალი გააყოლა.

მე და ბებიაჩემმა ერთმანეთს გადავხედეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს, — დედაჩემის გარდაცვალების დღეებში ეზოს შავი მტრედი დასტრიალებდა. დავკრძალეთ და ისიც გადაიკარგა...

●

გამოზიდეს აივანზე ყვავილის ქოთნები, გამოაბრძანეს ნაზამთრალი არტემაც. უფრო ყოჩაღად გამოიყურება, ვიდრე შარშან, ფეხის წვერებზე თუ არ დგება — სავარძელში ჩასვენებულ მიცვალებულს მაინც არა ჰგავს, ხელებს ამოძრავებს და ხანდახან თავსაც კი ატრიალებს.

— ჩქარა, ხალხო, — გაჰყვირის ხმაჩახლეჩილი ბრიგადირი, — დავაღამეთ და ეგ არი, ადით დროზე... ჰოი, აბდაუბდა, როდემდე უნდა გწყდებოდეს წელი, გაგიტკბა ლოგინი?..

ჩვენებურები ბორტდაშვებულ მანქანაზე ჯერ თოხს შეაგდებენ და მერე თვითონ ადიან, ზანტად, უხალისოდ.

დოინჯშემოყრილი აბრია ბოძს მიჰყუდებია და მზესუმზირას ფქვავს.

„ანდროს ცხენი ხომ მოარჯულეს?.. მოარჯულეს და მერე როგორ!.. ჩემი რიგიც დადგება, ჩამოივლის, ყვირილითა და გინებით ბრიგადირი — ისეთი ხმა აქვს, ქვემოსოფელში შიშით აკანკალებთ, — ჩამოივლის და დილის ძილს გამომტაცებს. ფაცხაფუცხით ჩავიცვამ, დამნაშავესავით გამოვვარდები და ბორტდაშვებულ მანქანას ასასვლელად ავებღოტები, ერთი დედის ნაშობებივით მზეზე თმაგახუნებულ, გულგაწყალებულ თანასოფლელებთან დავდგები და... არა, არ შემიძლია... არა-მეთქი!..“

— წავედით!

— ნელა ატარე ხოლმე, ბიჭო, საქონელი კი არ მიგყავს! — გადმოსძახა კოჭლმა მიხამ.

— ვითომ უკეთესები იყოთ! — აბრიამ ბორტი აკეცა, ურდული ღრჭიალით გადაუყარა და მანქანა დაქოქა.

— ცოტასაც გაცლიან და დაგიძახებენ.

— უშრომლად არაფერი მოვა... ფიცრები მორჩა?

— ჰო, რამდენიმე სტრაფილიღაა.

— ეგენიც ჩამომაწოდე... რა კარგად შენახულა, — ხელი გაუსვა კედელზე აყუდებულ ფიცარს, — მეგონა, ჭია გაუჩნდებოდა...

უცებ არაადამიანური ბღავილი მომესმა, დასაკლავად ყელგადაწეულმა საქონელმა რომ იცის, ისეთი, ენაგადმოგდებული, თვალებგაფართოებული არტემა წამოიწია, ჰაერში ხელი გაასავსავა, თითქოს რამეს უნდა ჩაეჭიდოსო. სკამიდან გადმოვარდნილი პირქვე დაეცა და უხერხულად ამობრუნებული მკლავები ეგრევე გაუნძრევლად დარჩა.

— მამა! — ვიყვირე მეც.

— რა მოგივიდა! — ამომძახა გაფითრებულმა, მაგრამ ისე შორიდან მომესმა, ძლივს გავიგონე.

თვალები ამიჭრელდა, აივნის ბოძები ერთმანეთს შეასკდა, გადმოცვივდა ყვავილის ქოთნები, დაიჭექეს კოჭებმა, წამოვიდა წასაქცევად აბარბაცებული კედელი და სადაც იყო, არტემას დაემხობოდა, დაიტანდა, დააბრტყელებდა თავის სკამიანად.

— არ გესმის, რა მოგივიდა-მეთქი! — გამიმეორა მამაჩემმა.

თავბრუსხვევამ გამიარა, ბოძები და ყვავილები ისევ თავ-თავის ადგილზე იდგა.

აივანი ქალების კივილით გაივსო. თამრიკოს ბიძამ ფეხებში გამოდებული სავარძელი ეზოში ისროლა.

ძლივს ჩამოვედი.

— მოკვდა არტემა... არტემა მოკვდა! — უაზროდ შევაჩერდი ხან ერთს, ხან მეორეს.

— რაღა შენ დაინახე... დაჯექი, აჰა, წყალი დალიე!

ორიოდე ყლუპი ყელში წვალებით გადავიდა.

ბებიაჩემმა ხელები დაისველა და საფეთქლები დამიზილა.

„ნუთუ ასე ცუდად ვარ... თამრიკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ვერ დავინახე!.. „არაფერს ამბობს, ტირის მხოლოდ, ტირის და ტირის...“

— სად მიდიხარ? — გადამიდგა მამა.

— თამრიკოსთან...

— რით ვერ შეიგნე, მაგ სახლთან არაფერი გვესაქმება.

— მე თამრიკოსთან მივდივარ!

— არტემას ჯიშია, ძაღლყურძენა მარწყვს ვერ დაისხამს... შენზე მეტი მიცხოვრია და ვიცი.

— გაუშვი, ახლა მაგას ჯაჭვით ვერ დააბამ, ეგ კიდევ შენი ჯიშია!.. წადი, შვილო, წადი, — დაყვავებით მითხრა ბებიაჩემმა.

მამამ ამოიოხრა, ხელი ჩაიქნია, რაც გინდათ ის ქენითო და ზურგი შემაქცია.

გზა თავისუფალი იყო, მაგრამ რაღაცამ გამბორკა, ნაბიჯი ვერ გადავდგი.

— მამა!

ხმა არ გამცა.

— სხვანაირად არ შემიძლია, მამა!

— მეც მაგას ვჩივი... — შემობრუნდა, ათასგზის ნაწამები მზერით ჩამებღაუჭა. ამ მზერაში იგრძნობოდა სასოწარკვეთილება, ცხოვრებისაგან ჩაწიხლული, განადგურებული კაცის უსუსურობა, მორჩილება, ძალით შეგუება. სადღა იყო ის კაცი, დედაჩემმა რომ დამიხატა, შეუვალი, მტკიცე, ძლიერი.

„ეჰ, ამირან, ეჰ, ეჰ, ეჰ!..“

არტემა უკვე სახლში შეეტანათ. აივანზე თამრიკოს მამას და ბიძას სახლიკაცები შემოხვეოდნენ, რაღაცას თათბირობდნენ, მეზობლის ქალები ეზოში დაფუსფუსებდნენ, ერთმა დამტვრეული სავარძელი წაათრია, საძაღლის უკან მიაგდო, თვალს მოაფარა, როგორც უსარგებლო ნივთი, როგორც მძიმე, უსიამოვნო გახსენება, მეორემ სველი ცოცხი დაფერთხა და კიბის ჩამოგვას შეუდგა, მესამე ხელურემს მიაგორებდა... ყველას თავისი საქმე ჰქონდა, თამრიკო მარტო იდგა თუთასთან, თვალებდაწითლებული, გაოგნებული, დაბნეული, გარიყულივით საცოდავი...

გაოცებული ჯერ მე დამაცქერდა, მერე აივანზე, მრისხანედ კოპშეკრული მამისკენ გააპარა თვალი.

იქ მყოფები ჩემმა გამოჩენამ უფრო შეაცბუნა, ვიდრე არტემას სიკვდილმა, გაქვავდნენ, გაშრნენ, ისინიც აივანს მიაჩერდნენ. ცხადია, აივნის გულმოწყალების იმედი არ უნდა მქონოდა, მაგრამ მაინც თავდაჯერებული მივდიოდი, ვუახლოვდებოდი ჩემს ყვავილივით მოწყენილ სიყვარულს, რომელიც მხოლოდ მე მეკუთვნოდა და არტემაც რომ წამომდგარიყო, ვიდრე პირში სული მედგა, ვერ დამათმობინებდა.

—წამოდი! — ჩავკიდე ხელი.

ბავშვივით მორჩილად გამომყვა, თითები მოხერხებულად ჩამიკუჭა მუჭში, თავაწეულმა ოდნავ გაიღიმა და მეგონა მითხრა: — „ოი, რომეო, ო, რომეო, რად ხარ რომეო?..“ თუმცა, აბა სხვა რა უნდა ეთქვა!

ღია ალაყაფისკენ მიმავალი გზა უსაშველოდ გაგრძელდა, გაიწელა. ველოდით, როდის დაიქუხებდა აივანი, როდის იგრგვინებდა მეხივით და დაგვწვავდა, ნაცრად გვაქცევდა.

აივანი დუმდა, არც უცდია სამარისებური სიჩუმე დაემსხვრია, გაკვირვებული მორჩილებით გადმოყურებდა ჩვენს აუჩქარებელ მსვლელობას, მოაჯირს ჩაბღაუჭებული კაცები ლაგამივით ხრავდნენ ბოლმას, მაგრამ იმასაც გრძნობდნენ, რომ დააგვიანეს, გავედით მოჯადოებული წრიდან, გავასწარით.

როგორც იქნა, გავცდით ეზოს, გაოფლილი შუბლი მოვიწმინდე და საყელო მოვიხალვათე.

შემოფეთებულმა ტურფამ ახუტებული ბავშვი ძირს დაუშვა.

კატო მკითხავმა ჩვენს დანახვაზე პირჯვარი გადაისახა.

ლავრენტამ ჩამოფხატული ცილინდრი აიწია და შუბლზე წითელი ზოლი გამოუჩნდა, აკი ვთქვი, უჭერს-მეთქი.

სოფელი მორიგი სიკვდილის მოსასტუმრებლად მოდიოდა. მოიჩქაროდა

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფქვილით გაგუნგლული წყალობა, ჩულივით უწყინარი დაუშტვინე, სკამივით აკორიკავებული, ნასვამი ჟორჟიკა და სუფთად პირგაპარსული ნოქარი. მოდიოდა ყველა, ვინც კი აბრიას მანქანას დარჩა სოფელში...

—იცი, რა საცოდავი იყო... როგორც ფრთაგაფარჩხული, გასრესილი ჩიტი.

— ადამიანი ჩიტივით კვდება!

— დღეა და მეშინია... შენ?

— მე ერთხელ უკვე შემეშინდა, თანაც ისე ძალიან, რომ დამავიწყდა შიში როგორია,— დედაჩემის საფლავთან სკამი გადავწმინდე, — დაჯექი! როცა შენ ტირი, მგონია, მდუღარეში ვიფუფქები, — მოვწმინდე ცრემლი, — მე თუ მოვკვდი, არ იტირო, მართლა გეუბნები, არც შავი ჩაიცვა... ვერ ვიტან, მძულს, აღარ მინდა...

— გაჩუმდი!.. იცი, რამდენჯერ მიფიქრია შენ სიკვდილზე? იცი, რა ძნელია ამის გადატანა?..

— ვიცი... გეყოფა, ხომ ხედავ, რომ ჯერჯერობით ცოცხალი ვარ! — გულაჩუყებული მივიკარი და ძლივს დავამშვიდე...

სოფელს თავის გზა აქვს, სიკვდილით სიცოცხლე არ მთავრდება, აჭრელებული ბაღებით, თეთრად ანთებული ტყეშლებით თავს იწონებს და ვიცი, არც „ჩიტივით“ გასრესილ კაცის სევდას გაიყოლებს დიდხანს, მომავალში თუკი გაიხსენებს — ალბათ უფრო უცნაური სიკვდილის გამო, შემზარავად რომ გაბღავლა, ამცნო თავის მოწყენილი სიცოცხლის დასასრული და... ჩაკვდა, გაათავისუფლა ყვავილებით გამხიარულებული აივნის ერთი მოწყენილი კუთხე...

ორივემ დავინახეთ — ეზოდან ივანე გამოვიდა, აკეცილი სახელოები ჩამოიშალა, გზადაგზა შეიკრა, ჩაიტანა წელთან ამოშლილი ხალათი და სოფლისაკენ სირბილით დაეშვა. ეტყობა, ხმას არ დაუჯერა, უნდა თავის თვალით დარწმუნდეს ნამდვილად მოკვდა თუ არა არტემა.

თამრიკოს ჰგონია მწუხარება მიარბენინებს და მადლიერი მზერით მიაცილებს, არ იცის, ამ დღეს როგორ ელოდა ივანე...

არ იცის და არც არასოდეს ვეტყვი!

დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაილი ნეკერიშვილი

●

შემომაბრუნე ამ მზიანეთში,
ამ ხასხასა გაზაფხულში,
ამ სიხარულში,
შემომაშველე სიყვარული,
შემომაბრუნე,
სულის შებერვით გამაცოცხლე,
ამაყვავილე.

●

ამ გზას, ამ ხეებს ახლა
თითქოს
ჩემს თავს ვუტოვებ
ეს ყვავილები, ეს სახლები,
ეს სახეები,
უძვირფასესი საჩუქარი — ეს
სიყვარული,
სუნთქვა მსუბუქი, ხელის გულზე
შუქის სიცილი.

●

ქვეყანა დაიფარა მწვანე ფოთლებით
და დიდი თეთრი ყვავილების
თაიგულებით,
გაბრუებული დავდივარ გაზაფხულით,
ხელის გულებზე მკოცნიან პეპლები,
ცა აიწია, წავიდა. გადადის.

●

მე პატრონი ვარ ასე დიდი
მემკვიდრეობის:
პატარა სახლის, პაპის სახლის,
კოხტა ვენახის,
ალვის ხეების, ჭანჭურების,
ჭალის ჭინკების,
ღვთისმშობლის, წმინდა გიორგის,
მშვიდი სოფლის, მზიანი ქართლის,
სუნთქვის — წარსულის, სიხარულის —
ზაფხულის დილის.

●

როცა ათი საუკუნის წინანდელი
კაცის ხელებით
შემოდის შენში შენი სამშობლო,
მისი სუნთქვით, მისი სისხლით,
მისი სიცილით
რა მახლობელი,
რა ძვირფასი ხდება
სული,
თითქოს შენი, აწ გარდასული.

●

ყველაზე ძლიერ მე ზღაპრების
დაკარგვას ვდარდობ.
ვინ მომცემს ისევ სიმაღლეს ბავშვის.
ველებზე მწვანე შუქით სავსე კარვების
დროშებს,
დროშებს სინაზის და სილამაზის.

●

სად წავიდნენ ბეჰემოტები?
ძვირფასო ბავშვო,
ისინი ახლა გულის ძილში ხედავენ
სიზმრებს,
უდაბნოს ქარებს, მლაშე მდინარეს,
საშიშ სამშობლოს, თავისუფლებას,
ნაპირიდან ნაპირზე გასვლას.

●

ვილაპარაკოთ სიყვარულზე ისევ და
მარად,
როგორც მშვენიერ სამკაულზე,
ბავშვზე, წვიმაზე,
როგორც ჰაერში დაკიდებულ წმინდა
ტაძარზე,
რომელსაც სუნთქვით აჩერებენ
მსახურნი მისი.
ვილაპარაკოთ, დაგვდიოდეს
თვალთაგან ცრემლი,
აიკეცოს, ოქროს აგური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

შენ აქ მოხვედი იმისათვის,
რომ მშვენიერი სიტყვა გეთქვა —
თავისუფლება
და სილამაზე მოგეტანა ჩვენთვის
საჩუქრად,
უფრო ძვირფასს სხვას რას მისცემ,
ადამიანებს გზაზე მიმავალთ,
თვითონ წამსვლელი, თვითონ სტუმარი.

●

გულით მინდა წავაწერო
ჩემი სახელი
ამ მშვენიერ ზღაპრულ ველებს,
ასწლოვან ხეებს,
ამ სიხარულს სილამაზისას,
მაგრამ ხელები მიკანკალებს,
ვიცი, ვერ შევძლებ.

●

სანამ ვიცოცხლებ მე ასე მინდა:
ვქარგავდე მუდამ ფერად იალქნებს,
გემს ჩემსას ერქვას — დღესასწაული,
მიმოცურავდეს სიცილის ტბაზე,
ამსუბუქებდეს დამძიმებულ გულს,
მშვენიერებას უღებდეს კარებს.

●

შემკითხე — ეს მამული ასე ჭრელი
შენ ვინ გაჩუქა?
ოქრო მინდორი, ზურმუხტებით ნაჭედი
მთები,
ღამე ზღაპარი, ჯადოქრობა და
სიყვარული,
თეთრი ალამი, ეკლესია ნუში და
ფშატი,
გაზაფხულით ავსებული ქვეყნიერება.

●

ეს მზიანი დღე სიყვარულით უნდა
გავავსოთ
ზეცის თაღამდე და მის ზემოთაც,
იდგეს იგი, ისე მშვიდი და
ძვირფასი, როგორც ჰაერი

●

წამომაყენეთ ფეხზე თქვენი
მშვენიერებით,
თქვენი სიმაღლით მასულდგმულეთ
და გამადიდეთ,
რომ სილამაზის და სიცოცხლის
პატივისცემით,
უკურნებელიც ძლიერი და მშვიდი
გამხადოთ.

●

მინდა ყოველთვის მოგყავდეს პური,
რომ სიმშვიდე შენი წილი ხელის
გულზე გეფინოს მუდამ,
არ ღალატობდე უპირველეს სიმდიდრეს
შენსას
არა გქონდეს ხელი გაწვდილი,
ათას წლობით მინდა იცოცხლო.

●

მე მენანება თქვენი ცრემლები
ამდენ უზომოდ შეყვარებულ თავის
ქალასთან,
რომელთაც მშვიდი საბუდრები
ამოირჩიეს,
და უნებართვოდ გადაიტანეს,
მიტოვებულ კუნძულებზე, ფერად
ლოდებთან,
სადაც ეცემა პაწაწინა მეტეორები.

●

შორეულ კოშკში სარკმელთან
ვიწვი.
რკინის დევებით ტყე არის სავსე.
მძიმედ სუნთქავენ ფოთლები სველი,
მოვა აქ ნეტავ ოდესმე ვინმე?
ზღაპრების ფარდებს შეარხევს ქარი.

●

აქ არის ჩემი ნაწრთობი კერპები
მტვრისფერი ქალაქის
კოშკი ჯადოსნური, კედელი უტეხი,
რკინით შეჭედილი ძელქვა და მურყანი
კარიბჭე მდუმარი,
უქმად დაგდებული ლახტი და არგანი,
ცრემლით გაბზარული ციხე ცამცუმისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიორგი კაპანაძე

## მთვარით მიტოვება

(ფრაგმენტები პოემიდან)

I

ვისაც გინება
დაუკარგე
და განეცხადე,
როდის იქნება,
სამუდამოდ აღსდგეს ოსანით?
განწვალებული,
დათოვლილი
მზეების ლანდით,
ჩემში ცახცახებ
მიუსაფარ-შეუმოსავი.

მილურსმულ ხელებს
მიეფერე,
თვით ეთაყვანე,
შენს წინ ცახცახებს
ზამთრის სარკე,
სპეტაკ-ელამი.
იასამანის გარიჟრაჟმა
დამარხა მთვარე,
დანახულია,
დედა, შენით
მარადი წამი.

II

აჰა, მოსულა
სიხარული
გარდაუალის,
სათიბებით და ყვავილებით
აწ კურთხეული,
დავიწყებისკენ ყველაფერი
მუდმივ უარით
და სარკეებში ალანდული
ქარის სხეული.

შეწუხდა მინა
სერაფიმის,
გამჭკნარ ჩალებით.
„მოვალ" ვიღაცა
დაიკივლებს
წარსულის ლანდი.
დედა,
წამება
მარადია შენი თვალების
და ხელებიც
დატანჯული
სინათლის ბარდნით.

III

ესაა, რასაც იხსენებდი,
თუ იხსენებდი,?
ქარის ხსოვნაში
წეროები
გაშლიან რკალებს.
დამარხულია
ეს საღამო
ელვის ჭენებით,
ცა ასპიროზით
გარდასულა
ქაოსებრ გარეთ.

რამეთუ ბრმად გჭვრეტ,
სიყვარულით,
ჟამით-უჟამოვ,
მარგალიტების სიხარულად,
უკუნის კრთომად.
შენკენ მოილტვის
განდეგილი,
დღით განძარცვული,
დედა, შენი ხმა
ეფარება ამაო მტრობას.

IV

ასე დამდაბლდი:
უღონიო,
ქვეყნად მხეტებელ,
ოდენ სიკეთედ მიდრეკილი,
მხილებელ არის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესაა, რაც რომ
გაანათე და დააბნელე,
დიდება მტვერით
დაიმოწმე და
ყოფნა ქარით.

ოქროდ წათვლემილ
სექტემბერზე
მეხის სიბრმავე,
უსაშველობით დატყვევება
ქცეულა ჟამად.
ეპოტინება
შენი ლანდი
დაგმანულ კარებს
და ცრემლებს,
დედა,
მთვარით დავსილ
თვალებით ნამავ.

V

გადავერცხლილა სექტემბერი
ფოთლების ლანდით,
შემომყეფავენ
ქაოსები
აბურძგნულ თმების.
ქარის ფანჯრებში
შენი სახე
უფროა ცხადი:
მივიწყებების,
ეტლებისა,
ურიცხვ ხომლების.

უუძლურესი ყოფნა შენი
(ყოფნა ნეტარად),
და გარდამოხსნის ფირუზების
გუმბათი მნათი,
მიტოვებულ სახლს,
დედა,
წერო კივილით ფარავს,
თვალებდავსილი მთვარე ადგას
უჟამოდ მნათი.

VI

იყოს დიდება
მიტევების
და მიტოვების,
კურთხეულ იყოს
შენი ყოფნა
საწუთროს მტვერად.
იავარყავი შენივ თავი
მთვარის რტოებით,
ერთი დღე
კრთება.
სამუდამო
დღის ეფემერად.

რა შემრჩენია?
გარნა მხოლოდ
მწირის არგანი.
მრწმენის აღდგომა
შენი ნათლით
და შეწყნარებით,
ლურჯია, დედა,
შენი ლოცვით
ავსილი ცანი,
მარგალიტები ციალებენ
ნათლის დალევით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**რევაზ მიშველაძე**

# ხათრიანი კაცი

უდანაშაულოდ კაცის დასჯა როგორ არ გამიგონია, მაგრამ რაც მე დამმართეს, ნამდვილად დასაწერი ამბავია, თუმცა, იქნებ, დასაწერადაც არ გამოდგეს, მკითხველს დაუჯერებლად მოეჩვენება. ორმოცდაორი წელი ისე მოვათიე ჭრა-კერვის კურსებზე ჭრის პედაგოგად, საყვედური რაა, ერთი საყვედურიც არ მიმიღია. სამმართველოში სიგელით დაჯილდოვებას და საპატიო გაცილებას მიპირებდნენ თურმე. ახლა ვიღა დამაჯილდოვებს, თითით საჩვენებელი გავხდი მთელს ქალაქში. მე შენ გეტყვი, ჭორიკანა ხალხი აკლია ქარათელეთს. მაშინვე მეთქვა სიმართლე, იცოცხლე კარგი იყო, გადავრჩებოდი ამ დავიდარაბას, ახლა აღარ დამიჯერებენ და ვინ იცის, იქნებ არც მაშინ დაეჯერებინათ. არა მჭირდა ჭირიო, ძალად ვიკარ ჩხირიო, ისეა ჩემი საქმე. გავჩუმდი და იმ გაჩუმებამ ისეთი კეტი მკრა, წელში ვეღარასოდეს გავიმართები. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, უბრალო რომ ვარ. ცოტა, პაწაწკინტელა დანაშაული მაინც მიმიძღოდეს და არ ვჩივი არაფერს.

თუ არ გეჩქარება, ძვირფასო მკითხველო, თავიდან დავიწყებ და წვრილად გიამბობ, რაც გადამხდა. ხოლო თუ გეჩქარება, სხვა (უფრო პატარა) ნოველა წაიკითხე. „ხათრიანი კაცის“ წაკითხვა სხვა დროისათვის გადადე. და თუ დროს ვერ გამოძებნი და საერთოდ არ წაიკითხავ, არც ამით დაიქცევა ქვეყანა.

ამ ორი თვის წინათ ჩემს ეზოში ვზივარ და ინდაურის ბჟიტებს (ქარათელეთის გარდა, სხვაგან, ყველგან ჭუკებს ეძახიან) ჯოხს ვუქშევ, ახლადამოყრილი კოინდარი რომ არ გადაჭამონ.

საშურა აბრამიძის ჭიშკართან ბიჭი დგას და კაი ხანია ამაოდ უხმობს მასპინძელს. რომელი ხარ-მეთქი, გავეხმაურე წამოუდგომლად. სტუმარი ახლა ჭიშკარს მოადგა. — გამარჯობა ალექსი ბიძია, აბრამიძისანები არ არიან სახლში, თუ იციო?

ვიცანი ჩიჩი გვილავა. მელენტის უფროსი ვაჟი. ჩემგან მეხუთე მოსახლეა. წესიერი ბავშვი იყო, სხვათაშორის, და საქმეც კარგად წაიყვანა. შარშან იურიდიული დაამთავრა და ჩვენს ქალაქში გამოანაწილეს, არ ვიცი, რა თანამდებობაზე. — საშურა ახლა გავიდა ამ წუთში და ვერ გეტყვი როდის მოვამეთქი. ბაბუცა ხომ მაიას ადგას თავზე თბილისში. ცოტა ხელი შეეშალა იმ გოგოს, გაიგებდი ალბათ-მეთქი. ასე რომ, სახლში მარტო საშურაა და საშურაც, ქე გითხარი, გავიდა, მაგი დღეს ფხიზელი აღარ მობრუნდება-მეთქი. თუ საჩქარო არაფერია, ხვალ დილით მობრძანდი, გვიანობამდე არ იღვიძებს-მეთქი.

— რაკი ასეა, თუ არ გეწყინება შენ უნდა შეგაწუხო და, თუ ჩემი ლექსო ბიძია ხარ, არ მითხრა უარიო, — დამეჯლანა ჩიჩი გვილავა. მაინცდამაინც კი არ მესიამოვნა, საშურას ალავერდი

ასე უცებ რომ გადმომილოცა, მაგრამ რას ვიზამდი, ბუიტები დავამწყვდიე და გვილავა შემოვიპატიჟე. შინ შემოსასვლელად არ მცალიაო. მელენტის ძემ, მოგეხსენებათ, ალექსი ბატონო, მილიციაში ვმუშაობ მეო. ღამის მორიგე ინსპექტორი გახლავართ ჯერჯერობითო. დიპლომიანებს გამომძიებლობაზე ნაკლები არ ეკუთვნით, მაგრამ ადგილი არ იყო და, სანამ გამოჩნდებოდეს, დავთანხმდი ღამის ინსპექტორობაზეო. ჩვენი მუშაობის ხასიათი გეცოდინებათ, თუ არავინ დავსაჯეთ და თუ ვინმე არ დავტუქსეთ, აქეთ დაგვსჯიან და დაგვტუქსავენო. გამიჭირდა და უნდა დამეხმაროთო. საშურასთან გამომიშვა მამაჩემმა (თქვენ ვერ გაგიბედეთ), მაგრამ საშურა შინ არ არის და, რომც იყოს, ჩემი თავი არ ექნება ახლა იმასო. რა მოუვიდა მაიას? არაფერი არ გამიგიაო. — რა და არ თხოულობს ის ბიჭი-მეთქი, მოკლედ მოვჭერი. — კი, მაგრამ ხომ გათავდა ეგ საქმე, ხომ წაიყვანა, ასე ვიცი მეო? — ხელს არ აწერს, ცალცალკე არიან ისევ-მეთქი. ისე უგემურად ვუთხარი, ვაგრძნობინე, ამ თემაზე საუბარი რომ არ მსიამოვნებდა. — ჰოდა, შეგაწუხეთ, ალექსი ბიძია, ასეთ უცნაურ საკითხზეო: ამ თვეში, ჩემი მორიგეობის დროს არაფერი ხელმოსაკიდი არ მომხდარა და სუფთა ჟურნალს რომ ნახავს უფროსი, შეიძლება დოყლაპიობისთვის საყვედურიც კი გამომიცხადოსო. შევადგენ პატარა აქტს, გაგატარებ ჟურნალში — ვითომ შენ; ღამის პირველ საათზე, წულუკიძის სკვერში, დებოშს ტეხდი და მილიციის მუშაკებმა მთვრალი სახლამდე მიგაცილესო. რას ვტეხავდი მეთქი? ჩავუღრმავდი, — ჩხუბსო, ამიხსნა, — ჩემი დათრობა და ჩემი ჩხუბი კაცს არ გაუგონია, თორმეტგოჯაზე წყლული რომ მაქვს, მთელმა ქალაქმა იცის, არ დაგიჯერებენ მაგ ამბავს, ისევ საშურას დაელოდე, საშურა გამოგადგება-მეთქი. რაკი ასეა, სხვა დანაშაული მოვიფიქროთ, შეწუხდა ჩიჩი; ვითომ შარდს აქცევდი შუაღამისას აკაკის ბაღში და მილიციელებმა წესრიგისაკენ მოგიწოდეს. შარდზე, ცოტა არ იყოს რომ შევყოყმანდი, დაუმატა: — ნუ გეშინია, ალექსი ბიძია, არც აქტს და არც ჩვენს დასკვნას, არავინ წაიკითხავს და ვერავინ გაიგებს. უბრალოდ ჟურნალში გავატარებთ, მუშაობაში ჩაგვეთვლებაო. იქნეც არც მოიკითხოს უფროსმა. ერთი წლის მერე ვწვავთ და ვანადგურებთ გატარების ჟურნალსო, აშკარად იცრუა.

გავბრიყვდი და შევჯექ ვირსაო, ხომ გაგიგონია. ავწონე-დავწონე და ჩიჩისადმი პატივისცემამ მძლია. რა მოხდა, ბოლოსდაბოლოს, ახალგაზრდა კაცს მხარში ხომ უნდა ამოვუდგე, მეტი რა ვართ ადამიანები ერთმანეთის. კაცის მოკვლაზე ხომ არ მიმოწმებს. დავიბრალებ ერთადერთხელ ჩემს ცხოვრებაში უადგილო ადგილას შარდის დაქცევას. ჯერ ერთი, როგორც ჩიჩი ამბობს, ჟურნალს არავინ ჩახედავს, და რომც ჩახედონ, ამ საქმეს არავინ გამოეკიდება-მეთქი.

ასე და ამგვარად, დავთანხმდი. აქტი იქვე, ჩემს ეზოში დაიწერა. „დანაშაულის ჩადენის“ შემოთავაზებული ადგილი; ჩემი თხოვნით, წულუკიძის სკვერით შევცვალეთ, რადგან აკაკის ბაღის ყველა კუნჭული მთელი ღამე განათებულია და საქმეს, რომელშიც ბრალი მედება, ვერ გავბედავდი. საათიც გადავწიეთ, ცოტა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ პირველი საათი, ორის ნახევრით შევაცვლევინე. ჩიჩი ჩემს რედაქციულ შენიშვნებს სიტყვისშემოუბრუნებლად ითვალისწინებდა, რისთვისაც ახალგაზრდა იურისტის მადლობელი დავრჩი. მოვაწერე აქტს ხელი და მე და ჩიჩი პირზე კოცნით დავშორდით ერთმანეთს. 1984 წლის თერთმეტი ივნისი იყო, რა დამავიწყებს.

არ გასულა ამ ამბის შემდეგ სამი კვირაც, რომ დირექტორი მიბარებს. მე და დირექტორი საბავშვო ბაღის ძმაკაცები ვართ, მოხარშულს მიცნობს. უდევს წინ რაღაც ქაღალდები და ხითხითებს. — როდის შემდეგ დაიწყე, ლექსო, ხულიგნობა შენო? — რავა რა იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთქი, ელდა მეცა. — შეტყობინებაა მილიციიდან მოსული, ზომების მისაღებად. შუაღამისას შარდის დასაქცევად წულუკიძის ბაღში რამ წაგიყვანა, შე კაცო, სხვაგან ვერ ნახე ადგილიო? ვფურცლავთ და ვათვალიერებთ მილიციიდან მოსულ შეტყობინებას. ჩემს ეზოში დაწერილი აქტისთვის ერთი საბუთიც დაუმატებია ჩიჩის. ზემდეგი ყრუაშვილი (რომელიც არასოდეს მინახავს და იქნებ ვერც ვერასოდეს ვნახო) სწერს: „მიუხედავად ჩვენი სიტყვიერი გაფრთხილებისა, მოქალაქე ჯიუტად განაგრძობდა დაწყებულ დანაშაულებრივ ქმედებასო. საქმეს რომ მორჩა, წინააღმდეგობა არ გაუწევია, დანაშაული ვერმოთმენის მოტივით ახსნაო. ასე რომ ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა არ დაგვჭირვებია. მოქალაქე ალექსი დარაბაძე მკაცრად იქნა გაფრთხილებული და პირობა ჩამოერთვა, რომ მსგავს დანაშაულს აღარ გაიმეორებსო“.

დირექტორს მაინც რაღაზე დავუმალავდი. ავდექი და ვუამბე: — ეს, ყველაფერი, სიცრუეა, მეზობლის ბიჭმა ჩიჩი გვილავამ მთხოვა და ხათრი ვერ ვავუტეხე. ალბათ შეტყობინება, მასთან შეუთანხმებლად, მექანიკურად გადმოაგზავნეს-მეთქი. სიცილისაგან მოგვრილი ცრემლები შეიმშრალა: — მე ვიცოდი, რომ შენ უადგილო ადგილას არ მოფსამდი, ალექსიო, აგაშენა ღმერთმა ინსპექტორის მხარდაჭერისთვის, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, რაღაც რეაგირებას რომ გვთხოვს მილიციის განყოფილებაო. — რა და თქვენც მექანიკურად მისწერეთ: „ზომები მიღებულია, ალექსი დარაბაძე გაფრთხილებულიათქო“, ეს ქაღალდი, თუ კაცი ხარ, არავის აჩვენო, თავი არ მომჭრა-მეთქი, შევადგინეთ იქვე რეაგირების ტექსტი; ვითომ მე ჭრა-კერვის კურსების პროფკავშირულ საერთო კრებაზე საჯაროდ გამკიცხეს და აღსაზრდელად ადგილკომის უჯრედს გადამცეს, გავგზავნეთ „რეაგირება“ მილიციაში და მეგონა; ამით ყველაფერი დამთავრდა-მეთქი.

თურმე ჯერ სადა ხარ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ხომ გაგიგონია.

ოცდაცხრა სექტემბერია, ჭრა-კერვის მუშაკთა რაიონულ შეკრებას ვესწრები. მომხსენებლად რაიონული გაერთიანების თავმჯდომარეა. მომხსენებელი ურიგო კაცი როდი გახლავთ, ახალგაზრდა, ენერგიული სპეციალისტია — გარაყანიძე. აგრონომიული აქვს დამთავრებული, ამბობენ ხარისხზეც მუშაობსო. სადგურის მორიგის პოსტიდან ჩვენთან გადმოიყვანეს, ერთი წელი არაა ჯერ. მოხსენების პირველ ნახევარს სხვა ვინ უსმენს, მე რომ მომესმინა. ჩამოჭიკჭიკა წარმატებები და რეგლამენტით გათვალისწინებული სამი წუთი ნაკლოვანებებს დაუთმო. „სამწუხაროდო, — თქვა — ჩვენს რიგებში ჯერ კიდევ მოიძებნებიან ადამიანები შეგნებულად თუ შეუგნებლად ჩრდილს რომ აყენებენ, ამ არნახული აღმავლობის ვითარებაში, ჩვენს წარმატებებსო. ალექსი დარაბაძე გამოცდილი, ღვაწლმოსილი მუშაკია და ვინ ელოდა, თუ ასე ამჩატდებოდაო. დარაბაძის უტაქტო მოქმედება ჩირქსა სცხებს ჩვენს ჯანსაღ კოლექტივსო. ეს ამბავი მწარე გაკვეთილად უნდა იქცეს არა მარტო თვით დარაბაძისთვის, ყველა ჩვენთაგანისთვის, საერთოდო“.

ერიჰაა, ესეც შენი ხათრი-მათრი. ცივმა ოფლმა დამასხა. ვიფიქრე, გამოვალ კამათში და ვიტყვი სიმართლეს. ამ ხალხს, როგორც ჩანს, მართლა დამნაშავე ვგონივარ-მეთქი, მაგრამ შენ არ მომიკვდე, დღის წესრიგი ისედაც გადატვირთული იყო და მე კი არა, წინასწარმომზადებულ მოკამათეთაგან ნახევარს არ მისცეს სიტყვა. არც „განცხადებისთვის“ დარჩა ჩემთვის ადგილი.

შეკრება რომ დამთავრდა, კეთროვანივით მიყურებდნენ ჩემი კოლეგები. ბევრს აშკარად ვძულდი, როგორც კოლექტივის შემარცხვენელი, ზოგი მალულად, შორიდან მითანაგრძნობდა. ერთმა გაბედა და მკითხა; რა ქვა გატეხე

---

**რევაზ მიშველაძე**
ნოველები

ასეთი, გაგვაგებინე, თუ კაცი ხარო. რომ ავუხსენი, ეჭვით შემომხედა და სწრაფად გამეცალა. ეტყობოდა, ერჩია უფრო დიდ დამნაშავესთან ჰქონოდა საქმე, ვიდრე უადგილო ადგილას შარდის უპრეტენზიო დამღვრელთან.

არც კი გამიგია, როგორ გავიდა ოცი უგემური დღე რაიონული შეკრებიდან. ჩიჩი ორჯერ შემხვდა ქუჩაში, მაგრამ პირი ამარიდა, რცხვენია ალბათ, ყმაწვილს რომ უნებლიედ ამ ყოფაში ჩამაგდო. მეც არ შევხმიანებივარ, ჩემს ჩაქანებულ საქმეს ჩხუბი და აყალმაყალი ვეღარაფერს უშველის. არ მინდა დავაყვედრო, განა თვით სურდა მოშარდვის ხაზით ქალაქში განთქმულ კაცად ვექცეე.

მოგეხსენებათ, ჭრა-კერვის მუშაკთა რაიონულ შეკრებას ამავე გაერთიანების საქალაქო შეკრება მოჰყვება ხოლმე. მე საერთოდ საქალაქო შეკრებაზე არ მიხმობდნენ (სუბორდინაციულად არ მეკუთვნის), მაგრამ მოსაწვევი ბარათი რომ მივიღე, გულმა რეჩხი მიყო. — ალბათ, საქალაქო გაერთიანების გენერალურ დირექტორს მოხსენებისთვის ფაქტი დასჭირდა, ჩემთვის თავს ვინ გამოიდებდა, ადგნენ და ჩამაყუდეს დირექტორის მოხსენებაში-მეთქი.

ისე აგიხდეთ ყოველივე კარგი, როგორც მე ეს საშინელი წინათგრძნობა ამიხდა. გატრუნული ვუსმენ მოხსენებას, დანა რომ დამისვა, სისხლი არ გამომივა. რეიგანის ლანძღვა-გინებიდან მომხსენებელი ჩემზე გადმოვიდა: „მაგრამ სავალალო ის არის, რომ ამ გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში, შინაც გვყვანან სახელის გამტეხნი. ქალაქის მოწინავე საზოგადოებამ აღშფოთებით დაგმო ჭრა-კერვის კურსებზე მომხდარი ფაქტი. ალექსი დარაბაძის დაუფიქრებელმა ნაბიჯმა ჩირქი მოსცხო ჩვენს სახელოვან უწყებას. რა გამოვიდა, ჭრის პედაგოგი დღისით თავის მოწაფეთა შორის სათნოებასა და წესრიგს ქადაგებს, ღამით კი, თურმე ნუ იტყვით, ასეთ საძრახის საქციელს სჩადის. ამაზე ითქმის „სახით მღვდელი და საქმით მგელიო“.

მომხსენებელმა ქვემოთ სხვებიც გააკრიტიკა, მაგრამ ვერ დავუკარგავ; ყველაზე შთამბეჭდავად და ხატოვნად ჩემზე შეჩერდა: მართალია, დარბაზიდან გამოსვლისას შეურაცხმყოფელი შეძახილები („არც კი რცხვენია!“ „ესეც იტყვის კაცი ვარ და ქუდი მხურავსო!..“) არავის დაცდენია, მაგრამ, ჟრუანტელი მივლიდა და ზურგი ისე მეწვოდა, თითქოს მათრახით ნაცემი გახლდით.

ავტობუსის გაჩერებამდე აჩა-ბაჩად მივედი. კეფა მეწვის, ეტყობა წნევამ ამიწია. ტროტუარზე მტრედები ფართხალებენ, ფრთებს ატკაცუნებენ და საკმარისია ერთმა მათგანმა გახურებულ ასფალტს ყასიდად ნისკარტი ჩაჰკრას, რომ ყველანი იქვე გაჩნდებიან და ისეთ კაკუნს ატეხავენ, გეგონება ბანზე გაშლილ ქერს მიაგნესო. სადღაც ჩანთაში შავი პურის ნაჭერი მეგდო მტრედებისთვის, მაგრამ ახლა ამის თავი არა მაქვს.

ოთხმა ნომერმა საერთოდ არ გააჩერა, ეტყობოდა გადატვირთული იყო. ზურგს უკან ორი მამაკაცი თითქოსდა განგებ, ჩემს გასაგონად იწყებს მასლაათს:

— ნახე დღევანდელი გაზეთი?

— კი.

— წაიკითხე „ვინ გვარცხვენს?“

—კი, მაგრამ მაინც ვერ გავიგე, რა დანაშაულზეა ლაპარაკი. დაწერე, შე კაი დედმამიშვილო, გასაგებად. სწერია, „ალექსი დარაბაძე ღამის ორ საათზე საზოგადოებრივი შეკრების ადგილას საძრახის საქციელს სჩადიოდაო“. რაზეა ლაპარაკი, რას აკეთებდაო, თუ ღმერთი გწამს?

— ამდენს ვერ უნდა მიხვდე? ქალზეა ლაპარაკი, ყველაფერს ხომ არ ჩაგიკაკლავენ დაწვრილებით. გაზეთი იმისია, რომ რაღაცას შენ თვითონ უნდა მიხვდე.

— ჭრა-კერვის კურსებზე წამუშევარა, სამოცდაათს მიღწეული ყოფილა.

—ქალს მაინც არ შერცხვა იმ უპა-

ტრონოს? ისიც კაი უბედური ეყოლებოდა გამჩენს.

ერთი სული მქონდა შემოვბრუნებულიყავ და მოსაუბრეთა სახეები დამენახა, მაგრამ შემეშინდა, არ მიცნონ-მეთქი.

წელმოწყვეტილივით ავედი რომელიღაც ავტობუსზე და კუთხეში მივეგდე.

რას დავეძებ, საით წამიყვანს, ამ ადგილს ხომ გამაცილებს.

ისე, კაცმა რომ თქვას, არ სჯობდა ჩიჩი გვილავას მიერ თავდაპირველად შემოთავაზებულ დანაშაულზე შევჩერებულიყავი? სიმთვრალის ნიადაგზე დებოშის ატეხვის ცდა იმდენად თავისმომჭრელი არ გახლავთ, როგორც სრულიად ფხიზელი კაცისაგან შუა სკვერში შარდის დაღვრა. მითუმეტეს, როცა დანაშაულის პირდაპირ დასახელებას გაურბიან და ცნობისმოყვარე მსმენელებს ჭორაობის ფართო ასპარეზს გადაუშლიან ხოლმე.

# სამოცდაერთი-თერთმეტი-ოცდახუთი

ტელეფონი კარგა ხანს რეკავდა.

გელამ იცოდა, რომ მისი ცოლი და ცხრამეტი წლის ქალიშვილი ასეთი უბრალო საქმისთვის ტელევიზორს არ მოშორდებოდნენ. საბანი გვერდზე მოისროლა, წამოჯდა და ფოსტლებს დაუწყო ფეხებით ძებნა. ცალს ვერ მიაგნო. წამოხტა, გაბრაზებული მიფშლატუნდა ტელეფონთან.

— ალო, ალო, მაპატიეთ, რომ ასე გვიან გაწუხებთ! — ქალის შეშფოთებული ხმა იყო — ძალიან გთხოვთ, ჩაიწერეთ ჩემი ტელეფონი.

— მოიცათ, ახლავე, — გელამ ფანქარი მოიმარჯვა — ვინ ბრძანდებით?

— მე თქვენ არ მიცნობთ. ძალიან ცუდად ვარ. შეიძლება დილამდე ვერ გავატანო. თუ არ შეწუხდებით, დამირეკეთ ხვალ დილით, სამოცდაერთი, მისმენთ?

— კი ბატონო.

— სამოცდაერთი, თერთმეტი, ოცდახუთი. თუ ხვალ დილით არ გიპასუხეთ, ესე იგი მკვდარი ვიქნები და იმ შემთხვევაში სასწრაფოს დაურეკეთ. ვაშლოვანის თხუთმეტია ჩემი მისამართი. კვიციანი ნელი. მაპატიეთ, გაწუხებთ.

— ქალბატონო, თქვენ მე მიცნობთ?

— არა, სრულიად შემთხვევით მოვხვდი თქვენთან.

— იქნებ სასწრაფოსთვის მიგემართათ?

— სასწრაფო ვერაფერს მიშველის. არ მინდა.

— რომ წამოვიდე ახლავე?

— არავითარ შემთხვევაში. მე თქვენ კარს ვერ გაგიღებთ. თუ შეგიძლიათ, შემისრულეთ ეს თხოვნა, თუ არა და, კარგად ბრძანდებოდეთ.

უცნობმა ყურმილი დაჰკიდა.

გელამ კედლის საათს შეხედა, თორმეტს აღარაფერი აკლდა.

— ვინ იყო? — ჰკითხა სავარძელში მიკეცილმა მეუღლემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ვიცი. სხვაგან მოხვდა.

— რა სხვაგან მოხვდა, ათი წუთია ელაპარაკები, — ქალიშვილი ტელევიზორს მიჭიჭინებოდა.

— შენი საქმე არ არის და წესიერად დაჯექი. აღარ იძინებთ? რამდენჯერ უნდა ნახოთ „ვატერლოოს ხიდი". რა ტელევიზორის ავადმყოფობა გჭირთ ორივეს.

— დაწექი, დაიძინე, შენ გიშლით რამეს? — გაეპასუხა ცოლი.

— ტელეფონი რომ დარეკავს, მე მივიდე მაინცდამაინც? რა გეზარებათ ორ ნაბიჯზე მისვლა. ჩემი ცალი ფოსტლი სადაა?

ცოლმა და ქალიშვილმა ცერად გადმოხედეს ფეხბურთელის ფორმაში მდგარ, ცალფეხსაცმლიან გელას.

— ლოგინქვეშ გექნება. გადი, ნუ გვიშლი ხელს, მამა.

— მე კი გავალ, მაგრამ ხომ ხედავ, რას უშვრება ამ ბავშვს სიგარეტი, — ცოლს მიუბრუნდა გელა, —არ გესმის, რა ხმა აქვს?

— არაფერიც. აღარ ვეწევი. ახლა გაცივებული ვარ ცოტა. გადი და დაიძინე. დედიკო, უთხარი.

გოგომ ისევ გამართა თავისი ლამაზი ფეხები და სათამაშო ლომს თავზე დააწყო.

გავიდა გელა საწოლ ოთახში, წამოწვა. ხუთიოდე წუთი ჭერს შესცქეროდა. მერე ისევ წამოდგა, ხალათი მოიხურა, კარადის ქვეშ ცალი ფოსტლი მოძებნა, ტელეფონთან მივიდა, ქაღალდი რომელზეც ნელი კვიციანის მისამართი ეწერა, ჯიბეში ჩაიდო და საწოლს დაუბრუნდა.

დიდხანს არ დაეძინა.

„ავდგები და წავალ. ვინ იცის, როგორ უჭირს იმ ქალს. ძალიან შეწუხებული ხმა ჰქონდა. მაგრამ ჩემს სახლში ამის გამგებია ვინმე? აუხსენი, ახლა ლილის ამ შუაღამეზე იმიტომ ავდგები საწოლიდან, ვიცვამ და გავდივარ ამ ქარში გარეთ, რომ ვიღაც უცნობმა ქალმა დამირეკა; ძალიან ცუდად ვარ, ამა და ამ ადგილას ვცხოვრობ და, თუ კაცი ხარ, მომეშველეო. ჯერ ერთი, სასაცილოდ არ ეყოფათ, მეორეც, ეჭვი შეეპარებათ ჩემს სიმართლეში. მესამეც, რაღაც ეს ამბავი დეტექტივის დასაწყისს ჰგავს. დავიჯერო ახლა მთლად შემთხვევით მოხვდა ჩემთან? ვინმე მოცლილი არ ხუმრობდეს. მაგრამ ძალიან გულწრფელი და შეწუხებული ხმა რომ ჰქონდა?"

ადამიანები უმეტესწილად თავს ინუგეშებენ და საოცარი ის არის, რომ თავიანთი საქციელის გასამართლებლად საბუთებს ყოველთვის პოულობენ ხოლმე. „თუ სასიკვდილოა, ამაღამ მაინც ვერაფერს ვუშველი, თუ საამქვეყნოა, ხვალამდე გაატანს, ხვალ შევეხმიანები და ან ექიმს მივუყვან, ან რამეს ვუსაშველებ".

ამ ფიქრებში ჩაეძინა კიდეც.

ერთი სული ჰქონდა, სანამ დილით ცოლი და ქალიშვილი ისაუზმებდნენ და სახლიდან გავიდოდნენ. გელამ ვერაფრით ვერ დაადგინა, რომელ საათზე ეწყებოდა მის ქალიშვილს ლექციები. ხან დედასთან ერთად ცხრის ნახევარზე გავიდოდა სახლიდან, ხან თორმეტ საათამდე ლოგინში ნებივრობდა. ბევრი ეჯაჯგურა გელამ, ბევრი იყვირა და ნერვები იშალა, რა ხერხს არ მიმართა, მაგრამ გოგო მის ჭკუაზე ვერ გაზარდა. აწი, მითუმეტეს, დაგვიანებული იყო. უცხო ენების ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტს თავისი ცხოვრება ჰქონდა. გელა ამჩნევდა, რომ ნელნელა უცხო ხდებოდა საკუთარ ოჯახში. წარსულს ბარდებოდა ერთად ყოფნის, ერთად განსჯის, ერთ აზრამდე მისვლის იდილიები ოჯახს რომ კრავს საერთოდ.

ქალიშვილი კი არა, თუ აუცილებელი არ იყო, ცოლიც კი აღარ ელაპარაკებოდა. გელა მარტო იყო თავის ფიქრებთან და საქმეებთან — ტროლეიბუსების სამმართველოში ინჟინერ-მექანიკოსად მუშაობდა. საღამოობით ისინი ტელევიზორს მიუსხდებოდნენ, გელა კი წიგნს კითხულობდა თავის ოთახში და ადრე იძინებდა. ტელევიზორი სძულდა. მისი ოჯახის მთლიანობის დარღვევას უმეტესწილად ტელევიზორს აბრალებდა.

მარტო რომ დარჩა, ტელეფონი თავის ოთახში გაიტანა, ფანჯარასთან დადგა, და როგორც იქნა, აკრიფა სამოცდაერთი — თერთმეტი — ოცდახუთი.

— ალო.

— გისმენთ?

გულზე მოეშვა, ნელის ხმა იცნო.

—როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ნელი?

— გმადლობთ?

— გელა ვარ — გაახსენდა, რომ ნელის მისი სახელი არ უნდა სცოდნოდა და მაშინვე დაამატა, — წუხელის რომ დამირეკეთ. შეშინებული ხმა გქონდათ.

— მაპატიეთ, ბატონო, სულგრძელად შემინდეთ. ქმარი მივლინებაში წავიდა. ჩემმა შვილმა წუხელის ძალიან დაიგვიანა. დიდი ბიჭია, მაგრამ მაინც ვნერვიულობ. ამათ დაბადების დღეებს და მიზეზებს რა დაულევს. მე კიდევ, ავადმყოფ ქალს, როგორც ჩანს, გული დამისუსტდა. თქვენ ღმერთმა არ გამოგაცდევინოთ, სიკვდილი დავიწყე. ჯერ ხელები და ფეხები გამიცივდა. ცივმა ოფლმა დამასხა. ტელეფონისთვის არც დამიხედავს, პირველად რა ციფრებიც მომივიდა თავში, ავკრიფე. თქვენთან მოვხვდი. მე ვთქვი, გული რომ წამივიდეს, ან წერილი წავიღო იმქვეყნად, ერთმა ვინმემ მაინც იცოდეს-მეთქი.

— მიხარია თქვენი ხმის გაგონება, ახლა ხომ ყოჩაღად ხართ?

— შედარებით... პირველ საათზე მობრძანდა ჩემი ვაჟბატონი და ცოტა დავმშვიდდი.

— რა გაწუხებთ ქალბატონო. თუ საიდუმლოება არ არის.

— თქვენს მტერს, ბატონო, გელა არა თქვენი სახელი?

— დიახ.

— თქვენს მტერს, ბატონო გელა, მე რომ მჭირს. სამი წელია ლოგინად ვარ ჩავარდნილი.

— ?!

— კიდურებს ვერ ვამოძრავებ. მარილების დაგროვებაა, უწინ კუნტობას ეძახდნენ.

— მერე მარილებმა შეგაშინათ ქალბატონო? უკაცრავად ერთი წუთით — გელამ ფანჯარა გამოაღო და ჩასძახა — აბა, მოშორდით მაგ ტერიტორიას! სწრაფად, სწრაფად, არ ჩამომიყვანოთ იცოდეთ! — ტელეფონის ყურმილი ხელში ეჭირა — უკაცრავად, ქალბატონო ნელი. ბავშვებს დავუცაცხანე. ხელისგულისოდენა ადგილი გვაქვს სახლის უკან, შარშანწინ პატარა ბაღჩა გავაშენეთ მეზობლებმა. ბავშვებისგან ვერ ვიპატივეთ. იასამანს ვინ დაეძებს, აყვავილებულ ალუბლებს ტოტებს ამტვრევენ.

ამ ნოველის ავტორს სიჩქარეში დააავიწყდა ეთქვა შენთვის, ძვირფასო მკითხველო, რომ გაზაფხული იყო.

— სად ცხოვრობთ, ბატონო გელა?

— გურამიშვილის ქუჩაზე. ვაკის ბოლო სახლი, თუ იცით ვაკე-საბურთალოს გზის დასაწყისთან.

— მშვენიერი ადგილია.

— ადგილს არა უშავს, მაგრამ ძალიან ხმაურიანია, ქალბატონო ნელი.

— ჰო, ხმაური ახლა ყველგანაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მარილებზე გკითხეთ, ქალბატონო ნელი— გელამ ავადმყოფობის ხაზით საუბრის გაგრძელება უფრო საინტერესოდ მიიჩნია.

— ნუ მეტყვით ბატონო. ეს მარილები კი არა, შავ ჭირზე უარესი ყოფილა. სამი წელია ლოგინად ვარ ჩავარდნილი. ჯერ ფეხები წამერთვა, სამსახურს თავი დავანებე. მასწავლებლად ვმუშაობდი, გეოგრაფი ვარ სპეციალობით. ეს ერთი წელია ხელები გამიჩერდა. იდაყვი და მაჯები ხომ გამიქვავა, ახლა თითებსაც ძლივს ვამოძრავებ.

— ტკივილით გტკივათ?

— საშინლად. მთელი დღეები გამაყუჩებელ საშუალებებზე ვარ. როდემდე უნდა ვიყო ასე.

— გაივლის, ქალბატონო ნელი. რა ვიცი, ეს ოხერი, მარილების დაგროვებას ამ ბოლო დროს ეფექტურად მკურნალობენ. ერთ ჩემს მეგობარს... — უნდოდა ეცრუა გელას, მაგრამ დროზე შეაწყვეტინეს.

— ნუ მეტყვით, ბატონო გელა. ნუ მეტყვით. ძალიან გთხოვთ. არ არსებობს საშუალება, რაც ჩვენ არ ვცადეთ. დავღალე ჩემიანები ამ ჩემი ავადმყოფობით და მეც დავიღალე. ჩემი ამბავი გადაწყვეტილია. სიკვდილი მჭირს. ბოლო დღეები მაქვს. თქვენს შესახებ მითხარით რამე.

— მე... არაფერი საინტერესო ქალბატონო ნელი... ინჟინერი კაცი ვარ. ცხრამეტი წლის გოგო მყავს, უცხო ენებში სწავლობს.

— ღმერთმა გიბედნიეროთ. ჩემმა დაამთავრა სკოლა წელს და ჯერჯერობით უსაქმოდ მყავს, მოუკვდა დედა.

— არ აბარებდა?

— აბარებდა, ქულები არ ეყო. ახლა პროფილზე დარბის მამამისი.

— მეუღლე, ქალბატონო ნელი?

— შრომის დაცვის საკვლევ ინსტიტუტში მუშაობს.

— ააა... ჰოოო... — გელამ არც კი იცოდა, ასეთი ინსტიტუტი თუ არსებობდა.

— ცოტა უკეთესობა ხომ მაინც...

— არავითარი, ჩემი დღეები დათვლილია. ყველაფერი მომწყინდა, ლაპარაკიც აღარ მინდა ჩემს თავზე. ბედნიერებაა ახლა ჩემთვის სიკვდილი. მაღალფარდოვნად გეჩვენებათ ჩემი ლაპარაკი ხომ? მძულს ჩემი თავი.

— როგორ გეკადრებათ. როგორ შეიძლება ახალგაზრდა ქალმა ასე დაჰყაროთ ფარ-ხმალი.

გელას მოეჩვენა, რომ ნელი ტიროდა.

— მაპატიეთ, ბატონო გელა. ეჭვიანიც კი გავხდი ამ ბოლო დროს. მეჩვენება, რომ ქმარსაც და შვილსაც მოვწყინდი. აბა რა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე. მარტო რომ ვრჩები, ტელეფონსაც არ ვიღებ. მეგობრების და ნათესავების ხმის გაგონებაც არ მინდა. მომკლა გაუთავებელმა: „როგორა ხარ? დღეს ხომ უკეთესად ხარ? ხმაც უფრო ხალისიანი გაქვს, მალე კარგად იქნები, ნუ გეშინია“. ისინი თავის მხრივ მართლები არიან, მაგრამ მე დავიღალე. მარტო მე ვიცი, რომ აღარასოდეს ვიქნები კარგად. ამიტომ აღარ მინდა გულის გაკეთება. ეტყობა სიკვდილი მაშინ მოდის, როცა იმედს დაკარგავ. მე კი იმედი კი არა, სიცოცხლის რწმენაც დავკარგე. აღარც კი მახსოვს, ოდესმე კარგად თუ ვიყავი. კარგად ყოფნის სურვილიც აღარ მაქვს. ჩემმა ქმარმა ბორბლებიანი სკამი მომიტანა. ადრე ფანჯარასთან მივაგორებდი და მთელი დღე ქუჩის ცქერით ვერთობოდი. ახლა ფანჯრიდან გადახედვაც აღარ მინდა. მადლობა ღმერთს, ახლა მალე დამიყოფს

მიწა პირს და ყველაფერი გათავდება, მოვისვენებ.

— ნუ ლაპარაკობთ ასე, ძალიან გთხოვთ. ნახავთ თქვენ კარგად იქნებით. ადამიანებს რა არ გადაუტანიათ... თქვენ...

გელა სიტყვებს ვერ პოულობდა, ისე შეძრა ამ ამბავმა, რომ ყელში ბურთივით მოაწვა რაღაც.

— მე ეს ყველაფერი მოსმენილი მაქვს. დიდი მადლობა ყურადღებისთვის. კარგად ბრძანდებოდეთ ბატონო გელა.

— შეგიძლიათ ერთი სათხოვარი შემისრულოთ?

— ბრძანეთ, ბატონო.

— ტელეფონს ნუ გადადებთ ხოლმე, მე თქვენ კიდევ დაგირეკავთ.

— ნუ შეწუხდებით.

— უმორჩილესად გთხოვთ.

— არ არის საჭირო. დახიეთ ჩემი ტელეფონის ნომერი და დაივიწყეთ.

— მაშინ ახლავე ავდგები და მოვალ თქვენთან!

მტკიცე გადაწყვეტილებით უთხრა გელამ.

— არავითარ შემთხვევაში. თქვენ ხომ არ ფიქრობთ, რომ ადამიანს ვგავარ. თქვენ კი არა, ნეტავ ჩემი ქმარშვილი არ მხედავდეს, ასეთ დღეში. არ გაბედოთ და არ მოხვიდეთ.

— აბა, არ გადადოთ ყურმილი, დაგირეკავთ, მარტო ერთხელ დაგირეკავთ.

— ვნახოთ... ვეცდები... კარგად ბრძანდებოდეთ.

აფორიაქებული იყო მთელი დღე სამსახურში. ადგილს ვერ პოულობდა. სულ იმ უბედური ქალის ხმა ედგა ყურებში. რაღაც ქაღალდებს ხელს აწერდა, ვიღაცას განკარგულებას აძლევდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ყველაფერს რობოტივით აკეთებდა. ვერაფრით ვერ ამოიგდო თავიდან ის ფაქტი, რომ არის ამ ქვეყნად უსაშველოდ იმედგაწყვეტილი ქალი და უხმოდ, ნელნელა კვდება. რა შეეძლო გელას? ნუთუ ასე ადრე უნდა დამდგარიყო ნელი კვიციანის ცხოვრებაში ისეთი დღეები, როცა არავის არაფრის გაკეთება აღარ შეუძლია მის გადასარჩენად?

შესვენებაზე დაურეკა.

— მე ვარ.

— ვიცი, ბატონო გელა.

ერთხანს დუმდნენ ორივენი. ორივეს ყურმილი ეჭირა და გელას მოეჩვენა, რომ ავადმყოფი ქალის გულისძგერა ისმოდა ტელეფონში.

არ იცოდა, რით დაეწყო. გაცვეთილი „როგორ ბრძანდებით“ აღარ მოუხდებოდა მათ ურთიერთობას. აკი თვითონვე უთხრა ნელიმ, არ მიყვარს, როცა ჯანმრთელობას მეკითხებიანო.

— იცით რა, იმდენი კაცი ირეოდა დღეს ჩემს ოთახში რომ ტელეფონისთვის კი არა, თავის მოსაფხანადაც ვერ მოვიცალე — თვითონვე გაუკვირდა, რატომ ბოდიშობდა ქალთან, რომელიც არასოდეს ენახა — სათადარიგო ნაწილები არ გვყოფნის. არ გაუშვებ ხაზზე ტროლეიბუსს და პასუხს გაგებინებენ. კანში ვძვრებით, რომ ელემენტარულ ტექნიკურ ნორმებს მაინც პასუხობდეს ქუჩაში გასული ტროლეიბუსი.

— ცხელა გარეთ, ბატონო გელა?

— ვერ გეტყვით. დილით გრილოდა. მერე თავი არ გამიყვია. დრო აღარ არის, დათბეს? აპრილი თავდება.

— ძველით რამდენია დღეს?

— მგონი ცამეტი.

— მე ძველისა უფრო მჯერა... ბატონო გელა... ნელის ხმა აუკანკალდა.

— გისმენთ, ყურადღებით.

— ძალიან გთხოვთ არ გამიგოთ სხვანაირად. გასაგებია ჩემთვის ეს გრძნობა. მე თქვენთან წუხელის შემთხვევით დავრეკე, მიჭირდა, თორემ არ შეგაწუხე-

ბდით. ის ორი საათი, სანამ ჩემი შვილი დაბრუნდებოდა, მე თქვენი იმედი მქონდა. მადლობელი ვარ წუხანდელი ღამისთვის და თქვენი თბილი ყურადღებისთვის. თქვენ რომ მითხარით, ახლავე წამოვალო, იცით რა სითბო ჩამეღვარა სულში? არის-მეთქი ამ გაცივებულ ქალაქში კიდევ კაცი, რომელსაც სხვისი შვილის სურვილი და უნარი შერჩენია-მეთქი. იქნებ თქვენმა კაიკაცობამ მე წუხელის სიკვდილს გადამარჩინა. ახლა კი სხვა სიტუაციაა. მე ვგრძნობ, თქვენ კეთილშობილი კაცი ხართ და გინდათ თქვენი ყურადღებით პატივი მცეთ. შემეხმიანოთ, იმედი მომცეთ. ეს სიბრალულის ყურადღებაა, დამიჯერეთ, აღარ მჭირდება მე ეს ყურადღება, შარშან ჭკუიდან ვიშლებოდი, ტელეფონის ზარი რომ დაიგვიანებდა. ქმარ-შვილს ვაიძულებდი, სადაც უნდა ყოფილიყვნენ, ყოველ საათში შემხმიანებოდნენ. ახლა კი ეს ყურადღებაც მაღიზიანებს. არა ვარ მე ის დავარდნილი ქალი თქვენი ხშირი რეკვა რომ მოაბრუნებს ამ ქვეყნისაკენ. მე სიცოცხლესთან ანგარიში უკვე გასწორებული მაქვს. ადამიანებთან ურთიერთობების რკვევა კარგა ხანია დავამთავრე. განთავისუფლებთ ჩემთან შეხმიანების თქვენი ჯენტლმენური მოვალეობისაგან.

— ჩვენ ხომ შევთანხმდით? — სხვისი ხმით ჰკითხა გელამ.

— ჩვენ არაფერზე არ შევთანხმებულვართ. გაიგეთ, მე შეთანხმებანი დავამთავრე, კარგად ბრძანდებოდეთ.

— არ დადოთ, ძალიან გთხოვთ, ქალბატონო ნელი. მე თქვენ მაინც დაგირეკავთ.

— სხვა არა იყოს რა, უხერხულია, მე ქმრიანი ქალი ვარ. თუმცა ახლა ამასაც აღარავითარი მნიშვნელობა აქვს. მაპატიეთ, ჩემი ექიმი მოვიდა. უნდა მოვემზადო.

„მართლა და მართლა იქნებ არ უნდა ჩემი ხმის გაგონება და თავს ხომ არ ვაბეზრებ ამ ქალსო“, ერთი გაფიქრება გაიფიქრა გელამ, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ იგრძნო, რომ არ შეეძლო, არ დაერეკა. დააპირა გონების თვალით შეეხედა თავისი საქციელისთვის, მაგრამ ახსნა ვერ მოუძებნა. ერთი რამ აშკარა იყო, თვითონ უფრო სჭირდებოდა ეს დარეკვა. ავადმყოფი ქალის მიმართ სიბრალულის გრძნობას დიდად სჭარბობდა სხვა უფრო ძლიერი, რისთვისაც გელას ანგარიში ვერ მიეცა.

მეორე დღესაც დაურეკა. მოეჩვენა, რომ ნელი ისე კატეგორიულად აღარ ესაუბრებოდა. კატეგორიულად კი არა და თითქოს ელოდებოდა კიდეც გელას ტელეფონის ზარს. ერთი კვირის განმავლობაში დღეში სამჯერ ურეკავდა. მათი საუბრები მოკლე იყო და ყოველთვის ახალი. „მე ვარ“ ეტყოდა გელა, და სხაპასხუპით მიაყოლებდა; რა გადახდა თავს ამ ხუთი საათის განმავლობაში. რა ხდება ქალაქში. როგორი ამინდია გარეთ. აღარც კი ახსოვდა, როდის გადავიდნენ „შენობით“ ლაპარაკზე. ამ ერთი კვირის განმავლობაში თავის დღეებს გელა მხოლოდ იმ თვალით აკვირდებოდა, რა შეიძლებოდა ეთქვა ნელისთვის და რა არა. ურეკავდა სამსახურიდან, ტელეფონის ჯიხურიდან, ბინიდან, როცა მეუღლე სამზარეულოში ფუსფუსებდა, ხოლო ქალიშვილი ღრუბლის ლომს ფეხებით უსრესდა ყურებს და ტელევიზორს უყურებდა. ბოლო დღეებში ნელის უკვე აღარ სჭირდებოდა აჩემებული „მე ვარ“. „ჰო“, ეტყოდა გელა და ქალიც ჩუმად სევდიანად, გაბმით უპასუხებდა „ჰო“. ისე შეუმჩნევლად მოვიდა ორი ადამიანის არსებაში სიახლოვე, რომელსაც ზოგჯერ მთელი ცხოვრების განმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავლობაში ვერ ვაღწევთ ხოლმე. ერთმანეთზე ზრუნავდნენ და ამ საზრუნავს მთლიანად მოეცვა მათი არსება.

„ახლა ათ წუთში წამალი მაქვს დასალევი“, „ჰო, ვიცი“. „არ დაგავიწყდეს, ზურა ჩაგზავნე „საირმეზე“ ოთხ საათზე. ზუსტად ოთხზე მოვიტან და ყუთით დავდებ, შემოსასვლელში ლიფტთან, როგორც იმ დღეს“, „გმადლობთ“, „ამოვალ, ერთი წამით შემოვიხედავ, კარებიდან, გეხვეწები, რა მნიშვნელობა აქვს როგორი ხარ“. „არავითარ შემთხვევაში. ეგ რომ გააკეთო, იცოდე თავს მოვიკლავ. როცა იქნება, ავდგები და მე თვითონ გნახავ“. „კარგი“. „შენა“. „ჰო“. „თბილად ჩაიცვი, დღეს წვიმა გამოაცხადა“. „არის“. „გარეთ გაზაფხულია?“ „ისე რა, წავედი“. „აბა ჰე“.

შაბათ დილით დარეკა, ნელის ქმარმა აიღო ყურმილი. გელამ იცოდა, როცა ქმარი გაეპასუხებოდა, ხმა არ უნდა ამოეღო. კვირასაც მთელი დღე ქმარი იჯდა ტელეფონთან. ორშაბათს ნელის ტელეფონი საერთოდ გამოირთო. ყურმილს არავინ იღებდა.

ორშაბათ საღამოს „თბილისში“ წაიკითხა. ისიც, შემთხვევით, გვარს მოჰკრა თვალი, თორემ სამგლოვიარო განცხადებებს საერთოდ არ კითხულობდა.

●

სასაფლაოდან ყველა რომ გაიკრიფა, მესაფლავეებმა წითელი მიხაკები რომ ააცალეს საფლავის ბორცვს და ახალი საფლავი პირველად დარჩა თვალებჩაშავებულ ცასთან, თითქოს კიპარისის ტანიდან გამოძვრაო, მჭრქალი წყვდიადიდან კაცი გამოვიდა.

ალუბლის ტოტები დააწყო საფლავს.

ერთხანს მდუმარედ იდგა და მიკიოტმა რომ სულ ახლოს გაიშრიალა, შეტრიალდა და ნელი ნაბიჯით ისევ იმ ბილიკს ჩაუყვა.

ჩემგან რა გესწავლება, საიდუმლოებებით არის სავსე ადამიანთა ურთიერთობა, ძვირფასო მკითხველო.

# მ ა ხ ე

დაბეჯითებით ვერ გეტყვით, სხვა ხალხს აქვს თუ არა ერთი უცნაური წესი, რომელმაც, მემატიანეს ცნობით, იმერეთში ფეხი მოიკიდა მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში და მერე მთელს საქართველოში გავრცელდა. ამ ახირებულ ტრადიციას ქალის გადასინჯვა ჰქვია, ზოგიერთები ქალის გადანახულებასაც ეძახიან. რამდენიმე დაახლოებული პირის თანხლებით უცოლო მამაკაცი ზოგჯერ ნებით, იშვიათად კი მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, მიდის გასათხოვარი ქალის ოჯახში. რასაკვირველია, მასპინძლები ცდილობენ სასიძოს თავი კარგად გააჩვენონ და იმართება ნადიმი. განა ქალის გადასინჯვა ნეიტრალურ მოედანზე — სკვერში ან დრამატულ თეატრში არ შეიძლება, მაგრამ ოჯახში გადანახულებას სხვა ფასი აქვს. ჯერ ერთი; საქმრო ადგილზე ამოწმებს საპატარძლოს მონაცემებს

---

რევაზ მიშველაძე
ნოველები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოჯახო საქმიანობაში, მეორეც, სასიმამროს ოჯახსაც შეავლებს ხოლმე თვალს იმის გასათვალისწინებლად, თუ რა წრეში, რა ტრადიციისა და შეძლების ოჯახში აღიზარდა მისი მომავალი თანამეცხედრე. ქალის გადასინჯვის ნაღვლიანი სურათი ბრწყინვალედ დაგვიხატა უკვდავმა დავით კლდიაშვილმა „დარისპანის გასაჭირში", და თუ ახლა მე ვკადნიერდები, მხოლოდ იმით ვინუგეშებ თავს, რომ ჩემს ნოველაში მოთხრობილი, დარისპანის ცხოვრებიდან თითქმის ასი წლის შემდეგ, მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში ხდება, ხოლო დასასრული ამბისა „დარისპანის გასაჭირისგან" სრულიად განსხვავებულია.

მაშ, ვახსენებ ღმერთს და ვიწყებ:

ოცდაცხრამეტი წლის თავგადაკლული უცოლო რაფიელ ზუმბაძე სოფელ საპრასიაში ქალის გადასანახულებლად მიჰყავდათ. სიტყვა „მიჰყავდათ" აქ შემთხვევით არ მიხსენებია. რაფიელი მართლაც რომ მიჰყავდათ, რადგანაც კეფაზე თმაშეთხელებულ ფარმაცევტს, როგორც მე შენ არ მოგკლავ, ძვირფასო მკითხველო, ისე არ სურდა ცოლის შერთვა. რა მიზეზი არ მოჩმახა, რამდენხანს არ ითრია ფეხი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ იხსნა თავი. ნათესავებმა და მეგობრებმა (განსაკუთრებით მისი თანაკლასელი, სამი შვილის მამა გიზო შავდია, აქტიურობდა) მტკიცედ გადაწყვიტეს რაფიელის დაქორწინება და აი, უკანასკნელი სამი თვის მანძილზე გადასინჯვის მეშვიდე ცერემონიალს ესწრებოდა აფთიაქის შეურცხვენელი მუშაკი. წინა ექვსი ცდა რაფიელის დაქორწინებისა სასიძოსთვის ფრიად სასურველად ჩატარდა. ერთ შემთხვევაში საპატარძლომ დაიწუნა, ერთ შემთხვევაში სასიდედრომ თქვა მოკრძალებული უარი, ხოლო ოთხჯერ ზუმბაძე შეჯდა ჯორზე. „არ მომწონს, არ ეკარება გულს და, მომკალით თუ გინდაო. გიზოს რა უჭირს, გიზომ კი არა, მე უნდა ვიცხოვრო მთელი ცხოვრება არასასურველ ადამიანთანო. ხანძარი ხომ არ არის, რა წამიჭირეთ ყელში ხელი. მივდგეთ-მოვდგეთ ცოტაც და გამოჩნდება უკეთესი ვინმეო", ბოლოსდაბოლოს რაფიელსაც კაცის გული ჰქონდა, ხანდახან ღამე არ აძინებდა მის მიერ უსამართლოდ დაწუნებულ ქალიშვილთა კითხვაჩამდგარი თვალები, მაგრამ არ უნდოდა ცოლის შერთვა და რა ღონეს არ ხმარობდა, არც მწვადი დაეწვა, არც შამფური. რაც არ უნდა მინდისაო, ყურში მძიმედ მისდისაო, ნათქვამია. თვითონაც არ იცოდა, რატომ არ სურდა ცოლის შერთვა. ეგონა რაღაც ახალი და ძნელი დაიწყებოდა მის ცხოვრებაში, თავისუფლების ოქროს ხანა დამთავრდებოდა, დაედგმებოდა კისერზე იძულების მძიმე უღელი.

საპრასიელი გონგაძის ოჯახი გიზომ აღმოაჩინა. მიწათმომწყობ ტარიელ გონგაძის ქალიშვილს — შორენას პედაგოგიური სასწავლებელი აქვს დამთავრებული და ბაღდადის დაწყებით სკოლაში მასწავლებლობს, შესახედაობით, ოჯახიშვილობით და წესიერებით (ეს უკანასკნელი იმერელი კაცისთვის ძალიან ფართო ცნებაა და, დელიკატური მოსაზრებით, დაზუსტებას არ შევუდგები) წუნი არ დაედებაო, გიზომ, თუ ხარ, საერთოდ, ცოლის მთხოველი და თუ გლახად არა ხარ დაბადებული, დღეს გამოჩნდებაო. მოკლედ, რაც შეიძლებოდა, დამოძღვრეს და დაანამუსეს, გაპარსეს, გამოაწყვეს და მიჰყავთ „ძალად სასიძო" საპრასიაში. „ღმერთო გადამარჩინე" — ფიქრობს რაფიელი და მთელი გზა ჩუმად გაჰყურებს საღორიის მუხებს. ღმერთო შეგცოდე და სძულს ახლა ფარმაცევტს თანშეზრდილი გიზო შავდიაც, „თვითონ სამი ბლარტი რომ აზის მხრებზე, ტელევიზორში ფეხბურთის საყურებლადაც რომ ვერ მოუცლია და იმდენად „გაეგოისტებულია", ახლა ძმაკაციც უნდა შეაბას უღელში", ბრალს სდებს უმცროს (ასევე ცოლშვილიან, რ. მ.) ძმას — დათუნას და გაუთხოვარ მამიდა ვარას; „უიგულის" უკანა სავარძელში რომ მოკალათებულან და საპრასიის ვიზიტზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ იმედს ამყარებენ. „არაფერი არ გამოგივათ“, ფიქრობს რაფიელი და გულში უხარია, რომ, გაფიქრებით მაინც, რაც უნდა იმის გაფიქრება შეუძლია.

დაამუხრუჭა თუ არა გიზომ, მწვანედ შეღებილი ჭიშკარი მოღლიავდა და პატარა ბიჭმა ჭიშკრის ორივე კარი ასფალტზე ენერგიულად რომ გააჩოჩ-გამოაჩოჩიალა, ხელები წითელ პერანგზე შეიხოცა და სამზადიდან ჩქარი ნაბიჯით გამოსულ ტარიელს შეაჩერდა.

— ეზოში შემოიყვანე, გიზო ბატონო, ეზოში! გამარჯობათ ჩემო ბატონო, — პირველ რიგში მამიდა ვარას ჩამოართვა ხელი მასპინძელმა.

— რავა რა უჭირს? — გიზომ მანქანის კარი ღია დატოვა — ბატონო ტარიელ, ეს ჩემი მეგობარი რაფიელ ზუმბაძე გახლავთ, მისი ძმა დავითი, ქალბატონ ვარას ქე იცნობთ, მგონი.

— ისე, შორიდან — გონგაძემ იხტიბარი არ გაიტეხა, თორემ გიზოს გარდა ყველას პირველად ხედავდა. კი არაფერი უჭირს, მაგრამ მაინც ეზოში მირჩევნია. ბოვშები დარბიან, არაფერი მოიწიონ. სხვა, ხომ კარგად და მშვიდობით, გიზო ბატონო?

— რავა იქნები, გახურებული ასფალტის შემყურე ამ სიცხეში! — ქალაქელობას ხაზი გაუსვა გიზომ, მანქანა ეზოში მაინც არ შეიყვანა, — აქეთ ვიყავით ერთ კაი საქმეზე, და შემოვიარეთ. მე ვთქვი, ბატონი ტარიელის ჭიშკარს ჩუმად ვერ ჩავუვლითქვა. თქვენ რომ ქუთაისში ჩემს სახლთან ჩამოიაროთ, ასე არ იზამთ თქვენც?

— რა სათქმელია, აპა, მეტი რაი ვართ ადამიანები. რავარი გამახარე, ჩემო გიზო, — მასპინძელი ძვირფას სტუმრებს ეზოში ჩამოუძღვა, უშველებელ რკინისჩუქურთმებითდამშვენებულ მოაჯირიან კიბესთან მიიყვანა.

— ზევით ამობრძანდით, ჩემო ბატონო, ეგების ნარდით შეიქციოთ თავი.

— გმადლობთ, თქვენი ჭირიმე, აგერ ვიქნებით სუფთა ჰაერზე — რაფიელმა იცოდა, რას ნიშნავდა ზევით ასვლა, ოდაში მორცხვად თავდახრილ საპატარძლოს შეახვედრებდნენ და უნდოდა ეს უხერხული წუთები, რაც შეიძლებოდა, გადაევადებინა.

— ავალთ, ტარიელ ბატონო, აბა არ ავალთ? ჯერ პატარას თქვენს ლამაზ ეზოში გავივლით, მუხლს ქარს ამოვაღებინებთ. ჯდომის მეტს რას ვაკეთებთ ქალაქში.

— აბა, დაგტოვებთ, ერთწამს. ბოდიშს კი ვიხდი — ტარიელი სამზადისკენ გაფაცურდა.

საპრასიაშიც საკმაოდ ცხელოდა. აგვისტოს ხვატი ოდნავღა გაენელებინა ხანისწყალიდან დარხეულ სიოს, შუა ეზოში გაბარჯღულ ცაცხვის ფოთლებს წაღმა-უკუღმა რომ აბრუნებდა და ამით ხეს ვერცხლისფრად ალაციცებდა.

ღობესშეყოლილ კიტრის ფოთლები სიცხეს ძირებთან შემოეხმო და ყვითლად დაბერილი ნაყოფი მოჩანდა, წვეროებში ჯერ კიდევ მწვანედ ბუუტავდა მოჩვარულ-მოხუჭული ფოთოლი.

არც სიმინდს ადგა კარგი დღე. გრძელი და ნატიფი მკლავები მოტეხილივით ჩამოეყარა და სიცოცხლის ნიშანწყალს იმითღა ამჟღავნებდა, რომ ტაროს წვერებზე ატმისფერი გრძელი „ულვაშები“ გადმოეშვა და ნიავის ქროლვისთვის აეყოლებინა.

ზურგზეხელებდაწყობილმა რაფიელმა ლაფარაში გაიარა და თვალი სამზადისკენ გააპარა.

სამზადში ორი შაოსანი ქალი ტრიალებდა, კერიასთან ტარიელი იჯდა და შამფურზე წამოცმულ დედალს ატრიალებდა.

ნაჭაზე დაკიდებულ გამურულ კარდალაში ღომი პარტყალებდა.

— შემობრძანდით ბატონო. ბოდიშს ვიხდით, მიულაგებელი გვაქვს აქაურობა — სტუმრის მზერა მეყვსეულად დაიჭირა ცომშიხელებწაყოფილმა, თეთრხილაბანდწაკრულმა, სანდომიანმა დედაკაცმა.

— უიმე, — შამფურს ხელი გაუშვა ტარიელმა და შემოტრიალდა — ამ წუთას გამოვალ, თქვენი ჭირიმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა ბატონო, რავა გეკადრებათ. ასე ყურება მიყვარს სამზადის. რავა მოისპო ჩვენთან სამზადი სახლის კულტურა. ქალაქში ხომ ვეღარ ნახავ, სოფელშიც აღარა აქვს ბევრს.

— კაი საშუალებაა ნამდვილად. ჯერ ერთი სუფთად ინახავს სახლს და მეორეც გაზი ქე გვიდგია მაგერ, პირველ სართულზე, მარა მე და ჩემ ცოლს ასე, გლეხურად გვირჩევნია. რაღაცა, ცეცხლს უფრო ვიმხრობთ.

— მერე ცეცხლზე გაკეთებულს სხვა გემო აქვს — მცირე პაუზის შემდეგ თქვა სასიძომ და კარებს მოშორდა, მაგრამ ამასობაში, ტარიელმა ხელი წაიბანა და გამოუდგა.

კიბეზე რომ ადიოდნენ, მასპინძელმა გიზო შეაჩერა:

— რავა იტყვი, გიზო ბატონო, ზევით გავაშლევინო სუფრა თუ...

— რატომ წუხდები, ჩემო ტარიელ, გასაჩერებლად კი არ მოვსულვართ. ამდენი დროც არ გვაქვს. ეგერ მივჯდეთ, ცაცხვის ძირში, აჯობებს ყველაფერს. სახლში ეცხელება რაც არ უნდა იყოს.

აივანზე თევზისფერკაბიანი, თეთრყირმიზა, ჩაქვირითებული ქალი გამოეგებათ. შორენას საპატარძლოსთვის ცოტა უჩვეულოდ, ეშმაკურად უციმციმებდა თვალები და ლამაზ ტუჩებზე მომდგარ ღიმილსაც ძლივს იოკებდა. ეტყობოდა, არც მისთვის იყო პირველი გადანახულებ-გადასინჯვის ცერემონიალი. სწორი თმა, მოკლეზე შეკრეჭილი, შავი, მოშვილდული წარბები და თხელი, ლამაზნესტოებიანი ცხვირი; ოდნავ შესქელებული მკლავებიღა ამჟღავნებდნენ, რომ შორენა ოცს კარგა ხნის გადაშორებული გახლდათ.

გაიცვნეს, მოიკითხეს ერთმანეთი, ცოტა ხანს ამინდზე წაისაუბრეს და მერე, როგორც გეგმით იყო გათვალისწინებული, სასტუმრო ოთახიდან შეუმჩნევლად გაიკრიფნენ, ჭალ-ვაჟი „გადამწყვეტი საუბრისთვის“ მარტონი დატოვეს.

„ქალის გაჩენას რა ვუთხარი მე, თვარა ამ ჯეირანივით გოგოს, რა ჭირს ჩემი დასაწუნი. უნდა დავანებო თავი ამ მაიმუნობას. მეტს აღარ წამოვყვები აღარავის ქალის გადასასინჯად. ვილაცა თავს გამიტეხავს. ცოლის მთხოველი მე არა ვარ და აწუხე ახლა ამდენი ხალხი. ოჯახში შედიხარ, რაც არ უნდა იყოს, მერე, დაწუნებული ქალიშვილის მამა, ისე თუ არ გაგრძნობია, გულში მაინც მტრად გეკიდება. არ მინდა ცოლითქვა გამოვაცხადებ და დამანებებენ თავს, აბა რა ჯანდაბა იქნება, მარა გიზოია გადარეულს შენ დააჯერებ? რა ვუთხრა, რა ველაპარაკო ახლა ამ პატიოსან გოგოს? ამდენი არტისტობის თავი მაქვს მეე?“ — ფიქრობდა ზუმბაძე.

შორენას იდაყვებზე ხელები შემოეწყო, კედელზე რემბრანდტის „ბალაამის ვირის“ რეპროდუქციას შეჰყურებდა და საუბრის დაწყებას ელოდებოდა.

— რომელ კლასებს ასწავლით? — ჰკითხა რაფიელმა ისე, სიტყვის მასალად. შორენაც მშვენივრად მიხვდა, რომ იმ საქმესთან, რა საქმისთვისაც ისინი მარტო დატოვეს, ამ შეკითხვას არავითარი კავშირი არა ჰქონდა.

— დაწყებითებს.

— ალბათ, ბავშვებს ძალიან უყვარხართ.

— არც უმაგისობაა. პატარებს ადვილია თავი შეაყვარო.

რაფიელს ენაზე მოადგა; დიდებისთვის თავის შეყვარება ცოტა ჭირსო, მაგრამ არ თქვა. ნამეტანი ქარაგმებით ლაპარაკი გამომივაო.

— სკოლა შორს გაქვთ? — „რას ჩავაცივდი ამ სკოლასო“, გაიფიქრა რაფიელმა, მაგრამ გვიანღა იყო.

— ქვევით, ცენტრშია, სადაც თქვენ ამოუხვიეთ, ხელმარჯვნივ.

— ფეხით დადიხართ?

— თუ ნაცნობი ვინმე არ წამომეწია, კი.

— ხშირად „წამოგეწევიან“ ხოლმე?

— საკმაოდ ხშირად. ამ სოფელში მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტო ჩემს ბიძაშვილს, ხუთს ჰყავს „ჟიგული“.

— გაგნიძეების გარდა არავინ ცხოვრობს ამ უბანში?

— გაგნიძეები ბევრი არა ვართ, სხვათაშორის. რაჭიდან გახლავართ ჩვენ გადმოსულები. ისე ძირითადი მაცხოვრებლები კოტრიკაძეები, ცერცვაძეები და სამხარაძეები არიან.

— აგაშენა ღმერთმა, — დამშვიდდა ფარმაცევტი. წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გადაიხედა.

ცაცხვის ძირას სუფრა იშლებოდა.

— რა ტყვილად შეგაწუხეთ დღეს.

— რას ბრძანებთ, სტუმარი ღვთისაა, — მაშინვე შეაგება შორენამ.

— გიზომ აიჩემა, თორემ მე არ ვარ ამის კაცი. არ მიყვარს ასეთი რამეები.

— რატომ? საჭიროა ხანდახან.

— რა არის საჭირო? — რაფიელი ფანჯარას თვალს არ აშორებდა.

— მისვლა-მოსვლა.

ზუმბაძე შემობრუნდა და ჩვეულებრივზე უფრო მკაფიოდ თქვა:

— შორენა, გულახდილად უნდა მოვილაპარაკოთ მე და შენ.

რაფიელის ნათქვამში კატეგორიულობას მუდარაც გაერია.

შორენა სმენად იქცა.

— ღირს ახლა ეს ყველაფერი? ხომ ხედავ, რა ხდება დედამიწაზე. ყველამ თავის თავს უნდა მიხედოს. რა დროის ბოვშების აკიდებაა. მოუვა ვიღაცა გადარეულს რაღაც თავში, დააჭერს ღილაკს ხელს და მეყოლე კარგად, შენი ბღარტებიან — ჩიხტიკოპიანად.

— რამ შეგაშინა, შე კაცო, — სხვისი ხმით თქვა შორენამ.

— გიზოს თავისი პეპლები ყავს თავში. მე საღად ვუყურებ ცხოვრებას. მაშინ უნდა ავკვინტილებულიყავი და შემერთო ცოლი, როცა ოცდახუთის ვიყავი. თვარა ჩამოკონწიალება მინდა ახლა მეე? ისედაც ძლივს ვდგავარ ფეხზე. ორმოცს მალე გადავაბიჯებ, ხომ ხედავ, გაპუტულ ბატს მიგავს სახე.

შორენა სდუმდა.

— შენ შეგნებული გოგო ჩანხარ და სწორად უნდა გამიგო. არ ვარ მე ოჯახის კაცად გაჩენილი. არ შემიძლია ბოვშობია და წამლობია და აკვნობია და ნათესავობია. არ ვარ ბაზარში მორბენალი და რძის რიგში ჩამდგომი კაცი. არ ვარ და ძალაა? არ დამბადა ამ საქმისთვის გამჩენმა.

— მერე? ვინ გაძალებს? — განზე გაიხედა ქალმა.

— ვინ მაძალებს? შემჭამეს ოჯახში. იმ მამიდაჩემ ვარას რომ უყურებ, ღვთის პირიდან გადავარდნილია. თვითონ არ გათხოვდა, ქეა გალოკილი თითივით, დეიკვანწება მარტოდმარტო და მე მიშრობს სისხლს. სახლში შესვლა მეზარება. ეს ჩემი შტერი ძმაა და; მე მრცხვენია ქალაქში გამოსვლა შენს მაგივრად, უცოლოდ რომ ბერდებიო. რა არი, თუ ქალი ხარ, სასირცხვილო? რავა, ყველა კი არ გაუჩენია ღმერთს საოჯახოდ.

— მართალია.

რაფიელს იმედი მიეცა. სკამი შორენასთან ახლოს მიაჩოჩა და უფრო ენერგიულად ალაპარაკდა.

— ანგელოზივით გოგო ხარ, რა გაქვს ჩემი დასაწუნი, მარა არ მოხდება ეს ჩვენი საქმე. შენს ადგილზე მარიამ ღვთიშობელიც რომ იყოს არ მინდა. არ ვარ ცოლის შემრთველი, მე, საერთოდ. შენ გგონია ჩემი ნებით მოვედი? გიზოია დამთხვეულმა ძალით შემტენა მანქანაში. ახლა მე რომ უარი ვთქვა, ვიცი მაგისი ოფოფები — თავს გამიტეხავს. შენ უნდა მიშველო.

— რა უნდა ვქნა? რაც არ გინდა, ღმერთმა ნუ მოგცეს, — იდუმალი ხმით თქვა შორენამ.

— შენ გიშველა ღმერთმა. აი, მესმის შეგნებული გოგო. შენ უნდა თქვა უარი ჩემზე. ისედაც ასე აჯობებს; რად გინდა, ჩემი დაწუნებულის სახელი გქონდეს. შენ უნდა თქვა; არ მომეწონა, ღობის სარს წავყვები და მაგას არათქო. რაც შეიძლება შორს დამიჭირე. ცოლის შემრთველიც რომ ვიყო, ისედაც არ ვარ შენი ღირსი მე. არ გამოვდგები ოჯახში. ერთხელ დავურწიე აკვანი ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმიშვილს და თავბრუ დამესხა. გლახა რომ დეიბადება ადამიანიშვილი, ნაკლები რომ ყამოვა, ისე ვარ სწორედ.

— კი ბატონო, მაგაზე ადვილი რა არი — როგორც წელან შეხვედრის დროს ისე ათამაშდნენ შორენას თვალებში ეშმაკები და რაფიელი ვერ მიხვდა, სიბრალულ-თანაგრძნობის იყო ეს ღიმილი, თუ გაგნიძის ქალი ცოტას დასცინოდა კიდეც.

— მე ვიტყვი, მომეწონა-მეთქი და შენ სასტიკი ვარი დაარტყი. სახვეწნი და საღრიჭინო არ დაუტოვო არავის. გადაწყვეტილად თქვი; არ მინდა, მორჩა და გათავდათქო. მაგათ ჩემი სიკვდილი უნდათ, მე მგონია. რაღა დროს ჩემი ცოლია, ღამე ძილი არ მივარგა. მე მგონია, ავადმყოფიც უნდა ვიყო. ექიმთან ვარ მისასვლელი, მარცხენა თირკმელა ყრუდ მტკივა და, მგონი, ნაღვლის ბუშტიც ამოსაჭრელი მაქვს.

— ნუ მოიკლავ ახლა თავს.

— მართლა გეუბნები, რა მაქვს მოსატყუარი, — გულთან ორივე ხელი მიიტანა — არ დამღუპო შორენა. კატეგორიული უარი უნდა მტკიცო. შეგნებული გოგო ხარ შენ.

შორენამ გაიღიმა, რემბრანდტის ნახატს თვალი მოაცილა და რაფიელი ერთხელ კიდევ აათვალიერ-ჩაათვალიერა:

— რას მევაჭრები, შე კაცო. ისედაც მასე თქმას ვაპირებდი, რომც არ გეთხოვა შენ.

ფარმაცევტი წამოხტა და ქალიშვილს ხელზე აკოცა.

— აგაშენა ღმერთმა.

●

გიზო ორი ნახტომით კიბესთან გაჩნდა. შორენა წინ გაატარა და რაფიელს მკლავში სტაცა ხელი.

— რა ჰქენი?

— მომათქმევინე სული, რას მეცი კაპუეტივით?.. განზე გაიწია ზუმბაძემ.

— არ მითხრა, არ მომეწონაო, თვარა შემოვიხევ ტანზე ყველაფერს. — კბილებში, მტკიცე გადაწყვეტილებით, გამოცრა გიზომ.

დამფრთხალმა სასიძომ ერთხელ უყურა და რა ირწმუნა, შავდია არ ხუმრობსო დინჯად თქვა:

— რა აქვს ჩემი დასაწუნი, მარა...

— რა მარა?!

— არ ეკითხები, შე გადარეულო, იმ გოგოს? შენ გგონია ის ტაშისკვრით წამომყვება?

— მაგას ვნახავთ, — შავდია ლამის ჩამოფრინდა კიბიდან და ცაცხვისკენ გაბადრული წამოასკინკილდა.

... თამადას, ტარიელ გაგნიძეს, წინაპრების სადღეგრძელო უნდა შეესვა, რომ გიზომ სიტყვა ითხოვა.

— მაპატიეთ ძვირფასებო. დასამალი და მისაკიბ-მოსაკიბი არაფერია. უცხო არავინ გვიზის სუფრაზე. ყველამ კარგად იცის, რა საქმეზეც მოვედით დღეს აქანა. დღესვე უნდა გადაწყდეს, ან ისე ან ასე. გადადებული საქმე ეშმაკისაა. აგერ ზის ჩემი რაფიელი და აგერაა საყვარელი შორენაც. შეიძლება ვჩქარობ, მაგრამ მე პირდაპირი კაცი ვარ. ამ პურმარილის მადლი გაუწყრეს, ვისაც სიკეთის გარდა სხვა ედოს გულში. გეკითხები მე შენ, რაფიელ, არც მთვრალი ხარ და არაფერი, მოგწონს ეს გოგო?

რაფიელმა მიიხედ-მოიხედა და თავჩამოგდებით ამოღერღა.

— კი.

— შეირთავ ცოლად?

— კი ბატონო, მარა ვთქვი მისი არ იყოს, თვითონ მომყვება?

მამიდა ვარას ცრემლი ედგა თვალებში.

— ახლა შენ გეკითხები, ჩემო დაიკო. აგერ არიან შენი მშობლები და აგერ ვართ ჩვენც. გახედ-გამოხედე საქმეს და პირდაპირ გვითხარი; მოგწონს ეს კაცი? ძალას არავინ გატანს. გადასადები არაა ეგ საქმე. მოგწონს, გაყვები ცოლად?

სუფრაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

შორენამ ოხრახუშს ფოთოლი შეაწყვიტა და თითებით დაატრიალა, მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიზოს შეხედა, გაიღიმა, ამოისუნთქა და რამდენადაც მოუხერხდა, თამამად თქვა:

— კი.

მეხის გავარდნად ჩაესმა რაფიელს ქალის პასუხი. მიხვდა რომ გაწირეს, შუბლი დაეცვარა, გულმა ბაგა-ბუგი ასტეხა, ყურებში შუილი იგრძნო.

ულოცავდნენ, ეხვეოდნენ, გიზო შავდია ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს სვამდა. ფარმაცევტს უკვე აღარ შეეძლო სიხარულის იმ ნიაღვრის შეკავება. დაბნეული წამოდგა, შორენასთან მივიდა, მხარზე ხელი გადაადო და ყურში უჩურჩულა.

— ესაა შეგნებული ვარო? მეტი ვერ უნდა გენდოს კაცი, შე ქალო?

შორენამ ხელზე-ხელი მოუთათუნა და ამ ქვეყნად ყველაზე ბედნიერი ქალის ღიმილით გაუღიმა.

...ქორწინების დღედ 1984 წლის 8 სექტემბერი, შაბათი, დათქვეს.

# ბ უ ლ დ ო გ ი

ალმართზე ბულდოგი რომ ამოზვავდა და ჯიქურ წამოვიდა ჩემსკენ, ვის დავუმალო, ცოტა შემეშინდა, მაგრამ შიშის ქარმა მაშინვე გამიარა, ბალახზე ჭილოფისქუდიანი კაცი რომ ამოხარხალდა.

— ჯეკ!

ჯეკ არ შეჩერებულა, აქელებული, ღონიერი მკერდითა და გაფარჩხული ფეხებით ჩემსკენ მოათრევდა კაფანდარა, ჯარისკაცისჩექმებიან მოხუცს, რომელსაც ძაღლი ორივე ხელზე დახვეული ღვედით ეჭირა. იქნებ „ეჭირა" მთლად ზუსტი სიტყვა არ იყოს ამ ვითარების დასახატავად, რადგანაც უეჭველია; ამოდენა ალმართი ღონიერმა პირუტყვმა ეს ჭარმაგი კაცი სულმოუთქმელად ამოარბენინა. რატომ და რისთვის? ამის დამდგენი ვინღაა დღეს. ყოველ შემთხვევაში სანამ ჩემთან მოაჩიქჩიქებდეს, ახლავე ვიტყვი (თორემ ბულდოგი საეჭვოდ მომიახლოვდება და მერე, იქნებ თქმის ხალისი დავკარგო), რომ მე არაფერ შუაში ვარ. ამ ბულდოგს და, რასაკვირველია, მის, მჩატე წონის პატრონს პირველად ვხედავ.

— ჯეკ! — ახლა უფრო მკაცრად დაუძახა მომთვინიერებელმა, მაგრამ ძაღლს, ეტყობა, ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა; გაეგო რა სულის პატრონი გახლდით მე, შემოდგომის ამ გრილ საღამოს მარტოდმარტო მჯდარი კუსტბის განაპირა ხეივანში, წარწერებით აჭრელებულ სავარძელზე.

მომვარდა. ჯერ ფეხებზე დამსუნა. მერე ზევით ამოჰყვა და მუხლებზე დადებულ ხელზე ვიგრძენი მისი ცხელი სუნთქვა. დრუნჩითაც შემეხო.

წარბიც კი არ გამიტოკებია. გაგონილი მაქვს, ასეთ დროს არ უნდა აღშფოთდე და ხელების ქნევა არ უნდა დაიწყო. თითქოს არაფერიც არ ხდება, სვანური კოშკის უგემოვნო ასლს მივჩერებივარ.

— ჯეკ! — ცხვირ-პირზე შავ-ყავისფრად დახაზულმა ვეებერთელა ბულდოგმა უკან დაიხია და თხის ყურისხელა კუდი გააქნია. ჯერ პატრონს შეხედა, მერე მე. ბოლოს დაამთქნარა და წინა თათებზე ლამაზად დაეშვა.

— სუფთა სისხლისაა? — ვკითხე ჩემს გვერდით წამოსკუპულ ჭილოფისქუდიანს, რასაკვირველია იმის შემდეგ, როცა მან შუბლი მოიწმინდა, ჩანთიდან პურის ნაჭერი დააძრო და ძაღლს გადაუგდო.

— სუფთაა კი — მიპასუხა მოხუცმა. სათვალე გაიკეთა და დამაკვირდა, მაგრამ ვერ მიცნო და როგორც შევატყვე, გულიც არ დაწყვეტია, რომ ნაცნობთაგანს ვერავის მიმამსგავსა.

პური, ეტყობა, გამხმარია. ძაღლი ხიტკინ-ხიტკინით შეექცევა და ხანდახან გამომხედავს, ყოველშემთხვევისათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის; აქაოდა, არას გერჩი, შენც ცუდი არაფერი გაივლო გულში, თორემ განა ისე ძვირფასია ეს გამხმარი პურის ნაჭერი ჩემთვის, ჭამა არ მივატოვო და ანგელოზები არ დაგიფეთოვო.

ჭილოფის ქუდი მოიხადა და მუხლზე ჩამოიდო. გულისჯიბიდან ჩიბუხი და სათუთუნე ქისა ამოიღო. ორი თითით ირისისფერი თუთუნის ბღუჯა ეკავა და კარგა ხანს ჰყნოსავდა. მერე ცერა თითით ჩიბუხში გულმოდგინედ ჩატენა, გააჩაღა და ერთი-ორჯერ რომ დაუპლაკუნა, ვკითხე:

— ჯიუტს ამბობენ ამ ჯიშზე.

— რა გაგებით?

— წვრთნას ნაკლებად ემორჩილებიანო.

— რა მოგახსენოთ. ცოტა არ იყოს მძიმე ესეც გახლავთ. დამოუკიდებლობა უყვარს. რაც არ მოსწონს, მოკალი და არ გააკეთებს. ისე, უჭკვიანესი ცხოველია, მაგრამ თავნებაც გახლავთ.

— ლეკვი გაზარდეთ?

— არა. მე მესამე პატრონი ვარ.

— ბაზარში შეიძინეთ?

— მაჩუქა ყოფილმა მეზობელმა. ძაღლი არასოდეს მყოლია და არც დიდი სურვილი მქონდა, მაინცდამაინც, ახლა, არ დაიჯერებთ და უამისოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. ამ ძაღლმა გამომათრია სახლიდან გარეთ და თქვენ წარმოიდგინეთ, სიცოცხლე გამიხანგრძლივა. თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცი ვარ და ისე დავბერდი, კუს ტბაზე და ვაკის პარკში ფეხი არ დამიდგამს. დასვენება და სუფთა ჰაერის გადაყლაპვა სუფრაზე, ჩაის ჭიქით ხელში ჯდომა მეგონა მარტო. მაჩუქა მეზობელმა, აშენდა მისი ოჯახი, თორემ ამის ყიდვის თავი მქონდა? მაჩუქა როგორ, სხვა გზა არ ჰქონდა, თორემ იქნებ არც ეჩუქებინა.

— ვერ გავიგე?

ჩიბუხი მუჭში დაიჭირა და პირში რომ ჩაიდო, ისედაც შევარდნილი ყბები ძვალ-ტყავზე დაიყვანა, რამდენჯერმე ჩაკეცა ძვლებში საბერველივით მოჩვარული კანი და ჩიბუხს კვამლი რომ ვერ გამოადინა, უკმაყოფილოდ ჩაიხრინწ-ჩაიკრუსუნა, ასანთს გაჰკრა და კარგა ხანს ათამაშა თუთუნზე ბატის აპკივით გათხელებული ცერა თითი.

— თუთუნი ჰქვია ამასაც. სანამ წუმწუმას ჯიბეში ჩაიდებდე, ქვრება, ეს უპატრონო. თუთუნი კი არა, მტვერია მეტი არაფერი. ატყუებენ ხალხს.

მოხუცის წამალივით წვრილი და დაკვარჯღული თითები ისე იყვნენ მორგებულ-შეყვითლებული ჩიხუბზე, თითქოს ჩიბუხი ამ კაცს დაბადებითვე დაჰყოლიაო.

— რას ვამბობდი? — გადამვარდა გულზე.

— მეზობელმა მაჩუქაო — შევაშველე.

— რაი?

— ძაღლზე ბრძანებდით.

— ჰოო... პენსიაზე რომ გავედი, შარშანწინ იყო ეგ ამბავი, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა, ჩვენს შორის დარჩეს. ახლა ოთხმოცდაოთხია, დიახ, ორი წელი გათავდა და მესამე დაიწყო სექტემბერში, რაც პენსიაზე ვარ. ჯერ ერთი უსაქმობა ვერ ავიტანე. ძნელია შრომას მიჩვეული კაცისთვის. ხაბაზად ვიმუშავე ორმოცდარვა წელიწადი ოქროყანის ასახვევთან, ქვევით ქართულ პურს რომ აცხობენ, გეცოდინება. კუჭი დამიავადმყოფდა და აღარ შეიძლებოდა ჩემი მუშაობა, თორემ ჯანი ძველებურად მომდევდა. ამ ორ წელიწადში გავნახევრდი კაცი. ასე კი არ ვიყავი. ახლა ჩემს ხელებს რომ დავცქერი, მეცინება, რაც ამ ხელებს ცომი უზილავთ, ეტყობა რამე? ორ წელიწადში ისე გამინაზდა თითები, ბუღალტერის ხელები გეგონება. მკლავში ჭყანაც აღარ მაქვს, ძაღლს ძლივს ვიმაგრებ. დასვენებამ უარესი მიქნა. არ უნდა მიატოვო, როგორც ჩანს, კაცმა შენი საქმე, თუ სიკვდილია, შენს საქმეზე მოკვდე სჯობია, ვიდრე ამ პარკში, სკამეიკაზე, დასვენებული და გაბითურებული. პენსია პენსიაა მაინც და, მე ვთქვი, ცოტას ხელს წავაშველებ

ამ ჩემს პენსიას, რაღაცა იოლ საქმეს გამოვძებნი-მეთქი. გეჩქარებათ?

— არა, ბატონო, ბრძანეთ.

— მაკლერობას ვერ ვიკადრებდი და ინტრიგანობის დაწყება ჩემთვის უკვე გვიან იყო. შეგიმჩნევიათ ალბათ, სიბერეში მოინდომა ზოგმა ქვეყნის გასწორება; გაიკეთებს წითელ ჭინჭს მკლავზე და არის ერთ ამბავში. მე სხვის საქმეში ჯეელობაში არ ჩავრეულვარ და ახლა მითუმეტეს. ყველა თავისას აჩირთიფირთებს, ვინ მკითხავს მე — „ბალი ორშაურიას“, ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს გამჩენმა. ჰოდა, იმას ვამბობდი, არ გამცინოთ და ქაღალდის პარკების კეთება დავიწყე. „ლევი პარკებს“ რომ ეძახიან, მგონი თხუთმეტ კაპიკზე ავიდა ახლა ბაზარში, ჩვენ სამ კაპიკად ვაკეთებთ. ქაღალდი და წებო, რასაკვირველია, დამკვეთისაა. ვაკეთებ ამ პარკებს და თავს ვიქცევ, თორემ შემოსავალი დიდი არაფერი მაინცდამაინც. სამ-სამ კაპიკად შეგროვებული ფული რას გიზამს დღეს, რაზე მოვყევი ეს ამბავი?

— ძაღლი მაჩუქაო მეზობელმა.

— ჰო, რასაკვირველია, მაშინ ბარნოვის ქუჩაზე ვცხოვრობდი, ზევითკენ დასაწყისში. ერთი პატარა ოთახი მქონდა პირველ სართულზე. ნგრევაშია ის ჩიხი და ჩემს ძმიშვილს გადავუცვალე საბურთალოზე ერთოთახიანში. მე მარტოხელა კაცი ვარ, სიკვდილამდე მეყოფა. ძმიშვილი ცოლშვილიანი ბიჭია, ოროთახიანი ბინის გარანტია მისცეს. ჩაწერა და გადაფორმება დაუჯდა ორი კაპიკი, მოგეხსენება, ისე ვინ გაგიკეთებს, ნგრევის ზონაში მითუმეტეს. ჩვენს ეზოში მეორე სართულზე სახერხის გამგე შიო ბალთაძე ცხოვრობდა. ცხოვრობდა და ახლაც ცხოვრობს. ახლაც ხე-ტყეზე მუშაობს სადღაც. სახერხი დამიხურესო, მაშინ ამბობდა, რა ვიცი, მართალია, ტყუილია. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, შიომ მოიყვანა ეს ძაღლი. წლინახევრის იყო, მაშინ ისრაელში წამსვლელი ებრაელისგან ეყიდა. ძაღლს და საერთოდ შინაურ ცხოველებს არ ატანენ თურმე. იაფადაც გყიდდა, ხომ იცი, წამსვლელი კაცი. ძაღლი იყიდა მერე რა, თავის სახლში კაცი უნდა ძაღლს გააჩერებს და უნდა ბეჰემოტს, მარა უცნაურია, როგორც ჩანს, ცხოველი მაინც. ჩამოუშვებდა თუ არა ეზოში, ჩემს ოთახში შემოგლიჯინდებოდა ჯეკა, დაჯდებოდა იატაკზე და ისე ყურადღებით მომაჩერდებოდა ხელებში, გეგონებოდა, რაღაც სასწაულს მოელისო. ადგებოდა ამ ჩემს გაკეთებულ პარკებს დასუნავდა, მიივლ-მოივლიდა და ოთახში ისევ იმ ადგილას, კუთხეში გაქვავდებოდა, მონუსხული მიყურებდა ხელებში, წამწამსაც არ ახამხამებდა. ძაღლები, ჩემი სიგლახე რომ გითხრა, მაინცდამაინც არ მიყვარდა და რომ აღარ მომეშვა, გასაგდებად ვერ გავიმეტე, მაგრამ დავუძახე პატრონს და ვუთხარი, მომაცილე შენი ძაღლი-მეთქი. საქმეში ხარ? საბლით ჩამოყავდა მერე შიოს სასეირნოდ, მაგრამ პირდაპირ ჩემს კარებს მოადგებოდა ბულდოგი, ყეფდა, წკმუტუნებდა, მეხვეწებოდა შემომიშვიო. სასწაულია, აბა რა არის? შემოვუშვებდი და საათობით, თავგაუნძრევლად შეეძლო ეცქირა ქაღალდის პარკის კეთებისთვის. სამი თვის მოყვანილი იყო ჯეკა, მე რომ ბინა გადავცვალე. რომ გითხარით, ჩემს ძმიშვილს გადავუცვალე-მეთქი, სწორედ მაშინ იყო ეგ ამბავი. ცოლშვილიანი ბიჭია, ოროთახიანის გარანტია მისცეს, მისთვის ხელსაყრელია. ცოტას გაიჭირვებს და ოროთახიანში შევა. საბურთალოს ბოლოში გადავედი მე, ვაჟა-ფშაველაზე, ერთოთახიანში. არაა ცუდი ადგილი, სხვათაშორის. ახალი გადასული ვარ საბურთალოზე და ჩემი ძმიშვილი მეუბნება, შენ მოგეცა იმ ძაღლის ცოდვა, ორჯერ შემოგვივარდა ოთახში, დარბის, წკმუტუნებს, დაგეძებს გამწარებულიო. არ მივაქციე ამ ნათქვამს ყურადღება. ნამეტანი ჩვილი გულის ხარ ახალგაზრ-

---

**რევაზ მიშველაძე**
**ნოველები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობაში ვყოფილვარ. იწკმუტუნებს და გაჩერდება, ძაღლი ძაღლია-მეთქი. ერთადერთხელ, ფიცში ვერ ჩავიყოლებ, ჩემი ძველი მეზობლების სანახავად რომ წავედი, ძეხვის ნაჭერიც გავიყოლე და აივანზე დაბმულ ჯეკას ავუგდე. შიო და მისი ოჯახის წევრები შინ არ იყვნენ. ძეხვს პირი არ ახლო, უნდა გენახათ, რა იყეფა, რა იტირა, რა ითავცემა, ლამის აიწყვიტა, რას ჰქვია, მე აქ მტოვებ და შენ მიდიხარო. კბილით ღრღნიდა ჯაჭვს, მოკლედ ადამიანი ვერ შეგეხვეწება ისე ეს ძაღლი რომ მეხვეწებოდა, წამიყვანეო.

ბულდოგს გავხედე. ყურადღებით უსმენდა პატრონს. თითქოს ხვდებოდა, რასაც მიამბობდა, შიგადაშიგ რბილად, დაყვავებით დაჰყეფდა და დაამთქნარებდა.

— მერე, ბატონო?

მოხუცმა ისევ შეიკეცა ლოყები და გადააფურთხა.

— ა, კიდევ ჩაქვრა, თუთუნია ახლა ეეს?

ჩიბუხი სავარძლის კიდეს დააფერთხა ჩაბერა და გულის ჯიბეში შეინახა.

— სად გავჩერდით? — სათვალე გაიკეთა და ერთხელ კიდევ შემათვალიერა.

— ძეხვი რომ მიუტანეთ.

— არ გასულა ერთი კვირა ამ ამბიდან, ვზივარ ჩემთვის ოთახში და ვმუშაობ. ეს დროა დაახლოვებით, შეღამებას აპირებს. კარს მოაწვა ვიღაცა, ბლაგვი რამე რომ დაარტყა კარს, ისეთი ხმაც გავიგონე. გავიჭვრიტე საჭვრიტინოში, არავინაა. მომეჩვენა-მეთქი და განვაგრძე პარკის კეთება. ყეფა და ფხაჭუნი რომ მომესმა, გავაღე კარი. ორფეხზე დამდგარი ჯეკა არ შემოვარდა ოთახში? პარკებს ეცა, დაყნოსა. მერე მე მომიბრუნდა და ერთი-ორჯერ ვერგამეტებულად დამიყეფა. რაღაც მითხრა თავის ჭკუით, შემოირბინა ოთახი. გაწვა ტახტის წინ თათებში ჩაიდო თავი და მომაჩერდა. ცრემლი მომერია. სად მომაგენი? რამ ამოგიყვანა ამ მეოთხე სართულზე, ჩემო ჯეკა-მეთქი. არ არის გასაკვირი? ბარნოვის დასაწყისიდან საბურთალოს ბოლომდე გაწიე-გამოწიე, ოთხი კილომეტრი ხომ იქნება? ოთხი კილომეტრი გამოიარა, მეოთხე სართულზე ჩემი ოთახი მოძებნა და მეწვია. მეტს რას თხოვ ძაღლს, მითხარი, თუ კაცი ხარ. ჩემი მუშაკის ამხანაგი შეხვდა ამასწინათ ბაზარში. ჰა, ჰა, არ მინახავს, ალბათ, ოცი წელი იქნება, მეტი არა. გავუცინე, იქით მიაბრუნა სახე, მეც აღარ გამოვეცნაურე, აბა, თვითონ თუ მიცნობს-მეთქი, ხან აქედან მოვუვლი, ხან იქიდან, ერთი-ორჯერ პირდაპირ შემომხედა, შენც არ მომიკვდე. ვკითხე, ხომ არ იცით, წითელი ფხალი სად იყიდება-მეთქი. გაჩერდა, დამაკვირდა, ამიხსნა ფხალი სადაც იყიდება და განაგრძო გზა. ა, კაცი, დავიჯერო ახლა ისე შევიცვალე ამ ოც წელიწადში? კაცმა ვერ მიცნო, ხუთი წელი რომ ერთად გავატარეთ, იმ კაცმა და ძაღლმა, ხომ ხედავ, რა ჰქნა; სად ამომაკითხა. გავართე სამ საათს, ვეცი პატივი რაც შემეძლო. პარკის კეთებაც ვაყურებინე, გვიან ღამით ჩავაბი ღვედი და მივუყვანე შიოს. არ დაიჯერა, რომ ვუთხარი თვითონ მომძებნა-მეთქი. მატყუებ, ალბათ, ეზოდან გაგყვაო. ის დღე და ის დღე შიომ ბულდოგი ვეღარ გადაიბირა. ვერ დაამაგრა. როგორც კი აუშვებდა, ძაღლი ჩემთან გამორბოდა. სასეირნოდაც აღარ დაყვებოდა შიოს. გაჩაჩხავდა ფეხებს და ყეფას უწყებდა. მეოთხეჯერ რომ მივგვარე უკან, შიომ აივნიდან გადმომძახა, შენია ეგ ძაღლი, ალალი იყოს შენზე. მიჩუქნია და გყავდესო. ჩემი მაინც აღარაფერი ეყურებაო.

ვცხოვრობთ ასე მე და ჯეკა, იმ დღიდან, ერთ ჭერქვეშ. დამყავს, დავასეირნებ, მეც ქარს ამოვაღებინებ ხოლმე მუხლებს. მომიხდა-მეთქი სუფთა ჰაერზე სეირნობა, ხომ გითხარი. ერთი-ორჯერ გამოფენაზეც გავიყვანე, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა. იქ ისეთი გაწვრთნილი ძაღლები ჰყავთ, ლაპარაკი არ იციან, თორემ ყველაფერს აკეთებენ. ჯეკას ვერ დაარიკებ შენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუდუკზე, ჯიუტია. ყველაზე უფრო მაინც პარკებით ერთობა, ყველაზე დიდ სიამოვნებას ქალალდის შრიალი ანიჭებს. უნდა ნახო, ჩემი მუშაობის დრო რომ მოახლოვდება, როგორ ემზადება თვითონაც. მოკალათდება იატაკზე და ნერწყვგამშრალი უცქერის ჩემი თითების მოძრაობას. რატომ მოსწონს, რატომ ართობს ასე პარკის კეთება. ვერაფრით ამიხსნია.

ერთი უცნაურობა სჭირს კიდევ. ხომ ასე უშიშარია, ლომს შეებრძოლება რომ გაუშვა. ზოოპარკში მყავდა იმ დღეს და დათვის გალიას დრუნჩით ეძგერა, კინაღამ კბილები ჩაილეწა, ძლივს გამოვარიდე. ბავშვების ეშინია წარმოუდგენლად. ბავშვს რომ დაინახავს, კუდამოძუებული, წკმუტუნით მოვა და ფეხებში ჩამოვარდება, დამმალეო. ტელევიზორშიც კი თვალს არიდებს ბავშვებს, როგორც კი ბავშვს დალანდავს, სკამეიკის ქვეშ შეხოხდება და წკმუტუნებს. რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო ეშინია მისი და ერიდება.

ჯეკას გავხედე, წამომდგარიყო და ჰაერს შავ ხახას უწკლაპუნებდა, ბუზის დაჭერა სურდა და გამეტებით ურტყამდა ერთმანეთს ბასრ, ჩაბრუნებულ კბილებს.

მერე გაიზნიქა, ზურგზე ბალანი აათახთახა, ზავის მაუწყებელი თვალებით შემომხედა და პურის ქერქს დაუბრუნდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დალილა ბედიანიძე

## ჯადოსნური წრე

„ეს რამდენი შეგძლებია!
მითხარ, რაშია შენი სული,
მითხარი, მითხარ, რომ ვემსახურო!“ —
მთხოვა ცბიერმა მეგობარმა და თანაც ისე შემომხედა,
დამავიწყდა, ცბიერი რომ იყო და გამოვუტყდი —
„ამ კაკლის ხეში! ამ კაკლის ხეში!“
და ის იყო, თვალს მივეფარე,
ვიგრძენი, როგორ შემოჰკრა ცული,
რა გამწარებით ანაფოტებდა,
ჩემს სულს როგორ დაეძებდა.
მაინც დავბრუნდი.
„რად მომატყუე, რად მიმალავ?
მითხარ, რაშია შენი ძალა?
მითხარი, მითხარ, რომ ვემსახურო!“ —
მისაყვედურა ჩემმა ცბიერმა მეგობარმა და ხელი ისე
გადამხვია,
დამავიწყდა, ცბიერი რომ იყო და გამოვუტყდი:
„ჩემს თმაშია ჩემი ძალა, ჩემს გაშლილ თმაში!“ —
და ის იყო, თვალი მოვხუჭე, მომეპარა და თმა მომკვეცა.
მაინც დავბრუნდი.
რომ დამინახა,
ჩემმა ცბიერმა მეგობარმა ცრემლმორეულმა დაიჩივლა:
„რად არ მეტყვი, რა გაცოცხლებს?
მითხარი, მითხარ, რომ ვემსახურო!“ —
და ცრემლი ისე უხდებოდა,
დამავიწყდა, ცბიერი რომ იყო და გამოვუტყდი:
„ეს გიტარა! ეს გიტარა!“
მან გიტარა გულში ჩაიხუტა,
მაგრამ თვალებში დავუნახე,
ძერამ როგორ შეჰკრა კამარა
და როგორც კი გამისტუმრებდა, უკვე ვიცოდი —
ჯერ პირველ სიმს ააგლეჯდა,
მერე მეორეს, მერე — მესამეს...
და ახლა ველარ გადავრჩებოდი.
მეოთხედ უკვე ველარ მივედი. სული არ მეყო.
ვიწექი და ველოდებოდი —
კაკლის ხე როდის ამოვიდოდა,
ან თმა როდის გამეზრდებოდა
და როდის, როდის გავაბამდი გიტარის სიმებს.
ველოდებოდი და მოვესწარი.
და რომ მივედი,
ჩემმა ცბიერმა მეგობარმა ისევ დაიწყო —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მითხარ, რაშია შენი სული?
მითხარი, მითხარ, რომ ვემსახურო!“
და თანაც ისე შემომხედა,
დამავიწყდა, ცბიერი რომ იყო და გამოვუტყდი.

## ცეკვა „ქართული“

თეთრი ცეკვაა, გინდათ, ვიცეკვოთ,
რომ წაიშალოს სხვა ცეკვის კვალი.
თეთრი ცეკვაა, ცეკვავენ წლები
და ერთი ცეკვის ნება აქვთ ქალებს.

თქვენ უნდა მიხვდეთ და გამიწვიოთ,
დადგეთ და ჩემს წინ დახაროთ თავი.
ქართულ ცეკვაში ასეა წესი —
ქალი არასდროს არ იწვევს არვის.

ეს საქართველო დედაა, დედა,
ყველა სხვა დედა თუმც არის წმინდა.
ქართული ცეკვა მაცეკვეთ ჯერ და —
მერე ვიცეკვებ, სხვა რასაც გინდათ.

მე აღარ მახსოვს, მე აღარ მახსოვს,
თქვენც დაივიწყეთ, რაც ნახეთ დღემდე.

ჩემს სიცოცხლეში რაღა იქნება,
რაღა იქნება ამ ცეკვის შემდეგ?

ბევრი მელოდა და მე კი თურმე
თქვენ მოგელოდით! ეს ახლა ვიცი.
თუ გესმით ჩემი, მე და ქართული
თუ არასოდეს არ დაგავიწყდით,

სხვამ სხვა იცეკვოს, მიიღოს ქება,
მე ვითვლი ქართულ რიტმებს და
წამებს.

ო, თუ მეორედ მოვედი ქვეყნად,
კვლავ მხოლოდ თქვენთან ვიცეკვებ,
გწამდეთ!

ამ ცეკვისათვის ღირდა სიცოცხლე,
ღირდა ბედისკენ ეს ჩემი ლტოლვა.
ო, თუ მეორედ მოვალ, იცოდეთ,
რომ თქვენ გეცეკვოთ, იმისთვის მოვალ.

●

მე ამჯერადაც უთქვენოდ წავალ
და დავბრუნდები როდის, ვინ იცის!
გამოგიგზავნით მოკითხვას მრავალს,
გადმოგცემთ ალბათ მთელი თბილისი.

რად მაგონდება, რაც არ მინახავს
და რაც მინახავს, რად დავივიწყე?
ვიცი? არ ვიცი კარგად, ვინა ხართ
და ვცვლი ყველაფერს თქვენს ერთ
ღიმილზე.

ცრემლს რას უყურებ, ცრემლი წყალია,
რა უნდა ერთი ცრემლის დაშრობას!
მადლობელი ვარ, არ მინანია,
გქონდეთ სახსოვრად ჩემი ბავშვობა.

დაბადების დღე... გდევნიან წლები,
გინდა, არ გინდა, მაინც იზრდები...
მეც მოგილოცავ, მერე დავწვები,
დავიძინებ და დამესიზმრები!

●

სანამ ეს ზეცა დაგვყურებს მაღლით
და სანამ არის ვინმე ჩვენს გვერდით,
განა რამეა სხვა უფრო ნაღდი
სიყვარულის და სიკვდილის მეტი?

სანამ დავდივართ ასე მრავალი,
სანამ დავდივართ წყვილი თუ — კენტი,
სხვა რა მოგველის უფრო მთავარი
სიყვარულის და სიკვდილის მეტი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის ერთადერთი არ მეორდება,
ერთადერთია მოკვდავთა ხვედრი,
განურჩეველად დადგება ყველა
სიყვარულის და სიკვდილის გვერდით

ვის ბევრი ერგო და ვის კი — ცოტა,
მაინც ის იყო სიცოცხლით სავსე,
იმან იცოცხლა, ვინც კი იცოდა
სიყვარულის და სიკვდილის ფასი.

იგი დაგვაკლდა, რაც მოგვემატა.
ო, რამდენს უძლებს ჩვენი იმედი!
სხვა ვერც ვერაფერს დაგვაკლებს
ალბათ
სიყვარულის და სიკვდილის მეტი.

და ასე იყო, მხოლოდ და მხოლოდ —
თუკი ოდესმე ვიყავით კარგად.
არც არაფერი შეგვრჩება ბოლოს
სიყვარულის და სიკვდილის გარდა.

## თვალის ახელა

მე თვალს ვიბრმავებ და მაგ სიყვარულს
ვერ ვხედავ, ვერა! თუმცა კი ვიცი!
და მთელ ქვეყანას თუ ხელი ვკარი,
ეს — იმიტომ, რომ მხოლოდ თქვენ
გიცდით.

და არც კი მჯერა, მოსულხართ თურმე
და სულ ცხადია ეს ყველაფერი.
ჰო, თვალს ვიბრმავებ და ყურს ვიყრუებ
და თქვენ გაგირბით თქვენსკენ
მსწრაფველი.

და ახლა ვხედავ ყველაფერს, ახლა.
თუმც ყველაფერი არ ახალია —
და ვმალავ, ვმალავ, რომ მეც
მიყვარხართ,
რომ მეც მიყვარხართ, დიდი ხანია.

ნუთუ დამთავრდა? მითრთის ხელები
და ვერ გიყურებთ, ცრემლი მერევა,
რადგან ისეთი ბედნიერი ვარ,
რომ მეშინია ბედნიერების.

და თუ ამდენ ხანს კენტად მოვდივართ,
სხვა ალბათ არვინ იყო საჭირო
და მიყვარს, მიყვარს ის მოლოდინიც,
რომელმაც თქვენთვის გადამარჩინა.

მაგრამ როდემდე, ღმერთო, როდემდე
ჩვენ ფხიზელი და სხვები —
მთვრალები!
მეც შემოგხედავთ და სამუდამოდ
შეერთდებიან ჩვენი თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ღვინეფაძე

## მისალმება იბერიის ნახევარკუნძულთან ანუ ფერი „კორიდა“

### მონოლოგი დაცარიელებულ ასპარეზზე

აქ ბასკების ნათესავთა
მცირე დასი მოვიდა.
თან ჩამოჰყვათ მზის ღიმილი, —
ფერი მძლე და „კორიდა“.

კავკასიელ ნათესავთა
ერთი ჯგუფი მოვიდა,
რომ იხილოს იბერია
და განთქმული „კორიდა“.

— „ოლე!“ — ოლემ გამახსენა
ფიროსმანის სახლკარი
სულმთლად გაძარცვული თუთა,
ბებერი და საპყარი
ოლესავით მოწყენილი
უპატრონო საყდარი...

— „ტორო!“ — ამ ხარს ფიროსმანი
დახატავდა ღმერთივით!
ჩადგებოდა ორთა შუა
უსახელო ხეთივით.
ოლე, ტორო! — ჩაინავლა
მოსასხამი ღველფივით...

— ოლე, — ბასკთა ნათესავი
ქართველობა გესტუმრა.
ოლე, — შენი სისხლის წვეთი
მირონივით გვესხურა.
ოლე, — გულის ძახილია,
ოლე — მღერის ლექსურად.

მოდის ჩვენი შორი გზები
ბოლნისიდან, რკონიდან.
გვაქვს ზიარი მზის ღიმილი, —
ფერი ცის და „კორიდა“,
ჰა, მალამოდ მეწამული
ვარდი ქართულ კონიდან.

რქები უნდა დაგიმშვენოთ
ჩვენებური სანთლებით.
— ტორო, — ტვინი აგერია
მოსასხამის აფრენით.

ასპარეზი გაიზარდა
ორიოდე ქართველით;
ჯიღა რქები გაგინათეთ
თაფლის წყვილი სანთელით!..

თბილისი-ლისაბონი.

## ღამის სონეტი

1.

ვინ მისვდება
მოკიაფე ნატვრას
ვინ დარაჯობს,
ვინ რას ერჩის,
რას კლავს...
მარტოდმარტო
დარჩენილმა ამწემ
გრძელი მკლავი
შეაშველა ვარსკვლავს...
— არ მოწყდეო, —
ჩემო თვალის ჩინო, —
არ მოწყდეო, —
შეევედრა გულში,
თორემ სულმთლად
ჩამიშავებს ფიქრებს,
ზამთრის ღამე
გამყიდველი, მრუში...

2.

ჩემში დეკემბერია,
შენში მარტი თენდება.
გატეხილი გულები
ნეტავი თუ მთელდება?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც დრო გადის, ფიქრები
და ტკივილი ბევრდება;
სიყვარულით დამწვარი
არასოდეს ბერდება...

ვისთვის განთიადია,
ვისთვის უკვე დაისი, —
მაგრამ კიდევ წინ არის
ოცდაათი მაისი...

სამასსამოცდახუთში
ერთი დღე საკუთარი, —
როცა მიგაქვთ საჩუქრად
ბავშვობა სანუკვარი...

ჩემში დალამებულა,
შინში ღილა თენდება,
ლექსის ხმაზე ეს გული
ჯადოსნურად მთელდება...

3.

... ვინ გაიგებს,
თუ უცოდველ ნატვრას
ვინ უმიზნებს,
ვინ რას ერჩის,
რად კლავს...
მარტოდმარტო დარჩენილმა
ამწემ
ეს სონეტი
გაუგზავნა
ვარსკვლავს...

●

მე უფრო გიხდები,
მე უფრო გამშვენებ...
და როცა მიხვდები
ციხე-კოშკს ვაშენებ, —
იქნება ისურვო
პოეტის ტყვეობა!

ვინ იცის, რა გელის,
როგორი დღეობა.
მე უფრო გიხდები,
მე უფრო გამშვენებ!..
ამ კოშკსაც გულდაგულ
ამიტომ ვაშენებ!

●

შესწრებიხარ საოცნებო,
უჩვეულო წამს,
მიჯნურობის განცდა როცა
გაცრემლებს და გწვავს
სიზმარი და სიყვარული
ერთნაირად მწამს!..

შესწრებიხარ დაუვიწყარ
ულამაზეს წუთს, —
როცა შენში უჩინარი
ქალი ზის და წუხს...

ზესკნელში და სიყვარულში
ერთნაირად ქუხს...

შესწრებიხარ უჩვეულო,
და უმძიმეს წამს, —
სიკვდილზედაც
როცა თურმე
არ შეიხრი წარბს!..
სიზმარი და სიყვარული
ერთნაირად მწამს...
სიზმარი და სიყვარული
ერთნაირად მწამს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მერი შალვაშვილი

## ბაზაზხული

ახლა ყველასთვის რაღაცა ხდება
მაგრამ ამ „ხდებას“ ვერ ვხვდებით
ვიდრე,
ის ძლიერდება და იტოტება
და ხვალისათვის ძალღონეს იკრებს.

ჩემში იზრდება ყვავილი ფიქრის,
ფიქრი თვალებით შენამდე მოდის,
სასწაულივით შემოდის იგი
გულგრილად ვტოვებ ნაფერებ ლოდინს.

## თოვლის დღესასწაული

თებერვლის ქარებს ჰქონდათ თვალები,
დაუნდობელი და შემზარავი,
დილა უცნაურ მოლოდინს ჰგავდა
მაგრამ არ ჩანდა გზაზე არავინ.

ამ მოლოდინის მუდამ მეჯეროდა,
მაგრამ ეს გზები ახლა მაგიუებს,
რადგანაც ქარი მოივლის ქალაქს
ღამით გააკრავს თოვლის აფიშებს.

მე დავინახავ და გავოცდები
გადავიქცევი თოვლის მსახურად,
დილით კი თვითონ ვიქნები თოვლი —
მოლოდინი რომ დაიმსახურა.

## ფიქრები ზეციდან

თეთრი მინდორი
ჩვენს მზერას ახშობს,
და სურვილები ხელისგულს წვავენ
ეს ხმაგახსნილი მზის სხივები
მოიწევს ჩვენსკენ
და მაშინ ვხვდებით:
დედამიწიდან რომ გვიყვარს ზეცა
უფრო ძლიერად
ილუმინატორის ფანჯრიდან კი —
მზერადახშული თეთრი მინდორი
მწვანე მინდვრად გვეჩვენება
ყინულოვანი სიცისფრე მისი
იმდენად აღარ გვაჯადოებს
ღრუბლებიდან ამოდიან
ჩვენი თვალები
და დედამიწას უბრუნდებიან
დედამიწიდან გვიყვარს ზეცა
უფრო ძლიერად.

## მხატვარი საკუთარ გამოფენაზე

ვიცი, ნატვრის სურვილნო
ვეღარ გადაგირჩებით
მოჩანს ავტოპორტრეტი
ხის შემხმარი გირჩებით.

დილა საუცნაურო
მოჰგავს თოვლის ხატებას
მზის ჩამავალ სხივებზე
ჩნდება ექსპონატებად.

აუხსნელი დუმილი
თვალი — ვარსკვლავთ საუფლო
ირონია: „ეს კაცი
თავის თავთან საუბრობს“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ ჩალაური

# გაქცეულია განსაკუთრებით საშიში დამნაშავე

სახლი, რომლის სხვენზეც მოხუცი რეციდივისტი იმალებოდა, ქალაქის ერთ ძველსა და მიყრუებულ უბანში იდგა, ზურგით ვიწრო, უკაცრიელ შუკას ემიჯნებოდა, გარეშემო რიყის ქვით ნაშენი გალავანი ერტყა და სხვა ნაგებობათაგან თითქმის არაფრით განირჩეოდა.

ფასადის მხარეს, მუდამ მოუვლელსა და ატალახებულ ეზოში, ქაოსურად გაფანტული ნუშის ხეები და იასამანის მობერებული ბუჩქები ხარობდნენ, მათ ერთი შეხედვითაც ემჩნეოდათ, მომვლელისა და მზრუნველის ხელი რომ აკლდათ.

მოკლედ, დევნილი კაცი უფრო მოხერხებულსა და სრულყოფილ საფარს ვერც ინატრებდა, მით უმეტეს, რომ შენობასაც და ეზო-ბაღსაც, რამდენიმე შესავალ-გასავალი ჰქონდა, ხოლო მეპატრონედ და ერთადერთ მობინადრედ, ყოფილი ნაჯიბგირალი, ამჟამად წვრილმანი ნაქურდალით მოვაჭრე, ჩოფურა ეღიშა ჰყავდა.

დეკემბრის იმ სუსხიან გამთენიისას, როდესაც სახლის ქვედა სარკმელზე ფრთხილად და წინასწარ დათქმული ინტერვალებით დააკაკუნეს, ქრისტეშობის დილა ბრმასავით ახელდა ღრუბლებით ლიბრგადაკრულ თვალს და ქალაქის ყოველი კუთხე-კუნჭულიდან ეკლესიათა ზარ-ზანზალაკების სადღესასწაულო და ამასთანავე მონოტონური რეკვა-წკრიალი ისმოდა.

ომი ახლად დამთავრებული იყო, სულ რამდენიმე თვისა, ხოლო ქალაქსა და მის მაცხოვრებლებს ჯერაც არ დავიწყნოდათ მოულოდნელი ღამეული განგაშები, სირენების გაბმული კივილი, მოგვიანებით ეკლესიების გადმოძახილიც რომ უერთდებოდა და ამიტომაც, თბილ ქვეშაგებში გატრუნულნი, იჭვნეულად გასცქეროდნენ ფანჯრებში შემოჭრილ განთიადის უფერულ სხივს, შიშნეულად აყურადებდნენ ნაცნობ ხმებს და არც იყვნენ გასამტყუნარნი, რადგან მათ ეშმაკი და მისი დამქაშები გაცილებით უკეთ ახსოვდათ, ვიდრე სადღაც, მოუსავლეთში, მთელი ოთხი წლით გადაკარგული, სიკეთისა და სიმშვიდის მომნიჭებელი მამა ღმერთი.

იმ კაფანდარა კაცს, რომელსაც მეგზურად ქალაქის ორი, ყველაზე ცნობილი და სახელიანი ქურდი მოჰყვა, გამოსარჩევი და თვალშისაცემი არაფერი ჰქონდა, პირიქით, წლობით ნაშიმშილევ ჩინელ რიქშას ჰგავდა, გამოწუწნული ლიმონივით უფერული და გალეული იყო, ჩაფართხუნებული მაკენტოშით შემოსილი და ძვირფასი კრაველის გალიბანდით დამშვენებული, თუმცა რაღაც უხილავი, მომნუსხველი ძალა უდავოდ იგრძნობოდა მასში, რასაც არც სითავხედე აკლდა და არც ამპარტავნობა.

სადარბაზოს კარში გახირულ ეღიშას რეციდივისტმა მხრით ოდნავ უბიძგა, გზიდან ჩამოიშორა, იმის დარდიმანდულად გამოწვდილ მარჯვენას ზედაც არ დახედა, თითიც არ შეაგება, როგორც ღამის ქოთანს, ისე აუქცია გვერდი და ჩიტებზე მონადირე კატასავით უჩუმარი ნაბიჯებით აუყვა კიბეს.

ის ორი ყოვლისშემძლე ქურდიც, პირადი მცველებივით უკან მიჰყვნენ და

ეღიშა გაჯიუტებულ სახედარზე შემომჯდარი მოლასავით მიატოვეს. ცოტა ხნის შემდეგ, ისიც ხვნეშა-ხვნეშით შეუდგა ჩაბნელებულ, მორყეულ კიბეს, თან ყოველ საფეხურზე თითო რიგიან-პირიანი გინებაც კრიალოსანივით ჩამომარცვლა, რაღა თქმა უნდა, გუნებაში, და სახლის სხვენზე შეყუჟული, გაურანდავი ფიცრებით შეკოწიწებული პატარა ოთახის კარი რომ შეაღო, როგორც ჩვეოდა, პირზე საწყალი და დაჩაგრული კაცის ღიმილი აიფარა.

მოხუცი ფარდაგადაფარებულ ტახტზე ფადიშახივით მოკალათებულიყო, მუთაქაზე ნახევრად მისვენებული; ისინი კი, ქალაქის დამქცევების სახელით რომ იყვნენ ცნობილნი, დატუქსული ასასებივით აკვროდნენ კედელს და მოხუცს, რომელიც ძველებურ ლამპას თვალის დაუხამხამებლად მისჩერებოდა, ძვლის მომლოდინე ფინიებივით შესციცინებდნენ.

იმათი შემხედვარე ეღიშა ახლაღა მიხვდა, ძალიან დიდ და სახიფათო ზვიგენთან რომ ჰქონდა საქმე და, როგორც ყველა წვრილფეხას, კდემამოსილი მოწიწება და მოკრძალება აღეძრა მის მიმართ; დაახლოებით იმდაგვარი ცოდვებით დამძიმებული ბერი უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქის წინაშე სასოებას რომ იგრძნობს. თუმცა შეფარვით და მალულად მაინც საგულდაგულოდ ახედ-დახედა და შეათვალიერა.

მოხუცს გალიბანდი ტახტის ბოლოში მიეგდო და დოლის ტყავივით კანგადაჭიმული მელოტი თავი გამოეჩინა, ყვითელი პირისახე ბავშვის გაუწაფავი ხელით კედელზე ნახშირით დახატულს ამგვანებდა, ამ ხნის კაცს შუბლზეც არ გააჩნდა ნაოჭი, უტუჩებო პირი დანით გასერილივით ყურებამდე ჰქონდა გაწელილი და ზემოდან კი პაჭუა ცხვირი ეჯდა.

ეღიშას რაღაცით ეუცნაურა მოხუცი, თითქოს სადღაც შეხვედროდა, პირისპირ შეჰყროდა კიდეც და გუმანით იმასაც გრძნობდა, ფრიად უსიამოვნო მოგონებები რომ აკავშირებდა მასთან; მეხსიერება დაძაბა, რაღაც ბუნდოვნად გაიხსენა, აღიდგინა და... მუხლებში ისეთი სიძაბუნე ჩაუდგა, ლამის ჩაიკეცა; გულიც, რბილი ადგილის გავლით, შარვლის თათში ჩაუცურდა და ჩაუქანდა. ჯერ კიდევ ძველბიჭობისას, მეორე გადასახლების დროს, შუა აზიაში პირისპირ იყო შეყრილი და შეფეთებული. მაშინ, ნახევრად მიწურ საკანში გულაღმა მწოლიარეს იმ შეგრძნებით გაეღვიძა, რომ ვიღაც, დიდი ხნის მოსისხლე უცქეროდა და უთვალთვალებდა. ის იყო ქუთუთოები აზიდა, რული მოიშორა, რომ ცხვირწინ, მტკაველის მანძილზე მუშტისტოლი, მრგვალი საგანი შენიშნა, იმდენად ახლოს, რომ გამოსახულება სრულად ვერც აღიქვა, თვითუნებურად, მოშორებით გააყოლა მზერა და იქ, სანიავო სარკმლის გისოსებზე, ვაზის ლერწივით შემოხვეული და მაჯის სიმსხო, თოკივით დაგრაგნილი რაღაც დალანდა. ეს „რაღაც“ ზანტად იწელებოდა, წვრილდებოდა და საკანში მოსრიალებდა. იმწამსვე იაზრა, რაც შეიძლება ყოფილიყო, იმ გაშლილ რგოლებს აჩქარებით გამოსდია და უცებ იგრძნო მთელი სხეულიდან, კანის ყოველი უჯრედიდან, როგორ ამოუცვივდა უთვალავი ნემსი.

უზარმაზარი, პირდაღებული კობრა პირდაპირ თვალებში ჩასცქეროდა, რიტმულად როკავდა და ორკაპ ენას სისინით ასავსავებდა.

უკვე შემდგომ, ბეწვზე გადარჩენილმა და გონმოსულმა, როდესაც ხელმეორედ გაიხსენა ის ნათლადხილული კოშმარი, მიხვდა, რომ წყეული, როგორც რგოლებში მომწყვდეულ წრუწუნას, ისე ჩამოსცქეროდა, განწირულადაც თვლიდა და სადისტის სიამოვნებით იღიმებოდა კიდეც.

მოხუცმა რეციდივისტმა ლამპის პატრუქს მზერა აარიდა, არც კისერი მოუქცევია, არც უწამწამო ქუთუთოები დაუხამხამებია, ისე აამოძრავა ბოთლისფერი თვალები და სახლის პატრონისკენ კედელ-კედელ გამოაცოცა.

ეღიშა გახვითქული, გაოფლილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურგით კედელს აეკრა, ალბათ მაშინ-
დელივით, ახლაც განწირულის ხმით ღ-
რიალებდა, მაგრამ აუტანელმა სიცივემ
გააქვავა, კრინტი გაუკმინდა და ერთია-
ნად გააშეშა.

თავად სატანა, ასჯერ წყეული სულ-
თამხუთავი შემოსცქეროდა და ამ უწ-
მინდურ მზერაში არათუ სურვილი, ან
რაიმე ინტერესი, აზრის უმცირესი ნატა-
ლიც კი არ იგრძნობოდა. ასე მხოლოდ
დაკანონებული ხარკის მისაღებად მო-
სულ სიკვდილს შეეძლო ცქერა.

— კაცი თუ გაგიყიდია? — ქვესკნე-
ლიდან ამოთქმულივით მოესმა მოხუ-
ცის ჩურჩულით ნათქვამი.

ეღიშა ბაყაყად იქცა, პირდაღებული
მგუდავის წინ მონუსხულ, უსუსურ
გომბეშოდ. ენაც ვერ მოაბრუნა, უარ-
ყოფის ნიშნად თავიც ვერ გაიქნია.

— მოდი აქ! — დამარცვლით უბრძა-
ნა იგივე ხმამ. — ახლოს მოდი! ჩოფუ-
რას ფეხები თავისთავად შეტოკდნენ, ამ-
ოძრავდნენ, უგრძნობელი, ფიტულად
ნაქცევი სხეულიც თან გაიყოლიეს, გაა-
ჩოჩიალეს და მთვარეულივით მიაყენეს
ტახტზე მჯდომარეს.

მოხუცმა აუჩქარებლად, დინჯად შეი-
ხსნა შავი ხალათის ღილები და უბალნო
მკერდი ჭიპამდის გაიღეღა. ამოცვენილი
ნეკნების შესაყართან, ზედ გულის კოვ-
ზზე, სქელი, გასანთლული თასმით ავგა-
როზივით ჰქონდა ჩამოკიდებული რაღაც
ნივთი, ათჯერ გადიდებულ ორლებნიან
ნუშს რომ ჰგავდა. შემდეგ ბებრული,
დაკრუნჩხული თითებით ამ უცნაურ სა-
განს სათუთად შეეხო, თითქოს მიელა-
ცია, მერე ცხრაფეხას საცეცებივით
შემოაჭდო, ჩაბღუჯა, ზეაღმართა და
ეღიშას თვალებთან მიუტანა.

— თუ იცი რა არის? — გამოცანასა-
ვით ჰკითხა და კმაყოფილმა უხმოდ ჩაი-
ქირქილა. ჩოფურა ეღიშა არც დაფიქ-
რებულა, ან რაში სჭირდებოდა, იცოდა,
რაც იქნებოდა.

— გველის თავია, — ბგერაგამოცლი-
ლი, შრიალა ხმით უპასუხა და მთელ
სხეულში გააკრეჭილა. მოხუცის უტუჩ-
ბო პირი ისე გაიწელა, რომ ყურის ბი-
ბილოებს გადასცდა, ნესტოებიც აუცახ
ცახდა და ახლა კბილებიდან ორკაპი
ენაც რომ გამოსავსავებულიყო, აღარც
ეს გაუკვირდებოდა ეღიშას.

— თითქმის მიხვდი, — მოწონებით
დაუდასტურა მოხუცმა. — ძმის გამყიდ-
ველის გულია, ჩემი ყოფილი მეგობრის,
ცოცხლად ამოვაცალე, საკუთარი ხე-
ლით, ჯერ კიდევ ფეთქავდა... ისე მიყ-
ვარს, საფლავშიც თან ჩავიყოლებ.

თვალებგადმოცვენილი და ტუჩზე
დუჟმომდგარი ეღიშა უაზროდ დააცქერ-
და იმ ყავისფერ, დახაზულსა და დაკუნ-
თულ საგანს. მოხუცი რეციდივისტი არ
ტყუოდა, ნამდვილად ადამიანის გული
იყო, კაცის გული... და მაინც, ჩოფურა
ეღიშა გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა,
ვიდრე თავად ეგონა, რადგან იმ სამი
თვის განმავლობაში, ვიდრე ეს ცივსისხ-
ლიანი ბებერი მის სახლში ცხოვრობდა,
საწოლი ოთახის კარს მხოლოდ ორი რა-
ზით გმანავდა, პირჯვარსაც დიდი-დიდი
სამჯერ იწერდა და ძილის წინ ნახევარ
ლიტრ არაყს კმარობდა, თუმცა განთია-
ღამდის ისეთი განწირული ხმით ხაოდა
და ღრიალებდა, თითქოს ტარტაროზის
მოუმუწავ ყბებში ათევდა ღამეს.

## II

პირველი ორი კვირის განმავლობაში
სახლის პატრონს სრულყოფილი წარ-
მოდგენა მაინც არა ჰქონდა თავის მობი-
ნადრეზე, თუმცა ხვდებოდა წმინდა სი-
ნოდისაგან შეჩვენებულ, განკვეთილ
მღვდელთან რომ არა ჰქონდა საქმე.

ორ-სამ დღეში ერთხელ, ბაზარში სა-
ნოვაგის საყიდლად მისულს, ქალაქის
ქურდები ყველასგან ფარულად, ჯიბეებ-
ში წითელი სამთუმნიანების დასტებს
უკუჭავდნენ, მხარზეც, როგორც თანასწ-
ორსა და ტოლს, ისე უთათუნებდნენ
ხელს და თუ სხვა არაფერი, ეს ფაქტიც
თავისთავად მრავალზე მეტყველებდა.
ნაძარცვის ყიდვა-გაყიდვა და სხვა ამგ-
ვარი საქველმოქმედო საქმეები, პირვე-
ლი დღიდანვე აკრძალული ჰქონდა და
ისიც ისეთი ხალხის მიერ, ვინც ჩამორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმეულ პირობასა და ნათქვამ სიტყვაზე ნოტარიალურ დამოწმებას არასოდეს თხოულობდა.

თავად მოხუციც არ აღმოჩნდა დიდად ჭირვეული და ძნელადმოსავლელი, არც არაფერს ბრძანებდა და არც რაიმე პრეტენზიებს გამოთქვამდა, მხოლოდ ღუმელის გაუნელებლობას ითხოვდა, რადგან საწოლი საკვამურ მილთან ჰქონდა მოწყობილი და დილიდან დაბინდებამდის თავს იმით იქცევდა, რომ სხვენის ერთი კუთხიდან მეორემდე გაუჩერებლად ბოლთას სცემდა, „დუბეკს“ ექაჩებოდა, გზად შემხვედრ ბუზებს, რომლებიც მუდმივი სითბოს გამო საკმაოდ იყვნენ შემორჩენილნი, ფრინველის სისწრაფით ჰაერშივე იჭერდა, ფრთებს აგლეჯდა და კუთხეებჩამომტვრეულ აგურებს შორის გაბმულ ობობას ქსელში ხლართავდა, შემდეგ თითის შეხებით აბლაბუდას ატოკებდა, სისხლისმსმელს აღვიძებდა და ვიდრე მსხვერპლს მთლიანად არ გამოსწოვდნენ სიცოცხლის უკანასკნელ ნიშატს, სახეზე სიამემოფენილი უცქეროდა.

ეღიშას დათქმული ნიშნის გარეშე, მასთან შესვლის უფლება პირველი დღიდანვე ჰქონდა ჩამორთმეული და თვით მიქელ-გაბრიელის ნათლულიც რომ ყოფილიყო, ამდაგვარ სიბრიყვეს არც მაშინ ჩაიდენდა, რადგან კარის ყოველ გაჭრიალებაზე, წყვილი ნაგანის ლულა სატრფოს მომლოდინე ქალწულივით შესციცინებდა თვალებში.

ორი კვირის თავზე ჩოფურა ეღიშა კინაღამ ხიფათს გადაეყარა.

ბაზარში დილაუთენია მისულს, არყის დახლთან მდგომმა წითელმა მიშამ თავისკენ უხმო და დიდი ამბით მიიპატიჟა. ვიდრე ჯიბგირობდა, წითელ მიშას „წურბელა“ ერქვა, მერე სრულიად მოულოდნელად, ბაზრის ინსპექტორად იქცა და დანამდვილებით ახლაც არავინ იცოდა ვისი მხარე ეჭირა, მილიციისა თუ ქურდების, ერთია, მისი დაჭერილი კაცი ჯერ არავის ენახა.

ჩოფურაც და წურბელაც ოდითგანვე მუქთა არყის მოყვარულები იყვნენ, ადრეც ხშირად ჩაეცეცხლათ და ჩაეღლიავათ ერთად, მაგრამ ახლა სხვა ამინდი იდგა, ყინულზე ფეხის მოცურება და კისრისმოტეხა წამისა იყო, რადგან ეღიშას ორიოდე ნაბიჯის მოშორებით ჰაერიკა „ჯადო“ მისდევდა, უბნის განაბების მამა და ახლა თხლაშოთი ერთი „ვიყვნეთ“ თქმა, სულ იოლად, არყოფნად შეიძლებოდა დასჯდომოდა. ადგილზე გახევებულსა და გამობეყეირათებულს ისევ „ჯადომ“ უშველა, გვერდით უცნობივით ჩაუარა და ვითომც თავისთვის ჩაიბუტბუტა:

— მიდი, ამღერე, შენ დამუნჯდი, დაბლა გელოდები, ბარიგებთან — ჩაიდუღღუნა და გაქრა.

როგორც შემდგომ აღმოჩნდა წითელ მიშას, ყოფილ „წურბელას“, მხოლოდ ჭიქის მიმჯახუნებელი ესაჭიროებოდა და იმ ნახევარ საათში, ვიდრე ის და ეღიშა ჟიპიტაურის კვარტიანს ფსკერს გამოუჩენდნენ, ენა მოიქავა და თავისდა უნებურად ისეთი სიახლეც ამცნო, რომ მისი მობინადრის ვინაობისა და საქმიანობაში სრულყოფილად გაარკვია.

იმ დღემდე თვე-ნახევრით ადრე, ციმბირის ერთ-ერთ განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა კოლონიიდან ექვსი ქურდი გაქცეულა, გზაშივე სამ ჯგუფად განაწილებულან და ალთა-ბალთას გაუწევიათ. ერთი კვირის განმავლობაში მადევრებს ყველანი შეუპყრიათ, ზოგი ადრე, ზოგიც გვიან, დიდი ხვეწნა-მუდარით უკანვე შემოღობილში შეუბრუნებიათ და მხოლოდ მაშინღა მიმხვდარან, რომ მთელი ეს სპექტაკლი, კომედია თუ ტრაგედია არავინ უწყის, იმიტომ ყოფილა ინსცენირებული, რომ ფაქტიურად გაქცეულიყო მეშვიდე, ყველაზე დიდი ღლავი, მეტსახელად ვინმე „ბოღმა“, რადგან შორეული აღმოსავლეთის მკაცრი ჰავა, იმის ჭლექიან ფილტვებზე თურმე, მთლად გამაჯანსაღებლად ვერ მოქმედებდა.

ბოლოს და ბოლოს, იმ ყოვლისშემძლე ბოღმასათვისაც მიუგნიათ ჩრდილოეთ კავკასიაში, ესენტუკში თუ კისლოვოდსკში, მაგრამ ეს მიგნება მილი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციის სამ თანამშრომელს სიცოცხლედ დაჯდომია, ხოლო ბოღმა უხორცოსავით კვლავ უკვალოდ გამქრალა.

ახლა, წითელი მიშას ცნობით, მთელი ჩეკა, კურილიის კუნძულებიდან ავღანეთის საზღვრამდე, ფეხზე დგას და ყველა ოპერატიულ მუშაკს, ვისაც კაბურაში ნაღდი იარაღი უდევს ბოღმაზე გამოსული „შავი ქაღალდი“ მისივე სურათთან ერთად, გულის ჯიბეში აქვს ჩაკეცილი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მასთან შეყრისას იმ სურათის ამომღები და დედანთან შემმოწმებელი ცოტანი აღმოჩნდებიან, რადგან ბოღმა კატასავით ფრთხილია, მელიასავით ეშმაკი და ფეხდაბიჯებულ ასპიტივით დაუნდობელი, ამასთანავე პეტროვკიდან მოსული „სასიყვარულო“ უსტარის ცნობით, არც სათვალეს ხმარობს, არც ხელი უკანკალებს, რინგო კიდივით ისვრის და დასაკარგავიც არაფერი აქვს.

ჩოფურა ეღიშა ამ საუბრის განმავლობაში მუნჯების დედა იყო, მხოლოდ ორჯერ თქვა „ვახ“ და ერთხელაც — „ეჰ“, ეგ იყო და ეგ, შემდეგ ბაზრის შესასვლელთან ჰაერიკა ჯადოს ყოველივე სიტყვასიტყვით ჩაუკაკლა და ყასიდად ისიც ინატრა, ნეტავი ცალი თვალით მაინც შემახედა, იმ ნეტარსახსენებელ ბოღმას, თავზე რა ფერის შარავანდედი ადგასო.

III

ჭორი, კონიაკისა არ იყოს, რაც მეტად ძველდება, მით უფრო ფასდადებული და სარწმუნო ხდება.

ასიოდე წლის წინ მეფის ნაცვალის ნაცვალს, თავად ციციანოვს, მუსიკის მასწავლებელი, გუვერნანტი ქალი შეჰყვარებია, სატრფოს სული მოცარტისა და ჰაიდნისათვის დაუთმია, თავად ჯერ გული მოუნადირებია, შემდეგ სხეულიც უყიდია და რჩეულისათვის ქალაქის გარეუბანში მშვენიერი ორსართულიანი სახლი აუშენებია. ამ შენობის ფასადი ახლაც თვალნათლივ ღაღადებს შექმნის საბაბსა და მიზეზზე. სადარბაზოს შესასვლელს სამოსელშემოძარცული კარიატიდების ქანდაკებები ამშვენებენ, რომლებიც პრაქსიტელის ორთაჭალელ მოწაფეთა დიდ ნიჭს თვალნათლივ ადასტურებენ. დაუნდობელმა ჟამმა, მარტო ადამიანებს კი არა, ქვასაც რომ არ ზოგავს, ვენერას ცხვირი ჩამოაცალა და ვენერიულ სენით დაავადებულს დაამსგავსა, აფროდიტეს ბაგეები ჩამოურეცხა, შეუჭამა და კეთროვანის იერი დაამჩნია. არც პორტალზე ჩამომსხდარი ამურები შეიბრალა და ამჟამად შუკაში გამვლელ-გამოვლელთ, ზოგი უმშვილდო ისრით ემუქრებოდა და ზოგიც უისრო მშვილდით. დრომ და ჟამმა არც ნაცვალის ნაცვალსა და გუვერნანტ ქალს გაუკეთა მოკრძალებული რევერანსი, მდინარის გაღმა-გამოღმა სასაფლაოებზე მიუჩინა ადგილსამყოფელი და სამარეთა ძვირფასი ქვებიც, ამქვეყნად ყველაზე ცოდვილ ადამიანთა ხელით უგზო-უკვლოდ ააორთქლა და გააქრო. ომის წინა წლებში ამ სახლში მთელ ქალაქში სიმკაცრითა და დაუნდობლობით ცნობილი პროკურორი ჩასახლდა. შუახნის დაგვაჯულმა და შეუხედავმა კაცმა, თან ფერიასავით მშვენიერი, ახალგაზრდა თანამეცხედრე მოიყოლა, „ემადინიდან“ დედოფალივით გადმოაბრძანა და უბნის ლამაზმანებს თვალები დასთხარა.

ფერიამ ორი წლის განმავლობაში ორი ანგელოზი შვა, შემდეგ მეტეხის ეიწრო ხიდზე გავიდა, მთელი ხუთი წუთი შიიტთა მეჩეთის ცისფრად მოჭიქულ მინაერთს თვალმოუშორებლად უმზირა, ფეხი იშვირა და იმ მორევში გადაეშვა, საიდანაც, ძველების თქმით, ზღვისპირეთში დავაჟკაცებული კამეჩიც ვერ გამოსცურავდა.

ჭორებს თუ დავუჯერებთ, მიზეზი ის ყოფილა, რომ პროკურორის მეუღლეს ვიღაც სტუდენტი შეჰყვარებია, იმის ყოვლისშემძლე ქმარს კი ის ყურუმსაღი ყმაწვილი ჯან-ღონის მოსამატებლად ისეთ სანატორიუმში გაუმწესებია, სადაც მდედრობითი სქესისა მხოლოდ თეთრი დათვები დაგოგმანობდნენ, ფერიასაც შურისძიების მიზნით საკუთარი ანგელოზები ბედის ანაბარა მიუტოვებია და თავად ციური ანგელოზებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთი უმოკლესი, სანაოსნო გზით გაუწევია.

იმ ორ ობოლს ახლა ბებია ზრდიდა, სათნო და ღვთისნიერი ქალი. პროკურორი კი ყოველღამე შიმხონი ბრუნდებოდა და შავად გაკრიალებული მანქანიდან, თავით ფეხებამდის ტყავებში გამოწკეპილ მძღოლს, ის და ნაირნაირი სანოვაგით დატვირთული ჩანთები ერთად აჰქონდა მაღლა სართულზე, პირველი ბალღების გასახარად და მეორე სიდედრის საამებლად.

ორი კვირის შემდეგ ჩოფურა ეღიშას გაფაციცებულმა და ყოვლისაღმნუსხველმა თვალმა შენიშნა, რომ მოხუცი რეციდივისტი აღარც ბუზებს მტრობდა და აღარც ობობებს წყალობდა, ამ ბებერმა კობრამ ახალი თავშესაქცევი გამონახა, შუკის მხარეს, კედელში სათვალთვალო მოიწყო და ახლა დილიდან საღამომდე იმ სახლის ფანჯრებს უჭვრეტდა, სადაც ქალაქის კანონიერების ქურუმი და მისი ოჯახი სახლობდა.

საზოგადოების მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას თუ დავუჯერებთ, როგორი გარეწარიც და სინდისგარეცხილიც არ უნდა იყოს კაცი, რა რანგის დამნაშავე და ბოროტმოქმედი, ერთი ადამიანური, კეთილშობილური თვისება მაინც ექნება შემორჩენილი და ძვალ-რბილში გამჯდარი.

ჩოფურა ეღიშას, რომელიც ბოთლ არაყში საკუთარი მშობლების საფლავს გასცვლიდა, კარგ გასამრჯელოდ უახლოეს მეგობარს თვალებს დაჩიჩქნიდა და ეშმაკს ნისიად ანდობდა სულს, რადგან ეს უკანასკნელი არაფრად ესაჭიროებოდა, ბოლო ჭიქისათვის გადანახული ფულით ბალღებისათვის ნუგა და ტიანუშკა შეეძლო ეყიდა, ბოშის სურავანდიანი ჩვილისათვის უძვირფასესი ბალდადით ცხვირი მოეწმინდა და ქუჩის ყველაზე აბეზარ ონავარს, შურდულიდან ნასროლი ქვით კინკრიხო რომც ჩაემტვრია, თითსაც არ დაუქნევდა, სამდურავ სიტყვასაც არ ეტყოდა, რადგან არათუ სხვათათვის, თავად მისთვისაც აუხსნელი მიზეზის გამო, საოცარი სინაზით, თითქმის ავადმყოფურად უყვარდა ბავშვები.

თავად ობლობაში გაზრდილს, მეზობლის უდედოდ დარჩენილ პატარების დანახვაზეც კი ცრემლებით ევსებოდა წირპლიანი თვალები, ხბოსდამნახველ ძროხასავით აწვებოდა ყელში ზმუილი და ამასთანავე ხაშხაშნაჭამ ჯორივით ტლინკების ყრისა და კუნტრუშის ხასიათზე დგებოდა, და მიუხედავად იმისა, რომ ყოვლისშემძლე პროკურორის ნაშიერთ, ნაქურდალი ფალასფულასით მოვაჭრე ჩარჩისა არაფერი ესაჭიროებოდათ, ეღიშას რაიმე ნუგბარი სასუსნავი ყოველთვის ჰქონდა მათთვის გადანახული, და ახლა მათდამი, ამ ძალით შემოსახლებული უხსენებელის ბოროტი მზერა და ფარისევლური ყურადღება რომ შენიშნა, მთელი არსებით მანგუსტად იქცა.

ისედაც ძილდაკარგულმა და დამფრთხალმა ჩოფურამ, მთლად დაკარგა სიმშვიდე და მოსვენება. გონებით წარმოდგენილმა, თითქმის ნათლად წარმოსახულმა ჩვენებებმა, წიწილებს გადაფოფრილ კრუხს დაამგვანა. ეშმაკმა უწყოდა, რამდენი სიცოცხლის ხელმყოფელ, დაუნდობელ რეციდივისტს, რა განზრახვა და სიავკაცე ჰქონდა ჩაფიქრებული. მეგობრისათვის ცოცხლად გულის ამომგლეჯი კაცი, იმავე გულის დამმარილებელი და მკერდზე ჩამომკიდებელი, იქნებ თავის დროზე მის გამამწარებელ პროკურორის შვილებს, ცოდვების მომნანიებელი მონაზვნის თვალით რომ არ შეხედავდა, ამაში ეჭვიც არ შეჰპარვია, და ამიტომაც მზერად და სმენად იქცა, არგუსივით ასი თვალი გამოისხა და ერთი სართულით დაბლამყოფიც შეუცდომლად გრძნობდა, თუ როგორ თვალავდა ხაროში მჯდომი ასპიტი მის პირდაპირ ბუდეში უდრტვინველად მსხდომ ბარტყებს და მათი გადასანსვლის მსურველს, როგორი გვრემა უვლიდა კუპრჩასაქცევ სტომაქსა და მუცელში.

ამგვარ მტანჯველ მოლოდინსა და წამებაში მთელმა ორმა თვემ განვლო, სამოცმა ერთიმეორეზე დაძაბულმა დღემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ჩოფურა ეღიშამ, რომელსაც მოთმინებისა და დაკვირვების უნარი ბუნებისაგან მომადლებული ჰქონდა, ზედმიწევნით შეისწავლა, როგორც ბავშვების, ასევე საკუთარი მდგმურის სადღეღამისო განრიგი და ჩვევები.

თუ დილით, ჭერის მარცხენა კუთხის თავფიცარი ოდნავ გაიჭრიალებდა, ეს იმას აუწყებდა, რომ მოპირდაპირე სახლში პატარებს გაეღვიძათ, და მოხუცი რეციდივისტი მათი ფანჯრის პირდაპირ მოწყობილ სათვალთვალოსთან მოხერხებულ ადგილს ირჩევდა. ხოლო თუ საღამო ხანს ეღიშას საძინებელში აბრეშუმის თალფაქი ოდნავშესამჩნევად შეირხეოდა და სახურავიც გაიხმიანებდა, ეს კიდევ იმას, რომ მეზობლის სასადილო ოთახში დედაბერი და ბალღები ვახშმობდნენ, აქეთ კი ბებერი უხსენებელი სხვენიდან სახურავზე გადასასვლელ ხვრელს კიბეს აყუდებოდა, ზედ ებღოტებოდა, ფანჯარას აღებდა და სიბნელეში გულხელდაკრეფილი, დემონივით ზვერავდა და ირჩევდა მომავალ მსხვერპლს.

## IV

არც ერთმა მეცხვარემ, თუნდაც ამ საქმეში დაბერებულმა და მცნობარობაში გაოეთრებულმა, გუმანითაც არ იცის, როდის დაესხმება მგელი თავს ფარეხს. თანამოძმეთა შორის ალღოთი და გონებით განთქმული კავკასიური ნაგაზიც კი ვერ გრძნობს ამას, თვით ყორანიც, სამი დღით ადრე ინსტინქტით რომ აღიქვამს ჯერაც ცოცხალი არსების ლეშად ქცევას, ვერ ხვდება ამას, თუმცა, ამ მეტოქეების ორთავე დასაშვებ შედეგში იგი მოგებული უნდა დარჩეს — ან ცხვრის ტყავი დაკორტნოს და ან მტაცებლის მძორი დაძიძგნოს.

ფარეხზე თავდასხმის ჟამი მხოლოდ მგელმა იცის, მხოლოდ მან და არც ერთმა სხვა სულდგმულმა.

ომისშემდგომ პირველ გაზაფხულს მთელი ქვეყანა, ქალაქი თუ სოფელი მოუთმენლად ელოდა, რადგან წარსული ოთხი წლის განმავლობაში იგი არავის გახსენებია, სრულად არავის განუცდია, ვინაიდან გაზაფხული მხოლოდ დროთა ცვლას კი არა, ადამიანთა სურვილს, ხმობასა და გუნება განწყობილებასაც მოჰყავს.

მარტის იმ პირველ დღეს, თითქოს იგრძნო მათი მოლოდინი და ძახილიო, გაზაფხული წინასწარდათქმულივით დილაუთენია მოევლინა და გამოეცხადა ადამიანებს, ახლად გაღვიძებული მიწის სურნელით, კვირტთა ტირილითა და ფრთოსანთა ყივილ-ხივილით.

მოქალაქეთაგან ყველა თავისებურად შეხვდა მის მობრძანებას. ბებიამ ჩვეულებრივზე ნაადრევად დააღვიძა პატარები, არა ისეთი წუწუნ-ბუზღუნით, როგორც სჩვეოდა, არამედ ღიმილით, ლოცვით, მოფერებითა და დაყვავებით.

მათთან ერთდროულად მოხუცმა რეციდივისტმაც გაიღვიძა, უჩვეულო, დაუდევარი ხმაურით გამოაღო სხვენის სარკმელი, სტვენანარევი ხიხინით ჩაისუნთქა სითბოშეპარული ჰაერი და რძის სუნნაკრავ კატასავით ნებიერად გაიზმორა.

თითქოს გაზაფხულის დადგომამ გააცოცხლაო, მის უბალნო მკერდზე შავი თასმით მიჯაჭვულმა, მეგობრის გამყიდველის გულმაც დაიძგერა ერთი დაძგერებით, იმავ წამს ჩოფურა ეღიშა საწოლიდან დამდუღრულივით წამოვარდა და ჭერს მიჩერებულმა, საკმაოდ ხმამაღლა, დილის ლოცვა-კურთხევა აღავლინა ზემოთმყოფს.

ქაშვეთის ზარებმა ცისკრისა ჩამოჰკრეს.

მესანთლე ქალმა ღამეული სამყოფელიდან სათუთად ამოალაგა ფიჭის სუნიანი კელაპტრები და სამზეო ადგილი მიუჩინა.

სამსახურში ჩვეულებრივზე ნაადრევად მიბრძანებულმა პროკურორმა სიყრმის მეგობარს სახლში დაურეკა, გააღვიძა და ნათლ-მირონობის აბრევე დათქმული პირობა შეახსენა. ერთი საათის შემდეგ ბებიამ შვილიშვილები დაბანა, დავარცხნა, საღღესასწაულოდ გამოაწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ავ თვალს რომ არ ეწახვებოდა ისეთები, ხელჩაკიდებულები გამოიყვანა საღარბაზოდან, იმწამსვე მოხუცმა რეციდივისტმაც სხვენში შემალული ოთახის კარი გამოაღო, კიბეს ჩქამდაუცდენლად ჩაუყვა და ნათლიღებად მიმავალ დაძმას, ირმის ჯოგს ადევნებული, ავაზასავით უჩუმარი და ფრთხილი ნაბიჯებით ჩაუდგა კვალში. ისინი შუკას ჯერაც არ იყვნენ გაცილებულები, რომ ეღიშა მუდამ უქმად მდგომ, დამტვერილ ყურმილს ეცა და გაოფლილი, აცახცახებული თითით რამდენიმე ციფრი აკრიფა, შემდეგ თითქოს ძველ ვოდევილში მონაწილეობას აპირებსო დედაბრის ძველმანები ჩაიცვა, პირისახეზე მგლოვიარის შავი თავსაბურველი ჩამოიფარა და კალათით ხელში ტუსტუსით აედევნა წინ წასულებს.

V

გაზაფხულის იმ უპირველეს დილით ქაშვეთის ეზო ყოველგვარი ჯურისა და ჯილაგის ხალხით იყო მოფენილი.

მორწმუნე, ურწმუნო, გლახაკი და მდიდარი, საქმიანი თუ უბრალოდ სეირის მაცქერალი, ყველა ერთად შექუჩებულიყო, ერთიმეორეს აწყდებოდა და ღვთის სახლის ფართოდ მოფარღალავებულ კარში ძალით ცდილობდა შესვლასა და შეტმასნას.

პროკურორის მეგობარმა, რომელიც გაბელატებული თავის გარდა, არაფრით ჰგავდა ნათლისმცემელ ილიას, დიდკაცის სიდედრი და მომავალი ნათლულები ჯგლეთას ააცილა და დროებით, ეკლესიის უკან, ბაღში გაიყვანა, რადგან ქაშვეთის დეკანოზს, მაღალღირს მამა პახომს, ჯერხნობით დილის წირვაც არ ჰქონდა დაწყებული.

არც პატარა და-ძმას, რომლებმაც ნაუცბადევად მოძებნეს თანატოლები, არც მათ ბებიასა და მომავალ ნათლიას, ყურადღება არ მიუქცევიათ შორიახლოს ატორღიალებულ, ჩაფართხუნებულ მაკენტოშში გამოწყობილი მოხუცისათვის, რომელსაც მოყვითალო, უნაოჭო სახე და ბოთლის ნამსხვრევებით მჩხვლეტავი, ცივი თვალები ჰქონდა.

დედაბერმა და ნათლიამ, როგორც ბაღში მყოფთა უმეტესობამ, მზის გულზე მდგომი ძელსკამი შეარჩიეს, ჩამოსხდნენ და ამქვეყნიურ-იმქვეყნიურზე გაბეს მასლაათი.

ბავშვები ორ გუნდად გაიყვნენ, საზღვარიც დაიდეს და დროშობანას თამაში გააჩაღეს.

მოხუცმა რეციდივისტმა ნახევრად გამხმარ ნაძვის ძირას შეყუჟული, საღებავაქერცლილი სკამი შეათვალიერა, ჯერ ყველასაგან ფარულად ადგილმდებარეობა შეუმოწმა, შემდეგ კიდეზე ჩამოჯდა, გაზეთი გაშალა და სახეზე აიფარა.

ქაშვეთში წირვა დაიწყო.

მამა პახომის ხავერდოვანმა ბანმა და მგალობელთა ღაღადისმა ჯერ ეკლესია აღავსო, გუმბათს აწვდა, სარკმელებში მოღუღუნე მტრედები ააფრინა, შემდეგ გაზაფხულის გამჭვირვალე ჰაერს ტალღებად შეერწყო და ბაღს, ზეციური ლოცვა-კურთხევასავით, ლივლივით გადმოეღვარა და დაეუფლა.

ხეებს შეყუჟულმა ფრინველმა ჟივილ-ხივილი შეწყვიტეს. მზის ნათელში მყოფნი გაყუჩდნენ და გაირინდნენ, წამით ბალღებიც შედგნენ, შეჩერდნენ, უზაკვლოდ გაოცებულებმა ჯერ ეკლესიის ჩაეანგულ ჯვარს ახედეს და შემდეგ ზეცას. მოხუცი რეციდივისტი მორწმუნეთა ამ მრავალხმიანი ჰანგით გამოთქმულმა მორჩილებამ უჩვეულოდ განაწყო და ჩააფიქრა. მან ყოველთვის იცოდა და ამასთანავე სრული დარწმუნებით, რომ ქვეყნად არ არსებობდა არავითარი ზეგარდმო ძალა და ღმერთი, რომ სიკეთე, პატიოსნება და კაცთმოყვარეობა ბრიყვთა, რეგვენთა და უგუნურთა მოსაღორებლად გამოგონილი მცნებები იყო, რომ ძალმომრეობა ოდითგანვე ბატონობდა კანონსა და მორალზე, ხოლო ყოველივეს განმგებელი და დამმორჩილებელი ქვეყნად ერთად-

---

თენგიზ ჩალაური
გაკცეულია განსაკუთრებით საშიში
დამნაშავე

ერთი რამ არსებობდა და მას ოქრო ერქვა.

თუმცა სინამდვილეში ყველაზე და ყველაფერზე ფასეული, მაინც ყველაზე ნაკლებღირებული — საკუთარი სიცოცხლე იყო, პირადი ყოფა-არსებობისათვის იღვწოდა და იბრძოდა, ნებისმიერი სულდგმული, ყოველი არსება, რადგან ყოფიერებასთან თანხლებით იღუპება და კვდება ყოველივე, სრულიად ქრება და უკუნისდება მთელი სამყარო, და თუ ეს მართლაც ასე არის... მაშ ახლა რაღატომ განიცადა ესოდენ უცნაური რამ, მტკივნეული და ამასთანავე საამო, რაც რკინის ქანდაკებასავით მყარად ჩამოყალიბებულ და ჩამოსხმულ მის მრწამსს მზის გულზე გამოდგმულ ცვილის კაცუნასავით ალხობდა და ადნობდა.

მოხუც რეციდივისტს თვითუნებურად გამოეცალა ხელიდან სახეზეაფარებული გაზეთი და სასწაულის მომლოდინესავით ზეცაში მოშრიალე მტრედებს შეაჩერდა.

ფარეხზე თავდასხმის ჟამი მხოლოდ მგელმა იცის, მხოლოდ მან და არავინ სხვამ.

მაგრამ, როდესაც მგელზე იწყებენ ნადირობას, ეს იცის კაცმა, ძაღლმა, ცხენმა და ამიტომ თავად მგელმაც.

ადამიანი რომ თოფის ლულებში ვაზნებს ჩააწყობს, საკუთარ ბუნაგში შუაძილში მყოფი მგელი აუცილებლად შეკრთება, გაიღვიძებს, დაფეთდება, აწრიალდება და გუმანით იმასაც იგრძნობს, ის ტყვიები რომელიმე მისი თანამძმობის კი არა, პირადად მისთვის რომ არის გამიზნული და ბედისწერით მასვე უნდა ერგუნოს, თუ თავად ვერ მოახერხა მათი აცილება და თავის შველა.

როგორც კი ბაღში მაღალი, ტყავისპალტოიანი კაცი შემოვიდა, მოხუცი რეციდივისტიც შუაძილში მყოფ იმ მგელივით შეკრთა, შეშფოთდა და სხეულით სიფათი და განსაცდელი იგრძნო.

უპირველესად ზურგისაკენ გაიხედა, შემდეგ ბაღის შემოგარენს მოავლო მზერა და დარწმუნდა, რომ სხვა მხრიდან საშიშროება არ ელოდა. ბაღისმუნელი სურათივით აღიბეჭდა გონებაში ყოველივე ის, რაც გარეშემო ხდებოდა, ისიც კი, ეკლესიის კუთხიდან ჩაჩოქილი დედაბერი წმინდა ქვებს რომ ამბორყოფდა და ეს მაშინ, როდესაც წირვა ჯერაც არ დასრულებულიყო, ამიტომ ყოველი შემთხვევისათვის ოდნავ შებრუნდა, ის ბრმადმორწმუნეც მხედველობის არეში მოიქცია და მაკენტოშის ღრმა ჯიბეებში ჩამალული ორივე იარაღი ფეხზე შეაყენა. ტყავისპალტოიანი კი ძალზე მშვიდად, უზრუნველად მოსეირნის ნაბიჯით მოდიოდა, მობონდრიკობდა და გან-გან ისე იცქირებოდა, როგორც სოფლის აშიკებს სჩვევიათ.

მოხუცის უტუჩებო პირი ბიბილოებს გადასცდა, ცხვირის ნესტოები ოდნავ დაებერა და აუცახცახდა.

ახლა მას ზეპირად, შეუცდომლად შეეძლო განეჭვრიტა და აეკინძა მგლის მოსანადირებლად გამოსული, ამ, ჯერაც ძუძუმწოვარი კრავის ბიოგრაფია და ისტორია.

საოფიცრო სკოლა უდავოდ ახლახანს ჰქონდა დამთავრებული (მარცხენა ხელს ჭიპამდის სწევდა და შემდეგ მოწყვეტით, ძალუმად იქნევდა), ომიც ისე დასრულდა, რომ სოფლის პირველ საპატარძლოს საგმირო საქმეებითა და ჩინ-მედლებით მკერდდამშვენებული ვერ დაუბრუნდა, ოცჯერ გასროლილი პისტოლეტიც დაენანა და ცხელ გულზე ჩეკაში დურთა თავი, ამასთანავე, ყველაზე სახიფათო და საძნელო საქმე ითხოვა, ისეთი, რომლის შესახებ წარმოდგენაც არ გააჩნდა (პირდაპირ მოდიოდა, ჯიქურად, მარჯვენა ხელით რევოლვერის ტარი ჰქონდა ჩაბღუჯული და ალბათ ისეთი ძალით უჭერდა, რომ ფრჩხილები გათეთრებული ჰქონდა). ერთიცაა, ცნობის მიღებისას მარტოხელად ყოფილა და სხვა, გამოცდილ მონადირეთა მოსვლას აღარ დალოდებია, ვინაიდან ასეთ შუნთიკანს, პირველი ატროკების დროს, ბებერი ვაცებიც დაჰყვებიან, ხელკავგაყრილები დაატარებენ, ამშვიდებენ და იმასაც უხსნიან და ასწავლიან, ბეწვის

ხიდზე ისე როგორ გაიაროს, რომ თავადვე არ შეიქმნეს მოსანადირებელი მგლის კერძი.

როგორც ჩანს, ამ ნედლრქიან კუდქიცინას მისი ადგილსამყოფელიც წინასწარვე სცოდნია, რადგან ბაღში შემოსვლისთანავე გამოხედა, შეამოწმა და შემდეგ ერთხელაც აღარ გამოქცევია მზერა, ესე იგი, გამყიდველიც სადღაც აქვე უნდა იყოს გაყურსულ-განაბული და ყოველი მინიშნებით ის ჩოფურა ეღიშაა, რადგან ასე ჰაიჰარად მის ცნობასა და დასმენას ვერავინ მოასწრებდა, თუმცა ჩოფურა ის კაცი არ არის, არათუ მხარში ამოუდგეს და თავი გასწიროს, არამედ თუნდაც შორიახლოს გამოჩნდეს და საბოლოოდ მაინც ისე გამოდის, რომ უახლოეს ხანში ბოღმას სამი გულის ტარება მოუწევს — ერთი საკუთარისა და ორიც გამცემლებისა.

ამასობაში ტყავისპალტოიანმა სამწყობრო ნაბიჯით ჩამოიარა ბაღის მორკალური, დამრეცი სკვერი და, პაემანზე დაბარებულივით, პირდაპირ მისკენ გამოემართა.

სულ ცოტა, ათ ნაბიჯზე მაინც მომიახლოვდა, — ვარაუდობდა მოხუცი, — მხდალი არა ჩანს, მაგრამ აღელვებულია და ხელს ვერ ენდობა, პისტოლეტსაც აუცილებლად ამოიღებს და წარბებს შორის დამიმიზნებს, ეგეც ხომ ამპარტავანი ბეკეკების სენია, ხალხისა და სახელმწიფოს მტრებს რომ შუბლი უნდა გაუხვრიტონ (აქ მას კვლავ გაეღიმა, თუ ამას ღიმილი ეთქმოდა), და როგორც კი აძაგძაგებული ხელით ჯიბიდან პისტოლეტს ამოახტუნებს, იმავ წამს ქამრის შესაკრავ ბალთასთან წყვილ ტყვიას დაახლის, ზუსტად ბალთასთან, რადგან მოხუცმა კარგად იცის, მუცელში დაჭრილი კაცი სასხლეტის ენას თითს რომ ვეღარ დააჭერს, ეს გულში ტყვიაგატარებულმაც შეიძლება მოახერხოს, მაგრამ ნაწლავგამოგლეჯილი და კუჭგაფლეთილი კაცი, თუნდაც დევის ძალღონისა, ამას ვეღარაფრით შეიძლებს.

ამ ფიქრის დროს იმასაც საზღვრავდა, რომ თავად არც ფეხზე წამოუხტებოდა და არც დამიზნებაზე დახარჯავდა დროს, ჯიბეებიდანვე დაცხრილავდა ფარულად, დინჯად და აუღელვებლად.

სოფლის თავხედი რომ მრავალგზის დაჩაგრულ, დაბეჩავებულ მეზობლის ბაღში ახლად შეთვალულ ვაშლს შეამჩნევს, ღობეზე ლიწინ-ლიწინით გადაბოტებს, გეზს პირდაპირ ხეხილისაკენ აიღებს და ნაყოფს მოსაწყვეტად ისე შეებღოტება, ხეირიანად არც შეათვალიერებს, ეს ახლად გამოჩეკილი ლეიტენანტიც ისე იქცეოდა და იმ თავხედივით ვერ ხვდებოდა, რომ იქ, ზუსტად იმ ტოტზე, სადაც შერჩეული ნაყოფი ეგულებოდა, შხამგაავებული ასპიტი იყო გაწოლილი, რომელიც დასაწყისიდანვე უთვალთვალებდა, მომავალ სამსხვერპპლოს წინადუხედაობას უწონებდა და ამით კმაყოფილი უხმოდ სისინებდა.

არც ერთი რეჟისორის ჩანაფიქრი არ განხორციელებულა ისეთი თანამიმდევრული სიზუსტით, როგორც მოხუცი რეციდივისტის წინასწარგათვლილი განხორციელდა.

ტყავისპალტოიანი ექვს ნაბიჯზე გაუჩერდა, პირდაპირ თვალებში შეხედა და, მართალია, იმაზე სწრაფად ვიდრე ელოდა, მაგრამ მაინც დახანებით, ჯიბიდან ახალთახალი ბრაუნინგი ამოახტუნა.

ლამაზი, წარმოსადეგი ჭაბუკი იყო, ახლად ლოყებშეღინღლული, ოცისაც არ იქნებოდა, თაფლისფერთვალა, ბეჭფართე და წელწვრილი, ტირში გამოდგმულ სამიზნეს ბევრად სჯობდა, უფრო დიდიც იყო და გაცილებით ახლოსაც იდგა, გულითაც რომ მოენდომებინა, მაინც ვერ ააცდენდა.

როდესაც წინ გამოეჯგიმა, მოხუცს ორივე იარაღის ენა სანახევროდ მოზიდული ჰქონდა და ახლა ოდნავი, უმცირესი შეტოკებაღა სჭირდებოდა სასხლეტის დაკვრას. იგი წინასწარვე გრძნობდა მაჯებში უკუცემით გამოწვეულ ბიძგს, მაკენტოშის სარჩულიდან ამოდენილ სიდამწვრის სუნს, იმ ბიჭის შეცბუნებულ, შემკრთალ თვალებსაც ხედავდა და მისი მოცელილი სხეულის მიწაზე დაცემა და დაბაგუნებაც ესმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად მოულოდნელად, მოხუცის წინ მდგომ ცოცხალ სამიზნეს რაღაც პატარა, ციცქნა არსება გადაეფარა, რომელიც მაინცდამაინც მისკენ, მისი მიმართულებით მოჰქროდა, მოტკრიალებდა, მოკისკისებდა და მის უსაშველოდ ღრმასა და ცისფერ თვალებში თავად გაზაფხული იყო ჩაბუდებული, სიცოცხლის ნათელი სხივი, რომელიც ტოლად ეკუთვნოდა და უნაწილდებოდა ყველას, ყოველ სულდგმულს, მთელ ქვეყნიერებას.

და იმავ წამს დაიგრგვინა, დაიქუხა, მოწმენდილი მოლივლივე ზეცა განიხვნა და იქიდან ელვა, მეხი და გეენა გადმოენთხია.

მოხუცის მხართან, სკამის საზურგე ფიცარს ნაფოტი აეტკიჩა და მწერივით გაიზუზუნა ჰაერში.

გოგონამ ჯერ შეჰკივლა, შემდეგ წაიბორძიკა, წაიფორხილა, ფეხები ერთიმეორეში აებლანდა და რომ არა ყორნის კლანჭებივით სწრაფი და ძლიერი ორი ხელი, შუბლით დაასკდებოდა მიწას. მეორე ტყვია წინგადმოხრილ და ბავშვს გადაფარებულ მოხუცის წარბებსაც ასცდა, შუბლსაც, მაგრამ კეფას მაინც უწია და წამის იმ უმცირეს მონაკვეთში მან მაინც მოასწრო იმის აღქმა და შეგრძნება, რომ ირგვლივ სიმშვიდე, სრული ჰარმონია და პირველყოფილი წესრიგი სუფევდა. რომ ყველაზე დიდი და უცვლელი კანონი, რომლის რეალობაში მას ყოველთვის ეპარებოდა ეჭვი, ჭეშმარიტად არსებობდა, მოქმედებდა და ძალაში რჩებოდა, კანონი არსებული თვით დედა ბუნების ჩასახვამდე და დაბადებამდე.

გულხელდაკრეფილი და ამაყად წელგამართული ლეიტენატი ზიზღნარევი სიბრალულით დასცქეროდა მის ფეხთა წინარე გართხმულ, განსაკუთრებით საშიში დამნაშავის მოკაკულსა და უსულო სხეულს.

მოხუცს ხვლიკის კანივით დანაოჭებული კისერი უცნაურად მოღრეცოდა, საფეთქელით დაფხვნილი აგურით მოფენილ მიწას დაბჯენოდა, ხოლო სარკედქცეული, შუშისფერი თვალებიც აცაბაცა გაქცეოდა და დაელმებოდა.

ერთ მათგანში ეკლესიის ჩაჟანგული ჯვარი და გაზაფხულის უღრუბლო, გამჭირვალე ზეცა ირეკლებოდა...

მეორეში კი პატარა გოგონას საოცრად ლამაზი, შეცბუნებული და გაოცებული სახე მოჩანდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნოდარ ბაქრაძე

●

წლები მიდიან და ჟამი ჩაცხრა,
გული კი მაინც ბობოქრობს, ღელავს,
ბევრი მიზანი იმ წერტილს აცდა,
ვერ მიაღწია დანიშნულ მწვერვალს.

და ვხვეტავ გულში ჩაფერფლილ
ნაცარს,
გადაიწმინდა ლექსების ჩქერი,
ლექსები შემდეგ იქცევა კაცად,
რომ არ ჩაჟანგდეს კაცობა შენი...

## საქარა

ღვივის კერია, ჯერ არ ჩამქრალა,
დღესაც აქ მოველ გულისფანცქალით:
კვლავ მელოდება ჩემი საქარა,
ძველი სახლი და ბუხრის ნაცარი.
შენს ფუძეზე და ხატზე მლოცველი,
მადიდებელი ამ მზის, ამ წვიმის,
სავსე მაქვს სული ლექსით, ოცნებით,
ვარ შენი მკერდის ძუძუთ გაზრდილი.
შუბლზე გაჩნია ჟამთასვლის კვალი,
და მაინც წლები წელში ვერ გღუნავს,
ზოგჯერ გშორდები, როგორც
მერცხალი,
მაინც შენთან ვარ, როგორც ბეღურა.
ღვივის სიცოცხლე, ჯერ არ ჩამქრალა...
შენთან ვბრუნდები გულისფანცქალით,
კვლავ მელოდება ჩემი საქარა,
ჩემი სახლი და ბუხრის ნაცარი.

●

რამდენმა კაცმა,
ღამე, ვიცი, თეთრად ათია,
რამდენმა კიდევ
უნდა თეთრად ღამე ათენოს,
ფიქრებით როცა
ჩამოჭკნები, შემდეგ გაგთლიან,
ძეგლად გაგთლიან,
არსაკიძის სისხლის ქართველო.
ხალხის გულები
ვიცი შენი მისამართია,
მათგან არასდროს
არ ელოდო სიკვდილით სასჯელს,
ხალხის ხელები,
შემდეგ, ვიცი, ძეგლად გაგთლიან,
უწმინდეს ქვაში
ამოკვეთენ შენს უკვდავ მარჯვენს.

## შვილს

პატარა მიშიკოს

ო, რამდენი ბრძოლა გინდა არ
წაგხვეტოს წამებმა,
ვიდრე სანთლად აინთები ო, რამდენი
წვალება.
ო, რამდენი ბრძოლა გმართებს,
ო, რამდენი ელვა და...
შენ აინთე, შენ აინთე,
რომ გიგულო კელაპტრად...

●

მივდევთ ცხოვრებას რაღაცა გვიკვირს,
გული ზოგჯერ რომ მღერის და
დარდობს,
ვიბრძვით ამ ქვეყნად ვამარცხებთ
სიკვდილს,
ვთესავთ დარდსა და
მოვიმკით ამბორს...
მივალთ იმ ქვეყნად, ამ ქვეყნად
ვტოვებთ,
წყაროს აღსავსეს ოცნებით, სულით,
რაც უნდა ეთქვა ტკივილით პოეტს,
სვამ იმ წყაროდან,
ვერ იკლავ წყურვილს...

## ილია

ერმა რომ არ ჩაიმუხლოს
უნდა კაცი ფარავდეს.
ფიქრში, დარდში, ასე უხმოდ,
უნდა გაჭაღარავდეს.
„ასჯერ ნახე, გაზომე და
ერთხელ გასჭერ“, გარანდე...
უნდა კაცი კაცისათვის
გრძნობით გაჭაღარავდეს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლევან დუმბაძე

●

შენ ხომ არ იცი,
რატომ გვანან ასე თვალები
დამცხრალ შადრევნებს?!
იქნებ ჩვენ
როცა გავდიოდით ბაღიდან მშვიდად,
მათ სიხარულის ბოლო შხეფი
გამოგვვადევნეს?!
ან იქნებ ვიღაც
მაისის ამ თბილ საღამოებს
ჩვენთვის კითხულობს
როგორც სონეტებს...

გამოწვდილი აქვს ყვავილები
პატარა ხეს და ...
ჩვენ ჩრდილის გარდა
ხშირად რატომ ვერაფერს ვხედავთ:
შენ ხომ ვერ მეტყვი,
რისგან,
რისთვის
ვაკეთებთ ამას,
რატომ ჩაუვლით გვერდზე რაღაც
საოცრად ლამაზს?!

## მარიონეტების თეატრში

მაშინ სიცილი,
მაშინ ცრემლი,
ოცნებაც მაშინ,
— იმათ სურვილზე,
ვისაც თითებზე მოურგია
სამართავი თქვენი ძაფები.
— ეგ ძაფები, ჯაჭვებია,
სამუდამო და,
უსასრულო.
მკერდზე მიკრული ეგ ყვავილებიც
შარშანწინდელი

გაცვეთილი რეკვიზიტია.
ტირის და ტირის ვიოლინო
ამ სევდიან თქვენს სამყოფელში,
და გზაც,
ბედისგან თავის დახსნის
არავინ იცის,
ჰოი, საბრალო თოჯინებო,
მძიმეა ფარდა,
სხვისია ცრემლი
და სიცილი,
ოცნებაც სხვისი...

## ჩვენ ვიბადებით

ეგ არაფერი,
მტვრად რომ იქცევი,
ახლა თუ არ ხარ
მტვერი.
ჩვენ ვიბადებით
თვალდახუჭული,
ვქრებით,
გაშლილი მზერით.
და მიუწვდომელს
ახლა და წინათ,
— მაინც უხილავს ველტვით.
და რჩება ისევ,
თვალები წყვილად,
— სული კი...

რჩება კენტი.
ისევ ჯიუტად,
ისევ ჯიუტად,
მაინც გავცქერით სივრცეს,
არ ვიჯერებთ რომ, მოვა საღამო.
გათეთრებული თმებით,
— ალბათ ამიტომ,
ალბათ ამიტომ,
უნებლიეთ თუ ნებით.
ჩვენ ვიბადებით,
თვალდახუჭული,
თვალგახელილი
ვქრებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი შეთეკაური

### ოცნება

ფრთებს — გარემოსილს დიდების ბურჯით,
ამზიანებულს ელვარე სხივით —
დაწერს კალამი, დახატავს ფუნჯი,
გათლის საჭრეთი, უგალობს სიმი.

და არ იშორებს სინათლის ღიმილს —
სურათი, ლექსი, ქანდაკი, ჰიმნი

და ტალღებს შემკულს მზის ოქროს სირმით
აპობს ოცნების ხომალდის ქიმი.

და ამკობს სულის უქრობი ცეცხლით
მთა-ბარს გაბანილს მაისის წვიმით —
ელურტული ბავშვის, ჭიკჭიკი მერცხლის,
ყაშყაში ორბის, ყვირილი ირმის.

...და აფრქვევს ირგვლივ მზერით თუ სმენით,
ფერით, ტაეპით, ჩუქურთმით, ბგერით
დაუვსებელი სინათლის ღიმილს —
კალამი, ფუნჯი, საჭრეთი, სიმი...

### მსოფლიოს რუკა

აბრიალდება დღეების შუქად,
ეს შუქი სკოლის კედლებს უნათის,
მე თვალწინ მიდგას მსოფლიოს რუკა —
ამ დედამიწის მცირე სურათი.

ო, ამ სურათში პლანეტა ჩვენი
ალბათ სამიოდ არის მტკაველი,
აქ მას იერი სხვაგვარი შვენის,
მზის მოელვარე სხივთა თაველით.

და არის რუკა თავისი ხვედრით
არა უბრალო ქაღალდის მსგავსი,
ის დედამიწის ვითარცა დედნის
სულ ერთი ციდა ასლია, ასლი...,

მასზე თითქოსდა ჯადოსნურ ხელის
ნახატი იკრებს ხაზების მარაგს,
ზღვა არა ღელავს თავისი ღელვით,
მწვერვალს თავისი სიმაღლე არ აქვს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გული სიმხნით შეიფრთხიალებს,
როცა სიამით დახედავ ხოლმე
პარალელებს და მერიდიანებს
ვით დედამიწის პერანგის ზოლებს

და ეს პლანეტა წინ მიჰქრის მუდამ
და წელზე ქამრად ეკვატორს არხევს,
ოკეანეებს თვალებად ახელს,
არქტიკა ხურავს ყინულის ქუდად...

და არ გწყინდება პლანეტის ცქერა,
ხან რომ თავს ადგას ლაჟვარდი სუფთა,
ხან მოდის წვიმა პლანეტის ცრემლად,
ზუზუნებს ქარი პლანეტის სუნთქვად...

და მდინარეებს — პლანეტის ძარღვებს
და მთებს — ძუძუებს პლანეტის მკერდზე
აჩვენებს რუკა პლანეტის სახედ,
მის მატერიკებს ხალისით შესცქერ.

სხვადასხვა ფერის შეჰყურებ ქვეყნებს,
შესცქერ კუნძულებს, ზღვებსა და ზეგნებს,
ხედავ რკინიგზებს, პორტებს, ქალაქებს,
რომელთაც კაცთა მზერა განაგებს.

მიწა და წყალი... ეს ფიქრი სთუთქავს
და გულს სხვა ფიქრად არა სცალია,
რომ დედამიწა ვთქვათ უფრო ზუსტად —
დედა მიწაა, დედა წყალია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასფურცელა

**ტარიელ ხავთასი**

# ფერად-ფერადი ამბები

(საბავშვო მოთხრობა)

ჩემი სახელია კოტე, ბაბუას კო-ბაბუას ვეძახი. სინამდვილეში მასაც კოტე ჰქვია, მაგრამ ბაბუა ისე შეეჩვია ჩემს შერქმეულ სახელს, როცა ნამდვილ სახელს ვეძახი, ჩემკენ არც კი იყურება, თუმცა საკმარისია კო-ბაბუა დავუძახო, მაშინვე მობრუნდება და გამიღიმებს, გულში ჩამიკრავს და კანფეტს მომცემს. ძალიან მიყვარს კანფეტი, მაგრამ ბაბუა ქვეყანას მირჩევნია.

ახლა ოთხი წლისა ვარ, დათვლა რვამდე ვიცი. მეუბნებიან, ხელებზე ათი თითი გაქვსო. მე კი ის მიკვირს, ათი თითი როგორ უნდა მქონდეს, როცა ათამდე დათვლა არც კი ვიცი.

ერთი უცნაური ბიძა მყავს, თბილისში ცხოვრობს. მეუბნებიან, ბიძაა და უნდა გიყვარდესო. ძალიან მწყინს, განა არ ვიცი, ბიძა რომ უნდა მიყვარდეს?! მაგრამ, როცა სოფელში ჩამოდის, ნუ გამთქვამთ და, ზოგჯერ კიდეც მეშინია მისი; — ეს არ თქვა, ისე არ მოიქცე, სირცხვილია, ეს არ გააკეთო, ის არ გააკეთო, არაფერი დააშავოო, — ჩამჩიჩინებს ყოველდღე. აბა ერთი, კარგი ბიჭი ხარ და, არ გაუგონო, სეირს მაშინ ნახავ...

კინაღამ დამავიწყდა. მე დაიკოცა მყავს და ძამიკოც. დაიკოს თამარი ჰქვია, მე კი პაწაწოს ვეძახი. ყველაზე პატარაა და აბა სხვა რა უნდა შემერქმია. ძამიკოს კი პაატა ჰქვია, მას პატას ვეძახი. მე დიდი ვარ, ისინი მხრებამდეც ვერ მწვდებიან, ჰიდაობაში ორივეს ერთად ვერევი, ცემით კი არც ერთს არ ვცემ, ამხელა ბიჭი, პატარებს ხომ არ გავუტოლებ თავს.

ძალიან ბევრი საინტერესო ამბავი და ზღაპარი ვიცი. ზღაპრები ბაბუამაც იცის, ჩამიწვენს ლოგინში და მიყვება და მიყვება, მე კი ვუსმენ და ვუსმენ. ძალიან მომწონს ნაცარქექიასა და სამი გოჭის თავგადასავალი. ზღაპრები ბებიამაც იცის. ხშირად წამიყვანს ხოლმე და მეტყვის — ახლა დაწექი და ისეთ ზღაპარს მოგიყვები, რომლის მსგავსი ჯერ არვისგან გაგიგონიაო. ვიცი, ბებიას ამბავი — დასაძინებლად უნდა შემიტყუოს. რა ვქნა, უარს ხომ ვერ ვეტყვი, უფროსებს უნდა დავუჯერო. პირველად კი გამიჭირდა, მაგრამ ახლა მუდამ სიამოვნებით მივყვები. ბებია დაიწყებს ზღაპარს: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცხრათავიანი დევი, რომელმაც პატარა ბიჭი მოიტაცა და ცხრა მთას იქით წაიყვანა, გამოქვაბულში ჩაკეტა და არ უშვებს. ამ დროს ტყეში თოფი გავარდა. დევმა ყურები ცქვიტა, გარეთ გამოვიდა და გაოცებისაგან პირი დააღო: დაინახა მისკენ უშიშრად მომავალი გულადი ჭაბუკი, რომელსაც ტყვე ბიჭის დახსნა გადაეწყვიტა...“ მორჩა და გათავდა, აქ ბებია ხვრინვას ამოუშვებს და ზღაპარიც წყდება. ეჰ, მაინტერესებს, რა დაემართა პატარა ბიჭს, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულად მონადირეს, მაგრამ დღემდე ვერ გამიგია. სამაგიეროდ ვიცი, ბებია გამოიღვიძებს და ძებნას დამიწყებს, მე კი უკვე კარგა ხანია ბაბუასთან ვარ გადაცოცებული და მის ზღაპარს ვისმენ, თან გულის ფანცქალით ველოდები, ისიც როდის „დამაძინებს“...

დღეს თბილისიდან ბიძაჩემი ჩამოვიდა და ჩემი ბიძაშვილები ჩამოიყვანა. ქეთინო ცოტათი ჩემზე უმცროსია, ბესიკი — თამრიკოსა და პაატას ტოლია. ახლა მე და ქეთინო ერთად ვთამაშობთ, ზოგჯერ ვჩხუბობთ კიდეც. ქეთინოს გრძელი ნაწნავები აქვს, როცა გამაბრაზებს, თმაში ვწვდები. სამაგიეროდ იგი თავში ჩამარტყამს, მერე ორივენი ვტირით და ერთმანეთს ვებუტებით, მაგრამ თამაში ხომ გვინდა, ისევ მალე ვრიგდებით.

დღეს ისე ცხელა, რომ თამაშიც კი გვეზარება. მამას მანქანა აქვს და გვითხრა: თუ არ იცელქებთ, ზღვაზე წაგიყვანთო.

— რა არის ზღვა? — ვკითხე.

— სად არის ზღვა? — ეკითხება ქეთინო.

— ზღვა დიდი, ვეებერთელა წყალია, — ღიმილით გვპასუხობს მამა.

ჩვენ ზღვა ჯერ არც გვენახა, ამიტომ იგი მე ვეებერთელა ტაშტი მეგონა, რომელშიც თბილ წყალს ასხამდნენ. ალბათ ქეთინოსაც ასე ეგონა. მე ძალიან მიყვარს თბილ წყალში ბანაობა, მაგრამ საპონი მეჯავრება, თვალებს მწვავს. ზღვაზე წასვლის სიხარულით ისე წყნარად ვთამაშობდით, რომ ყველას გაუკვირდა.

წასვლის დროც მოვიდა. მამამ ავტომანქანაში ჩაგვსხა და გაგვაქროლა. უკან რჩებოდა სახლები, ხეები, ხიდები, გამვლელ-გამომვლელნი. მოუთმენლად ველოდით, ზღვის გამოჩენას. მალე მამამ მანქანა ოდნავ შეაჩერა, თითი გვერდზე გაიშვირა და გვითხრა:

— შეხედეთ, აგერ ზღვა!

გავიხედე და ქეთინოს გაკვირვებით მივაშტერდი, შევატყვე, ქეთინოსაც ძალიან უკვირდა; შარაგზასთან ახლოს მოჩანდა ვეებერთელა ლურჯ-მიხდორი, რომელიც ისე ხმაურობდა, ცოტა არ იყოს, შემეშინდა კიდეც. მანქანა ახლა სულ ახლოს მისრიალებდა ზღვის პირას. მამამ მანქანა გააჩერა, ჩამოგვსხა, ხელები ჩაგვკიდა და ზღვისაკენ წაგვიყვანა. ჰაუ, რამდენი კენჭები ვნახეთ, მერე რა ლამაზები!.. ზღვამ კი მართლაც გამაოცა; არც ასეთი დიდი წყალი, არც იმდენი ხალხი, ჯერ არსად მენახა. მამამ ზღვაში შეგვიყვანა. ზღვა ხან უკან დაიხევდა, ხან, გამოქანდებოდა, თან ნაპირზე თეთრ ქაფს ტოვებდა.

ეს ზღვის ტალღა არისო, — აგვიხსნა მამამ.

„ალბათ ამდენი ხალხი რომ ბანაობს, იმიტომ არის ასე ბევრი ქაფი“, — გავიფიქრე და გადავწყვიტე, არ მებანავა, შემეშინდა, ქაფი თვალებში არ ჩამსვლოდა. უკან დავიწიე, ქეთინო უკვე გარბოდა.

მამა მიგვიხვდა შიშის მიზეზს და ძალით წაგვიყვანა ზღვისაკენ. რამ შეგაშინათ, თქვე მხდალებო, ეს საპნის ქაფი კი არ არისო, — თქვა და დაიხარა, ხელი ზღვის ქაფს შეუშვირა, მერე კი თვალებში ამომისვა. მივხვდი, რომ საშიში არაფერი იყო, ზღვაში გაბედულად შევედი და ნაპირთან დავწექი. ამ დროს შხუილით მოვარდა ტალღა და შხუილითვე თავზე გადამევლო, მერე უკან გაბრუნდა და აშრიალებულ კენჭებთან ერთად სიღრმეში ჩამითრია. მამა იქვე იდგა, ხელში ამიტაცა და ნაპირზე გამომიყვანა. ნაპირზე რომ გამოვედი, მივიხედ-მოვიხედე, ქეთინო არსად ჩანდა. შემეშინდა, არ დაიკარგოს-მეთქი.

— ვის დაეძებ? — მკითხა მამამ.

— ქეთინო სად არის? — კითხვითვე ვუპასუხე.

მამამ სწრაფად მიმოიხედა და ღიმილით მითხრა: — ვხედავ საცაა, აბა შენ თუ იპოვი.

ნაპირზე ბევრი ხალხი ირეოდა. ვათვალიერე, ვეძებე, მაგრამ ვერსად დავინახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერ ვხედავ-მეთქი, — ვუთხარი მამას და ისევ აქეთ-იქით დავიწყე ცქერა.

— აი, ის არის, ბავშვებთან სილაში რომ თამაშობს.

— სახე რომ არ უჩანს, როგორ იცანი ტიტლიკანა ბავშვებში? — ვკითხე.

— საითაც გინდა, იქით წადი, მე თვალებს დავხუჭავ, და, ვნახოთ, თუ არ გიპოვი! — მითხრა მამამ და თვალებზე ხელები აიფარა. მე გავიქეცი და სადაც ბევრი ბავშვი თამაშობდა, იქ მივირბინე, თან ბავშვებში ვიმალებოდი, თანაც თვალს ვადევნებდი მამას. მან თვალებიდან ხელები ჩამოიშორა, ირგვლივ დაკვირვებით მიმოიხედა და პირდაპირ ჩემკენ გამოეშურა.

— როგორ მიპოვე? — გაოცებით ვკითხე მამას.

— ვერც შენ მიხვდი? — ჰკითხა მამამ ქეთინოს.

— ვერა, ვერ მივხვდი — მიუგო ქეთინომ.

— აბა შეხედეთ ხალხს, — მოგვმართა მამამ, — მერე ერთმანეთს შეხედეთ.

ჩვენ ისე მოვიქეცით, როგორც მამამ გვითხრა.

— ვერ მიხვდით?

მხრები ავიჩეჩეთ და ვერ მივხვდითო, ვანიშნეთ.

— დაუკვირდით, ისინი შავები არიან, ზღვაზე გაშავებულან, თქვენ კი ჯერ არ მოგკიდებიათ მზე, ისევ თეთრები ხართ.

გაგვეცინა, მართლაც ბამბასავით თეთრები ვჩანდით. ამდენ შავ ხალხში.

— რატომ არიან ასეთი შავები? — იკითხა ქეთინომ.

— ხომ გითხარით, ზღვამ გააშავამეთქი, — მიუგო მამამ.

— როგორ, ზღვა ხომ ლურჯია? — გავიკვირვე მე.

მამამ ხარხარი ატეხა, ჰაიტ, შე სულელო, მითხრა და სახეზე ხელი ჩამომისვა...

ზღვაზე საღამომდე დავრჩით, ბევრი ვითამაშეთ, ლამაზი ზღვის კენჭები შევაგროვეთ და შინისაკენ გამოვეშურეთ. მისრიალებდა ჩვენი მანქანა სწორ გზაზე და დიდხანს, დიდხანს გვესმოდა ზღვის ტალღების ხმაური.

მეორე დღეს მე და ქეთინომ ისევ ვიჩხუბეთ — ზღვის კენჭები ვერ გავიყავით. ბოლოს გავბრაზდი და სულ გადავყარე. ქეთინომ ისეთი ღრიალი მორთო, რომ მთელი სახლი ფეხზე დააყენა.

კენჭები რატომ გადაყარეო, გამიჯავრდა ბიძია, ბებია კი პირდაპირ თმაში მწვდა, მაგრამ არ მიტირია. — თმა რომ არ მქონოდა, ხომ გადავრჩებოდამეთქი, გავიფიქრე და მეორე დღეს მეზობელთან გავიქეცი. დიომიდე ბაბუა შინ იყო და წვერს იპარსავდა, მეც დრო ვიხელთე და თმის გადაპარსვა ვთხოვე. დიომიდე ბაბუას გაუკვირდა.

— რატომ, ბიჭო, რა დაგიშავა თმამ?

— ძალიან ბევრს მიშავებს, გადამპარსე, სახლში იციან, — ვიცრუე და იქვე პატარა სკამზე ჩამოვჯექი.

— რაო, სახლში იციან? — დაეჭვდა დიომიდე ბაბუა.

— დიახ, დედამ გამომგზავნა, — გავიმეორე მე.

— მაშ კარგი, ოღონდ არ იტირო, — მითხრა და წვერის პარსვას რომ მორჩა, ჩემს გაკრეჭას შეუდგა. სულ მალე კოტორა ბიჭი შინისაკენ მივრბოდი.

— ეს რა გიქნია, ბიჭო, თმა ვინ გადაგპარსა?! — შემომეხვივნენ. ბებია, ბიძია, ბიცოლა, ქეთინო, პაატა, თამრიკო და ბესიკი ისე ხარხარებდნენ, რომ მეგონა ჭკუიდან შეიშალნენ-მეთქი.

მე ამაყად მივედი ბებიასთან და ნიშნის მოგებით ვუთხარი:

— ახლა რას იზამთ, კიდევ ჩამავლებთ თმაში ხელს?

ბიძიას გულიანად გაეცინა და ყურზე ფრთხილად წამავლო ხელი.

— ყურებს რას უზამ, ხომ ვერ მოიჭრი? — მითხრა და მაკოცა.

შემრცხვა, გავიპარე და სარკესთან მალულად მივედი, ჩავიხედე და ახლა მე ამიტყდა სიცილი. ალბათ თქვენც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გენახეთ, იმდენს იცინებდით, რომ...

2

იმ ღამეს ხეირიანად არც კი მიძინია. ბაბუამ ლოგინში ჩამიწვინა და მითხრა, თუ ადრე დაიძინებ, ხვალ ბახმაროში წაგიყვანო.

— რა არის ბახმარო? ვკითხე მე.

— ბახმარო აგარაკია.

— რა არის აგარაკი?

— აგარაკი დასასვენებელი ადგილია.

— შორს არის?

— ჰო, ცხრა მთას იქით. დაიძინე ახლა. — გაუწყრა ბაბუა.

ზღაპარი მიამბე და დავიძინებ.

— რა დროს ზღაპარია, დაიძინე, ხვალ ადრე უნდა ავდგეთ.

დილით ქეთინოს სიცილმა გამომაღვიძა. თავზე წამომდგომოდა და ნიშნის მოგებით დამძახოდა:

— მე დაგასწარ გაღვიძება, მე დაგასწარ გაღვიძება!

შემრცხვა, მაგრამ არ შევიმჩნიე. ეზოში რომ ჩავედი, მანქანა უკვე სახლის წინ იდგა. გავიქეცი და კაბინას მივაშურე. საჭესთან ადგილი უკვე დაკავებული დამხვდა; კაბინაში პაატა და ბესიკი მოკალათებულიყვნენ, საჭეს აქეთ-იქით ატრიალებდნენ და თან რუ-რუ-რუ-რუს იძახდნენ, თითქოს მანქანას მიაქროლებდნენ. რამდენი ვთხოვე, რამდენი ვემუდარე, მაგრამ საჭესთან მაინც არ დამსვეს, ნამდვილი ტარება მაინც შეეძლოთ. თუმცა, რა დაგიმალოთ და, მეც სწორედ ასე დამყავს ავტომანქანა. მაინც გავბრაზდი და ორთავეს დავემუქრე:

— დამაცადეთ, გავიზრდები და მანქანას კი არა ტრაქტორს ვიყიდი, აი ისეთს, ლადო ბიძიას რომ ყავს, ეზოში დავაყენებ და ვარბენინებ, იმხელა ხმა ექნება, რომ მთელი სოფელი გაიგებს მის გუგუნს. ყველა ბავშვს დავსვამ ჩემს ტრაქტორზე, თქვენ კი ა-ა-ა-ა-პა, ახლოსაც არ გაგაკარებთ.

პაატა და ბესიკი პირდაღებულნი მისმენდნენ და თან უსიტყვოდ მითმობდნენ ადგილს საჭესთან. მაგრამ მანქანის „ტარება" დიდხანს არ დამცალდა; ძარა ბარგით გაავსეს, უფროსები ზევით დასხდნენ, მე მუხლზე დამისვა მამიკომ, კაბინაში, კი, ბებიასთან ერთად, პაატა მოკალათდა...

იმდენი ვიარეთ, იმდენი აღმართ-დაღმართი გადავიარეთ, რომ ჩემს სიცოცხლეში პირველად შემძულდა მანქანა. გულში ვთქვი, აღარასოდეს ჩავჯდები მანქანაში-მეთქი. გზა კი არა და არ ილეოდა; მგონი მართლაც ცხრა მთა გადავიარეთ და ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა პატარა სახლები, ირგვლივ მთები იყო, მთის კალთებზე ვეებერთელა ნაძვები ჩამწკრივებულიყო.

როგორც იქნა, მანქანა გაჩერდა. ძირს ჩამოვხტი, წელში გავსწორდი და მიდამო მოვათვალიერე. მინდორში იმდენი ბავშვი თამაშობდა, უნებლიედ ზღვისპირი გამახსენდა.

მზიანი დღე იყო, ცაზე ერთი ღრუბელიც არ ჩანდა, მაინც არ მცხელოდა. სოფელში ზაფხული დავტოვეთ, აქ კი მგონი, ზამთარი იწყებოდა, მთები თოვლით იყო დაფარული.

ბახმაროში თავმოსაბეზრებელი წვიმები იცის, მაგრამ ვერც მზიან ამინდში მოისვენებ თუ ნაძვნარს თავი არ შეაფარე. ძალიან მიყვარს ნაძვნარი. შევალ ტყეში, დავკრეფ ნაირ-ნაირ ყვავილებს, სოკოებს, გირჩებს და ვთამაშობ.

ერთ დღეს მე და ქეთინო ბიძიამ მდინარეზე წაგვიყვანა. ჩვენთან ერთად სხვა ძიებიც იყვნენ, — თევზი უნდა დავიჭიროთო, ამბობდნენ. თან იმოდენა ბადე მოჰქონდათ, თევზის კი არა, მგონი დათვის დაჭერაც შეიძლებოდა. დათვზე გამახსენდა, გუშინ ერთმა მონადირემ ბიძიას ისეთი ამბავი უამბო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენც რომ არ მოგიყვეთ, ვერ მოვისვენებ.

...თურმე ერთ ღამეს მონადირეები სანადიროდ მთაში წასულან. ზაფხულობით ბახმაროს მთებში მწყემსები ჯოგს აძოვებენ, მაგრამ თუ ძალიან ფრთხილად არ იქნებიან, ბარში პირუტყვის ნახევარსაც ვერ ჩაიყვანენ, რადგან იქ იმდენი დათვი და მგელი იცის, რომ... ისინი განსაკუთრებით იმ ადგილს ეტანებიან, სადაც ფერმა ეგულებათ. განა ცოტაა სულელი ძროხა და ხარი, ბოსელში დაბრუნების დროს რომ ვერ ხვდება? ჰოდა, მეორე დღეს მწყემსები დაკარგული საქონლის ძვლებსღა პოულობენ. ნადირი შორიდანვე იყნოსავს ხოლმე საქონლის სუნს და მერე უყარე კაკალი...

ჰოდა, მთაში წასულ მონადირეებს ბეგრი უვლიათ ტყე-ღრეში, მაგრამ ნადირის კვალსაც ვერ წაწყდომიან. ბოლოს, დაღლილები, კლდის ქიმზე ჩამომსხდარან და გარიჟრაჟამდე დასვენება გადაუწყვეტიათ. კლდიდან ხელისგულივით მოჩანდა დაბლა გაშლილი ტაფობი. ტაფობზე უდარდელად იწვა ვეებერთელა ბუღა და თავის ძალაში დარწმუნებული, უშიშრად იცოხნიდა.

ტაფობს მზის პირველი სუსტი სხივი დაეცა, თითქოს ამას ელოდაო, უცნაური ღმუილითა და ღრიალით ტყიდან დათვი გამოვარდა, პირდაპირ ბუღასკენ გაქანდა და მწოლარეს თავს დააცხრა. საფრთხეში ჩავარდნილმა ბუღამ დათვის ღმუილს განწირული ბღავილით უპასუხა, სწრაფად წამოვარდა ზეზე, ტანი შეიბერტყა და დათვი ძირს გადმოაგდო. ტორებშემართული, კბილებგაალმასებული მხეცი არ ელოდა ასეთ წინააღმდეგობას და, ეტყობა, ოდნავ დაიბნა, შეჩერდა. ახლა ბუღა გადავიდა იერიშზე, წამახული რქები შემართა და დათვისკენ გაქანდა. დათვი მარდად გახტა გვერდზე და სანამ ბუღა მისკენ შემობრუნდებოდა, ისევ შეახტა ქედზე და ტორები გაძეტებით ჩასცხო. ბუღას გაგლეჯილი ტყავიდან სისხლმა ითქრიალა. საბრალო ტკივილმა სულ გააშმაგა, გამწარებულმა თავი უკან გაიქნია და რქები მთელი ძალით ატაკა დათვს ფერდში. ტკივილმა ახლა დათვი ააბღავლა, თავი ვერ შეიმაგრა და ძირს მოადინა ბრაგვანი. წამით თითქოს ყველაფერი მიწყნარდა. ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ბუღა და დათვი, თვალებით ზომავდნენ ერთმანეთს და თავდასხმისათვის ხელსაყრელ წუთს არჩევდნენ. მერე, თითქოს გამოერკვნენო, ბღავილ-ღმუილი ერთმანეთში აირია. ბუღამ ნაბიჯით უკან დაიხია და დათვისკენ გადახტა. დათვმა მოასწრო გვერდზე გახტომა და თვალის დახამხამებაში, ბუღასკენ გაქანდა, მაგრამ არც ბუღა დაბნეულა, ისევ აძგერა ფერდში რქა და ძირს დაანარცხა.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. დაღლა დაეტყოთ, მძიმედ სუნთქავდნენ, მაგრამ გაქცევას არც ერთი აპირებდა: ბუღას ზურგიდან და ქედიდან სისხლი თქრიალით სდიოდა, დათვიც სისხლისაგან იცლებოდა. წვეტიან რქებს მისთვის ფერდი გაეფატრა, ამასობაში მზემ გაანათა ტაფობი, ახლა ნათლად ჩანდა ბრძოლის ველი. დათვმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, რაღაც გაურკვეველი მოძრაობა გააკეთა, უკან დაიხია, მერე ნელი ბარბაცით წინ წამოვიდა, თითქოს მუხლები მოეკვეთა და უნდა დაეცესო, მაგრამ უცებ ზამბარასავით დაიჭიმა, ჰაერში ახტა, გასისხლიანებული ტორებით ბუღას კვლავ ზურგზე მოექცა და, ბრჭყალებთან ერთად, კბილებიც კისერში ჩაარჭო. ბუღა შეტორტმანდა, ყელიდან ბღავილისა და ხრიალის მსგავსი რაღაც გაურკვეველი ხმა აღმოხდა, აუტანელი ტკივილისაგან გამწარებულმა, წინა ფეხებზე ჩაიჩოქა და თავი მთელი ძალით მიწას ახალა. ყოველივე ეს ისეთი სისწრაფით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდა, რომ გამარჯვებაში დარწმუნებულ დათვს „ვაიმეს“ მსგავსი რაღაც წამოსცდა, ჰაერში ბურთივით ავარდა და ბუღას წინ დაენარცხა. ჩაჩოქილი ბუღა უმალვე ზეზე წამოვარდა და სანამ მოულოდნელობისაგან გაოგნებული დათვი გონს მოეგებოდა, რქები ფერდში გაუყარა და მხეცი სიპ ქვას მიანარცხა, დათვმა წელი ძლივს აითრია, ერთი კი შემოხედა რქებშემართულ, საიერიშოდ მომზადებულ ბუღას და განწირული ღმუილითა და ბარბაცით ტაფობიდან გაიძურწა. სისხლი წვეთწვეთად ეცემოდა ცვრიან ბალახს, რქებმოღერებული, საბრძოლო ნახტომისათვის შემართული ბუღა დიდხანს იდგა ერთ ადგილას, მაგრამ მოწინააღმდეგე აღარსად ჩანდა. მერე ნელ-ნელა მოეშვა, წელში გასწორდა, თავი მძიმედ ასწია, ირგვლივ მიმოიხედა და მოწყვეტილივით დაეცა მიწაზე, შორს ისმოდა მისი მძიმე, აჩქარებული სუნთქვა. მერე დინჯად წამოდგა, ტანი შეიბერტყა, სისხლით შეღებილი ბალახი დაყნოსა, მძლავრად დაიბღავლა, თან ნაბიჯი ოდნავ წინ წარსდგა, კისერი წაიგრძელა და სმენად იქცა. შორიდან სუსტი ბღავილი შემოესმა. ბუღა გამოცოცხლდა, შეკუნტრუშდა და ამაყი ნაბიჯებით იქეთკენ გაემართა, საიდანაც მოძმის ხმა გაიგონა...

დათვი რატომ არ მოჰკალითო, — უკითხავს ბიძიას.

— ამ უჩვეულო ბრძოლამ ისე გაგვიტაცა, რომ სულ დაგვავიწყდა, იარაღებით რომ ვიყავითო. — მიუგია მონადირეს, თან გაუგრძელებია: როცა ბუღა წავიდა, ტაფობზე ჩავედით, ძალიან გვაინტერესებდა, რა მოუვიდა დათვს და მისი სისხლის ნაკვალევს გავყევით, ძებნა დიდხანს არ დაგვჭირვებია, იქვე, ახლოს, იელის ბუჩქში შემძვრალიყო და გაუნძრევლად იწვა, ტკივილებისაგან კაცივით კვნესოდა. თოფები მოვიმარჯვეთ, ოთხივე მხრიდან მოვუჭერით გასაქცევი. დათვმა სიფრთხე იგრძნო, მაგრამ ბრძოლის თავი აღარ ჰქონდა, არც გაქცევა [illegible] დია. ზეზე წამოდგა, ირგვლივ მიმოიხედა, თოფის ლულებს მზერა მიაპყრო, მერე ბღავილით უკანა ფეხებზე ჩაჯდა, ტორები სახეზე მიიფარა და კაცივით აზლუქუნდა. შეთანხმებულებივით დავუშვით თოფები, დათვმაც მაშინვე შეწყვიტა ტირილი, სახეზე აფარებული ტორები ჩამოუშვა ხან ერთს შემოგვხედა, ხანაც მეორეს. მხეცთან იმდენად ახლოს ვიყავით, რომ მის თვალებში ჩამდგარ ცრემლსაც ვხედავდით. ადგილიდან არ იძვროდა. ვგრძნობდით, გვემუდარებოდა — სიცოცხლე მაჩუქეთო. შეგვებრალა სასიკვდილოდ დაჭრილი. მისი სიცოცხლის წუთები ისედაც დათვლილი იყო და სიკვდილი არ დავუჩქარეთ. ზურგი შევაქციეთ და ჩვენი გზა განვაგრძეთ. მოშორებით კარავი გამოჩნდა. იქითკენ გავემართეთ. მალე მწყემსებს შორის აღმოვჩნდით და დაწვრილებით ვუამბეთ, რაც ტაფობზე ვნახეთ.

— ჩვენი ალმასა იქნებოდა, ეს უკვე მეორე შემთხვევაა, ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. — თქვა სარქალმა და მთ[illegible] კალთებზე შეფენილ ნახირს გახედა.

— რაღას ვუცდით, წავიდეთ, ვნახოთ, იქნებ უჭირს, — თქვა მეორემ და ნაომარი ბუღას სანახავად გასწია. ჩვენც გავყევით.

ძებნა დიდხანს არ დაგვჭირვებია. ალმასა ნაძვის ჩრდილში განმარტოებულიყო და ჭრილობებს ილოკავდა. მწყემსები მასთან მივიდნენ, მიუალერსეს დაჭრილს, ნატორალი ადგილები გაუსინჯეს.

— ის დათვი სად გდია, მაგის ტყავი თუ სოფელში არ ჩავიტანე, კაცი არ ვიყო. — თქვა თვალებზე ცრემლებმომდგარმა ახალგაზრდა მწყემსმა და გვთხოვა, გზა გვესწავლებინა. ყველანი წავედით, იელის ბუჩქს, სადაც დათვი დავტოვეთ, ფრთხილად მივუახლოვდით. ქოფაკებმა ნადირის სუნი რომ აიღეს, ბუჩქში ყეფითა და კისრისტეხით შევარდნენ, მაგრამ ახლოს მისვლა ვერ გაბედეს, შორიდან უღრენდნენ და უყეფდნენ. წინააღმდეგობას რომ ვერ წააწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყდნენ, გათამამდნენ, დათვს მიესივნენ და კბენა დაუწყეს. დათვი არ შერხეულა, უკვე მკვდარი იყო...

ჰო, წელან რას ვყვებოდი? გამახსენდა, ბიძიამ მე და ქეთინო სათევზაოდ წაგვიყვანა. მივდიოდი და მიკვირდა, როგორ უნდა დაეჭირათ ბადით თევზი, თევზი ხომ წყალშია?

ბევრი ვიარეთ. ბოლოს ისეთ ხევს მივადექით, დაბლა ჩახედვა შეგეშინდებოდათ. ხევში მდინარე ხმიანობდა. როგორც იქნა, მდინარის ნაპირთან ჩავაღწიეთ. მე და ქეთინომ მაშინვე თამაში დავიწყეთ, ხელებს წყალში ჩავყოფდით და ერთმანეთს შხეფებით ვწუწავდით. წყალი ისეთი ცივი იყო, ხელები ლამის გაგვიყინა.

ამასობაში კაცებს ფეხზე გაეხადათ, შარვლები მუხლებზე აეკეცათ, მდინარეში შეეტოპათ და ბადე საგულდაგულოდ დაეგოთ. ახლა მდინარეში ქვებს ყრიდნენ, თითქოს თევზები ძალით უნდა შეერეკათ ბადეში. „როცა გული იჯერეს, ბადესთან მივიდნენ, წყლიდან ფრთხილად ამოიღეს და სახტად დარჩნენ — ბადეში ერთი ლიფსიტაც კი არ ფართხალებდა.

მდინარის გასწვრივ, ჩვენკენ მომავალი ორი კაცი გამოჩნდა. ერთ მათგანს ზურგზე ბადე ჰქონდა მოგდებული, მეორეს კი ხის მოზრდილი აცმით თევზები მოჰქონდა. ბიძიამ უცნობებს გასძახა, აქ მოდითო. ისინიც მოვიდნენ, მოგვესალმნენ და ქვებზე ჩამოსხდნენ.

— სად დაიჭირეთ თევზი? — ჰკითხა ბიძიამ.

— ქვევით, ჩქერებში, — მიუგო თევზიანმა და სიგარეტი გააბოლა. თევზებს ზურგზე წითელი წინწკლები ეყარათ, ისეთი ლამაზები იყვნენ, თვალი ვერ მოვწყვიტე.

კარგად გითევზავიათ, — შეაქო ბიძაჩემმა მოსულები.

— თქვენ ვერაფერი დაიჭირეთ? ახლა ბადიანმა ჰკითხა ბიძაჩემს. ბიძიამ თავი გააქნია, — ჯერ ვერაო, თან მორიდებით სთხოვა:, — ხომ ვერ დამითმობთ რამდენიმე ცალს, ბავშვებს გავახარებო.

— დათმობით ვერა, ბავშვებს კი სიამოვნებით ვაჩუქებ, — ღიმილით ჩაილაპარაკა თევზიანმა ძიამ და აცმიდან რამდენიმე თევზი მოხსნა, მე და ქეთინოს თანაბრად გაგვინაწილა, ნახვამდისო, თქვეს და ორთავენი თავიანთ გზას გაუდგნენ.

— დიდი მადლობა, მეგობრებო, ბავშვები რომ გამიხარეთ, — მიაძახა ბიძიამ მიმავალთ და ზეზე წამოდგა.

რაც ჩვენ იმ თევზებით გავიხარეთ, ენით არ აიწერება. ვეფერებოდით, წყალში ვავლებდით, ქვის ქვეშ ვმალავდით და თითქოს ცოცხალს ვიჭერდით — ქვის სამალავიდან გამოგვქონდა და ნაპირზე ვისროდით. უცებ ქეთინო შეჩერდა, ბიძიას გახედა და ცნობისმოყვარეობით ჰკითხა: — მამი, თევზი ძალიან ჭუჭყიანია?

— რას ამბობ, შვილო, პირიქით, ვერ ხედავ, როგორი სუფთა და კრიალაა?

— აბა მუდამ წყალში რატომ არის?

კაცებს გაეღიმათ, ბიძიამ თავზე ხელი გადაუსვა და წასასვლელად მოემზადა.

აღმართს შევუდექით და დაბურულ ნაძვნარში შევედით. უეცრად ხმაური შემოგვესმა, ტყის სიღრმეში, ჩირგვებთან სამი კაცი დავინახეთ, რაღაცას ექაჩებოდნენ. ნეტავ რა მოხდაო, — იკითხეს კაცებმა და იქითკენ გაეშურნენ. როცა ჩირგვებთან მივედით, სურათი ვნახეთ; მიწაზე მკვდარი ცხენი ეგდო, ერთი ფეხი ხაფანგში მოჰყოლოდა. ხაფანგის კბილები კი ისე შემოეჭიროდა, რომ საბრალო ცხენს წვივი სულ დასისხლიანებოდა.

— რა მოხდა? — იკითხა ბიძიამ.

ერთ-ერთმა უცნობმა თავი მწუხარედ წამოსწია და გაბზარული ხმით გვითხრა:

— ფერმაში დათვი შემოგვეჩვია, ღამე არ გავა, საქონელი არ მოგვტაცოს. ამ ადგილზე გვქონდა ეჭვი, სადღაც აქ ახლოს უნდა ჰქონდეს ბუნაგი იმ წყეულს და სათოფედ რომ ვერ მოვი-

ხელთეთ, ისევ ხაფანგის დაგება გადავწყვიტეთ. საუბედუროდ, დათვის ნაცვლად, ჩვენივე ცხენი გაბმულა, ცხენს ერთი უცნაური ჩვეულება აქვს, — განაგრძობდა თვალებში ცრემლჩამდგარი უცნობი, — თუ მახეში გაება და თავის დახსნა ვერ შეძლო, არც თავს იცოცხლებს, თუ ქვას ან ხის კუნძს მიწვდა, თავს ზედ მანამ ახლის, სანამ სული არ ამოხდება. აქ ახლო-მახლო არც ქვა იყო და არც კუნძი, ეტყობა, მიწაზე უხლია საბრალოს და ისე მოუკლავს ხაფანგის ტყვეობაში გაწამებული თავი.

ჩვენ გზა განვაგრძეთ, ავიარეთ ხევი, მერე ხშირი ნაძვნარი და არაქათგამოცლილები დავბრუნდით შინ. ჩვენი სახლის წინ ავტომანქანა იდგა. კართან მამიკო და კოტე ბაბუა შემოგვეგებნენ. თამრიკო, პაატა და ბესიკი იქვე ჩაცუცქულიყვნენ და კანფეტს შეექცეოდნენ.

— ჩვენც გვინდა კანფეტი, — ავწუწუნდით მე და ქეთინო.

— რა გაწუწუნებთ, — ღიმილით გვითხრა ბაბუამ და ორივენი მუხლებზე დაგვისვა, თან გვითხრა: ვინც რამდენს დაითვლის, იმდენ კანფეტს მივცემ, თანახმა ხართო?

— ვართ, — მიუგო ქეთინომ.

პირველად მე დავითვალე: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ათი, თორმეტი...

— შეგეშალა. — შემაწყვეტინა ბაბუამ თვლა და რვა კანფეტი მომცა. ქეთინო ჩემზე უმცროსია და თუ მაჯობებდა, როგორ ვიფიქრებდი. მან ათამდე სხაპასხუპით დაითვალა და ბაბუამაც ათი კანფეტი მისცა. შემრცხვა, რომ ჩემზე უმცროსმა და ისაც გოგომ, მაჯობა და მოვიწყინე. ბაბუამ შემატყო და ნიშნის მოგებით მითხრა: — გახსოვს, საბავშვო ბაღში რომ არ ღადიოდი? იქ ხომ თვლასაც გასწავლიდნენ. გამახსენდა თუ როგორ დავანებე თავი საბავშვო ბაღს:

ერთხელ ბაბუას წამოსცდა, დედამიწა ბრუნავსო.

— მართლა ბრუნავს? — გავიკვირვე.

— ჰო, ბრუნავს, — სერიოზულად მიპასუხა ბაბუამ.

— სახლები?

— დედამიწასთან ერთად, სახლებიც ბრუნავს.

სიხარულით ტაში შემოვკარი და წამოვიძახე: — მაშ, ხვალ საბავშვო ბაღში აღარ წავალ.

— რატომ? — ახლა ბაბუამ გაიკვირვა.

— რატომ და, თუ დედამიწასთან ერთად სახლებიც ბრუნავს, საბავშვო ბაღი თავის ადგილზე ხომ აღარ დამხვდება, სად უნდა ვეძიო?!

ბაბუას გაეღიმა, ჰაიტ, შე ეშმაკის ფეხოო, — მომაძახა და გაქცეულს ფეხები დამიბაკუნა. მეორე დღიდან საბავშვო ბაღში აღარ წავსულვარ.

საბავშვო ბაღში რომ მევლო, დღეს ქეთინო თვლაში ხომ ვერ მაჯობებდა?!

— დედამიწა კიდევ ბრუნავს? — გულდაწყვეტით ვკითხე ბაბუას.

— რა თქმა უნდა, რატომ იკითხე?

— საბავშვო ბაღში მინდა წასვლა. რა ვქნათ? — ჩავილაპარაკე მე და ბაბუას შევხედე, რას მეტყვის-მეთქი.

— კარგი, ოღონდ მერე არ იუარო, სოფელში რომ ჩავალთ, ბაღში გატარებ.

ბაბუა ზეზე წამოდგა, ოთახში შევიდა და ტახტზე წამოწვა. მე კი ერთი სული მქონდა, როდის დაღამდებოდა და გათენდებოდა, რომ სოფელში მალე წავსულიყავი, თან შიშით ცას ხშირ-ხშირად გავყურებდი, რომ ნისლი არ წამოსულიყო და მთები არ მოეპარა. ნისლი ისეთია, გზასაც მოიპარავს და მაშინ შინ ვეღარ წავალთ.

მზიანი დილა გათენდა. მანქანაში ჩავსხედით და სოფლისაკენ გავეშურეთ. იმდენი ვიარეთ, რომ უკვე მეორეჯერ შემძულდა მანქანა. მართლაც ცხრა მთა რომ გადავიარეთ, გამოჩნდა ჩვენი სოფლის ნაცნობი ჭალა და ვაკე. მალე მანქანა ორღობეში შეგუგუნდა, სახლებს ჩაუქროლა, უკან მოიტოვა

ეზოები, ყანები, ბოსტნები და ჩვენს ჭიშკართან გაჩერდა...

მეორე დილით ყველას ადრე გაგვეღვიძა, აღარ მახსოვს, ვინ ვის დავასწარით. ხტუნვით გამოვეფინეთ დაცვარულ ეზოში, ჯოხის ცხენებით შემოვირბინეთ კუთხე-მეზობლები, ბოსტანში გადავძვერით, ყანაში გადავედით.

— კოტიკო, არ მოგენატრა ბებიაჩემის კიტრები? — ღობის გადაღმიდან შემომესმა ანზორის ხმა, — ჩამოდი, დავკრიფოთ, საცაა პაატა და ბესიკიც მოვლენ.

ფედოსი ბებიამ ისეთი ბოსტანი იცის, რომ უკეთესს ვერ ნახავ. ისეთი კიტრი და პამიდორი მოჰყავს რომ... მისი გემო ყველაზე უკეთ ჩვენ ვიცით. ფედოსი ბებიამაც იცის, ვინ იცუცქნება მის ბოსტანში, მაგრამ ვითომ ვერც გვამჩნევს, თუ სადმე თვალი მოგვკრა, ისე „დაგვწყევლის", რომ ყველა ლოცვაზე ტკბილია.

— გაგზარდათ ღმერთმა, — მოგვძახებს და დასძენს, — რას შვრებით, თქვე მამაძაღლებო, ნელა, არაფერი იტკინოთ, ნუ გარბიხართ, შეგარგოთ ღმერთმა, თქვენთვის თუ არა, აბა, ვინ ოხრისთვის მინდა.

ჩვენ კი თავქუდმოგლეჯილი გავრბივართ სიმინდის ყანაში და თავი რაინდები გვგონია.

— კოტიკო, ბესიკ, პაატა! — „შორიდან მოისმა თამარა ბებიას ხმა. ამ ხმას კარგად ვიცნობ — საუზმეა მზად.

რა გვაჭმევს ახლა თაფლგადავლებულ კარაქიან პურს, ხილის, პამიდვრისა და კიტრის ნაჭამი კუჭები გადმობრუნებაზე გვაქვს, მაგრამ უარი არაფრით არ შეიძლება, თამარა ბებიას თავისი წესი აქვს — საუზმე საუზმეა.

ჩხუბით, დაყვავებით თუ მოფერებით, როგორც იქნა, საუზმე დავამთავრეთ, პაატამ ბურთი გამოიტანა, ანზორს თვალი ჩაუკრა და თამაშიც გაჩაღდა. ბესიკი მაშინვე ჯეკასკენ გაიქცა, მაგრამ ძაღლი თავის საბმელთან არ დახვდა.

— ბებო, სად არის ჯეკა?

— არ ვიცი, ბებია გენაცვალოს, დღეს არ დამინახავს, თქვენ არ გახლდათ?

— არა, დღეს არც ჩვენ დაგვინახავს.

— სად უნდა წასულიყო? — დაინტერესდა ბებია და ძაღლისათვის მიჩნეულ საბმელთან მივიდა, ჩვენც იქ მივედით. ძაღლის საბმელი ჯაჭვი მოხსნილი იყო.

— უი, ხომ არ მოიპარეს! — შეიცხადა ბებიამ.

— ჯეკა, ჯეკა, ჯეკა! — ავღრიალდით ყველანი ერთ ხმაზე. ძაღლი კი არსად ჩანდა, გამახსენდა, ადრეც რომ მოინდომეს მისი მოპარვა, მაშინ მამიკომ იპოვა ახლა კი...

მთელი დღე ვეძებეთ. როცა პოვნის იმედი დავკარგეთ, თავი ვერ შევიკავეთ და ტირილი დავიწყეთ.

— თურმე, როცა რაიმე დაეკარგებათ, გაზეთში აცხადებენ და დაკარგულს ასე პოულობენ, ჩვენც ვუთხრათ კოტე ბაბუას, ჯეკას დაკარგვა გაზეთში გამოაცხადოს. — გვირჩია ანზორმა.

— გაზეთში გაცხადება რას უშველის, ჯეკამ ხომ კითხვა არ იცის, — მოუმატა ღრიალს ბესიკმა.

დიდხანს ვიტირეთ, დიდხანს ვეძიეთ, მაგრამ ჯეკას კვალი ვერსად ვიპოვეთ. ძებნა არც მეორე დღეს შეგვიწყვეტია, შემოვირბინეთ მეზობლების ყანები და სათხილეები. ბოლოს ბებიამ გვითხრა: — ნუ გეშინიათ, ჯეკა ისეთი ჭკვიანია, რომ ქურდს გამოეპარება და შინ თავისით მოვა, ამიტომ სჯობია, ეზოში გაჩერდეთ, აქ დაელოდოთ, — თქვენ მაინც ნუ გამიხდებით მოსაძებნიო. ჩვენც წყნარად ვისხედით ეზოში და დიდხანს ველოდით, როდის მოვიდოდა ჩვენი მეძებარი, ჩვენი ფეხბურთელი ძაღლი და ყეფით, წკმუტუნით, ლაქუცით, კუდის ქიცინით როდის გაამხიარულებდა ეზოს. ამასობაში სადილობამაც მოატანა, ბებიამ სუფრა გაშალა და ყველანი მაგიდას შემოვუსხედით.

---

**ტარიელ ხავთასი**

ფერად-ფერადი ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებიას ბორშჩი მოემზადებინა და სავსე მათლაფები ჩამოგვირიგა. წვნიანი ძალიან მიყვარს, მაგრამ მოხარშულ კომბოსტოს დასანახად ვერ ვიტან. არც ქეთინოს ყვარებია კომბოსტო, თამრიკომ და პაატამ თეფშები მაშინვე გვერდზე გადადგეს. მათ არც ბესიკი ჩამორჩა. ეს რომ ბებიამ დაინახა, გვერდით მოგვიჯდა და დაგვემუქრა: ვინც მათლაფას არ დაცლის, სათამაშოდ არ გავუშვებო. მაგრამ მუქარამ არ გასჭრა. ახლა ბებიამ სხვა ხერხს მიმართა: — ბავშვებო, თუ გინდათ, წვენი დატოვეთ, ოღონდ კომბოსტო გაათავეთ. ამბობენ ვინც ბევრ კომბოსტოს ჭამს, დიდი იზრდებაო, — თქვა და სათვალის ზემოდან გადმოგვხედა. ის იყო კომბოსტოს ჭამას უნდა შევდგომოდი, რომ თამრიკომ კიდევ უფრო შორს გასწია მათლაფა და ბებიას უთხრა: კომბოსტო რომ ზრდიდეს, მაშინ ხომ კურდღელი ჩვენს ძროხაზე დიდი უნდა იყოსო?

კოვზი ხელიდან გამივარდა, ბებიას კი სათვალე ცხვირიდან ჩამოუცურდა და სავსე მათლაფაში მოადინა ტყაპანი. ბებიამ არ შეიმჩნია, სწრაფად ამოიღო, გაამშრალა და სამზარეულოში გავიდა, თითქოს არაფერი მომხდარაო, მალე ისევ შემობრუნდა და მეორე კერძი შემოიტანა.

— იცი რა, ბები, მეც გავიგონე, ვინც ბევრ სტაფილოს ჭამს, მხედველობა უუმჯობესდებაო, შენ რატომ არ ჭამ სტაფილოს? — ეშმაკურად ჰკითხა ქეთინომ და ჩვენ გადმოგვხედა.

— ვინ გითხრა ეს სისულელე, — იწყინა ბებიამ და შუბლზე აწეული სათვალე ცხვირზე დაისკუპა.

— ამას რა თქმა უნდა, ბებო, ჯერ ხომ არავის უნახავს სათვალიანი კურდღელი? — თქვა ქეთინომ და სტაფილო ბებიას გადააწოდა.

— ჰაიტ, თქვე ეშმაკის ფეხებო! — დაგვიცაცხანა ბებიამ, თან სიცილს ვერ იკავებდა.

სადილს მოვრჩით და ეზოში გავედით. ის იყო თვალხუჭობანას თამაში უნდა დაგვეწყო, რომ ჭიშკარში ნინო შემოვიდა. ნინო თამრიკოს თანატოლია და მუდამ ერთად თამაშობენ. განსაკუთრებით უყვართ ჩვენს ჭრელ ფისოსთან თამაში, ჩაისვამენ კალთაში და ეფერებიან, ნინოს ძალიან უყვარს ფისო, ფისოც ისე შეეჩვია, როგორც კი დაინახავს, მისკენ კნავილით გარბის. ამაზე კი თამრიკო ბრაზდება; ჩემს ხატულა ფისუნიას ნინო ჩემზე მეტად რატომ უყვარსო და როცა ნინო ჩვენთან არის, ფისო თამრიკოს სულ ხელში უჭირავს.

— ჩვენთან მოხვედი თუ ფისოსთან? — მოსვლისთანავე ჰკითხა პაატამ.

— თქვენთანც და... ფისოსთანც, — გაიღიმა ნინომ.

— თუ ასეა, ჯერ ჩვენთან ითამაშე, მერე კი — ფისოსთან, — უთხრა ბესიკმა და გათვლა დაიწყო: ენკი-ბენკი სიკლისა...

— იცით, რა, — მორცხვად დაიწყო ნინომ და ბესიკს გათვლა შეაწყვეტინა, — თამრიკო, ცოტა ხნით ფისო მათხოვე, ბებოს ბეღელში თაგვები მომრავლდნენ და იქნებ დაიჭიროს.

თამრიკო თვითონ უფრო წაყვებოდა ნინოს, ვიდრე ფისოს ათხოვებდა. ამიტომ ბევრი არც უფიქრია:

— არა, ნინო, იმ სიბნელეში ფისომ თაგვი როგორ უნდა დაიჭიროს? ისევ სჯობია, თაგვები აქ მოიყვანო.

— ნინომ წყენა არ შეიმჩნია, თვალხუჭობანას თამაშში ჩაება, მერე კი ისე ჩუმად გაგვეპარა, ვერც კი გავიგეთ...

3.

...ის დღე არასოდეს დამავიწყდება: ქარი, თოვლჭყაპი, სუსხი. ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა. ჩვენთან იყო ყველა ნათესავი და მეზობელი, არ იყო მხოლოდ ბაბუა. იგი იწვა მშვიდად, ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი. სამუდამოდ დახუჭოდა თვალები კოტე ბაბუას, ჩემს კო-ბაბუას. მე, ქეთინო, თამრიკო, პაატა და ბესიკი ბაბუას თავთან ვიდექით. საშინლად ციოდა, გარეთ უსაშველოდ წვიმდა, ქროდა სუსხიანი ქარი, მაგრამ სიცივეს არც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთი არ ვგრძნობდით, რადგან ბაბუას სიკვდილით შემოსული სიცივე უფრო გვთოშავდა, ვიდრე ფართოდ გაღებული კარიდან შემოჭრილი სუსხი.

დავყურებ ბაბუას უძრავ სახეს და მაინც არ მჯერა, რომ იგი აღარ არის. ნუთუ ყველაფერი გათავდა?! აი, მოვიდნენ კაცები, ხელი მოჰკიდეს კუბოს, რომელშიც ბაბუა წევს. უნდათ ასწიონ, წაიღონ, გაასვენონ. მიკვირს, არც ბებია, არც მამაჩემი, არც ბიძაჩემი არაფერს ამბობენ, არც უშლიან, პირიქით, ეხმარებიან, გზას უთმობენ.

— არა, ბაბუას არ გაგატანთ! — შეთანხმებულებივით ერთად ვიკივლეთ ხუთივემ — მე, ქეთინომ, თამრიკომ, პაატამ და ბესიკმა. მოულოდნელობისაგან გაოგნებულმა კაცებმა კუბო ისევ ტახტზე დადგეს.

თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით ჩამოგვდიოდა, მაგრამ ბაბუას ჩვენი აღარ ესმოდა, ჩვენთვის აღარ ეცალა, უკვე ჩვენ აღარ გვეკუთვნოდა, როცა ბაბუა ეზოდან გადაასვენეს და უკან მოვიხედე, მომეჩვენა, თითქოს ამოდენა სახლი სულ დაპატარავებულიყო და ცარიელ ქოხს დამსგავსებოდა.

სასაფლაოდან გამობრუნებისას, თვალი აზვინულ და ყვავილებით დაფარული საფლავისაკენ გამექცა და შიშმა ამიტანა. ამ უკაცრიელ სასაფლაოზე მარტოდ დარჩენილ ბაბუას არ შეეშინდება-მეთქი? გავიფიქრე და ცრემლები ვერ შევიკავე.

— ახლა, შვილო, ტირილი არ შეიძლება, — მითხრა ვიღაცამ, მომეფერა, მაკოცა და სიტყვა გააგრძელა: — გამაგრდი, ბიჭი არა ხარ? შენც მალე გაიზრდები, მამა გახდები, მერე კი ბაბუა, გეყოლება შვილები და შვილიშვილები, ასეა აწყობილი ეს ცხოვრება.

— ხედავ, თურმე მეც გავხდები ბაბუა, შვილიშვილები მეყოლება. — სიამაყით გავიფიქრე და გული სიხარულით ამევსო, მერე იქვე მობუზულად მდგარ ქეთინოსთან, თამრიკოსთან, პაატასთან და ბესიკთან მივირბინე, მივირბინე და ყველას ვახარე, რომ ჩვენც გავხდებით ბაბუები და ბებიები. მერე ერთმანეთს ხელები მაგრად ჩავჭიდეთ და შინისაკენ მიმავალ ხალხს გავყევით. ხუთნი ვიყავით და ვიგრძენი, რომ არ შეიძლებოდა ბაბუა მკვდარი ყოფილიყო; იგი ჩვენი თვალებით შეჰყურებდა ცას და ჩვენი ღიმილით იღიმებოდა. ვიგრძენი და თითქოს გულიდან დიდი ტვირთი მომეხსნა. თითქოს ეს მწარე სინამდვილე უეცრად სიზმრად გადაიქცა. ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა ის, რაც ბაბუამ ვერ მოასწრო, გვეთესა ის სიკეთე, რისა დათესვაც ბაბუას არ დასცალდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავთანდილ მეგრელიშვილი

## აბა, რაღა კაცი ხარ?

სიყვარულით შევცქერი
ქალაქს, სოფელს ნაცხარს...
თუ მამული არ გიყვარს,
აბა, რაღა კაცი ხარ?!
ცუდი თუ არ გეტკინა,
კარგი თუ არ გახარებს.

რისთვის ცოცხლობ, რა გინდა
ამ სოფელში, ამ მხარეს?!
სიყვარულით უმზირე
ზეცას, მიწას, ნაცხარს...
თუ მამული არ გიყვარს,
აბა, რაღა კაცი ხარ?!

## მთვარე

მივაბიჯებთ, მთვარე
არ გვაშორებს თვალებს.
ვარსკვლავები ვთვალეთ,
გვიცინოდა მთვარე.

ხეებს მოვეფარეთ,
დაგვეძებდა მთვარე.
მთვარემ მე და ცირა,
სახლშიც მიგვაცილა.

## სათამაშო თოფი

მამამ თოფი მიყიდა,
სათამაშო, პატარა.
ზურგზე გადავიკიდე
და მთელი დღე ვატარე.

დამინახა მამალმა,
დაფრთხა თავის ამალით.
მას ეგონა თუ მქონდა
თოფში ტყვია-წამალი.

## დედასავით ეყვარება

ვინ არ იცნობს ჩვენს ქუჩაზე
ცეროდენა ზაზას,
მუდამ სახემომღიმარი
დაბაჯბაჯებს გზა-გზა.
აივლის და ჩამოივლის
გამართული ბიჯით,
სათითაოდ გვესალმება
ჩვენი ზაზა-ბიჭი.
ამასწინათ ერთ ბებოსთან
ლექსები რომ მოყვა,
გოგოებმა კოცნით ლამის
მოაჭამეს ლოყა.
შოკოლადი მიართვეს და
წიგნებიც აჩუქეს.

დედიკო ხომ გაუხარეს, —
შვილი ისე უქეს.
უყვარს ზაზას ლამაზი და
მშობლიური ქუჩა,
იმ ქუჩაზე მოტიკტიკე
ნანა, გელა, უჩა...
დრო გაივლის, გაიზრდება
ზაზა — დიდი კაცი,
მოყვრის კარგი მოყვარული,
მტრისთვის — მკაცრზე მკაცრი,
გამართული ნაბიჯებით
დააბიჯებს ლაღად.
დედასავით ეყვარება
საქართველო, ნაღდად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსანდრე დიდებაშვილი

## ვინ არის კარგი

თუ ჭკუა გიჭრის,
მაშინ კარგი ხარ, —
მამულს ცერცეტი
რაში არგია.

თუ შრომა გიყვარს,
მაშინ კარგი ხარ, —
მამულს უქნარა
რაში არგია.

თუ ზნეკეთილობ,
მაშინ კარგი ხარ, —
მამულს ბოროტი
რაში არგია.

თუ ოქროპირობ,
მაშინ კარგი ხარ, —
მამულს ავყია
რაში არგია.

თუ მშობელ მიწას
შვილად არგიხარ, —
მამულისათვის
მართლაც კარგია!

## კომბაინერი

კომბაინო, ჰერი, ჩქარა,
ყანა მიცდის მოსამკალი,
ბეღელს — პური, ფერმას —ჩალა,
ზღვად მომსკდარა მოსავალი!

## წვიმა

ღრუბელს მოაქვს წვიმა უბით;
თავზე გვაცრის წკაპა-წკუპით,
მტევნის მარცვლებს სცვივა ცვარი, —
ფერები კრთის ბროლის, ქარვის...

## ზამთრის სარჩო შევუნახოთ...

— რა ბალახი ამოსულა!
მამი, თიბვით არ იღლები?
— არა. ნახეთ, ჭრელა-ჭრულა
მამხნევებენ ყვავილები...
მოდით, დათო, დალი, დიმა,
შევაგროვოთ მშრალი თივა,
ბულულებით მოვრთოთ ახო,
დავეშუროთ მზიან დარსა,
ზამთრის სარჩო შევუნახოთ
ფურდედოს და წიქარასა!

# მაია გელუტაშვილი

## ვეღარ ძლებენ

უსუფთაოდ ვეღარ ძლებენ
ჩვენი ეზოს ცხოველები
თურმე გოჭიც აღრუტუნდა
— გამირეცხეთ რკო, ტყემლები.
მდინარეზე წავიდნენ,
ბოჩოლა და ჩოჩორი
დაიბანეს პირი და
დაივარცხნეს ქოჩორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### საჩუქარი იას

ცისფერთვალა ია
თვალებს ფართოდ ახელს,
დაბადების დღე მაქვს
რას მომიტანთ ამ დღეს?

დედოფალა მიყვარს
მაგრამ მირჩევნია...
ჩემი თვალის ფერი
ლურჯზე ლურჯი ია.

## შოთა ამირანაშვილი

### მშობელთა კრება

— დღეს სკოლაში მშობელთა
კრება არის, მამიკო,
ოღონდ ვიწრო წრისათვის, —
გააფრთხილა ზალიკომ.

— რატომ ვიწრო წრისათვის,
ეგ როგორღა გავიგო?
— შენ და მასწავლებელი
დაესწრებით, მამიკო.

### სინანული

— მაშ, მეორე კლასში უკვე
გადახვედი, შვილო? —
მოეფერა დილით დედა
ცუგრუმელა ნინოს.

— ჰო, დედიკო, გადავედით
ორმოცივე ბავშვი.
ჩვენი მასწავლებელი კი
დარჩა პირველ კლასში.

## მანანა კაკაჩია

### ჭკვიანი ნანა

ბაღში ქორფა ბალახს თელავს
პაწაწინა ნანა,
აქეთ ბებო უჯავრდება,
იქიდან კი მამა.
— გამო აქეთ, ბალახს ტკივა
შენ ვერა გრძნობ განა?
ეს ცოცხალი არსებაა —
უხსნის ნანას მამა.

— ვერა ხედავ? ცრემლებსა ყრის
მეტკინაო ნანა,
გამო, ხელით გაასწორე
მიეფერე თანაც.
იმის მერე სულ ბილიკით
დასეირნობს ნანა
„რომ აბიჯებს ბალახს ტკივა“
სხვას ასწავლის თანაც.

### ზარმაცი

რა ჭკვიანი ფრინველია
დედიკონა, თუთიყუში,
სულ ყველაფერს იმეორებს,
რასაც ჩუმად ეტყვი ყურში.

გაკვეთილებს შევასწავლი
და წავიყვან ჩემთან კლასში,
მიკარნახებს, გაწითლებას
გადამარჩენს იმდენ ხალხში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## პირველკლასელი

პირველ კლასში გადავიდა
პაწაწინა გოგო,
რომ იცოდეთ ის ამბავი
უხარია როგორ.
ხახლში ყველას ასე უთხრა:
— უკვე გავხდი დიდი,
შემიძლია სხვას ვასწავლო
აი ია, თითი.
პირველ კლასში გადავიდა
თავი მოაქვს დიდად,
თუმცა არის პაწაწინა
და სულ ერთი ციდა.

# თემურ შიმშილაშვილი

## მარჯვე გოგოდ მოევლინა

დედამ მაკა დაინახა,
დასცინოდა ტოლ-ყმაწვილებს,
ჯავრიანად შეუძახა:
ნეტავ ერთი რა გაცინებს?
გაკვეთილებს არ ამზადებ
თვითონა ხარ დასაცინი,
ნუთუ ეგრე გიხარია
მეგობრების გასაჭირი.
შერცხვა მაკას და შეცბუნდა
დედის ძლიერ მოერიდა
და მეგობრებს თავდახრილი
მარჯვე გოგოდ მოევლინა.
დაბზრიალდა, დატრიალდა,
მათთან ერთად ზიდავს ქატოს,
მისი ქცევა და სიმარჯვე
ყველა მათგანს უკვე ატკბობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## უილიამ ბლეიკი

### სიმღერა

ის იყო, გავცდი ხეებს და ბუჩქებს
და გადიშალა ველი უვრცესი,
რომ სიყვარულის მეუფეს უცებ
თვალი მოვკარი ცის სილურჯეში.

ვარდის კოკობად მიქცია ბაგე,
თმაში ჩამაწნა ბღუჯა შროშანთა,
ულამაზესი მანახა ბაღიც,
რომ ვერ მოაზრო დღემდე დრო-ჟამმა.

მაჩუქა წამი უდიადესი,
გულმა ნექტარის წვეთი დალია,
მერე გამაბა ვერცხლის ბადეში
და მიმიჩინა ოქროს გალია.

ვთხზავ ქვეყნის ჰანგებს არაფრისაგან,
იგი ყურს მიგდებს შვებით აღვსილი,
ხელს ოქროს ფრთაზე გადამისვამს და
ჩემს მშვიდ და მონურ ყოფას დასცინის.

## როი ფულერი

### ბოლო წლები

ჩემს სიფრიფანა ქალიშვილს წამით
თვალი მოვკარი კაბინეტიდან
და ლექსს მივენდე ვით ბიჭი ხამი,
მერე მთქნარებით ყბები მეტკინა.

გამოვეკერე სიტყვას „გაცემა“,
ღმერთად რომ ვიცან უკვე ბეხრეკმა,
მაგრამ უსუსურს მკლავი მაწყდება
და უკვე მახინჯს გული მეღლება.

ისეთი დიდი და დამთრგუნავი
შური ვიგრძენი სტროფში უნებურ,
რომელსაც მხოლოდ (რაღაც გუმანით)
ტრაგიკოსები აცნაურებენ.

ძლიერ კაცს ხიბლავს შური ასეთი —
დარუმბულ ტორებს, ბანჯგვლიან
გულმკერდს —
მე კი ფერმკრთალი, როგორც გაზეთი,
თითქმის ქალივით ვხუშტურობ უკვე.

და მეშინია, ისევ არ აღდგეს
ამაო ლტოლვა და ცრუ თარეში —
ვნახოთ, ეს ჩემი სული სანამდე
იფრენს ძლიერი ფილტვის გარეშე!

ცხოვრებისაგან ბოძებულ განგაშს
ლექსის ხაფანგში ვამწყვდევ მაშინვე,
მეტი რამ უნდა ვიღონო ალბათ,
რაც ატაცებულ შვილს დაამშვიდებს:

პირველი კოცნა უცოდველ საქმროს
აბნევს და ვეღარ პოულობს ხვანჯარს,
ხოლო მის ყმაწვილ მეუღლეს ამ დროს
უფრორე მამის ცრემლები ტანჯავს,

მაგრამ ძალ-ღონით აღსავსე გოგო,
ვიცი, დაიწყებს თამაშს თავიდან,
მაშინ მე კალამს დავთმობ და როგორც
სხვები ცხოვრობენ, თავს მეც გავიტან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით მეამბოხე თავს სადმე ვდურთავ
ბერმუდაში თუ უტოპიაში —
ვიღაცამ მაინც გამიგოს უნდა
და მომიტევოს ბებრის გნიასი.

ჩემი პირველი ბრმა პაემანი,
ასე უტეხი და ნირუცვლელი,
ვიცი, გრძელდება ამ პოემამდი
და ახლა როცა ჩემს შვილს ვუცქერი,

თავზე მენგრევა სულის არქივი
და ცოცხლდებიან ძველნი არაკნი
და, დღემდე რითმის ჩხრეკით
დაღლილი,
ვგრძნობ უსაშველოდ მძიმე დანაკლისს.

უნდა ვუმღერო ყოველგვარ
წვრილმანს —
ხის კავერნებში ჩაჩურთულ მართვეს,
ანდა ივნისის კაბაზე მბრწყინავ
სამკერდე ნიშნებს — მეწამულ ვარდებს,

თუნდაც თვითმცლელებს და გაზონებზე
ნესვის ლაპლაპა არქიპელაგებს,
მალე ნიჩბით რომ მოასწორებენ
და დაჩითავენ ჩითის პერანგებრ —

მაშინ წლებისგან ერთი და მრთელი
მარადიული დარჩება წამი,
როგორც რეპლიკა საკმაოდ გრძელი
მონოლოგიდან ბებერი მამის.

დავწურავ შვილის ათასფეროვან
გრძნობებს და ჩემი ყაიდით გავზრდი,
რომ ბოლოს იგრძნოს ცათა სფეროთა
მუსიკაცა და სიცოცხლის აზრიც.

## დილან ტომასი

### დაკრძალვის შემდეგ

დაკრძალვის შემდეგ ილოცება ჯორი ყროყინით,
ვეება ყურებს აპარტყუნებს, ხესავით მაგარ
ფეხს ურტყამს ახალ სამარესთან დაყრილ აყალოს,
შავ კბილებს აჩენს და დაბლა ხრის წითურ წამწამებს —
მოწყლიანებულ თვალებს მალავს, ორთავ მანდიკში
მლაშე ტბორები ჩასდგომია; ბარის შრიალი
და ხათქა-ხუთქი არემარეს აღვიძებს, ხიდან
ჩამოჰყრის წითლად შემხმარ ფოთლებს, კუბოს ჩაუმტვრევს
უპატრონო და მივიწყებულ ყმაწვილს, რომელიც
ყელს გაიკაწრავს სიბნელეში; მზეზე ამოყრის
ორად გადაჭრილ ნეკნის ძვალს და სუდარის ნაფხრეწს.
ქვითინისა და გლოვის დიდი ზეიმის შემდეგ
ჩემთვის კუთხეში ვდგავარ — ახლა სლუკუნის დროა —
ლარნაკებში დევს თავცეცხლები, შემჭკნარი გვიმრა
ჰკიდია კედელს, იქით მელას ფიტული მოჩანს.
მიცვალებულთან მარტო ვრჩები, ვალდებულებას
უსიტყვოდ ვიხდი — კუზიანი ენის მკერდიდან
გეიზერივით მოჩუხჩუხე ცხელი ტალახი
ერთ დროს უელსის ხრიოკ მიწას გადაესხურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ის, რა თქმა უნდა, ამის გამო ბრმა განდიდების
ხატად შერაცხა ყველამ, მაგრამ მისი სიკვდილი
მაინც უჩუმრად ჩამოვარდნილ წვეთს დაემსგავსა;
მეც ვერ შემიტკბო, რომ დიდების წმინდა წუმპეში
თავფეხიანად დამეყვინთა; ახლა დუმს მხოლოდ,
ყრუ, ბრმა და მუნჯი. მის მრუდე და დანგრეულ სხეულს
დრუიდი აღარ ეჭირვება). მაგრამ მე, ენის
ერთგული ბარდი, ბუხრის თავზე ამაღლებული,
ქვეყნის ზღვებს ვუხმობ — უბედური ქალის გულისთქმა,
ჩაკირულ მკერდში რომ გახევდა, კვლავ ალუღლუღდეს
ვით ტივტივაზე გამობმული რკინის ეჟვანი,
ძირს დაიზნიქოს გვიმრიანი კედლები, რათა
ამღერდეს მისი სიყვარული და ყრუ სამრეკლოს
ღია თავანზე შეფრთხიალდეს და ვლოცავ მის სულს;
დილის რძესავით თვინიერი ხორცი ემოსა,
ხოლო მის ქანდაკს, ცივ საკანში რომ აღუმართავთ,
სადაც სარკმელი სულ სველია და სულ ჰგოდებენ,
ვიღაც ველურის ძუძუები ჰკიდია ჯიჯგვი
და ზედ ვეება თავი ადგას უსწორმასწორო.
... გაფხეკილი და დაკრუნჩხული ხელის მტევნები
მკერდზე მორჩილად დაჰკრეფია, მისი გამდნარი
ჩურჩული მხოლოდ ნესტიანი სუნთქვაღა იყო,
დაიცხრილა და ჩაიჩუტა ბნელი გონება,
მუშტივით შეჰკრა უსახურმა ტკივილმა სახე...
სამოცდაათი წლის ქვა გახლავთ გამოძერწილი
ენი — საავდრო ღრუბელივით დამძიმებული
ხელების ქვები — ჩახლეჩილი ხმის არგუმენტი,
გაქვავებული ფსალმუნი და გრანიტის ჟესტი
მდევნის და მთრგუნავს ვიდრე მელის ნახერხის ფილტვი
კვლავ სიყვარულზე არ იმღერებს, ვიდრე რაფაზე
თესლს არ ჩამოჰყრის გაფიჩხული გვიმრის ტოტები.

## კინგსლი ემისი

### წიგნის მაღაზიის იდილია

„მებაღეობის“ და „კერძების“ სტენდებს
მოსდევს პოეზიის მორჩილი თარო
და აი, უბადლო ჯონ დონის შემდეგ
ერთი კრებული დევს, თხელი და მდარე.

მძაგს ანალიტური ლექსები, ვაგლახ,
სარჩევს ვკითხულობ და უაზროდ დავცქერი,
მახარებს ახალი გვარები, მაგრამ
ჩემი თაობიდან არ მხვდება არცერთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მათ ერთმანეთისგან ვანსხვავებ სქესით —
აქედან დავუწყე კირკიტი უცნობებს:
ვაჟები ჩქარობენ და, როგორც წესი,
რაღაცას ებრძვიან, ან თანაუგრძნობენ.

მივდევ სათაურებს: „მე ვფიქრობ“, „აფრიკა“,
„პირქარი“, „ზვიგენი“, „დალაქის სიტყვა“,
„პარმის პეიზაჟი“ — რაღაცა გაფრინდა,
და „ბუდა“ — საქმე თუ სიღრმეზე მიდგა...

ქალთა სტრიქონების ტონი და ყაიდა
ენიგმურია და მიფუჭებს ჟარგონს:
„ეძღვნება ჯ. ტ. დ-ს“ — არ ვიცი, საიდან —
მორალი ჭარბობს.

მკითხველთა გულები ველოსიპედივით
უნდა გაბერონ თუ დაჩუტონ მგოსნებმა? —
ვაჟისთვის ტრფიალი წუთია კეთილი,
ქალისთვის — ცხოვრება, ტანჯვა და ოცნება.

ჩვენ სიყვარულისთვის დიდ ძალებს ვკარგავთ
და მაინც ლაღად ვგრძნობთ თავს იმის მერეც.
ქალები კიცხავენ სიყვარულს, მაგრამ
სწორედ სიყვარულზე წერენ და წერენ,

ხშირად საშინელი რამ გაეპარებათ,
(მაგრამ შეიძლება ვერც იგრძნოს ქალმა) —
ვაჟებს რაღაცაში ჯობიან ქალები,
მხოლოდ ამიტომაც გვიყვარან ალბათ.

ხოლო ყოველივე ამას თუ მიხვდები,
აღარ გაიხსენებ სიყვარულს, მჯერა —
ცეცხლი რომ გხრაკავდა და ერთად იმდენი
კარგი აზრიც გქონდა და კარგი რითმებიც
და მაინც არ გსურდა ლექსების წერა.

## დ. ჯ. ენრაიტი

### გასლიკინებული სურათი

გასლიკინებული დედაქალაქის მაცხოვრებლები
ტყეების მომიჯნავე პატარ-პატარა ქალაქების
ბუნებრიობასა და უბრალოებას მისტირიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეების მომიჯნავე პატარ-პატარა ქალაქების მდგმურნი
მიუვალი და მიყრუებული სოფლების
პირველყოფილ სიწმინდეს აფასებენ.

მიუვალი და მიყრუებული სოფლების ბინადარნი
გულუბრყვილო გოგოზე ლაპარაკობენ,
მარტო რომ ცხოვრობს კუნელის ბუჩქში.

კუნელის ბურდოებში ვიპოვნეთ იგი —
უცოდველი და დიდრონი თვალები ჰქონდა,
იქით გვიმრებში ყეყეჩი გიბონები იზმორებოდნენ.

ღმერთმანი, ნამდვილი სრულყოფილება ვიხილეთ,
მხოლოდ ეგ იყო — წყალმანკი სჭირდა,
ეს ბრინჯმა იცის, სლიკინა ბრინჯმა.

დედაქალაქში სურათი ძალზე მოეწონათ —
აღფრთოვანებით უყურებდნენ გვიმრებს, გიბონებს
და გულუბრყვილო გოგოს დიდრონ და უცოდველ თვალებს.

ინგლისურიდან თარგმნა **გიორგი ნიშნიანიძემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## საბრძოლო სიმღერები

ომის ღვთაების ნათელი მოსავს მაღალ სასახლეს,
    აღსაჭურველით ბზინავს დარბაზი,
ბრინჯაოს სხივით ელვარებს ჭერი,
    ზუჩებითა და მუზარადებით მიმოფენილი.
ცხენთა ძუების თეთრად ფრიალი
    ომში მყივარი მებრძოლების სარქმელებს ამკობს.
მაგარ შუბთაგან თავდასაცავი
    მოელვარე საბარკულები ფარავს სარჭეებს,
ირგვლივ ბრწყინავენ ახლად ნაკეთი სელის ჯავშნები.
    იატაკს მოსავს ფართა სიმრავლე
და ქალკისური შუბების ბზინვა.
    თვლა აღარა აქვს სათეძურებს და წელსაბმელებს.
არ გვმართებს მათი დავიწყება,
    ოდეს დადგება საბრძოლველად წარმართვის ჟამი.

●

მშვენიერია არესისთვის გარდაცვალება

●

მყის გაიელვეს, ვით ფრინველებმა
ანაზდეულად არწივი რომ მოევლინება...

●

იცის ყოველმა, არისტოდამოსს
ერთხელ სპარტაში წარმოუთქვამს მრავალი სიტყვა:
    „ფულია კაცი“!
ღარიბს პატივი და ღირსება არ მიეგება.

საზარელი ხარ, სიღარიბევ, ავბედობავ დაუთმენელო,
შენი და არის უმწეობა,
თქვენ ერთად თრგუნავთ ადამიანებს.

## სანადიმო სიმღერები

●

ცით მოავლინა კრონიონმა საზარი დელგმა.
სუფევს სიცივე, ნაკადები ყინვით დამზრალან,
. . . . . .
გვაკმარე დელგმა, განასრულე ცივი ზამთარი,
ააგიზგიზე ბუხრის ცეცხლი, გარდამეტებით
განაზავე სიტკბოთი ღვინო,
დამიდე თავქვეშ ფაფუკი ბალიში...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

შესვი, დათვერი ჩემთან ერთად, მელანიპოს, იქნებ გგონია,
ოდეს გაცურავ ბობოქარი აქერონის მშფოთვარე ტალღებს.
დადგება ჟამი მზის ნათელის კვალად ხილვისა?
ისმინე ჩემი: ნუ მოისურვებ დიად საქმეთა აღსრულებას!
მოიგონებდე ეოლოსის მოდგმა სიზიფოსს, მოკვდავთა შორის
აღზევებული იყო იგი გონიერებით, თუმცა ეგონა,
სიკვდილის პირქუშ სამეუფოს გაექცეოდა, ორგზის
გაცურა
ღვთით დაწყევლილმა ბობოქარი აქერონის ბნელი ტალღები,
და მოავლინა ოლიმპიელთა განმგებელმა მეუფე ზევსმა
შავი მიწის ქვეშ ულმობელი სასჯელი მისთვის...
ო, ნუ ისურვებ დიად საქმეთა აღსრულებას! ვიდრე დადგა
სიბერის ჟამი,
ხამს დავითმინოთ განსაცდელი ბედისწერით გარდმოვლენილი.
. . . . . .

●

არ გეკადრება ბოროტებით აღვივსოთ სული,
ვერას მივაღწევთ და ამაოდ დავიტანჯებით,
სჯობს, ჩემო ბიკხის, ჩვენი სულის
დიდებულ მკურნალს მივენდოთ, დავთვრეთ!

●

ყელს გაგისველებს ღვინო, შესვი! ქრება ვარსკვლავი,
წელიწადის მძიმე დრო დადგა. გადაიბუგა სიცხით ყოველი,
ფოთოლთა ჩრდილში შეყუჟული ჭრიჭინობელა ჭრიჭინებს
ტკბილად
და ოქრომხალა ყვავილობს მხოლოდ...
ვნებააშლილნი არიან ახლა დიაცნი, კაცებს დაუფლებიათ
უძლურება.
მათ თავსა და მუხლს მცხუნვარებით წვავს სირიოსი.

●

შევსვათ, ლოდინი არას გვარგებს ნათლის დადგომის.
დღე სწრაფად გადის,
დიდი ფიალა მომაწოდე მოხატული ნაირფერებით,
განა ეს ღვინო თავად ზევსის და სემელეს ძემ არ გიბოძა
კაცებს სულის დასაამებლად?
ჩამოასხი განზავებული ერთი ორის წილ
და აღავსე თასი პირთამდე.
დე, დაედევნოს სასმისი სასმისს.

ძველბერძნულიდან თარგმნა **ნანა ტონიამ**

ვახტანგ ჭიჭინაძე

# ბერლინის შტურმი

საარტილერიო მომზადების დროს ჩვენ ვიყავით უაღრესად დაძაბულ მდგომარეობაში. თავისთავად ცხადი იყო, რომ ინათებდა თუ არა, ჩვენს სექტორში მყოფი შემტევი არმიები, სახელდობრ, მე-5 დამკვრელი არმია და მე-2 სატანკო არმია უნდა გადასულიყვნენ ოდერზე და დაეწყოთ შეტევა. აქედან გამომდინარე, ცხადი იყო ისიც, ირიყრაყებდა თუ არა, გერმანელებს უნდა განეხორციელებინათ გაძლიერებული საჰაერო დარტყმა ოდერზე აღმართული ხიდების დასანგრევად. მოხდა საოცარი რამ. კარგად ინათა და მტრის ავიაცია კი არ ჩანდა. გამოჩნდა ერთადერთი თვითმფრინავი, რომელიც რაღაც გაუგებარი კურსით მოდიოდა, არც ჩვენგან და არც ჩვენკენ, არამედ ირიბად, ფრონტის ხაზისადმი მცირედ დახრილი კურსით. დაძაბულობა იმდენად დიდი იყო, თავდაპირველად ეჭვიც არ შემპარვია, რომ თვითმფრინავი მტრისა იყო. „მიზანი დაიჭირეთ!" ვბრძანე. ამას, როგორც წესი, უნდა მოჰყოლოდა სიმაღლის გაზომვა, ხოლო შემდეგ, თუ ჩემი ბრძანება იქნებოდა, ცეცხლის გახსნაც. მაგრამ რაღაც წინათგრძნობა მეუბნება, რომ ცეცხლის გახსნა არ შეიძლებოდა. მე იმ დროს არა მარტო კარგად შემეძლო 8 კილომეტრის სიმაღლეზე მყოფი თვითმფრინავის სილუეტის დადგენა და თქმა, ვისი თვითმფრინავი იყო ან რა ტიპის, არამედ ხმის საშუალებით თითქმის უშეცდომოდ ვახერხებდი მის გამოცნობას. ამ შემთხვევაში სწორედ ხმამ შემაკრთო. ეს არ უნდა ყოფილიყო გერმანელების თვითმფრინავი. ამ დროს მეხმის ოცეულის მეთაურის ოსეჩნიუკის ხმა: „ამხანაგო ბატარეის მეთაურო. ეს არის „ДБ — 3Ф"-ის ტიპის თვითმფრინავი. „отставить" ვაძლევ ბრძანებას. გადავრჩით ხათაბალას. ეს მაკლია ეხლა, ჩვენს თვითმფრინავს გავუხსნა ცეცხლი.

მზე კარგა ხნის ამოსული იყო, რომ ბატარეის პოზიციაზე დაეცა მსხვილკალიბრიანი ქვემეხის ჭურვი. რამდენიმე მებრძოლი დაიჭრა, ყველანი სასწრაფოდ გავაგზავნეთ ლაზარეთში.

ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა გერმანელ მოპიკირე თვითმფრინავთა რგოლი. სამივე წამოვიდა ბატარეაზე. ისევ მოვასწარით ჭურვის ჰორიზონტალური კედლის დაყენება. გერმანელებმა დაკარგეს ერთი თვითმფრინავი, დანარჩენები გამოვიდნენ პიკედან და ისევ აიღეს სიმაღლე ახალი იერიშისათვის. ამჯერად ჩვენ ცეცხლს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ბომბები ჩამოყარეს ბატარეის ახლოს, ხოლო მოპიკირე თვითმფრინავების მცირეკალიბრიანი ქვემეხიდან გასროლილი რამდენიმე ყუმბარა მოხვდა ჩვენს საზენიტო ყუმბარებს, რომლებიც ყუთებით ეწყო სანგრის ბრუსტვერზე. მოხდა საოცარი რამ — ჩვენი ყუმბარები არ აფეთქდა.

ბერლინზე შეტევის დაწყების დღეს, 16 აპრილს, ჩვენს პოლკში მოხდა მეტად არასასიამოვნო ამბავი. რამდენიმე ბატარეამ ცეცხლი გაუხსნა ჩვენს თვითმფრინავს და ჩამოაგდეს იგი. 17 და 18 აპრილს ბერლინზე შეტევითი ბრძოლების ტემპი შენელდა. მარშალი ჟუკოვი მეტად უკმაყოფილო იყო და მკაცრად უსაყვედურა ხელქვეითებს. მას მოახსენეს, შეტევის შეფერხების მიზეზი — ავიაციის ერთ-ერთმა რაზმმა თავისი ამოცანა ვერ შეასრულა და უკან გამობრუნდაო. „რატომ?" შეეკითხა მარშალი. „მეზენიტეებმა ჩამოაგდეს ავიარაზმის უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი, ესა და ეს..." ჟუკოვმა ბრძანება გასცა, დაედგინათ, ვინ ჩამოაგდო თვითმფრინავი. ჩამოაგდეს ჩვენი პოლკის ქვეგანაყოფებმა, რომლებსაც უფროსობდნენ ბატარეის მეთაურები: პისკარიოვი, შაბაზიანი და კაჩნი, დივიზიონის მეთაური ინოზემცევი და დივიზიონის შტაბის უფროსი ბიზალოვი. ყველანი მიიყვანეს მარშალ ჟუკოვთან. ფრონტის შტაბი მაშინ იმყოფებოდა ქ. ლანდსბერგში. აღნიშნული ოფიცრებიდან, ერთ-ერთი, კერძოდ, ბიზალოვი შემდეგ დაბრუნდა ჩვენთან და გვიამბო რაც მოხდა. „შეგვიყვანეს მარშალ ჟუკოვთან. იგი იჯდა მაგიდასთან. იქვე ფეხზე იდგა შტაბის უფროსი გენერალი მალინინი. „ეს თქვენა ხართ, თქვენი... ვინ მოგანიჭათ თქვენ წოდება". მე-4 ბატარეის უფროსმა პისკარიოვმა ცადა თავის მართლება. „ჩუმად — დაუყვირა ჟუკოვმა. — დამიწყებთ ახლა ხიზმრების მოყოლას". ჟუკო-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 5.

ვი მოუბრუნდა მალინინს „მოამზადეთ ბრძანება. საშტრაფო ნაწილში ყველა, უკლებლივ! იცოდეთ, ეს არის ჩემი პირადი ბრძანება“. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენ ოფიცრებს აღარ მოუწია საშტრაფო ნაწილში გადაყვანამ, რადგან სანამ საქმეები გაფორმდა, ომიც დამთავრდა.

ოდერზე ბრძოლების სამახსოვროდ მე ახლაც შენახული მაქვს საფრონტო გაზეთი, სადაც წერია: „საბრძოლო ამოცანა შესრულდა, მტერი განადგურებულია“. ამ სათაურის შემდეგ გაზეთი წერს: „უფროსი ლეიტენანტ ვ. ჭიჭინაძის ბატარეის მეზენიტეებმა ისევ ჩამოაგდეს მტრის თვითმფრინავი. ერთი კვირის საბრძოლო მოქმედების შედეგად ბატარეამ მოსპო მტრის 4 თვითმფრინავი“. ხშირად მეკითხებიან, 4 თვითმფრინავი ჩამოაგდე და წითელი ვარსკვლავის ორდენის მეტი ვერაფერი მიიღეო? მთელ ჩვენს პოლკში მარტო მე და კიდევ ორი ოფიცერი ვიყავით, ვინც ორდენი მიიღო. რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული შემთხვევა რომ არ ყოფილიყო, პოლკის ბევრი ოფიცერი და მებრძოლი მიიღებდა საკმაოდ მაღალ ჯილდოებს.

ჩვენი ჯარების შეჩერება ზეელოვის სიმაღლეებთან თუნდაც დროებით, ეტყობა, მოულოდნელი იყო ფრონტის სარდლობისათვის. მაგრამ ეს შეჩერება არ გაგრძელებულა დიდხანს. 18 აპრილს, დილას, ზეელოვის ზღუდე დაძლეული იქნა. გერმანელები თავგანწირულად იბრძოდნენ შემდეგაც. ვისაც იმ ხანებში ბრძოლის ველი უნახავს კიუსტრინიდან ბერლინამდე, არ შეიძლებოდა არ მიექცია ყურადღება დიდი რაოდენობით დამწვარი ტანკებისათვის. ტანკების წინააღმდეგ გერმანელები იყენებდნენ ახალ იარაღს — ეგრეთ წოდებულ ფაუსტპატრონს. ეს იყო რეაქტიული მოქმედების ხელის იარაღი. დაახლოებით 120 სმ. სიგრძის და 3-4 სმ. დიამეტრის მქონე რკინის მილი თავდებოდა ყუმბარით, რომელსაც წაკრილი კონუსის ფორმა ჰქონდა, იარაღის ხმარება მცირე ინსტრუქტაჟის შემდეგ შეეძლო ნებისმიერ პირს, მათ შორის მოხუც ქალსაც. ფაუსტპატრონს გაიდებდნენ მხარზე და დაახლოებით დაუმიზნებდნენ მიზანს. სპეციალურ ბერკეტზე ხელის დაჭერით ყუმბარა გაიტყორცნებოდა მიზნისაკენ. უსაფრთხოება მოითხოვდა, რომ ფაუსტპატრონის უკან, დაახლოებით 2 მეტრზე არავინ მდგარიყო. ეს იმ დროისათვის იყო საკმაოდ მძლავრი იარაღი და ჩვენ საკმაოდ დიდი დანაკლისიც გვქონდა მისგან. საქმე იქამდე მივიდა, რომ საჭირო გახდა ტაქტიკის შეცვლა. დასახლებულ პუნქტებში ჯერ მეავტომატეები წმენდნენ ადგილმდებარეობას მტრისაგან და შემდეგ მიდიოდნენ ტანკები, რაც საკმაოდ უჩვეულოა, რადგან ტანკის ძირითადი დანიშნულებაა, გზა გაუკაფოს ფეხოსანს, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და ფაუსპატრონი ვეღარ შეცვლიდა მის მსვლელობას.

დიახ, ომის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მხვერპლი ბერლინის შტურმის დროს ძალიან დიდი იყო.

ვინაიდან ჩვენი, პირველი ბელორუსიის ფრონტის ჯარები მცირედით შეუყოვდნენ ბერლინის შტურმის დროს, თურმე, დაისვა საკითხი, რომ სამხრეთიდან ბერლინზე დარტყმა განეხორციელებინა პირველი უკრაინის ფრონტის ჯარებს. მარშალი ჟუკოვი ამბობს: ამ გადაწყვეტილებამდე მივიდა უმაღლესი მთავარსარდალი. მარშალ კონევის მემუარებში ნათლად ჩანს, თუ რა დიდი სურვილი ჰქონდა მას ჩაეტარებინა ოპერაციები ბერლინის ასაღებად. ამ პრობლემის განხილვისას, ალბათ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ პრესტიჟის საკითხსაც. თუმცა, ჟუკოვი თავის მემუარებში წერს, რომ მთავარი იყო გამარჯვება, ხოლო თუ ვისი ჯარები შევიდოდა პირველად ბერლინში, ამას, მისი აზრით, არ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა. ასე იყო თუ ისე, მარშალმა კონევმა მიიღო მითითება — ბერლინის სამხრეთ მისადგომებისაკენ დაეძრა ორი არმია, სახელდობრ, მე-3 და მე-4 სატანკო არმიები. ესენი იყვნენ გენერალ რიბალკოსა და გენერალ ლელიუშენკოს არმიები. ამ ძალებს ძალიან სუსტი წინააღმდეგობა შეხვდათ, გერმანელების მთავარი ძალები პირველი ბელორუსიის ფრონტის ჯარების წინააღმდეგ იყო მიმართული. I უკრაინის ფრონტის ეს ორი არმია საკმაოდ სწრაფად მიადგა ბერლინის მისადგომებს — ცოსენსა და პოტსდამს.

ამასობაში I ბელორუსიის ჯარებმა უმატეს ტემპს და 20 აპრილისათვის ბერლინის გარეუბნებში გამოჩნდნენ. შემდგომში უმაღლესმა მთავარსარდალმა უბრძანა კონევს შეეჩერებინა შეტევა ბერლინზე და განეგრძო პირდაპირი გზა ელბისაკენ. მარშალ კონევის მემუარებში აშკარად იგრძნობა უკმაყოფილება ამ გადაწყვეტილებით.

საინტერესოა, თუ რა ხდებოდა ამ დროს ფრონტის იქითა მხარეს. 20 აპრილი ჰიტლერის დაბადების დღე იყო. იგი ამ დროს იმყოფებოდა საიმპერიო კანცელარიის ბუნკერში. როგორც ცნობილია, საიმპერიო კანცელარიის შენობა იყო ჰიტლერის რეზიდენცია. აქ იღებდა იგი სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს. 1939 და 1940 წლებში აქ მიიღო მან მოლოტოვი. ეს შენობა გადიოდა ორ ქუჩაზე: ვილჰელმშტრასესა და ფოსშტრასეზე. ბუნკერი ჩანლაგებული იყო 16 მეტრის სიღრმეზე, 50-მდე პატარა ოთახი ზემოდან დაფარული იყო რვამეტრიანი ბეტონის საფარით. ბუნკერში შესვლა შეიძლებოდა საიმპერიო კანცელარიის შიგა ეზოდან და ვესტიბიულიდან. ჰიტლერის აპარტამენტები 12 საფეხურით კიდევ უფრო ღრმად მდებარეობდა. აქ იმყოფებოდნენ ჰიტლერი, მისი ლეიბმედიკები — თერაპევტი მორელი და ქირურგი შტუმპ-

ფეგელი. აქვე იყო სატელეფონო კვანძი, სათავსოები მდივნებისათვის, მცირე და დიდი კონფერენც-დარბაზი, სადაც ტარდებოდა თათბირები. ბუნკერის მეორე ნაწილში იმყოფებოდნენ მსახურები: კამერდინერი ლინგე და ჰიტლერის მზარეული თავისი სამზარეულოთი, აქვე იყო საკუჭნაოც. გარდა ამ ბუნკერისა, კიდევ იყო ორი ბუნკერი, რომლებიც შეერთებულნი იყვნენ პირველთან. ამ ორ ბუნკერში იმყოფებოდნენ: ბორმანი, ჰიტლერის სამხედრო ადიუტანტი ბურგდორფი, რომელიც უკვე ვიცით როგორ „დაეხმარა" ფელდმარშალ რომელს თვითმკვლელობაში. ჰიტლერის მფრინავები — ბაუერი და გიტელი, ჰიტლერის პირადი მძღოლი კემპკა, სტენოგრაფები და მდივნები. აქვე იმყოფებოდა საიმპერიო კანცელარიის კომენდანტი, სს-ის ბრიგადენფიურერი მონკე, თავისი თანამოსამსახურეებით. ბუნკერში აგრეთვე ცხოვრობდა ჰიმლერის პირადი წარმომადგენელი — ფეგელეინი — ჰიტლერის მომავალი ქვისლი (მას ცოლად ჰყავდა ევა ბრაუნის და), რიბენტროპის წარმომადგენელი ფონ ჰაველი და ადმირალ დენიცის წარმომადგენელი, ადმირალი ფოსი, აქვე იმყოფებოდა ჰიტლერის პირადი დაცვა 600-700 კაცის რაოდენობით. დაცვას ხელმძღვანელობდა ჰიტლერის პირადი დაცვის უფროსი რატენჰუბერი. გარდა ამისა, ბუნკერში იყვნენ გებელსი, მისი მეუღლე მაგდა გებელსი და მათი 6 შვილი, რომელთაგანაც უფროსი 14 წლისაც არ იყო.

ჰიტლერის დაბადების დღე გადაიხადეს მოკრძალებულ მასშტაბებში. ადრე, ამ დღის აღსანიშნავად, მთელი ბერლინი ფეხზე იდგა. ამჯერად მდიდარი კარნავალების ნაცვლად იყო მარტო მუავე მილოცვები. ჰიტლერი ამოვიდა ზემოთ, საიმპერიო კანცელარიის შენობაში. მას წარუდგინეს ახალგაზრდული დელეგაცია. ჰიტლერმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა და თავზე ხელი გადაუსვა ბავშვებს, რომლებიც სულ მალე სახაკლაოზე უნდა გაერეკათ. ლაპარაკობდა ძალზე ხმადაბლა. ამის შემდეგ ჰიტლერი ისევ ჩავიდა ბუნკერში, სადაც თათბირის მონაწილენი იდგნენ დიდი რუკის ირგვლივ. ჰიტლერი დაჯდა გერინგის პირდაპირ. დაიწყო დისკუსია, რომლის საგანი იყო საბჭოთა ჯარების მომავალი იერიში ბერლინის ცენტრზე. ჯერ კიდევ წინა ღამეს გამოითქვა აზრი, რომ უარი ეთქვათ დედაქალაქის დაცვაზე და ყველა გადასულიყო ალპებში. ჰიტლერმა არ მიიღო ეს წინადადება და გადაწყვიტა ბრძოლა გაგრძელებულიყო ბერლინის ქუჩებში. თითქმის ყველა დანარჩენის აზრი იყო, მთავარი ბანაკის გადატანა ობერზალცბერგში (ბავარია). გერინგმა აღნიშნა, ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა ბერლინიდან გასვლის და ეს შესაძლებლობა შეიძლება აღარ იქნეს უახლეს მომავალშიო. ჰიტლერი უარზე იყო. თათბირი დამთავრდა და გენერლებმა დაიწყეს დაშლა. გერინგი მიუბრუნდა ჰიტლერს და უთხრა, რომ მან უნდა დატოვოს ბერლინი ამავე ღამეს. რამდენიმე დღის შემდეგ თითქმის ანალოგიურ მოქმედებისათვის ფეგელაინი მკაცრად დაიხაჯა, მაგრამ ამაზე შემდგომ. ასე გამოეთიშა ბრძოლების საბოლოო ფაზას გერინგი.

20 აპრილს მე-5 დამკვრელი არმიის შორსმსროლელმა არტილერიამ ცეცხლი გახსნა ბერლინის მიმართულებით. I ბელორუსიის ფრონტის შტაბი ქ. ლანდსბერგიდან, როელიც ქ. ლიუსტრინიდან ჩრდილოეთ აღმოსავლეთით მდებარეობდა, ალტ-შტრაუსბერგში გადავიდა. ბერლინის თავდაცვის უფროსი გენერალი ჰეინრიცი გადაიყენეს თანამდებობიდან და მის ადგილას დანიშნეს საპარაშუტო ჯარების გენერალი შტუდენტი. ამავე დროს კეიტელი და იოდლი ცდილობენ ყველა დივიზია, რომელთა ჩაბმაც შეიძლებოდა ბრძოლაში, გადაისროლონ ბერლინის დასაცავად.

22 აპრილს მინისტრმა შპეერმა გადაწყვიტა კიდევ ერთხელ, უკანასკნელად ენახა თავისი „შეფი". შპეერის თვითმფრინავს ესკორტით მიჰყვებოდა ავიაგამანადგურებელთა ესკადრილია.

შპეერს პირველად შეხვდა ბორმანი. ბორმანი თხოვს შპეერს, რომ მან ურჩიოს ჰიტლერს დატოვოს ბერლინი და გაფრინდეს ბერხტესგადენში (ჰიტლერის რეზიდენცია ბავარიის ალპებში), ამჯერად ეს კიდევ შეიძლება გაკეთდეს... „თქვენ უნდა დაარწმუნოთ ის, რომ გაფრინდეს აქედან, გააკეთებთ ამას?" ეუბნება შპეერს ბორმანი. ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ბორმანი, როგორც პიროვნება. იგი იყო ჰიტლერის უსიტყვო მორჩილი, ეთანხმებოდა ყველაფერში, თუნდაც სცოდნოდა, რომ ეს იყო სისულელე. ამით შეძლო მან დაწინაურება და, თუმცა უკანასკნელმა საათმა დაჰკრა, მაინც ვერ უბედავს ჰიტლერს პირდაპირ უთხრას თავისი აზრი და თავის დაძვრენა სხვისი-შპეერის ხელით უნდა. შპეერი შევიდა ჰიტლერის ოთახში. ჰიტლერი გამოიყურებოდა ინდიფერენტულად, ყოველგვარი ემოცია გაქრობოდა. ის შეეკითხა შპეერს თუ როგორ ართმევს თავს საქმეს ადმირალი დენიცი. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ ჰიტლერი მოულოდნელად ეკითხება შპეერს: „როგორ ფიქრობთ, უნდა დავრჩე მე აქ თუ გავფრინდე ბერხტესგადენში? იოდლმა მითხრა, რომ ხვალ აქედან წასვლის უკანასკნელი შესაძლებლობაა." შპეერი არც დაფიქრებულა, ისე ურჩია ჰიტლერს დარჩენილიყო ბერლინში. „რა უნდა გააკეთოთ ობერზალცბურგში? თუ ბერლინი დაიკარგა, ყველა შემთხვევაში, ომი წაგებულია. — და შემდეგ დასძენს: — მე მგონია, რომ თუკი ეს მაინც უნდა მოხდეს, უმჯობესია, თუ სიცოცხლეს დასრულებთ დედაქალაქში, როგორც ფიურერი". სულაც არ იქნებოდა, ალბათ, მოულოდნელი ჰიტ-

---

ვახტანგ ჭიჭინაძე
ბერლინის შტურმი

ლერს რომ ეთქვა. „გაიყვანეთ ეს თავხედი და დახვრიტეთ“. მაგრამ ჰიტლერი ამბობს: „მეც ასე გადავწყვიტე. უბრალოდ, მინდოდა გამეგო თქვენი აზრი, — და შემდეგ განაგრძობს: — მე გადავწყვიტე პირადად არ მივიღო ბრძოლაში მონაწილეობა. ყოველთვის არის საფრთხე, დავიჭრა და ჩავუვარდე რუსებს ცოცხალი. უფრო მეტიც, მე არ მინდა, რომ ჩემი გვამი ჩავარდეს მტრის ხელში. მე გავეცი ბრძანება, დამწვან, ფროილაინ ბრაუნს სურს გაიზიაროს ჩემი ბედი. ბლონდის (ჰიტლერის ძაღლი) მე თვითონ მოვკლავ. დამიჯერე, შპეერ, ჩემთვის არ არის ძნელი დავამთავრო სიცოცხლე. ერთი ხანმოკლე მომენტი და, მე გავთავისუფლდები ყველაფრისაგან და მათ შორის ამ მტანჯველი სიცოცხლისაგან“. აქ ჰიტლერის თვალებში ცრემლი აციმციმდება. არავის დაუნახავს ჰიტლერის თვალზე ცრემლი, როდესაც ის იძლეოდა ბრძანებებს მასობრივი დახვრეტების შესახებ. ალბათ, მაშინ არ იყო მისთვის სიცოცხლე მტანჯველი, როდესაც საიმპერიო კანცელარიის აივნიდან იღებდა ხმაურიან პარადებს.

შემოვიდა გენერალი კრებსი, რომელმაც არმიის შტაბის თანამდებობაზე შეცვალა „ავადმყოფი“ გუდერიანი, მას უნდა მოეხსენებინა, თუ რა მდგომარეობაა ბერლინის დაცვის ხაზზე. ამ საუბრის ორიოდე წუთის შემდეგ ჰიტლერი კვლავ ოპტიმისტურად არის განწყობილი. კრებსი მას თავაზიანად და მოთმინებით უსმენს. ცოტა ხნის შემდეგ თათბირი მთავრდება. ჰიტლერი გადის ოთახიდან. შპეერი ხვდება გებელსს. იგი ამბობს: „გუშინ ფიურერმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, მან ბრძანა, შეწყდეს ბრძოლები დასავლეთით“. ამის შემდეგ გებელსი ატყობინებს შპეერს, რომ მისი მეუღლე და ბავშვი აქ, ბუნკერში არიან, რათა დაამთავრონ თავიანთი სიცოცხლე ამ ისტორიულ უამს. ესესელმა ექიმმა შეატყობინა შპეერს, ფრაუ გებელსი ძალზე ცუდად შეიქნა გულის შეტევისაგანო. შპეერმა ინახულა მაგდა გებელსი. აქ უნდა ითქვას, რომ ცოლ-ქმარი შეხმატკბილებით ვერ ცხოვრობდა, ცნობილი იყო გებელსის რომანები კინომსახიობებთან და განსაკუთრებით ცნობილ ჩეხ მსახიობთან ლიდა ბაროვასთან. ქმარს არც ცოლმა დაუდო ტოლი და რომანი გააბა თავისივე ქმრის თანამშრომელ ჰანკესთან.

მაგდა გებელსი თითქმის სულთმობრძავი იყო, ლაპარაკობდა დაბალ ხმაზე: „რა ბედნიერი ვარ, რომ ჰერალდი (მისი შვილი პირველი ქმრისაგან) აქ არ არის“.

იმავე დღეს — 28 აპრილს, ბუნკერში მიიღეს გერინგის დეპეშა, რომელიც ბორმანმა მოუტანა ჰიტლერს. გერინგი ეკითხებოდა ჰიტლერს, შეეძლო თუ არა მას, თანახმად სახელმწიფოს მეთაურის შეცვლის დეკრეტისა, დაეკავებინა ჰიტლერის ადგილი, რამეთუ ჰიტლერი იმყოფებოდა ალყაშემორტყმულ ბერლინში. ბორმანმა ისარგებლა შემთხვევით, რათა ხაბლოოდ გაეფუჭებინა მისი მთავარი კონკურენტის რეპუტაცია. „გერინგი მოღალატეა“, უთხრა მან ჰიტლერს. ჰიტლერმა იმავე წუთში ჩამოართვა ყველა უფლება გერინგს, ხოლო ბორმანმა გაგზავნა დეპეშა, სადაც იგი გერინგს აცხადებდა მოღალატედ. „მე ვიცოდი ყველაფერი, განაცხადა ჰიტლერმა, — მე ვიცოდი, რომ გერინგი იყო ზარმაცი, რომ მან უკიდურესობამდე მიიყვანა ჩვენი საჰაერო ძალები. ის იყო ამორალური ადამიანი, გარდა ამისა, წლების განმავლობაში იყო ნარკომანი. მე ყველაფერი ეს ვიცოდი“. იცოდა, მაგრამ მაინც ასეთ პატივში ჰყავდა. ფაქტიურად, გერინგი იყო მეორე პიროვნება რაიხში.

შუაღამეს, როდესაც უკვე 24 აპრილი დაიწყო, შპეერი ეწვია ევა ბრაუნს. ევა ბრაუნს კიდევ შესწევდა ძალა წყნარად ესაუბრა. ეტყობოდა, რომ ყველაზე უფრო მშვიდად სიკვდილს ხვდებოდა სწორედ ეს ქალი. მაშინ, როდესაც გებელსი მაღალფარდოვნად თამაშობდა გმირის როლს. ჰიტლერი აგზნებული იყო, მაგდა გებელსი მთლიანად განადგურებული, ხოლო ბორმანი იმის ცდაში იყო, როგორმე გადაერჩინა თავისი თავი. მარტო ევა ბრაუნს ეკავა თავი წყნარად და მშვიდად. „რას იტყვით ერთ ბოთლ შამპანურზე ჩვენი გამოთხოვების უამს? ასევე ცოტა ტკბილეულიც. მე დარწმუნებული ვარ, თქვენ დიდი ხანია არაფერი გიჭამიათ“. ისინი მარტონი იყვნენ. ჰიტლერი კარგა ხანია გასული იყო ოთახიდან „იცით, ძალიან კარგია, რომ ისევ დაბრუნდით ჩვენთან. ფიურერი ფიქრობდა რომ თქვენ მის წინააღმდეგ მოქმედებდით, მაგრამ თქვენმა ვიზიტმა საწინააღმდეგო დაამტკიცა. ყოველ შემთხვევაში, ფიურერს მოეწონა, რაც მას დღეს უთხარით. მან გადაწყვიტა დარჩეს აქ და მეც ვრჩები მასთან. დანარჩენი თქვენ იცით... მას უნდოდა უკან გავეგზავნე მიუნხენში, მაგრამ მე უარი ვთქვი: მე მოვედი დასასრულისათვის“. ამის შემდეგ „რატომ უნდა დაღუპულიყო ამდენი ხალხი და ეს ყველაფერი არაფრისათვის...“ ასეთი იყო დაგვიანებული სინანული. ვფიქრობ, რომ ევა ბრაუნი მაინცდამაინც არ დაინტერესებულა დაღუპულთა რაოდენობით მაშინ, როდესაც არანაკლები სისხლი იღვრებოდა! 3 საათზე ჰიტლერმა გაიღვიძა. შპეერი ემშვიდობება მას. „მიდიხართ! კარგი. ნახვამდის“. შპეერი რაღაცას ლუღლუღებს იმის თაობაზე, რომ კიდევ მოვა სანახავად, მაგრამ ყველამ იცის, ეს ლიტონი სიტყვებია.

შპეერის თვითმფრინავი აფრინდა შარლოტენბურგერ ალეედან. ჯერ კიდევ ბნელოდა. თვითმფრინავმა დაუზიანებლად დატოვა ბერლინი და დაჯდა რეხლინში.

25 აპრილს 47-ე არმიის 328 დივიზია და მე-2 სატანკო არმიის 65-ე ბრიგადა კეტცინთან

შეერთდა პირველი უკრაინის ფრონტის მე-4 სატანკო არმიის მე-6 მექანიზირებულ კორპუსთან. ამით მტრის ძალები განცალკევებულნი იქნენ ბერლინისა და ფრანკფურტის ორ, იზოლირებულ ჯგუფად.

რაც უფრო წინ, ცენტრისაკენ მიიწევდნენ ჩვენი ჯარები, მით უფრო ძლიერდებოდა მტრის წინააღმდეგობა. ქალაქის ქუჩებში ბრძოლას თავისი სპეციფიკა აქვს. აქ მთავარია ეგრეთ წოდებული მოიერიშე ჯგუფები, რომლებიც შეიარაღებულნი არიან შედარებით უფრო მსუბუქი იარაღით — ავტომატით და გრანატით, მათ დახმარებას უწევს არტილერიის ცეცხლი. მოიერიშე ჯგუფებს უშუალოდ მიჰყვებოდნენ ტანკები.

შპრეე შედარებით პატარა მდინარეა, მაგრამ მისი გადალახვა გაძნელდა დაბეტონებული მაღალი ნაპირების გამო.

უკვე მოგახსენეთ, ჩვენი ჯარების შეტევის დაწყებამდე, ინგლისისა და ამერიკის სტრატეგიული ავიაციის მასობრივი ბომბარდირებების შედეგად ბერლინი მთლიანად იყო დანგრეული.

დავუბრუნდეთ ისევ ბუნკერს. 26 აპრილს ცნობილი გახდა, რომ ფეგელაინი ბუნკერში აღარ არის, სადღაც გაიპარა. ჰიტლერი იძლევა ბრძანებას, მოიძებნოს ფეგელაინი და, რადაც უნდა დაჯდეს, მოიყვანონ იგი ბუნკერში. ფეგელაინის მოძებნა დაევალა ჰიტლერის პირადი დაცვის უფროსის მოადგილეს, ჰეგლს. ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როდესაც ჩვენი ნაწილები არცთუ ისე შორს არიან პოტსდამის სადგურიდან, საიდანაც ერთი ბლოკია საიმპერიო კანცელარიამდე. ეს ფაქტი მეტად საინტერესოა ბუნკერში მყოფთა და თვითონ ჰიტლერის ფსიქოლოგიის შესწავლისათვის. ირკვევა, რომ ფეგელაინი გაქრა 25 აპრილს. 27 აპრილს ფეგელაინი მონახეს მისი ნათესავის ბინაში, ბერლინის დასავლეთ უბანში. ის მოიყვანეს ბუნკერში და მეორე დღეს განთიადისას დახვრიტეს საიმპერიო კანცელარიის ეზოში.

ჰიტლერი შეუდგა ანგარიშების გასწორებას. მან გასცა ბრძანება, დაეპატიმრებინათ გერინგი, რადიოს საშუალებით გაგზავნილი იქნა შეტყობინება, რომ სამხედრო საჰაერო ძალების მთავარსარდლად გერინგის ნაცვლად ინიშნება გენერალი რიტერ ფონ-გრეიმი. გრეიმი თავის მეუღლესთან, შეურყეველ ნაცისტ ჰანა რეიჩთან ერთად, ორმოცი ავიაგამანადგურებლის თანხლებით, რეხლინის აეროდრომიდან გამოფრინდა ალყაშემორტყმულ ბერლინში. სანამ ეს ჯგუფი გატოვში მოვიდოდა, მათ დაკარგეს რამდენიმე ავიაგამანადგურებელი. გატოვიდან 'გრეიში და რეიჩი ბერლინის ცენტრში გამოფრინდნენ მსუბუქი თვითმფრინავით — „არადო"-თი. ბერლინში ერთადერთი დასაფრენი მოედანი იყო შარლოტენბურგერ ალეეს განიერი პროსპექტი. ბრანდერბურგის ჭიშკართან თვითმფრინავს მოხვდა ჭურვი და იგი საგრძნობლად დაზიანდა. გრეიმი დაიჭრა. მართვა ხელში აიღო რეიჩმა და მანვე დასვა თვითმფრინავი აღნიშნულ პროსპექტზე.

ჰიტლერმა შესჩივლა გრეიმს გერინგის ღალატის გამო და უბრძანა მას შეეცვალა იგი. რეიჩმა რამდენიმე დღე გაატარა ბუნკერში დაჭრილი ქმრის საწოლთან. აქ მათ დაინახეს გერმანიის ბედის გამგებელთა სახე. შემდგომში რეიჩი წერდა: „და ესენი იყვნენ ის ადამიანები, ვინც მართავდა ჩვენს ქვეყანას?.. შიშისა და განწირულების გამო ყველა მამაკაცი და ქალი ტიროდა და ყვიროდა. ყველაფერი აირია ნერვულ კრუნჩხვებში..."

ჰიტლერი უბრძანებს გრეიმს და რეიჩს, დატოვონ ბერლინი და მთელი ავიაცია გადმოსროლონ ქალაქის დასაცავად. გრეიმი და რეიჩი გაფრინდნენ იგივე გზით. თვითმფრინავი, რომელსაც მართავდა ჰანა რეიჩი, მიწას მოსწყდა გამარჯვების ძეგლთან. აფრენის მომენტში თვითმფრინავი ისევ მოხვდა ცეცხლის წრეში. რეიჩმა შეძლო არიდებოდა ხიფათს. ეს მოხდა 1945 წლის 29 აპრილს. ბერლინიდან გაფრინდა უკანასკნელი თვითმფრინავი.

წინა დღეს, საღამოთი გენერალმა ვეიდლინგმა მოახსენა ჰიტლერს, რომ საიმპერიო კანცელარიის ალყა თანდათან ვიწროვდებოდა. არ არის გამორიცხული, მომდევნო დღეს ცენტრი მოწყვეტილი იქნეს ბერლინის გარნიზონის მთავარი ძალებისაგან, რომლებიც ქალაქის დასავლეთ რეგიონში არიან. არავითარი ცნობა არ არის გენერალ ვენკისაგან (გენერალი ვენკი მე-12 არმიის სარდალი, ჰიტლერის უკანასკნელი იმედი იყო, ამ დროისათვის ვენკის ჯარები უკვე გაფანტული იყო პირველი უკრაინის ჯარების მიერ). ვეიდლინგი წინადადებას აძლევს ჰიტლერს, შეგროვდეს ყველა ძალა და გარღვევა განახორციელონ ვენკთან შესაერთებლად. ჰიტლერი კიდევ ერთხელ ამბობს უარს. იგი, თავის მხრივ, ბრალს სდებს არა მარტო გენერლებს, არამედ მთელ გერმანელ ხალხს. იქნება შთაბეჭდილება, ჰიტლერს თვითონ სწამს, რომ უიმისოდ გერმანელი ხალხი ვერ იცხოვრებს, დაიღუპება. აი, სანამდე შეიძლება მივიდეს განდიდების მანია!

29 აპრილს ჰიტლერი განკარგულებას იძლევა, ყველას დაურიგდეს ამპულები საწამლავით. გვიან საღამოს აცხადებს, რომ ის დაქორწინდა ევა ბრაუნზე. მცირე ცერემონიალი პრესკონფერენციის დარბაზში. ზოგიერთი ავტორი და მათ შორის როზანოვი («Последние дни Гитлера») თვლის, რომ ჰიტლერს საბოლოოდ თვითმკვლელობამდე უბიძგა ცნობამ იმის შესახებ, რომ მუსოლინი და მისი საყვარელი კლარა პეტაჩი პარტიზანებმა სიკვდილით დასაჯეს და მათი გვამები თავდაღმა დაჭკიდეს ლორეტოს მოედანზე ქ. მილანში. სხვა

წყაროების მიხედვით, ევა ბრაუნი ბერლინში სპეციალურად ჩამოვიდა, რომ გაეზიარებინა ჰიტლერის ბედი და მასთან ერთად დაემთავრებინა სიცოცხლე.

29 აპრილს, დილით, ჩვენმა ნაწილებმა აიღეს ანჰალტის სადგური. ამ ოპერაციებში მონაწილეობდნენ მე-5 დამკვრელი არმიის მე-9კორპუსი, 230-ე 244-ე და 301-ე ფეხოსანი დივიზიები. სულ მალე პოტსდამის მოედანი და ვილჰელმშტრასე ტყვიამფრქვევის ცეცხლის ზონაშია. საიმპერიო კანცელარიის დაცვის უფროსი მონკე მოახსენებს ჰიტლერს, რომ მისმა ქვედანაყოფებმა დიდი გაჭირვებით, დროებით მოახერხეს საბჭოთა ჯარების შეჩერება ბუნკერიდან დაახლოებით 500 მეტრის დაშორებით. ყველაფერი ცხადი ხდება, თუმცა, ყველაფერი თავიდანვე ცხადი იყო. ბუნკერში მყოფთა უმრავლესობამ სმას მიჰყო ხელი. მთვრალებმა: ბორმანმა, კრებსმა და ჰიტლერის სამხედრო ადიუტანტმა ბურგდორფმა დაიძინეს. ჰიტლერი ამ დროს თავისი ანდერძის ტექსტზე მუშაობს. მოვიდა აღსასრული. შემთხვევითია თუ არა, მაგრამ ჩემი ცხოვრების მანძილზე თუკი ვინმეს დიდი ბოროტება ჩაუდენია, მას, როგორც წესი, არაბუნებრივი სიკვდილით დაუმთავრებია თავისი სიცოცხლე. არის გამონაკლისები, მაგრამ გამონაკლისები ხომ იმიტომ არსებობს, რომ დაადასტუროს არსებული კანონზომიერება.

თავის ბოლო დოკუმენტში ჰიტლერი ცდილობს მოიხსნას პირადი პასუხისმგებლობა. მან ყველა ღირსება აჰყარა თავის ორ უახლოეს თანამშრომელს გერინგსა და ჰიმლერს. თავის მემკვიდრედ ჰიტლერი ნიშნავს ადმირალ დენიცს. გერმანიის სამხედრო კატასტროფას ჰიტლერი აბრალებს არმიას, გენერლებსა და გერმანელ ხალხს.

29 აპრილს საღამოს უკანასკნელად შედგა თათბირი. გენერალი ვეიდლინგი ახსენებს ჰიტლერს, რომ ბრძოლები მიმდინარეობს ავიაციის სამინისტროსთან. ეს უკვე ერთი ბლოკით არის დაშორებული ბუნკერიდან. ვეიდლინგის აზრით, 1 მაისს საბჭოთა ჯარები იქნებიან ბუნკერის შესასვლელთან. იგი კიდევ ერთხელ აყენებს საკითხს გარღვევის შესახებ ალყაშემორტყმული ბერლინიდან. ჰიტლერი პასუხობს: „რას უშველის მერე ეს გარღვევა? ჩვენ ერთი ალყაშემორტყმული რეგიონიდან მოვხვდებით მეორეში. მჭირდება კი მე ვიხეტიალო სადღაც და ვუცადო ჩემს აღსასრულს რომელიღაც გლეხის სახლში ან კიდევ სადმე? სჯობია, დავრჩე და მოვკვდე აქ. ამათ კიდევ თუ მოუნდებათ, დე განახორციელონ გარღვევა“. ამჯერად ნამდვილად საღი მსჯელობაა.

იმავე საღამოს გენერალი იოლდი ჰიტლერისაგან იღებს შემდეგი სახის დეპეშას.

1. სად არის გენერალ ვენკის ავანგარდები? 2. როდის განაახლებს ვენკი შეტევას? 3. სად არის მე-9 არმია? 4. საით არის მიმართული მე-9 არმიის დარტყმა? 5. სად არის გენერალ ჰოლტის ავანგარდები?

შუაღამე გადასული იყო, როდესაც ბუნკერში მოვიდა პასუხი:

1. გენერალ ვენკის ავანგარდი შეჩერებულია მოწინააღმდეგის მიერ შვიდზეეს სამხრეთით. 2. მე-12 არმიას აღარ შეუძლია შეტევა განახორციელოს ბერლინზე. 3. მე-9 არმიის ძირითადი ნაწილები ალყაში არიან. 4. გენერალ ჰოლსტის კორპუსი იძულებულია თავდაცვაზე გადავიდეს.

როგორ შეიძლება ავხსნათ ჰიტლერის მოქმედება? როგორც სიბეცე თუ ცდა იმისა, ცოტათი მაინც გაახანგრძლივოს აგონია? მან ხომ მშვენივრად იცოდა, რომ შველა შეუძლებელი იყო. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ დროისათვის საწვავის არავითარი მარაგი აღარ არსებობს, ავიაციამ რომ იმოქმედოს.

30 აპრილს, დილას, გვარდიის 60-ე, 416-ე და 295-ე დივიზიებმა, აგრეთვე მე-11 სატანკო ბრიგადებმა ბრძოლები გამართეს მეტრო ფრიდრიხშტრასეს და ფოსშტრასეს მისადგომებთან. ამ დროისათვის ჰიტლერი იხმობს საიმპერიო კანცელარიის ლაზარეთის უფროსს ჰააზეს და უჩვენებს მას შუშის პატარა ამპულებს. იგი ეკითხება ჰაზეს, თუ როგორ შეიძლება შეამოწმოს ამპულის მოქმედების ძალა. ჰაზემ ურჩია, გამოეცადა ამპულები ძაღლზე. ჰიტლერის კამერდინერმა ლანგემ მიიღო ბრძანება, ეშოვა 200 ლიტრი ბენზინი. ლანგემ ბენზინი გამოართვა ჰიტლერის პირად მძღოლ კემპტკეს.

ნახადილევს ჰიტლერი და ევა ბრაუნი გადიან თავის ოთახში, დანარჩენები ყველანი უცდიან საბოლოო აქტს. დაახლოებით ოთხის ნახევარზე ოთახში გაისმის სროლის ხმა. აკსმანი ნიუნბერგის პროცესზე ჰყვება შემდეგს: „მაშინვე შევედით და დავინახეთ ფიურერი, რომელიც სავარძელში იჯდა. გვერდით ეჯდა ევა ბრაუნი, მას თავი ჰქონდა დადებული ჰიტლერის მხარზე, ფიურერი წინ იყო დახრილი, ქვედა ყბა ჩამოვარდნილი ჰქონდა. იატაკზე ეგდო რევოლვერი“. ეს ვალტერის ტიპის რევოლვერი აკსმანმა აიღო და წაიღო როგორც სუვენირი. არ არის გამორიცხული, რომ იგი ამ დროს ფიქრობდა ბიზნესზე, გრძნობდა, რომ გავიდოდა დრო და ამ რევოლვერის ფასი საკმაოდ დიდი იქნებოდა.

დღემდე ამ შეიძლება ითქვას გადაჭრით, რისგან მოკვდა ჰიტლერი, ტყვიისა თუ შხამისაგან. ჰიტლერის ნეშტის შესწავლამ აჩვენა, რომ მას ტყვია არ ჰქონდა მოხვედრილი. მაშ რატომ გაისროლეს რევოლვერი? მე მგონია, რომ რუსკაიას აზრი, თითქოს ჰიტლერის ადიუტანტი ლანგე შევიდა და მან ესროლა ევა ბრაუნს,

ჰიტლერმა კი თავი მოიწამლა, მთლად დამაჯერებელი არაა. მით უფრო გამორიცხულია მანამდე გავრცელებული აზრი, თითქოს ჰიტლერმა ამპულა გაკვნიტა და საიმედოებისათვის რევოლვერიც ისროლა. ამპულაში მოთავსებული შხამი იმდენად ძლიერი იყო, რომ ის სროლას ვეღარ შეძლებდა. არც პირიქით შეიძლებოდა მომხდარიყო, ესე იგი, ჯერ გაესროლა, შემდეგ მიეღო შხამი. ჰიტლერის ნეშტის გამოკვლევამ აჩვენა, რომ იგი მკვდარი იყო შხამისაგან. რჩება კიდევ ერთი ვარიანტი: მან შეიძლება ჰაერში გაისროლა, ამით მისცა ნიშანი, რომ ყველაფერი დამთავრდა და ამის შემდეგ გაკვნიტა ამპულა.

ჰიტლერის და ევა ბრაუნის გვამები გადაიტანეს საიმპერიო კანცელარიის ეზოში, გადაასხეს ბენზინი და წაუკიდეს ცეცხლი. ამ ოპერაციებში მონაწილეობდნენ ბორმანი, ლანგე, ჰიტლერის ადიუტანტი გიუნშე, მძღოლი კემპტკე და რამდენიმე ესესელი.

ჰიტლერის ბრძანების შესრულება მთლიანად ვერ მოხერხდა, არტილერიის ინტენსიური ცეცხლის გამო ყველანი მიიმალნენ ბუნკერში. გვამები მთლიანად არ დამწვარა. მათ მიაყარეს მიწა და ამით ოპერაცია დამთავრებულად ჩათვალეს. ასე დაასრულა სიცოცხლე მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთმა დიდი მაშტაბის ტირანმა და დიქტატორმა.

ბერლინში ბრძოლების დამთავრების შემდეგ ხმა გავრცელდა, რომ ჰიტლერს თავი არ მოუკლავს, რომ მან შეძლო გაპარვა ალყაშემორტყმული ბერლინიდან. საიმპერიო კანცელარიის აღების შემდეგ, ჰიტლერთან მყოფ პირთა ნაწილი ტყვედ ჩავარდა. მათ შორის იყვნენ: ჰიტლერის დაცვის უფროსი რატენჰუბერი, ადიუტანტი გიუნშე. დაცვის ერთ-ერთმა წევრმა მენგენსჰაუზენმა და შემდგომ რატენჰუბერმაც ჩვენი ჯარების დაზვერვის ოფიცრებს აჩვენეს ის ადგილი, სადაც ჰიტლერი და ევა ბრაუნი იყვნენ დამარხული. ჩატარებული იქნა სპეციალური ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა, რომ გვამი ჰიტლერისაა. ამის შესახებ დაწვრილებით არის მოთხრობილი ე. რუევსკაიას წიგნში **«Берлин. Май. 1945»**.

იმავე დღეს, ესე იგი, 30 აპრილს, გვიან ღამით 35-ე დივიზიის წინა ხაზზე თეთრი ბაირაღით გამოჩნდა გერმანიის არმიის პოდპოლკოვნიკი ზეიფერტი. მან თქვა, რომ გენერალური შტაბის უფროსს გენერალ კრებსს სურს მოელაპარაკოს საბჭოთა მთავრობას. 35-ე დივიზია შედიოდა გვარდიის მე-8 არმიაში, რომელსაც გენერალი ჩუიკოვი სარდლობდა. ეს არმია ბერლინის ცენტრს უტევდა ტირგარტენის მხრიდან. 3 საათსა და 50 წუთზე. (ესე იგი, უკვე 1 მაისს) კრებსი მოვიდა ჩუიკოვის სკკომანდო პუნქტში. გენერალი კრებსი ომამდე მუშაობდა გერმანიის საელჩოს სამხედრო ატაშეს მოადგილედ. კრებსმა შეატყობინა ჩუიკოვს, რომ ჰიტლერმა თავი მოიკლა და ბუნკერში დარჩენილ ბორმანსა და გებელსს სურთ მოლაპარაკება გამართონ საბჭოთა მხარესთან. ჩუიკოვმა უთხრა კრებსს, რომ მისთვის ცნობილია ჰიტლერის თვითმკვლელობის ამბავი (ჩუიკოვმა ამის შესახებ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა და ეს მან გააკეთა ფსიქოლოგიური მოსაზრებით). 4 საათზე ჩუიკოვი ურეკავს მარშალ ჟუკოვს, ატყობინებს ახალ ამბავს და თხოვს შემდგომ ინსტრუქციებს. გარდა ამისა, ჩუიკოვი უკითხავს მარშალს გებელსის წერილს, სადაც ეს უკანასკნელი თხოვს საბჭოთა მხარეს აწარმოონ მოლაპარაკება. მარშალი ჟუკოვი ჩუიკოვთან გზავნის თავის მოადგილეს გენერალ სოკოლოვსკის, ხოლო თვითონ ურეკავს სტალინს. „მე დავურეკე ამხანაგ სტალინს, — წერს ჟუკოვი. ის იყო აგარაკზე. ტელეფონთან მოვიდა მორიგე გენარალი, რომელმაც თქვა, რომ ამხანაგო, სტალინი ეს-ეს არის დაწვა დასასვენებლად". ჟუკოვი თხოვს გენერალს გააღვიძოს უმაღლესი მხედართმთავარი. ტელეფონთან მოვიდა სტალინი. ჟუკოვმა მას გადასცა, რომ ჰიტლერმა თავი მოიკლა და რომ გებელსმა გამოგზავნა წერილი, სადაც ითხოვს ჩატარდეს მოლაპარაკება. **«Доигрался подлец. Жаль, что не удалось взять его живым. Где труп Гитлера?»** ჟუკოვი პასუხობს, რომ გვამი დაწვეს. ამის შემდეგ სტალინი აძლევს მითითებას, არავითარი მოლაპარაკება არ ჩატარდეს, ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ უსიტყვო კაპიტულაციაზე. ამ ინფორმაციით დაბრუნდა კრებსი ბუნკერში.

1 მაისს ბუნკერში დატრიალდა ტრაგედია. გებელსმა და მისმა მეუღლემ სასიკვდილოდ გაიმეტეს თავისი 6 ბავშვი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ გებელსს თავიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი ბავშვების დახოცვა. როდესაც მას უთხრეს, რომ ეს მეტისმეტია, გებელსმა თქვა: „ისინი ხომ გებელსის შვილები არიან". ბავშვების დახოცვა დაევალა ექიმ კუნცს. მან (როგორც თვითონ განაცხადა), უარი თქვა ამ მისიის შესრულებაზე. მაშინ მაგდა გებელსმა კუნცს თხოვა დასაძინებელი ნემსი გაეკეთებინა ბავშვებისათვის. კუნცმა მაგდა გებელსის დახმარებით ეს ოპერაცია შეასრულა. ბავშვებმა დაიძინეს. ამის შემდეგ ჰიტლერის პირადი ექიმი შტუმპფეგერი მძინარე ბავშვებს უხსნიდა პირს, უდებდა შიგ ამპულას და შემდეგ ძალით ამუწინებდა პირს, რის შედეგიც ამპულის დამსხვრევა და სიკვდილი ერთი იყო. მაპატიოს მკითხველმა, რომ ამ საზიზღარ მოქმედებას ასე დაწვრილებით ალვწერ, მაგრამ ეს საჭიროა ფაშიზმისა და მისი ხელმძღვანელობის საჯაროზე გამოსატანად. დავუშვათ, რომ გებელსს და მის კოლეგებს ცუდი შეხედულება ჰქონდათ ჩვენზე, დავუშვათ, გულწრფელად იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ ჩვენ არავის არ დავინდობდით. მაგ-

რამ მათ ხომ შეეძლოთ მანამდე გაეყვანათ ბავშვები ბერლინიდან და მოეცილებინათ ისინი ბრძოლებით გამოწვეული საფრთხისათვის.

მხოლოდ ამის შემდეგ იწამლავენ თავს გებელსი და მისი მეუღლე. აი, ვინ ხელმძღვანელობდა ისეთ ერს, როგორიცაა გერმანელი ხალხი. ნაძირალების მოხვედრა ხელმძღვანელ პოსტებზე თურმე შესაძლებელი ყოფილა ისეთ ქვეყანაშიც, როგორც არის გერმანია, განთქმული თავისი კულტურით, მეცნიერებით, ხელოვნებით, ტექნიკით, რა ასპექტითაც გნებავთ.

1 მაისს, დღის მეორე ნახევარში ბუნკერში მყოფმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა „შველოს თავს. ბორმანი, ექიმი შტუმპფეგერი და სხვები გამოვიდნენ ბუნკერიდან და ,ვილჰელმშტრასეს გავლით, გაემართნენ ვაიდენდამერის ხიდისაკენ, რომელიც ფრიდრიხის სადგურის ახლოს მდებარეობს. ბორმანი და შტუმპფეგერი მიჰყვებოდნენ ტანკს. ამ ხიდთან ტანკს მოხვდა ჭურვი. მოხდა აფეთქება, რის შედეგად დაიღუპა ბევრი ესესელი და მათ შორის ექიმი შტუმპფეგერი. ბორმანი გადარჩა და მან განაგრძო სვლა ინვალიდენ შტრასესკენ. ამ ქუჩაზე ბორმანი შეაჩერა საბჭოთა პატრულმა. ბორმანმა გაქცევა სცადა, მაგრამ იქვე დაამთავრა თავისი სიცოცხლე. აქვე უნდა ითქვას, რომ კარგა ხანს თვლიდნენ, თითქოს ბორმანი სამხრეთ ამერიკაში ცხოვრობსო, მაგრამ ეს ჟურნალისტების მოგონილად რჩება.

30 აპრილს, საღამოს რაიხსტაგის თავზე აფრიალდა გამარჯვების დროშა. რაიხსტაგი აიღეს მე-3 დამკვრელი არმის ქვეგანაყოფებმა. როგორც ცნობილია, დროშა აღმართეს სერჟანტმა ეგოროვმა და ჩვენმა თანამემამულემ, უმცროსმა სერჟანტმა მელიტონ ქანთარიამ.

2 მაისს, დილის 6 საათსა და 30 წუთზე ტყვედ ჩაბარდა ბერლინის დაცვის ახლად დანიშნული უფროსი გენერალი ვეიდლინგი. მან გასცა ბრძანება, დაეყარათ იარაღი და შეეწყვიტათ წინააღმდეგობა.

ბერლინში ბრძოლების დამთავრების შემდეგ, გადავწყვიტე ქალაქის დათვალიერება. მოვხვდი მიულერის ქუჩაზე და იქიდან გავუყევი გზას ცენტრისაკენ. პირველი შთაბეჭდილება — აუარებელი ხალხი ქუჩაში. ახალგაზრდა გოგონები ჩაცმულნი არიან ნაირფერ ტანსაცმელში, რაც ჩვენთვის მაშინ ფრიად უჩვეულო იყო. მე მანამდე არ მენახა ასე კარგად ჩაცმული ქალები. და ეს ამბავი ხდება ქალაქში, სადაც ჯერ კიდევ გუშინ საშინელი ბრძოლები იყო. ბევრს აცვია წითელი ან სხვა, ფერადი ტანსაცმელი. მამაკაცთა ჯგუფებს საკაცეებით მიჰყავთ დაჭრილები. ბევრი ახალგაზრდა ქალი შავებშია და უმრავლესი მათგანი გვიყურებს ზიზღით. მიულერის ქუჩა საკმაოდ ფართო ქუჩაა. მე მოვიარე ავტომატით შეიარაღებული ჯარისკაცი, თავად მარტო პისტოლეტი მქონდა. მართალია, ბერლინში ბრძოლები დამთავრდა, მაგრამ, ვინ იცის, რა სიტუაციაში შეიძლება ჩავარდნილიყო კაცი. მაღაზიები არ არსებობდა. რა მაღაზიებზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც თითქმის ყველა სახლი დაინგრა. ერთ-ერთ სახლში, პირველ სართულზე, როგორც ჩანს, ადრე საპარიკმახერო იყო. რაღაც მანქანებით ეს საპარიკმახერო გადარჩენილა. თითქოს არაფერი მომხდარაო, იქვე არიან პარიკმახერებიც. შევდივარ და ვთხოვ, რომ გამპარსონ. დავჯექი სკამზე. საშინლად მწყურია. ვინაიდან გერმანული არ ვიცი, ვანიშნებ, მომიტანონ წყალი. იმ წუთში ერთ-ერთი მათგანი გავიდა და შემოიტანა საკმაოდ მოზრდილი ჭიქით წყალი: უწებურად გავიფიქრე, მოწამლული ხომ არაა-მეთქი, მაგრამ ქართული ამპარტავნობა ნებას არ მაძლევს ვუბრძანო, ჯერ მათ გასინჯონ წყალი. მეორე მხრივ, დიდი სისულელე იქნება ახლა ასე უაზროდ დაღუპვა. ჭიქას ვიღებ და რუსულად ვეუბნები ჩემს მხლებელს: „შენ არ დალიო, თუ რამე მომივიდა, შენ იცი, რაც უნდა გააკეთო". პარიკმახერებმა რუსული არ იცოდნენ, მაგრამ ნათქვამს მიმიხვდნენ. წყლის მომტანმა გამომართვა ჭიქა და მოსვა. მე გამეცინა. იცინიან პარიკმახერებიც. გამპარსეს. მე არ ვიცი, რამდენი უნდა მივცე მათ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გერმანიის ტერიტორიაზე ჩვენ ჯამაგირს გვაძლევდნენ საოკუპაციო მარკებით. მე და ბევრი სხვა ოფიცერი ვთვლიდით, რომ ამ მარკებს არავითარი ღირებულება არ გააჩნდა. მაღაზიებზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, რესტორნები და სხვა რაიმე ადგილები, სადაც ფულის დახარჯვა შეიძლებოდა, ამ გააფთრებულ ბრძოლებში საიდან იქნებოდა. ერთადერთი დანიშნულება, რომელიც ფულს მოვუნახეთ, იყო ნიშანში სროლა. გავაკრავდით რომელიმე კუპიურას და ვისროდით პისტოლეტებიდან. ძალიან მალე დავრწმუნდით, რომ სისულელეს ვაკეთებდით. ბერლინის აღების შემდეგ გაიხსნა გარკვეული რაოდენობის ლუდხანა. რაც მთავარია, ერთი თვის შემდეგ მოვიდნენ ამერიკელები და დაიწყო მათ მიერ სხვადასხვა საგნების გაყიდვა. ყველაზე უფრო საინტერესო ჩვენთვის იყო საათები. პირველად ვნახეთ საათი, რომელსაც არც დარტყმის ეშინოდა არც დახველების. ერთი ასეთი საათი, რომელიც ამერიკელი ოფიცრისაგან ვიყიდე 4000 მარკად, ახლაც მაქვს და კარგადაც მუშაობს. საინტერესო იყო ის, რომ ამ ნავაჭრით დიდად კმაყოფილი ვიყავით, როგორც მე, ისე გამყიდველი. მე ვთლიდი, რომ მოვატყუე ამერიკელები. სინამდვილეში, მგონი, პირიქით იყო. სხვათა შორის, ამერიკელები ამ ოკუპირებულ მარკებზე ჰყიდიდნენ ყველა-

ფერს, მათ შორის, პირად იარაღს, შეგეძლო შეგეძინა ვილისის ტიპის სახელმწიფო ავტომანქანა. ერთმა ტანკიც კი შემომთავაზა, არ ვიცი, სერიოზულად თუ ხუმრობით.

ამ საოკუპაციო მარკების (მაშინ არ ვიცოდი, სად წამეღო) კარგა სქელი დასტა მივეცი პარიკმახერს. სიხარულისაგან აღარ იცოდა, რა ექნა, მოინდომა ხელზე კოცნა, გამოვტაცე ხელი და ჩვენ განვაგრძეთ გზა. გადავედით მდინარე შპრეეს ხიდზე და მივაშურეთ დამწვარ და დანგრეულ რაიხსტაგს. მას მერე, რაც შევასრულე სპონტანურად დადგენილი ტრადიცია, — დავწერე კედელზე, რომ ვიყავი აქ ესა და ეს ქ. თბილისიდან. — გავემართე ბრანდერბურგის კარებისაკენ. მაინტერესებს საიმპერიო კანცელარია — ჰიტლერის რეზიდენცია. მოვიკრიბე მეხსიერება და გავიხსენე ორიოდე გერმანული სიტყვა, რაც ჩამრჩა თავში სკოლის დამთავრების შემდეგ. ვეკითხები ერთ-ერთ გამვლელს — გერმანელს: „ზაგენ ზი მიჰ, ბიტტე, ვო ისტ ჰირ იმპერიშე კონცელარიი“ ჩემი აზრით, ვეკითხები, სად არის საიმპერიო კანცელარია-მეთქი. მოქალაქემ ვერაფერი გაიგო. მე კითხვა რამდენჯერმე გავუმეორე. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა: „აა, რაიხსკანცელარიი?“ წამომყვა, გამოვყეევით ჰერმან გერინგის ქუჩას. შევუხვიეთ ფოსშტრასეზე და გავედით ვილჰელმის მოედანზე. „აი ეს არის“, ამბობს მოქალაქე. მადლობას ვუხდი და შევდივარ შენობაში. გავიარე შესასვლელი კარები და მოვხვდი პატარა დახურულ ეზოში. ეზოში დგას ჯავშნოსანი მანქანა. შევდივარ შემდეგ შესასვლელში, საიდანაც მოჩანს ჩასასვლელი ჰიტლერის ბუნკერში. არ მაქვს ნათურა, არადა, ბუნკერში საშინელი სიბნელეა, სინათლე გამორთულია. აზრი არა აქვს სიბნელეში ბოდიალს. სულ ერთია, ვერაფერს დაინახავ. დერეფნის ბოლოში, მარჯვნივ, ჰიტლერის კაბინეტია. საკმაოდ დიდი ოთახია. ფანჯარასთან დგას საწერი მაგიდა ტელეფონებით. მაშ ასე, ომი დამთავრდა იმით, რომ ბედმა ჰიტლერის კაბინეტში მომიყვანა. აუცილებელია, რამე სუვენირის აღება. იატაკზე გდია ხელზე გასაკეთებელი წითელი ფერის ლენტი, რომელსაც თეთრი წრე აქვს. ამ წრეში ჩახატულია ფაშისტური სვასტიკა. აქვე, საწერ მაგიდასთან აგდია მთავრობის ჯილდო-მედალი, რომელიც ნორვეგიის ქალაქ ნარვიკის აღებისათვის იყო დაწესებული. ამ ჯილდოს, როგორც ჩანს, თვითონ ჰიტლერი გადასცემდა. ეს მედალი წამოვიღე სუვენირის სახით. ოთახში, სადაც მიღებები წარმოებდა და სადაც 1939 წელს მიიღეს მოლოტოვი, დიდი ჭაღი იატაკამდე იყო ჩამოწეული, განსხვავებით სხვა საგნებისაგან, ჭაღი მთელი გადარჩენილიყო.

9 მაისს, ჩემი ბატარეის პოზიციაზე ვიყავი. დაახლოებით საღამოს 7 საათზე ატყდა საშინელი სროლა. მირეკავს დივიზიონის მეთაური და მეუბნება, რომ არ არის გამორიცხული, გერმანელების რომელიმე ნაწილმა მოახდინოს გარღვევა და მიბრძანებს, საბრძოლო მდგომარეობა გამოვიცხადო. ცოტა ხნის შემდეგ ირკვევა, რომ გერმანიამ ხელი მოაწერა კაპიტულაციას და ომი დამთავრდა, ჩვენც ავტეხეთ სროლა ყველა იარაღიდან. მაგრამ მალე დამირეკეს და მიბრძანეს შეგვწყვიტა სროლა.

ჩვენი პოლკის რამდენიმე ოფიცერი ბერლინის ქუჩებში დავდივართ. ეს იყო ომის დამთავრების ორი-სამი დღის შემდეგ, ალბათ, 12 ან 13 მაისს. ქუჩებში აუარებელი ხალხია. გაუგებარია, სად ცხოვრობს ეს ხალხი, როდესაც არც ერთი მთელი შენობა არ ჩანს. დროდადრო ჩვენი კომენდატურის ჯარისკაცები ალყას არტყამენ კვარტალს, სამოქალაქო პირი, ვინც ამ კვარტალში ხვდება, მოჰყავთ სხვადასხვა სამუშაოზე ქალაქის წესრიგზე მოყვანის მიზნით. ველოსიპედით მოდის ვიღაც ახალგაზრდა გოგონა. აჩერებენ. ირკვევა, რომ ჰოლანდიელია და სამუშაოდ მობილიზაციით, ანუ ძალით იყო ჩამოყვანილი გერმანიაში. ასეთებს უშვებენ. დანარჩენი მიჰყავთ ქალაქის რომელიმე ობიექტის გასაწმენდად აგურის, ბეტონისა და სხვა ნამსხვრევებისაგან. ჩვენი ოფიცრების ჯგუფი რაიხსტაგთან ვიღებთ სურათს. ეს სურათი ახლაც მაქვს. ქუჩებში მოძრაობას აწესრიგებენ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონები. შევდივართ ქალაქის ერთ-ერთ უდიდეს პარკში — ტირგარტერში. აქვეა საჰაერო თავდაცვის კოშკი, რომელზეც საზენიტო ქვემეხები დგას, საჭიროა კოშკზე მოთავსებული ყუმბარების ჩამოტანა და განადგურება. სწორედ ამ სამუშაოს ასრულებენ ბერლინელები, გამოვდივართ პარკიდან, ორი ახალგაზრდა გოგონა მოდის ჩემთან და რაღაცას მელაპარაკება. მე სიარულს განვაგრძობ, ისინიც მომყვებიან. მეუბნებიან, რომ მათ ბრანდერბურგის კარებთან ვიღაც უცდის. ამ დროს გამოვიარეთ ყარაული, რომელიც დაყენებულია იმიტომ, რომ სამუშაოს დამთავრებამდე არავინ გამოუშვას ამ ადგილიდან. ყარაულმა რო დაინახა, გოგონები ჩემთან ერთად მოდიოდნენ, გამოუშვა ისინი. ამ მცირე ეშმაკობით, მათ თავი აარიდეს სამუშაოს. გოგონებმა მადლობა გადამიხადეს და წავიდნენ. ჩვენი პოლკის პარტორგი კაპიტანი ფროლოვი უკმაყოფილოა. „შენ ეს გააკეთე იმიტომ, რომ საქართველოში გერმანელები არ ყოფილან და არ იცი, რა არის დედის, მამის, ცოლის ან სხვა ახლობლის დახვრეტა“. მე ვეუბნები, „მართალია, ჩვენთან გერმანელები არ ყოფილან, მაგრამ ჩვენც ბევრი გადაგვხვდა თავს 300.000-მდე ქართველია დაღუპული. ომში დაიღუპა თითქმის ყველა ჩემი სიყრმის მეგობარი. გარდა ამისა, — ვეუბნები, — ხომ წაიკითხეთ სტალინის სიტყვები: „ჰიტლერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიან და მიდიან, ხოლო გერმანელი ხალხი რჩება". ომი დამთავრდა, ახლა ჩვენ უნდა შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება გერმანელებთან". ვატყობ, ფროლოვს მაინცდამაინც არ მოსდის ჭკუაში ჩემი ნათქვამი. რა ვუყოთ. მე ისიც კარგად ვიცი, რომ პირადად მისი ოჯახი და ახლობლები ამ ომში არ დაზარალებულან. ასე რომ ჩვენ ერთნაირ მდგომარეობაში ვართ.

შარლოტენბურგენ ალეეს ფართო ქუჩით მივდივართ გამარჯვების ძეგლის დასათვალიერებლად. ქუჩა იწყება ბრანდენბურგის ჭიშკრიდან. ჭიშკარი გადაურჩა როგორც დაბომბვებს, ისე ბრძოლებს. ჭიშკარს ამშვენებს ომის ღმერთის მარსის და სიბრძნის ღმერთის მინერვას ქანდაკებები. ორივე ქანდაკება ნიშანდობლივია. ბრანდერბურგის ჭიშკარი აშენებული იყო 1789-1793 წლებში, მას ამშვენებს გამარჯვების ღმერთი ვიქტორია, ორთვალიანი ეტლით, რომელშიც ოთხი ცხენია შებმული.

შარლოტენბურგერის ხეივანი ქ. ბერლინის მთავარ პარკს, ტირგარტენს ჰყოფს ორ ნაწილად. აქ არის ცნობილი გამარჯვების ძეგლი. ძეგლი 1873 წელს აღუმართავთ საფრანგეთზე გამარჯვების აღსანიშნავად. ძეგლის სიმაღლე 60 მეტრია. ქვემოთ, კვარცხლბეკზე წარწერაა: „ძლევამოსილ მებრძოლს. მადლიერი სამშობლოსაგან". ძეგლზე 8 მეტრის სიმაღლის ვიქტორიას ქანდაკებაა დადგმული. გამარჯვების ძეგლის შიგნით კიბეა, რომლითაც ავდივართ ზემოთ. აქედან მოჩანს ბერლინის დიდი ნაწილი. გამარჯვების ძეგლიდან იწყება ხეივანი, „ზიგ-ალეე" აქ არის გერმანიის ცნობილ მხედარმთავართა ქანდაკებები.

ბერლინიდან გვიან ღამე გამოვდივარ საბარგო მანქანით. ჩემთან მოდის სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირი, რომელიც მთხოვს გავიყვანო ქალაქიდან. — „სად მიბრძანდებით?" — ვეკითხები. „ვარშავაში", — ამბობს უცნობი. „კი მაგრამ, მე ვარშავაში არ მივდივარ". „არა უშავს, იმ მიმართულებით ხომ მიბრძანდებით, მერე გამოვიცვლი ტრანსპორტს". გამოდგა პოლონელი ინჟინერი, რომელიც ახლახან გათავისუფლებულა საკონცენტრაციო ბანაკიდან. იგი ვარშავაში ცხოვრობდა ომამდე. „ამბობენ, ძალიან დაზიანებულია ქალაქი", მეკითხება, მე ვუდასტურებ. „დამთავრდა ეს საშინელება, ყველასათვის უკეთესი დრო დგება, გარდა გერმანელებისა", — მეუბნება იგი. ბერლინიდან გამოსვლის შემდეგ მძიმე ავტოავარიის მოწმენი გავხდით. ჩვენი ოფიცრებით სავსე ავტომანქანა „ვილისი" დასჯახებია ხეს. ყველა მძიმედ არის დაჭრილი და მიმოფანტული. რა შეგვიძლია, სახვევებიც კი არ გვაქვს, პირველი დახმარება რომ გავუწიოთ. ამ დროს გამოჩნდა რაღაც მანქანა, რომელიც ბერლინში მიდიოდა. გადავწყვიტეთ დაჭრილები ისევ ბერლინში გაგვეგზავნა და იქ, ჰოსპიტალში მოგვეთავსებინა. მანქანის მგზავრები, ასევე ჩვენი ოფიცრები, გვპირდებიან, რომ ამას გააკეთებენ. ვთავსებთ დაჭრილებს მანქანაში და იგი დიდი სიჩქარით მიემართება ბერლინისაკენ. „ცოდვაა ახლა სიკვდილი", ამბობს პოლონელი ინჟინერი. სრული ჭეშმარიტებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯემალ მეხრიშვილი

# მძიმე მრეწველობა: პრობლემები და განსჯა

მომავლის კონტურები

იყო დრო, როცა ქუხდა და ყველას პირზე ეკერა ამიერკავკასიის უდიდესი, ჩვენი რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის ფლაგმანის-რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და მისი განთქმული მეფოლადეთა სახელები. შედარებით შორეულ წლებში მიღწეულ წარმატებებს რომ თავი დავანებოთ, საილუსტრაციოდ ესეც იკმარებს: ქარხნის კოლექტივმა 1974 წლიდან მოკიდებული ხუთი წლის განმავლობაში 18-ჯერ გაიმარჯვა რესპუბლიკის დარგობრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში; სამჯერ გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მაგრამ გამოხდა ხანი და ქარხანას შეუმჩნევლად შეეპარა ჩამორჩენის სენი. ერთ დროს მონოლითურმა, მაგრამ შეკრულმა და შეხმატკბილებულმა კოლექტივმა დათმო მოწინავეთა პოზიციები, დაეცა მეტალურგის — ამ მძიმე, მაგრამ საპატიო და ვაუკაცური პროფესიის პრესტიჟი. ჩამორჩენა და წარუმატებლობა, რომელიც პირველად შემთხვევითი და ეპიზოდური ეგონათ, თანდათან ქრონიკული და დღითიდღე უარესი გახდა. 1979-1982 წლებში ქარხანამ სახელმწიფოს დააკლო 600 ათასი ტონა ფოლადი. ვერ სრულდებოდა პროდუქციის თვითღირებულების გეგმა — იხარჯებოდა ათობით მილიონი მანეთი, ზეგეგმითი ზარალიც ყოველწლიურად ათობით მილიონ მანეთს შეადგენდა. კატასტროფულად მცირდებოდა შრომის ნაყოფიერება.

რა იყო ასეთი ჩამორჩენის მიზეზი? ტექნიკური და საშემსრულებლო დისციპლინის დაბალი დონე, კადრების დენადობა, ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტი დარღვევა, სასტენტიური საწარმოო ავარიები, არასაკმაო შრომის ნაყოფიერება, ურთიერთმომთხოვნელობისა და კონტროლის შესუსტება, კომუნისტების ავანგარდული როლის დაქვეითება, მიმდინარე და კაპიტალური რემონტების უხარისხობა, დანადგარ-მოწყობილობებისადმი უსულგულო დამოკიდებულება და უხეირო მოვლა-პატრონობა, რაც საწარმოო პროცესების შეწყვეტას და ავარიებს იწვევდა ყველა საამქროში. დაბოლოს არ იყო გამომუშავებული სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობის კომპლექსური მეთოდი.

ქარხანაში დატრიალებულმა მოვლენებმა და ჩამორჩენის მასშტაბებმა ცხადყვეს, რომ საჭირო იყო რადიკალური ზომები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საორგანიზაციო-ტექნიკური, იდეოლოგიური, აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარებას. ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც ნათლად დაინახა და შეიგნო, რომ ძველი გზით სიარული აღარ შეიძლებოდა, გამოიჩინა თაოსნობა: „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!“ ეს მოწოდება შემდეგში მთელი რესპუბლიკის კუთვნილება გახდა. შრომითს კოლექტივში ფართოდ გაიშალა მოძრაობა სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის. გაჭირვების ჟამს ქარხანას არ მოჰკლებია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზრუნვა, ყურადღება, დახმარება, თანადგომა.

რუდუნებამ ნაყოფი გამოიღო: რუსთაველმა მეტალურგებმა წინა, სავალალო ჩამორჩენის წლებთან შედარებით შესამჩნევად გაიუმჯობესეს პოზიციები. „უკვალოდ არ ჩაუვლია სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების დარგში მუშაობას რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივსაც, — ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ე. შევარდნაძემ 1983 წლის 11 იანვარს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში. — ᲘᲝᲚᲘ ᲠᲝᲓᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲔᲡ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲣᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲝᲗᲐ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ ᲒᲔᲕᲠᲘ ᲝᲒᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲖᲝᲒ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲓᲐᲔᲥᲐᲠᲒᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲔᲑᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲗᲮᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲫᲚᲘᲔᲡ ᲒᲔᲕᲠᲘ ᲛᲐᲗᲑᲐᲜᲘ. ᲓᲐ ᲗᲣ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲕᲐᲤᲐᲡᲔᲑᲗ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲫᲛᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ, ᲣᲗᲣᲝ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠ ᲫᲕᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ.

ᲙᲝᲥᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲯᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ 80,8 ᲓᲐ 20 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ. ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ 15 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲛᲔᲢ ᲜᲐᲒᲚᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ 19,9 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲛᲔᲢ ᲛᲘᲚᲔᲑᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ 10 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, 1,3-ᲯᲔᲠ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ“.

ერთი შეხედვით, შარშანდელი გეგმების შესრულების მდგომარეობაც არ გამოიყურება ურიგოდ: სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 101,8, ხოლო რეალიზაციის გეგმა — 101, 4 პროცენტით. გეგმის ზევით წარმოებულია 8 ათასი ტონა ფოლადი. მაგრამ ეს ციფრები საქმეში ჩაუხედავ კაცს, შეცდომაში ნუ შეიყვანს. ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით გეგმის შესრულება მედლის მხოლოდ ერთი მხარეა. ამიტომ ნურავის ეგონება, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობას, შრომითს კოლექტივს, პარტიულ აქტივს საზრუნავ-საფიქრალი არაფერი დარჩენოდეს.

პირუთვნელად და მთელი პირდაპირობით უნდა ითქვას, რომ გეგმების შესრულების მიუხედავად, ქარხანა დღესდღეობით მაინც წამგებიანია — სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს მიერ იგი 27 მილიონი მანეთის სავარაუდო წაგებითაა დაგეგმილი. შარშან ქარხანა ამ თანხაშიც ვერ ჩაეტია და ზეგეგმით კიდევ მილიონ 200 ათასი მანეთის ზარალი მოუყვანა სახელმწიფოს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: აქ ასეთი გარღვევა... წარმატებად ითვლება, ვინაიდან წინა, განსაკუთრებული ჩამორჩენის წლებში ეს ზეგეგმითი ზარალი 10-15 მილიონი მანეთობით იზომებოდა! ჰოდა, ახლა შევადაროთ: სად მილიონ 200 ათასი მანეთი და სად 15 მილიონი?!

ვისაც კი ვაქვს ფესტივალ რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და რესპუბლიკის ღირსებისათვის, არ შეიძლება არ დაებადოს ერთი ბუნებრივი კითხვა.

— შეიძლება თუ არა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა გახდეს მომგებიანი და კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩადგეს?

დიახ, შეიძლება! ოღონდ ერთი პირობით: ქარხანამ წარმატებით უნდა გადაჭრას ის პრობლემები, რომლებიც მაჯლაჯუნასავით დასწოლია ზევიდან და თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. საერთოდ, საწარმოს და მით უმეტეს წამგებიანს, თავსატეხსა და პრობლემებს რა გამოულევს. ამიტომ, ცხადია, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასაც გააჩნია აუარებელი პრობლემა, მაგრამ ისინი ფერმკრთალდებიან და კარგავენ თავიანთ არსებით მნიშვნელობას ორი უდიდესი პრობლემის გვერდით. ესენია:

1. ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚ-ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲭᲘᲐᲜᲣᲠᲔᲑᲐ.
2. ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘ.

ახლა, მოდით, თითოეული მათგანი ცალ-ცალკე ავწონ-დავწონოთ. გავუჩხრიკოთ კბილი, გავშალოთ და გამოვამზეუროთ.

მაშასადამე, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა წამგებიანი, ზარალიანია. ამის ძირითადი მიზეზია ტექნოლოგიური აგრეგატების დაბალი საწარმოო სიმძლავრე. ზოგიერთი დანადგარმოწყობილობის ასაკი 30-34 წელია და მორალურ-ფიზიკურად ისეა გაცვეთილი და ამორტიზებული, რომ ელემენტარულ მოთხოვნებსაც ვეღარ აკმაყოფილებს, დაბალი საწარმოო სიმძლავრის აგრეგატებით აღჭურვილი მეტალურგიული ქარხანა იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ეკონომიკურად გამართლებული, რამდენადმე მომგებიანი და მოსათმენი, როცა მხოლოდ და მხოლოდ ფოლადსა და ნაგლინს აწარმოებს. ჩვენი, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა კი სრული მეტალურგიული ციკლით მუშაობს. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ იგი უშვებს კოქსს, დანაჭროვანებულ კაჭმს, თუჯს. ეს ყველაფერი საჭიროა იმისათვის, რომ მივიღოთ ფოლადი, ხოლო ფოლადიდან — ნაგლინი. ასეთ რთულსა და მრავალფეროვან ციკლს კი უკვე ვეღარ ერევიან დაბალი სიმძლავრის ტექნოლოგიური აგრეგატები. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ჩვენს რესპუბლიკას არ გააჩნია ქარხნისთვის საჭირო და აუცილებელი ნედლეული და მადანი. თავდაპირველი გაანგარიშებით ქარხანას ამიერკავკასიის მადნისა და ნედლეულის ბაზაზე უნდა ემუშავა. და ასეც იყო გარკვეულ დრომდე. მაგრამ მერე, როცა რესურსები ამოიწურა და საწარმოს სიმძლავრეც გაიზარდა, თავისთავად შეიცვალა მომარაგების მასშტაბებიც. ახლა ქარხანაში ყოველ დღე ათასობით (!) ტონა ნედლეული და მადანი შედის შორეული ყაზახეთიდან და უკრაინიდან. ტრანსპორტირება საკმაოდ

ძვირი ჯდება — შარშან, მაგალითად, 4 მილიონ მანეთზე მეტი წაიღო სარკინიგზო გადაზიდვებმა. ასეთი მასშტაბებით ნედლეულის ტრანსპორტირება და სრული ტექნოლოგიური ციკლით მუშაობა ეკონომიკურად გამართლებულია დიდი მეტალურგიული ქარხნებისათვის. ჩვენი, რუსთავის მეტალურგიული კი, რომელიც დიდი გვგონია, და მართლაც უდიდესია ამიერკავკასიაში, ისეთ გიგანტებთან შედარებით, როგორიცაა მაგნიტოგორსკის, ჩერეპოვეცის, ლიპეცკის, კრივოიროგის მეტალურგიული ქარხნები, მოკრძალებით გამოიყურება. მაგალითად, მაგნიტოგორსკის მეტალურგიული ქარხანა წელიწადში 16 მილიონ ტონა ფოლადს იძლევა, რუსთავის კი — მილიონ 400 ათას ტონას.

ეს ციფრები იმიტომ არ მოვიტანე, რომ გული გავიტეხოთ, ან ხელი ჩავიქნიოთ, არა! რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას აქვს თავისი ფუნქცია, ამოცანები, დანიშნულება, მნიშვნელობა. დღეს ჩვენი რესპუბლიკა წარმოუდგენელია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გარეშე, რომლის წარმატებაზე ბევრი საწარმოს ბედ-იღბალია დამოკიდებული და რომლის პროდუქცია მსოფლიოს ორმოციოდე სოციალისტურ, კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყანაში იგზავნება.

საჭიროა ქარხნის გადაიარაღება და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვა. ტექნიკური წინადადება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფუნდამენტური გადაიარაღებისათვის, რომელიც ძირეულად შეცვლის მიხი პროდუქციის წარმადობის სტრუქტურას, ჯერ კიდევ 1977-1978 წლებში დაამუშავა თვით ქარხანამ და რუსთავში არსებულმა კვლევითმა ინსტიტუტმა „გრუზგიპრომეზმა". ამ წინადადების მიხედვით ქარხნის ხუთი ძირითადი საამქრო, რომელიც უოვლად მოძველებულია, ლიკვიდირებული იქნება და მათ მაგიერ აშენდება ერთი დიდი საამქრო — მარტენის ელექტროფოლადსადნობი საამქრო ნამზადების უფუვეტი ჩამოსხმის მანქანებით!!!

ამ ღონისძიების განხორციელებით ქარხნის წლიური წარმადობა გაიზრდება 400 ათასი ტონით და მიაღწევს მილიონ 800 ათას ტონა ფოლადს. პარალელურად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და მოგება. მნიშვნელოვნად შემსუბუქდება მეტალურგის მძიმე შრომის პირობები. საბოლოოდ მოგვარდება კადრების დენადობის საკითხი.

ქარხნის ტექნიკური გადაიარაღება ამავე დროს დადებითად გადაჭრის სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემებს. დღეისათვის გარემოს ძირითადი გამაჭუჭყიანებელია აგლოფაბრიკა, კოქსქიმიური და მარტენის საამქროები, ბრძმედები, რომლებიც მეტწილად მაზუთზე მუშაობენ. ფოლადის ელექტრული დნობის პირობებში კი მსგავსი გაჭუჭყიანება გამოირიცხული იქნება, აქ თავს იჩენს მეორე პრობლემა, რომელსაც ამთავითვე უნდა მიეცეს ჯეროვანი ყურადღება: ამჟამად რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ყოველწლიურად ხარჯავს დაახლოებით 400 მილიონამდე კილოვატსაათ ელექტროენერგიას, ელექტროდნობის მეთოდზე გადასვლისას კი წინასწარი გაანგარიშებით დამატებით კიდევ დასჭირდება ერთი მილიარდი კილოვატსაათი.

შარშან 16 ნოემბერს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, რომელიც იყო მილსაგლინავ საამქროში, გაეცნო საწარმოო პროცესს, ესაუბრა მუშებს, შეიტყო მათი ცხოვრების პირობები. ამხანაგმა ნ. ა. ტიხონოვმა გაიზიარა და მხარი დაუჭირა ქარხნის სტრატეგიულ-ფუნდამენტალურ გადაიარაღებას, რომლის ხორცშესხმასაც რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი დასჭირდება. ამ გრანდიოზული პროცესის დაწყება ნავარაუდევია XII ხუთწლედის ბოლოს და უნდა დამთავრდეს 1995 წლისათვის. აი, ასე იხატება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მომავლის კონტურები, რომლის მოწინავე ტექნიკითა და ტექნოლოგიით აღჭურვა უეჭველად დიდ ეკონომიკურ ღონეს მისცემს ქარხანას, მთელ რესპუბლიკას.

●

რუსთაველ მეტალურგთა ჩამორჩენის მეორე დიდი მიზეზი კადრების დენადობაა. შეიძლება გადაჭრილად ითქვას, რომ ქარხანას პირდაპირ ღრღნის კადრების ბოლომოუღებელი დენადობა, რაც საშუალოდ 16,8 პროცენტს შეადგენს. მეტალურგიულ ქარხანას აკლია ათას ხუთასი მუშა, როცა ქალაქის ირგვლივ მდებარე რაიონებში უოველ დილით 3000-4000 რუსთაველი მიემგზავრება სამუშაოზე, ხოლო მეტალურგთა რიგებს სტიქიურად ვავსებთ რესპუბლიკის სოფლის წარმომადგენლებით, რაც ართულებს სოციალურ პრობლემას და ახალ-ახალ თავსატეხს გვიჩენს.

რა იწვევს კადრების ასეთ დენადობას? ეს ერთი ფრაზით ვერ აიხსნება — მიზეზი მრავალი აქვს. რაღა დასამალია და, ბევრი გაურბის მეტალურგის მძიმე პროფესიას. მას დაემატა ისიც, რომ წინა წლებში სხვადასხვა დარგთა — მათთან ერთად მეტალურგიის — შორის მოხდა ხელფასების მექანიკური გათანაბრება, რამაც ბევრ მეფოლადეს გული აუცრუა თავის პროფესიაზე და გავარვარებულ მარტენის ღუმელთან ტრიალის ხალისი დაუკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგა. მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინათ მეტალურგიული ქარხნის მუშის თვიური ხელფასი დაბალი იყო რუსთავის 10 სხვა საწარმოს მუშის საშუალო თვიურ ხელფასზე. მართალია, ამ მხრივ მიღებულმა ღონისძიებებმა მეტალურგიული ქარხნის მუშის საშუალო თვიური ხელფასი მე-10 ადგილიდან მეხუთეზე გადმოანაცვლა, მაგრამ გასათვალისწინებელ-მოსაგვარებელი დეტალები მაინც კიდევ დარჩა.

კადრების გამწვავების საკითხმა განსაკუთრებით 1976 და მომდევნო წლებში იჩინა თავი. რატომ, რა მოხდა? სწორედ ამ წლებიდან იწყეს პენსიაზე მასობრივად წასვლა იმ სახელოვანი პირველი პლეადის მუშებმა, ვინც მეტალურგიული ქარხნის აკვანთან იდგა. ამ მომენტს კი საწარმოს სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობა ერთობ მოუმზადებელი შეხვდა როგორც ფსიქოლოგიურად, ისე პრაქტიკულად — საკადრო პოლიტიკა ვერ აღმოჩნდა დროის მოთხოვნათა დონეზე. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს საკითხიც თანდათან კალაპოტში დგება. სტაბილურობის ნიშნები ეტყობა: ამჟამად ქარხანაში ხუთი ათასზე მეტი ახალგაზრდა შრომობს, საიდანაც 4 000 კომკავშირელია. ეს ის ახალგაზრდული შრომითი კოლექტივია, რომელმაც უნდა გადაიბაროს ახალი ტექნიკითა და ტექნოლოგიით გადაიარაღებული მეტალურგიული ქარხანა და საპატიო ამოცანებს გაუსწოროს თვალი.

მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანს რევაზ თხელიძეს თავისი მოსაზრებები აქვს ქარხანაში კადრების ბოლო-მოულებელ დენადობაზე. მოუსმინეთ:

— უბედურება ის არის, რომ ამა თუ იმ საწარმოობიექტის დაგეგმვისას საგეგმო კომიტეტი არ ითვალისწინებს ყველაზე მთავარს — შრომითი რესურსების პრობლემას. ჩვენი ქალაქის ირგვლივ პირდაპირ სოკოებივით მომრავლდა ათასნაირი სამონტაჟო ორგანიზაციები. მოძრავი-მექანიზირებული კოლონები, სათბურები. სწორედ მათ შეჭამეს ჩვენი ქარხნის კადრები. ეჰ, ვინ მოსთვლის რამდენმა ოჭროსხელიანმა ხარატმა, ზეინკალმა, მეფოლადემ, მექურემ, ელექტროშემდუღებელმა, მექანიკოსმა, მეამწემ თუ მონტიორმა მიატოვა მშობლიური ქარხანა და სათბურებს მიაშურა, რას იზამ, ეკონომიკის ულმობელი ლოგიკა ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდა: აქ მუშა ცხელ საამქროში ოფლად იღვრება და თვეში 250-350 მანეთზე ძლივს გამოდის, იქ, სათბურში თავის ნებაზეა, სუფთა ჰაერზე ტრიალებს და თვეში 300-400 მანეთს აკეთებს. თანაც ზამთარ-ზაფხულ არ აკლია ქორფა კიტრი და პამიდორი. მართალია, სოციალისტური შრომის გმირ არჩილ ძმაშვილს, რომელმაც ქარხანას 40 წელი შეალია, სათბურში ოჭროები რომ დაუგროვოთ, მაინც არ უღალატებს თავის საწარმოს, მაგრამ როგორ მოვიქცეთ: არჩილისნაირი მუშები თითზე ჩამოსათვლელი გვყვანან, მერყეევი, კარგ ჯამაგირსა და იოლ სამუშაოს დახარბებული მუშები კი ასობით არიან.

პარტიული კომიტეტის მდივნის ტონში გულწრფელი, გულისტკივილი იგრძნობა. ვერც გაამტყუნებთ: 1958 წელს პირტიტველი ბიჭი მოვიდა ქარხანაში შავ მუშად და იქედან მოკიდებული თავისი საწარმოს საზრუნავითა და ავ-კარგით ცხოვრობს. ოთხი შვილის მამაა. მისმა უფროსმა ვაჟმა და რძალმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მეტალურგიულ ქარხანას მიაშურა.

— მართალია, გვიჭირს მაგრამ ჩვენ ფარხმალი არ დაგვიყრია, — განაგრძობს რ. თხელიძე,— რა ვქნათ, ცხოვრება ასეა მოწყობილი: მეფოლადეც გვჭირდება, მესათბურეც, მეყვავილეც, ოფიციანტიც... ჩვენ ჩვენ საქმეს მაინც უნდა გავუძღვეთ. რაც არ უნდა მოხდეს, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა იყო, არის და იქნება. კადრების დამაგრებაში დიდი როლი აკისრია ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას, ვცდილობთ უფრო დავხვეწოთ მუშაობის სტილი და მეთოდები...

მეტალურგიული ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ერთ-ერთი უდიდესია რესპუბლიკაში — თავის რიგებში 1.050 კომუნისტს და კანდიდატს აერთიანებს. პარტიული კომიტეტი ითვლის 45 პირველად პარტიულ ორგანიზაციას, 111 პარტიულ ჯგუფს და 98 პარტორგანიზატორს. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ სადაც პარტიული ორგანიზაცია უფრო აქტიურად იღწვის, სადაც თითოეული კომუნისტი მეტ პრინციპულობას იჩენს, იქ სამეურნეო მაჩვენებლებიც უკეთესია. ამ მხრივ სამაგალითოა მილსაგლინავი საამქროს პირველადი ორგანიზაცია (მდივანი ვარლამ ცერცვაძე). საამქრომ შარშანდელი გეგმა 103 პროცენტით შეასრულა. ასევე სახარბიელოა წარმოების ზრდის ტემპი; წლევანდელ იანვრის თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,2 პროცენტით გაიზარდა. საამქრო იძლევა მენავთობეებისა და მბურღავებისათვის საჭირო მილების საკავშირო მოცულობის 17 პროცენტს.

სამწუხაროდ, ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ყველა რგოლი ვერ იჩენს საჭირო პრინციპულობას, არ აქვს გამონახული ადამიანებთან მუშაობის ეფექტური სტილი. ამიტომ მოიკოჭლებს დისციპლინა, ხდება პარტიული ნორმებიდან გადახვევა. მარტო შარშან 22 კომუნისტს დაედო მკაცრი სასჯელი. აქედან ათი კომუნისტი გაირიცხა პარტიის რიგებიდან. რაზე მეტყველებს ეს ფაქტები? იმაზე, რომ პარტიულ ორგანიზაციას დიდი მუშაობა მართებს თავის რიგებში დისციპლინის განსამტკიცებლად, რათა მერე მთელს შრომითს კოლექტივს უფრო თამამად და სუფთა სინდის-ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსით წარუძღვეს საპატიო ამოცანების შესასრულებლად.

●

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გენერალური დირექტორის და მთავარი ინჟინრის კაბინეტის კარები ერთმანეთს უყურებს — ორივეს ერთი საერთო მისაღები აქვს. დილით მისული, მთელი საათი მდუმარედ ვიჯექი მოსაცდელში და ვუცდიდი დირექტორის მოსვლას. რაკი დირექტორი არ ჩანდა, პირადმა მდივანმა ქალმა აიღო რაღაც პაკეტების დასტა და დერეფანში გაუჩინარდა.

მთავარი ინჟინრის კაბინეტიდან გამოსულმა მუშამ, რომელმაც შემატყო რომ სავარძელში ისევ იმ პოზაში ვიჯექ, როგორც ოციოდე წუთის წინ, როცა მას მთავარი ინჟინრის კაბინეტში რაღაც ნახაზი შეჰქონდა, მომიახლოვდა და მოკეთურად მკითხა.

— აქ რას უზიხარ? ვის ელოდებით?

— დირექტორს.

— ამ დროს დირექტორს აქ რა უნდა?! — მუშამ საქმიანად ასწია წარბი, — კაბინეტში იქნება!

— კაბინეტში?!.. ჰოდა... აბა, კაბინეტში არ იყოო... ჯერ არ მოსულაო?!

მუშას სქელ ულვაშებში გულიანად ჩაეცინა.

— ჩვენი დირექტორის კაბინეტი მარტენის ღუმელთანაა! იქ, სადაც ხაწნახელიდან ქაფქაფა მაჭარი ჩამოდის... ციცხვიდან გადმოღვრილი ფოლადის ნაკადს ბიჭები ხუმრობით მაჭარს ვეძახით! ჰოდა, დირექტორი სულ იქ ტრიალებს და სადაც თვითონ არის კაბინეტიც იქ არ ექნება, რა გაკვირვებული მიყურებ?!

მუშა წამით ჩაფიქრდა, მერე გაკრიალებულ მისაღებს, მაგიდაზე ჩამწკრივებული ნაირფერი ტელეფონების ლეგიონს გულწრფელი უხეშობით გაუქნია ხელი და საიდუმლოსავით გამანდო.

— აქ ჯდომით საქმე არ გაკეთდება!.. ქარხნის ბედ-იღბალი იქ, საამქროებში და ბრძმედებთან წყდება... ამიტომ დირექტორიც მეტ წილად იქა ტრიალებს... ვინ იცის, აქ როდის მოვა, ან ეცლება თუ არა... ამიტომ გიჯობს ქარხნის ტერიტორიაზე ეძებო... ახლა შენ იცი!.. წავედი, მეჩქარება!

მითხრა ეს და მოსაცდელიდან ჩექმების ბრახუნით გავარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკოლოგიური პრობლემები

დემოგრაფიული პრობლემებისადმი მიძღვნილმა სჯა-ბაასმა („ცისკარი", 1983, № 8, გვ. 128-137) მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ამჯერად მეცნიერები და სპეციალისტები გარემოს დაცვისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა გონივრული გამოყენების უმწვავეს პრობლემებზე საუბრობენ.

მრგვალი მაგიდის მუშაობას წარმართავს ჟურნალისტი-ეკოლოგი **გვანჯი მანია.**

გვანჯი მანია.

— თითოეული ადამიანის ბუნებრივი სურვილია სწორად გაიგოს ეკოლოგიური კრიზისის არსი, ნათლად გაერკვეს თუ საიდან, როგორ წარმოიშვა იგი, რა ვითარება გვაქვს ახლა, რას გვიქადის მომავალი.

ფილოსოფია, სოციოლოგია, ეთიკა, ესთეტიკა, ოდითგანვე საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს იკვლევდნენ. ამჟამად ამ დარგის სპეციალისტთა ერთ-ერთი უმთავრესი საფიქრალ-საზრუნავი აღნიშნული გლობალური პრობლემაც გახლავთ; ეს მათი ვალია სრულად წარმოაჩინონ და დაანახონ ფართო საზოგადოებას რა არის „ავი" და რა არის „კარგი", რა არის „ბოროტი" და რა არის „კეთილი" ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაში.

— ბატონო ედუარდ, იქნებ ჩვენი მრგვალი მაგიდის მუშაობაც ამით დაგვეწყო?

**ედუარდ კოდუა,** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი):

ეკოლოგიური კრიზისის დამახასიათებელია წონასწორობის დარღვევა ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობაში. ჰაერი, წყალი, ნიადაგი, წიაღი, ფლორა და ფაუნა იმდენად გაჭუჭყიანდა, გაიფლანგა და გამოიფიტა, რომ ადამიანის ოიკოსი, როგორადაც წარმოგვიდგებოდა ბუნება ოდითგან, აღარ შეესაბამება მის დანიშნულებას, ვერ ასრულებს თავის ფუნქციას. ეკოლოგიური კრიზისი მრავალგანზომილებიანია.

თუ კაცობრიობას სურს არსებობის შენარჩუნება, უნდა დაიცვას ბუნება. კაცობრიობა ვერ შეაჩერებს ცივილიზაციის მსვლელობას, ეს კი ნიშნავს — რომ გაგრძელდება ბუნების უსაზღვრო ექსპლუატაცია, სხვანაირად კაცობრიობა ვერ იარსებებს, ამიტომ საკითხი არ ეხება ბუნების ექსპლუატაციის შეწყვეტას ან თუნდაც ერთ წერტილზე გაყინვას, საკითხი ეხება მხოლოდ იმას, რომ შეგვეძლოს ბუნების ექსპლუატაციის ახლო და შორეული შედეგების გათვალისწინება, ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულების შეცვლა; ანგარიში უნდა გავუწიოთ არა მარტო ადამიანთა, არამედ ბუნების მოთხოვნებსაც, მაგრამ თანამედროვე ვითარებაში ესეც განუხორციელებელი ჩანს. დემოგრაფიული რევოლუცია არ იძლევა საშუალებას, ზრუნვის საგანი გავხადოთ ბუნება.

დემოგრაფიული ციკლების დაჩქარება იწვევს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, აუცილებელი ხდება ბუნებაზე უფრო ეფექტური ზემოქმედების საშუალებათა შექმნა. ადამიანსა და ბუნებას შორის წინააღმდეგობა თანდათან უფრო მწვავდება. ქალაქების გაშენება მოითხოვს მიწების დიდ ფონდს, რომელნიც კარგავენ პირველად დანიშნულებას. ისინი აკლდება სახნავ-სათესს, საძოვარს, ტყის გასაშენებელ ადგილებს. ამავე დროს ქალაქი მოითხოვს დიდი რაოდენობით წყლის რესურსებს, იმდენად დიდი რაოდენობით, რომ არც ერთ ქალაქს არ ყოფნის წყალი. წყალს ქალაქი სახმელეთის გარდა სამრეწველო საწარმოთა საჭიროებისთვისაც მოიხმარს, ეს უფრო ადიდებს წყლის რესურსების ექსპლუატაციას, მტკნარი წყლის მარაგი კი სულ ერთ როდია. 2100 წლისთვის კაცობრიობის მოთხოვნილება წყალზე, გადააჭარბებს მტკნარი წყლის მსოფლიო მარაგს.

ანალოგიური ვითარებაა ჰაერის მიმართ. ყან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გბადი სჭირდება ადამიანს, მაგრამ აუცილებელია წარმოების პროცესშიც, ის წვის ერთ-ერთი კომპონენტია, მას მოიხმარს ყოველი ძრავა, „ოთხძრავიანი რეაქტიული „ბოინგი", რომელიც ფრენს მარშრუტით პარიზი—ნიუ-იორკი, ხარჯავს 36 ტონა ჟანგბადს, ზებგერითი „კონკორდი" აფრენისას წამში 700 კგ ჰაერს მოიხმარს. მსოფლიო კომერციული ავიაცია წელიწადში ხარჯავს იმდენ ჟანგბადს, რამდენსაც ორი მილიარდი ადამიანი, მსოფლიოში 250 მილიონი ავტომობილისათვის იმდენივე ჟანგბადია საჭირო, რამდენიც დედამიწის მთელი მოსახლეობისათვისაა აუცილებელი (Сен-Марк, Социализация природы, Москва, 1977, ст. 63).

ამავე დროს ადამიანი ანადგურებს დედამიწის მწვანე საფარს, რომელიც ჟანგბადის მნიშვნელოვანი წყაროა. აშშ-ში, სადაც მე-18 საუკუნეში 170 მილიონი ჰექტარი ტყე იყო, თითქმის არაფერი დარჩა. ამერიკის კონტინენტზე მხოლოდ ერთი დიდი უსიერი ტყეა შემორჩენილი ბრაზილიაში და ამჟამად მისი გაკაფვის და ექსპლუატაციის პროცესი დაიწყო. არც სხვა კონტინენტზეა უკეთესი ვითარება. ტექნიკა და გზა ტყის მტერია. თუ ამას დაუმატებთ ტყის ხანძრებს და სტიქიურ უბედურებებს, მცენარეთა მასობრივ დაავადებებს და სხვა, გასაგები იქნება მწვანე სამოსის შემცირებით რამდენად შემცირდა ჟანგბადი, განსაკუთრებით იგრძნობა ეს დიდ ქალაქებში, ამიტომ ახლა დგება დილემა — ურბანიზაცია თუ რურალიზაცია? ყოველ შემთხვევაში ურბანიზაციის გაბატონებულ ტენდენციას ბზარი გაუჩნდა.

ანალოგიური ვითარებაა ენერგეტიკული ბალანსის და წიაღისეული სიმდიდრეების მხრივ. მწვავედ იგრძნობა ნიადაგების ეროზიის შედეგები. ამას ემატება ქიმიური მრეწველობის განვითარების და მისი პროდუქტების გამოყენების შედეგად ნიადაგის, ჰაერის და წყლის გაჭუჭყიანება. ამას ერთვის ატომური და ქიმიური იარაღის გამოცდის, ისე როგორც ურანის ნარჩენების წყლებში და ნიადაგში დამარხვის შედეგად წარმოშობილი მავნე ნივთიერებანი. მიწის საფარის შეცვლა გუდრონის საფარით. რამდენად გაჭუჭყიანდა ტექნიკით, სამრეწველო საწარმოებით გადატვირთული ქალაქების ჰაერი და რამდენად დიდია ხმაურის, ვიბრაციის დამანგრეველი გავლენა, ამას მოწმობს ქაიროს მაგალითი: იქ დადგეს რამზეს მეორეს ბიუსტი, სადაც ის ახალივით გამოიყურებოდა, თუმცა ათასეული წლების ისტორიული ძეგლი იყო; ქაიროში კი ამ ძეგლმა მანქანების გამონაბოლქვის საფუძველზე იწყო დაშლა. თუ ქალაქის ჰაერი ბიუსტს შლის, რა დღეში ჩააყენებს ადამიანის ორგანიზმს, რომელსაც არა აქვს მექანიკური სხეულების არც სიმაგრე და არც გამძლეობა?! ამას ემატება კარცეროგენულ ნივთიერებათა მზარდი შემცველობა ნიადაგსა, წყალსა და ჰაერში. ყოველივე ეს კი ქმნის კრიზისულ ვითარებას. ბუნებრივ წონასწორობაში ხელოვნური ჩარევა, ბუნების ცალკეულ კომპონენტთა უყაირათოდ ხარჯვა, ამ კომპონენტებს შორის წონასწორობის დარღვევა იწვევს სხვა კომპონენტთა დეგრადაციას. მათი მარაგის შემცირებას.

ადამიანი გონიერი არსებაა, ბუნება კი უგონო. გონიერი ადამიანი უგონო ბუნებას უნდა ეხმარებოდეს, მაგრამ ხდება პირიქით: უგონო ბუნებაში არსებულ წონასწორობას არღვევს გონიერი ადამიანი და ზოგჯერ ამ დარღვეული წონასწორობის აღდგენას არა თუ თვითონ ვერ ახერხებს, ბუნებასაც უკარგავს ასეთ შესაძლებლობას.

ადამიანის ყოველი უგუნური მოქმედება ბუნების მიმართ, იწვევს ბუნების უკურეაქციას.

ალბათ დღეს დონკიხოტობა იქნება, მოვითხოვოთ ბუნებისადმი იმ დამოკიდებულების აღდგენა, რომელიც ჰქონდა ადამიანს კერპთაყვანისმცემლობის ეპოქაში, როდესაც ადამიანი ბუნებას აღმერთებდა. ეს შეუძლებელიცაა და განუხორციელებელიც.

ადამიანის ხელგაშლილი დამოკიდებულება ბუნებასთან ემყარებოდა ბუნების ულევობის მცდარ წარმოდგენას. ამჟამად გაცხადდა, რომ ბუნებაში ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, ამიტომ დღეს საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკის გვერდით აუცილებელი ხდება ბუნების ეკონომიკის შექმნა.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე უარის თქმა ან მისი შენელება კი არაა გამოსავალი, არამედ ამ პროცესების ადამიანის ყოფიერების შესაბამისად და სასარგებლოდ გამოყენება და მისი წარმართვა, ბუნების კანონზომიერების გათვალისწინების გზით.

ბ. მ. — ვფიქრობთ, მშობლიური ბუნების დაცვის დიდი საქმისათვის, ხშირად ზიანი მოაქვს მოარულ აზრს, რომ საქართველო არის ედემი, ღმერთის ნაჩუქარი ადგილი, სადაც პური არსობისა ადვილად მოიპოვება და ა. შ. სინამდვილეში მშრომელი კაცის ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოში ადვილი სულაც არ არის, თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყნის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მთა-გორიანია, ხოლო ბუნება მარტო ლამაზი კი არა, მკაცრიც არის — მნიშვნელოვანია ზარალი, რომელსაც საქართველო განიცდის სტიქიურ მოვლენათა და გარემოს გაჭუჭყიანების გამო.

ამ ვითარებაში სოციალურ ეკოლოგიას, რომელიც სხვადასხვა სამეცნიერო დარგების მიჯნაზე ვითარდება, უთუოდ ძალუძს შედარებით სრულად დაგვიხატოს საზოგადოებისა და ბიოსფეროს მრავალფეროვანი ურთიერთმოქმედების კანონზომიერებანი, დაგვანახოს მოვლენათა რეალური კავშირები, წარმოაჩინოს ახლო და შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეული მომავლის ეკოლოგიური პერსპექტივები, ხელი შეუწყოს დედაბუნებისადმი საერთოდ, და საქართველოს ბუნებისადმი, კერძოდ, ახლებური, მართებული განწყობილება-წარმოდგენების დამკვიდრებას. კარგი იქნებოდა მოკლედ ამაზეც გვესაუბრა.

**ედუარდ კოდუა:** — **კრიზისიდან ერთადერთი გამოსავალი — დიალოგი ბუნებასა და ადამიანს შორის. სისტემა ადამიანი-ბუნება დილემა კი არ უნდა იყოს და არ უნდა ნიშნავდეს ან ადამიანი ან ბუნებას, არამედ სწორედ ადამიანსა და ბუნებას შორის უნდა გამოინახოს თანაარსებობის განხორციელების გზები. ეს შესაძლებელი იქნება ადამიანის და ბუნების კანონზომიერებათა წვდომით, მათ სილრმეში შეჭრით, რაც საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ მათი განვითარების შორეული პერსპექტივები, რომელიც გაგვათავისუფლებს უტილიტარიზმისა და ეგოიზმის ტყვეობისაგან.**

**ბუნების ნარჩენების თუ ნაშთების შენარჩუნების ცდაა ნაკრძალების შექმნა, ისინი მომავალი ადამიანებისათვის თავისებური მუზეუმები იქნება, რომელიც გააცნობს მათ ბუნებას მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციამდე და შეიძლება სამრეწველო გადატრიალებამდეც. ამავე დროს ეს იქნება თავისებური გამაჯანსაღებელი წყაროები თუ ბუნებრივი ფილტვები თანამედროვე კაცობრიობისათვის. ამიტომ დღეს მათი რიცხვი იზრდება, მაგრამ საქმეს ეს ვერ შველის. მოსახლეობის გამრავლება სულ უფრო ავიწროებს ამ ნაკრძალთა არეალს, რადგან მოითხოვს სახნავ-სათესი ფართობების ზრდას. ბუნებრივია, რომ ადამიანები სულ უფრო მჭიდრო რკალს შემოავლებენ ამ ნაკრძალებს თუ საერთოდ ბევრ მათგანს, რომელნიც ნაყოფიერ მიწებზე მდებარეობენ არ გააუქმებენ. ასეთი საფრთხე რეალურად ემუქრება ბევრ მათგანს. მათ საფრთხე ელით სასოფლო სამეურნეო ქიმიის მხრივაც, რომელსაც იყენებენ ნაკრძალების გარეთ, მაგრამ რომლის ტოქსიკური მოქმედება ნაკრძალებზეც ვრცელდება და ადამიანებზეც.**

**გ. მ.** — ბატონ ედუარდის მიერ ჩამოყალიბებული მრავალი დებულებიდან ერთ-ერთს, არსებითს, ადამიანის დაცვის პრობლემას ჩავეძიოთ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით; ცნობილია, მეცნიერები ჩვენს დროში სიკვდილიანობის მთავარ მიზეზებად გულსისხლძარღვების, კიბოს და მემკვიდრეობით დაავადებებს მიიჩნევენ. მათი ზრდა ან შემცირება, ძირითადად, აქტიური ნაერთებით ბიოსფეროს გაჭუჭყიანების ხარისხზეა დამოკიდებული.

მართლაც, მედიცინის მუშაკზე უკეთ აბა ვინ იტყვის, თუ რა სავალალო შედეგი მოაქვს ადამიანისათვის, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის სასუქებისა და შხამქიმიკატების არასწორ გამოყენებას, ნავთობპროდუქტებით გარემოს გაჭუჭყიანებას, ავტომობილებისა თუ ქარხნების მილებიდან ამოსროლილ მავნე აირებს, გაუწმენდავი ნახმარი წყლების წყალსატევებში ჩაშვებას, საწარმოო ნარჩენების გარემოში მიმოფანტვას, ტყისა და მწვანე ნარგავების უსისტემო ჭრას, ნაგავსაყრელების უგულებელყოფას და ა. შ.

დიდი საბჭოთა გენეტიკოსი, აკადემიკოსი ნ. პ. დუბინინი გვაფრთხილებს, ამჟამად მსოფლიოში, გარემოს ინტენსიური გაჭუჭყიანების მიზეზით ბავშვების 10 პროცენტი, ზოგან 18, არანორმალურნი იბადებიან; ექიმის მიერ მოპოვებული მსგავსი საგანგაშო ფაქტები, ცხადია, გარემოს ხელმყოფი საწარმოს თუ დაწესებულების ხელმძღვანელზე მეტს იმოქმედებს ვიდრე ათასი ჯარიმა.

ამასთან დაკავშირებით ბატონ გივის ვთხოვთ, გვიამბოს მედიცინის ახალ დარგებში — გარემოს ჰიგიენასა და ეკოლოგიაში მიმდინარე მუშაობისა და პერსპექტივების შესახებ.

**გივი აბდუშელიშვილი,** (**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი**):

— **გარემოს გაბინძურების პრობლემის გადაჭრით ახლო წარსულში დაინტერესებული იყო მკვლევართა შედარებით ვიწრო წრე. ამჟამად ეს პრობლემა როგორც სამეცნიერო-თეორიული, ისე პრაქტიკული თვალთახედვით, თანამედროვეობის მთავარ მიმართულებად გადაიქცა.**

**თუ ორი-სამი ათეული წლის წინათ ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების ძირითად წყაროდ სამრეწველო ობიექტების გამონაბოლქვები ითვლებოდა, თანამედროვე ეტაპზე საავტომობილო ტრანსპორტია, რომლის გამონაბოლქვი აირები მსოფლიოს მსხვილი ქალაქების საჰაერო აუზის გამაბინძურებელთა 50-90 პროცენტს შეადგენენ.**

**გამოკვლეულია, რომ ქ. თბილისის ატმოსფერულ ჰაერში სამრეწველო ობიექტებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მიერ ყოველწლიურად გამოიტყორცნება რამდენიმე ათასი ტონა მავნე ნივთიერებები, საავტომობილო ტრანსპორტის წვლილი ჯამურ გამონაბოლქვებში შეადგენს 81 პროცენტს.**

**ჰაერის გაბინძურება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიურ სისტემაზე და განაპირობებს რიგ დაავადებებს. დაავადებათა სიხშირე უშუალოდ დამოკიდებულია გაბინძურების ინტენსივობაზე. ჩვენს ქვეყანაში, მართალია არ ჰქონია ადგილი სმოგსა და მასთან დაკავშირებული ავადობის კატასტროფულ ზრდას, მასიურ სიკვდილიანობას, მაგრამ აკადემიკოს ვ. დ. ტიმაკოვის სიტყვები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მოვიშველიოთ უკანასკნელი წლების მანძილზე ქრონიკული დაავადებების კუთრმა წონამ ძალიან მოიმატა ავადობის საერთო სტრუქტურაში, გაძნელდა ამ ავადობათა დიაგნოსტირება და ისინი ცუდად ემორჩილებიან თერაპიულ ზემოქმედებას. მათ რიცხვს მიეკუთვნება ფილტვების კრუპოზული ანთება, ზოგიერთი ვირუსული ინფექცია, ალერგიული, გულსისხლძარღვოვანი და სხვა დაავადებანი. აკადემიკოსი ტიმაკოვი სვამს საკითხს სამედიცინო აკადემიამ გაამახვილოს ყურადღება ამ ავადობათა ეთიოპათოგენეზში გარემოს ფაქტორების როლის და მნიშვნელობის დადგენაზე.

საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების მხრივ საშიში ობიექტები განლაგებულია 25 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში, რომელთაგანაც ატმოსფერული ჰაერის ყველაზე ინტენსიურ გამაბინძურებლად ითვლება რუსთავის ქიმიური და მეტალურგიული კომბინატები, ცემენტის ქარხანა, კასპის ცემენტისა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნები.

ქ. რუსთავში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები დასახლებულ რაიონებში. გამოვლენილია, რომ მათი ქრონიკული ზემოქმედება მოსახლეობაში რიგ ადაპტაციურ-შეგუებითი ხასიათის ძვრებს იწვევს, რაც ბავშვებში კოპროპორფირინების და 17 კეტოსტეროიდების, ერითროციტების, ჰემოგლობინის, კარბოქსილჰემოგლობინის, მეტჰემოგლობინის და კატალიზის დათრგუნვასა თუ მომატებაში გამოიხატება, ხოლო ქალებში ამას მოსდევს მენსტრუალური ფუნქციის ნაადრევი დარღვევები (ციკლის არევა და სრული შეწყვეტა 26-40 წლის ასაკში), ერთ ქალზე ორსულობის რაოდენობის შემცირება (საკონტროლო ჯგუფთან შედარებით) სპონტანური აბორტები და ნაადრევი მშობიარობა, ორსულობის და მშობიარობის პათოლოგიური ფორმები და ა. შ.

ავტომანქანების გამონაბოლქვი გაზებით თბილისის, სოხუმის და ბათუმის ზოგიერთი მაგისტრალური ქუჩების ჰაერით გაბინძურების შესწავლამ დაგვანახა, რომ ატმოსფერო ბინძურდება ოქსიდანტებით, აზოტის ორჟანგით და ნახშირჟანგა გაზით. აღსანიშნავია, რომ მეჩხერი, ერთ მწკრივიანი მწვანე ნარგავები და მაგისტრალის გასწვრივ განლაგებული შენობები, დასახლებული ადგილების შიდა ტერიტორიას გაბინძურებისაგან ვერ იცავენ. ამ ბარიერების ეფექტი ჩვენს პირობებში მხოლოდ 7-10 პროცენტია, მაშინ, როცა იგივე მონაცემები მოსკოვში 29-30-ს აღემატება.

ფეროშენადნობთა ქარხნის გამონაყოფების შედეგად ქ. ზესტაფონის ატმოსფერული ჰაერი ძირითადად ბინძურდება ნახშირჟანგა გაზით, გოგირდოვანი ანჰიდრიდით, ამიაკით, მანგანუმით. ჰაერის მანგანუმით დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი აპირობებს გარემოს და განსაკუთრებით ადგილობრივი წარმოების საკვები პროდუქტების გაბინძურებას. მოსახლეობაში აღინიშნება რიგი ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური ძვრები. ქარხნის ახლოს განლაგებული საცხოვრებელი რაიონების მოსახლეობის ავადობის შესწავლამ დაგვანახა, რომ წლის განმავლობაში ქ. ზესტაფონის მოსახლეობის 50 პროცენტი ავადდება, მაშინ როცა ავადმყოფთა რიცხვი საკონტროლო რაიონში შეადგენს მოსახლეობის მხოლოდ 28 პროცენტს.

კასპის ცემენტის ქარხანა შეიძლება ჩაითვალოს მტვრის გამოყოფის ყველაზე ინტენსიურ წყაროდ რესპუბლიკაში. მტვრის ეს მაღალი კონცენტრაცია არ არის უვნებელი მოსახლეობისათვის. ყველაზე გაბინძურებულ რაიონში მცხოვრებ ბავშვთა შორის აღინიშნება სიმაღლეხა და წონაში ჩამორჩენა საკონტროლო ბავშვებთან შედარებით. ეს განსხვავება უფრო გამოხატულია ქალიშვილებში, ვინემ ვაჟებში. გაძლიერებულია გულმკერდის ექსკურსია. ცვლილებები აღინიშნება ზოგიერთ ბიოქიმიურ მაჩვენებლებში და სისხლის ფორმულაში, ავადობის შესწავლამ დაგვანახა, რომ რესპირატორული დაავადებების ხვედრითი წონა და სიხშირე უფრო მაღალია აღნიშნული რაიონის ბავშვებში.

და ბოლოს, როგორც აღვნიშნეთ, მსხვილი ქალაქების გარემოს, კერძოდ, ატმოსფერული ჰაერის მთავარი გამაბინძურებელი საავტომობილო ტრანსპორტია. ამჟამად საშუალოდ ქ. თბილისის 8-10 მოსახლეზე მოდის ერთი მანქანა. თუ მანქანების მფლობელთა დიდი არმია შეიგნებს, რომ გარემოს გაბინძურების ძირითადი მიზეზი ძრავის მოუწესრიგებლობაა, თუ ამ საქმეს სათანადო ყურადღებას მიაქცევს საავტომობილო ინსპექცია, თუ დამყარდა მკაცრი კონტროლი საწვავი მასალის ხარისხზე, გარემოს გაბინძურების მაღალი მაჩვენებელი უცებ 10 პროცენტით მაინც შემცირდება.

გარემოს დაცვის პრობლემა დიდი სახელმწიფოებრივი ზრუნვის საქმე გახდა. იხარჯება დიდძალი თანხები; მნიშვნელოვნად იზრდება თითოეული მოქალაქის წვლილიც და ცხადია, ექიმებს, მედიკოსებსაც გაცილებით მეტის გაკეთება მართებთ.

---

ეკოლოგიური პრობლემები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გ. მ.** — ჯანსაღი ბიოსფეროსათვის გაჩაღებული მოძრაობის მეთავენი მეცნიერები არიან.

ცნობილია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტშიც ნაყოფიერად იკვლევენ ციურ სხეულებს, მონაწილეობენ კოსმოსის სივრცის ათვისებასა და სხვა მასშტაბური პრობლემების გადაწყვეტაში.

ამ დროს, თითქოს პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, ხშირად სათანადო ყურადღების გარეშე რჩება ჩვეულებრივი, მიწიერი საქმეები — ჩაკეტილი წყალბრუნვითი ციკლი, ეფექტური გამწმენდი ნაგებობანი, მცირენარჩენიანი ტექნოლოგიური პროცესი, სეტყვა, ეროზია, სარეველები, ცხოველთა და მცენარეთა იშვიათი სახეობები...

ბატონო ლეონიდე, იქნებ გვითხრათ რა კონკრეტული წვლილი შეაქვს იუნესკოს საერთაშორისო პროგრამა „ადამიანი და ბიოსფეროს" საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიას, რომელთაც თქვენ უძღვებით, გარემოს დაცვის გლობალური პრობლემის გადაწყვეტაში?

**ლეონიდე გაბუნია, (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი):**

**— ის, რასაც თქვენ პარადოქსს უწოდებთ, ჩვენი ეპოქისათვის ფრიად დამახასიათებელი მოვლენაა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ უნდა ვეცადოთ არსებულ შეუსაბამობათა შეძლებისდაგვარად შემცირებას.**

**იუნესკოს საერთაშორისო პროგრამა „ადამიანი და ბიოსფერო" (მაბ) 1970 წელს ჩამოყალიბდა. 1975 წელს შეიქმნა „მაბ"-ის საკავშირო კომიტეტი, ხოლო 1979 წელს საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი.**

**„მაბ"-ის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა ორგანიზაციების წამყვანი მეცნიერები და სპეციალისტები, შეიქმნა სამუშაო პროგრამა, რომლის დამუშავებაში მონაწილეობს 80-მდე დაწესებულება — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები, სატყეო მეურნეობისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სახელმწიფო კომიტეტი და სხვა. „მაბ"-ის საქართველოს კომიტეტი კოორდინაციას უწევს ცამეტი პროექტით გათვალისწინებულ 80-მდე თემის დამუშავებას. დღეს უკვე ბევრი რამ გაკეთდა საყურადღებო. დავასახელებ მხოლოდ ზოგიერთ სამუშაოს.**

**ამჟამად უკვე დასრულდა კოლხეთის დაბლობის ტყის დამცველი ზოლების სისტემის დამუშავება. შედგენილია კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული ნაწილის ზუსტი ჰიდროგრაფიული სქემაც. გაანგარიშებულია წყლის ბალანსი, შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები პალიასტომის ტბის მიდამოების ჰიდროგრაფიული ქსელის რეკონსტრუქციისა და აღდგენისათვის, გამოვლენილია კოლხეთის რეკრეაციული რესურსები, დასახულია რეგიონის საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების მრავალწლიანი პერსპექტიული გეგმა.**

**შესწავლილია სხვადასხვა კატეგორიის ტყეების რეკრეაციული დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობები და დასახულია სათანადო საორგანიზაციო ღონისძიებანი.**

**დამთავრდა სპეციალური პრეპარატის გამოცდა, რომელიც ხასიათდება მერქანში ადვილად შეღწევის უნარით და ბევრად ეფექტურია წინა წლებში ნაძვის დიდი ლაფნიჭამიის წინააღმდეგ გამოყენებულ პრეპარატთან შედარებით; ამავე დროს ფიტოტოქსიკურიც არ არის და ბუნებაში ადვილად იშლება.**

**დადგენილია, რომ ყაზბეგის რაიონის მდელოები ექსტენსიური ძოვების გამო ძლიერ არის დეგრადირებული, მაგრამ ნივთიერებისა და ენერგიის ბალანსს ასეთ დარღვეულ ფიტოცენოზებში რამდენადმე აწონასწორებს მასის ძლიერი აკუმულაცია ნიადაგის ზედაპირზე, ფოთლების ვერტიკალური ორიენტაცია მზის სხივების მიმართ, მცენარეში წყლისა და ნახშირორჟანგის გატარების დიდი უნარი. მიუხედავად ამისა, დაისახა ღონისძიებები მდელოების დეგრადაციის თავიდან ასაცილებლად.**

**დამუშავებულია სარწყავი წყლის განაწილების მეთოდიკა; განსაზღვრულია რწყვისწინა პერიოდის სინოტივე და რწყვის ნორმები ზემო სამგორის სისტემის მაგალითზე.**

**შესწავლილია ბუნებრივ გარემოზე მთის წყალსატევების ზეგავლენა და დამუშავებულია მათი დაცვის პრინციპები. განსაზღვრულია შავი ზღვის დონის ცვალებადობის გავლენა სანაპირო ტერიტორიის დაჭაობებაზე.**

**შექმნილია იმერული ცხვრის საჯიშე მეურნეობა და საჯიშე ფერმები თერჯოლისა და ხაჩხერის რაიონებში; შეგროვილია ხორბლის 180 ფორმა, შესწავლილია პირველი თაობის 150 ჰიბრიდული კომბინაცია, შერჩეულია საუკეთესო გენოტიპები პირველი თაობის სასელექციო სანერგის შესაქმნელად. „მაბ"-ის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ინიციატივით გამოიყო ცაგერის რაიონში 10 ჰექტარი ნაკვეთი, სადაც შეიქმნა ნაკრძალი ქართული ხორბლის ენდემური სახეობების და აბორიგენული ჯიშპოპულაციების შენარჩუნება-გამრავლების მიზნით. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ამავე მიზნით გამოყო სასოფლო სკოლები, რომლებიც თავიანთ საცდელ ნაკვეთებზე ხორბლის ენდემურ ჯიშებს გაამრავლებენ.**

**შემუშავებულია ჰაერის გაჭუჭყიანების პროგნოზის მეთოდიკა. გამოვლენილია ძირითადი გამაჭუჭყიანებელი ორგანიზაციები, შედგენილია ქ. თბილისის გოგირდოვანი გაზებით, აზოტის**

ორეანგით და მტვრით გაჭუჭყიანების პროგნოზის სქემა.

შესწავლილია შრომის პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ავადობა რუსთავის ქიმიური ბოჭკოსა და ქიმიური ქარხნის მუშათა შორის. დადგენილია, რომ ხმაურის დონე აღნიშნულ ქარხნებში უმრავლეს უბნებზე სანიტარულ ნორმებზე მეტია, ასევე ზოგიერთ საამქროებში ბუნებრივი განათება სანიტარულ ნორმაზე დაბალია. კვლევის ეს შედეგები გადაეცა ჯანდაცვის სამინისტროს.

ბ. მ. — უკანასკნელ წლებში დედამიწის სხვადასხვა რეგიონში შეიქმნა ბიოსფერული ნაკრძალები, რომელთა ამოცანაა ფლორის, ფაუნის და მრავალფეროვანი ეკოსისტემის შენარჩუნება, მათი ცხოვრებისა და ფუნქციონირების კანონების შესწავლა, ბიოსფეროს ცვლილებებზე დაკვირვება, ეკოლოგიური განათლება და კადრების მომზადება (მსოფლიოს 62 ქვეყანაში მოქმედებს ასეთი ტიპის 226 ნაკრძალი, მათ შორის სსრ კავშირში 15). რა პერსპექტივები გესახებათ ამ მხრივ საქართველოში?

ლეონიდე გაბუნია: — ბიოსფერული ნაკრძალის შექმნა საქართველოში, უთუოდ, მიზანშეწონილია. ჩემი აზრით, ასეთი ნაკრძალი უნდა ჩამოყალიბდეს რომელიმე არსებული სახელმწიფო ნაკრძალის ბაზაზე. ამ საკითხის შესწავლა და გადაწყვეტა, ალბათ, სატყეო მეურნეობის სამინისტროს ნაკრძალთა სამმართველოს კომპეტენციას შეადგენს.

ბ. მ. — ცნობილია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხანაში ტყის რესურსების გამოყენება ძლიერ გაიზარდა. საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა. ამ ზიანის გამოსწორებას ცდილობს თანამედროვე მეტყევეობა.

ბატონ გიორგის ვთხოვთ, გვიამბოს, როგორ არის ამ მხრივ საქმე საქართველოში, ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების, აღწარმოებისა და დაცვის კლასიკური ტრადიციების ქვეყანაში?

გიორგი გიგაური, (ვახილ გულიაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი):

ტყეების სოციალურ-დაცვითი ფუნქციების შენარჩუნება, განსაკუთრებით მთიან ქვეყნებში, მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს საკითხს ტყის ჭრის გამარტივებული წესების უარყოფის შესახებ. საქართველოსა და სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკების, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების (ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, რუმინეთი, ავსტრია, შვეიცარია და სხვა) მთის ტყეებში მეურნეობის მრავალწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ტყის ექსპლუატაციის მისაღებ სისტემებს ე. წ. ნებით — ამორჩევითი, ჯგუფურ-ამორჩევითი და თანდათანობითი ჭრები წარმოადგენენ, რომლებიც მთლიანად პასუხობენ მეტყევეობის მოთხოვნებს.

მიუხედავად ამისა, ძალიან ხშირად მთის ტყეებში მერქნით სარგებლობის საკითხის განხილვისას, როგორც წესი, პირველ რიგში, მხოლოდ მოსაჭრელი ხე-ტყის ოდენობას გულისხმობენ ხოლმე, ე. ი. იანგარიშება თუ რამდენი კუბური მეტრი ხე-ტყის მოჭრა და გამოტანა შეიძლება, ხოლო ამ ტყეების სოციალურ-ეკოლოგიურ ფუნქციებს ნაკლები ყურადღება ექცევა.

ტყით უწყვეტი და გამოულეველი სარგებლობის პრინციპისა და საერთოდ ხე-ტყის დამზადების ეკოლოგიზაციის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოში მერქნით სარგებლობა მთლიანად ტყეების სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციების შენარჩუნებასა და გაძლიერებაზე არის დაფუძნებული, მერქნით სარგებლობის ოდენობა არ აღემატება საექსპლუატაციოდ ვარგისი ტყეების მერქნის ყოველწლიური ნამატის სიდიდეს. ტყეების საერთო მდგომარეობასა, პროდუქტიულობასა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის პირველ რიგში იჭრება ფაუტი, წვერხმელი, დაბრეცილღეროიანი, ზრდაში ჩამორჩენილი, მსხვილი ზომის გადაბერებული და სხვა არასასურველი ხეების ეგზემპლიარები, რომლებიც ხელს უშლიან ჯანსაღი სწორი ღეროს მქონე მაღალპროდუქტიული ხეებისა ან მათი ჯგუფების ნორმალურ ზრდასა და განვითარებას.

ასევე საჭიროა ერთ მნიშვნელოვან საკითხზეც გამახვილდეს ყურადღება. კერძოდ, გაძნელებულია ტყეების სოციალური თუ ეკოლოგიური თვისებების ეკონომიკური შეფასება, ე. ი. ჯერ კიდევ სრულად ვერ ვადგენთ კონკრეტულად, თუ რა სარგებლობა მოაქვს ტყეების ამ ე. წ. „აუწონავ" ფუნქციებს, რის გამოც, გლობალურად თუ განვიხილავთ საკითხს, ტყეების მნიშვნელობა, ძალიან ხშირად, ძირითადად იმით ფასდება თუ რამდენი კუბომეტრი და როგორი ხარისხის ხე-ტყის მოჭრა და გამოტანა შეიძლება ტყიდან. მომავალში ტყეების სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციები ღრმა მეცნიერულ დონეზე უნდა იქნას შესწავლილი ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა კორომის შემადგენლობა, სტრუქტურა, სიხშირე, მთის ფერდობების ექსპოზიცია, დაქანების სიმკვეთრე და სხვა. მხოლოდ ამის საფუძველზე უნდა დამუშავდეს მთის ტყეებში მეურნეობის გაძღოლის ძირითადი მიმართულებები და წესები.

ბ. მ. — ამჟამად საქართველოს მთელი ტერიტორიის 38,8 პროცენტი ტყით არის დაფარული.

ამიტომ ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ ტყე საქართველოს საკმარისი აქვს.

როგორ ფიქრობთ, ხომ არ ავიწყდება ზოგი სამეურნეო დარგის ხელმძღვანელს, რომ ჩვენი ტყეების 98 პროცენტი მთის ტყეებია, საკავშირო სატყეო კანონმდებლობით პირველი ჯგუფის ტყეებს განეკუთვნება, და, ამდენად; აქ მეურნეობის გაძღოლის მთავარი მიზანი ტყით სარგებლობა კი არა, მისი წყალშემნახვი, ნიადაგდაცვითი, ჰავის მარეგულირებელი, ცხოველთა გამამრავლებელი და რეკრეაციული ფუნქციების გაძლიერება არის?

**გიორგი გიგაური:** — მართალია, საქართველო ტყიანობის მიხედვით არა მარტო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, არამედ ევროპის ქვეყნებს შორისაც კი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. უკანასკნელი მონაცემებით რესპუბლიკის ტერიტორიის თითქმის 39 პროცენტი ტყითაა დაფარული, ეს კი ძალიან ხშირად საბაბი ხდება საქართველოში ტყის ექსპლუატაციის მოცულობითი გადიდების მტკიცებისათვის. მაგრამ, ეს გარემოება სრულად არ იძლევა საქართველოს ტყეებში მერქნით სარგებლობის ყოველწლიური ოდენობის გადიდების საფუძველს. ტყეების ექსპლუატაციის მასშტაბების განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ იმას კი არა აქვს, თუ ქვეყნის ტერიტორიის რა ნაწილია (დიდი თუ მცირე) ტყით დაფარული, არამედ აქ მთავარი მაინც ისაა თუ როგორია ტყეების ამჟამინდელი მდგომარეობა, როგორია მისი პროდუქტიულობის ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი მაჩვენებლები და რა კონკრეტული ფუნქციის შესრულება ეკისრება ტყეს, როგორც ეკოლოგიურ ფაქტორს, სახალხო მეურნეობის განვითარებასა და საერთოდ ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების საქმეში. ამ კუთხით თუ მივუდგებით რესპუბლიკის ტყეების ხაექსპლუატაციო რესურსების შეფასებას, აღმოჩნდება, რომ ჩვენს ტყეებში ხე-ტყის დამზადების მასშტაბების გადიდების საშუალება არაა.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, საქართველო მეტად მცირემიწიანი რესპუბლიკაა, სადაც ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 0,14 ჰექტარი სავარგული მოდის; მეჩაიობას, მეციტრუსეობას, მევენახეობას, მეხილეობას, მებოსტნეობას და სხვა მნიშვნელოვანი დარგების განვითარების აუცილებლობა მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს საკითხს მიწის ფონდის რაციონალურად გამოყენებასა და არსებული რეზერვების გამოვლინების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე შევჩერდეთ. საკითხი ეხება დაბალი ხიხშირის, მცირეპროდუქტიული, დეგრადირებული ამონაყრითი მუხნარების, რცხილნარების, წიფლნარებისა და სხვა ჯიშის კორომების რეკონსტრუქციისა. რესპუბლიკაში მეკაკლეობის განვითარების პრობლემის გადაწყვეტისათვის ამ მიწების ფართოდ გამოყენებას. მეცნიერულმა კვლევებმა და პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ამ ტყეების ძირეული რეკონსტრუქციისას იქ სადაც კონკრეტული გარემო პირობები დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით ხასიათდება, კაკალნაყოფიანთა კულტურების გაშენება კარგ შედეგებს იძლევა, რაც იმის მომასწავებელია, რომ წარსულში უსისტემო მეურნეობის შედეგად გაუფასურებული, დეგრადირებული ტყეების რეკონსტრუქცია ფრიად მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენს მეკაკლეობის შემდგომი განვითარებისათვის. აქ არ შეიძლება ყურადღება არ გამახვილდეს ერთ არასწორ, მე ვიტყოდი არანორმალურ მიდგომაზე ამ პრობლემის გადაწყვეტისადმი. საქმე ის არის, რომ ამ უკანასკნელ წლებში სულ უფრო იმატა ისეთმა ფაქტებმა, როდესაც ტყის მეურნეობის მეცნიერებისა და წარმოების ცალკეული პრობლემების გადაწყვეტაში ერევიან სრულიად შემთხვევითი, არაკომპეტენტური პირები, დილეტანტები, რომელთაც მინიმალური ცოდნაც კი არა აქვთ ტყის მეურნეობის გაძღოლის საკითხებზე. მათ რატომღაც მიაჩნიათ, რომ თითქოს იციან ტყის განვითარების კანონზომიერებანი და ის კი ავიწყდებათ, რომ ტყეთმცოდნეობა-მეტყეველობა ისევითვე მეცნიერებაა, როგორც მეცნიერების სხვა დარგები.

**ბ. მ.** — ბატონო რენო, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს დაკვირვების პუნქტების ხშირი ქსელი საშუალებას გაძლევთ მოიპოვოთ მრავალფეროვანი ინფორმაცია გარემოს გაჭუჭყიანების შესახებ. გვაინტერესებს: როგორ აღწევს „მომხმარებლამდე" ეს დაკვირვებები და რეკომენდაციები. როგორია ის ეკონომიკური ეფექტი, რომელსაც აძლევს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას გარემოს საკონტროლო სისტემა?

**რენო ცხვიტავა,** (საქართველოს სსრ ატმოსფერული ჰაერის დაცვის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი):

— თქვენ სწორი ბრძანდებით, სამმართველოს და კერძოდ, მასში შემავალ გარემოს გაჭუჭყიანების, შესწავლისა და კონტროლის ცენტრს საკმაოდ დიდი ინფორმაცია მოეპოვება ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული წყლების, ნიადაგებისა და ზღვის გაჭუჭყიანების მდგომარეობაზე. სწორედ ეს ქსელი იძლევა იმის საშუალებას, რომ ობიექტური წარმოდგენა ვიქონიოთ გარემოს გაჭუჭყიანების დონეზე.

გასული წლის განმავლობაში, მხოლოდ ატმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სფერულ ჰაერზე, რესპუბლიკის 8 ქალაქის 33 პუნქტზე და 15 სხვადასხვა ინგრედიენტზე ჩატარდა 140 ათასზე მეტი დაკვირვება.

ასევე დიდი რაოდენობის ანალიზებია ჩატარებული ზედაპირული წყლების, ნიადაგებისა და ზღვის გაჭუჭყიანებაზე. ასე, რომ გარემოს გაჭუჭყიანების დონეზე ჩატარებულ დაკვირვებათა რიცხვი 228 ათასს აჭარბებს. ეს კი მართლაც „ზღვა" მასალაა.

ამ მასალის მომხმარებლამდე (მიაქციეთ ყურადღება მომხმარებელს ბრჭყალებში არ ვსვამთ), დაყვანა ხდება მკაცრად დადგენილ ვადებში განზოგადოებული სახით, როგორიცაა: ყოველთვიური ცნობები, კვარტალური ბიულეტენები, ნახევარწლიური და წლიური მიმოხილვები.

რაც შეეხება გაჭუჭყიანების სახიფათო და განსაკუთრებით სახიფათო დონეებს, აქ აღნიშნული ინფორმაციის დაყვანა ხდება ოპერატიული წესით, ე. ი. მოვლენების დაწყებისთანავე.

აღნიშნული ინფორმაციის მომხმარებელთა რიგში არიან: როგორც დირექტიული ორგანოები, ისე რიგითი წარმოება-დაწესებულებები, რომელთა საერთო რაოდენობა 250-ზე მეტია.

ხშირად, აღნიშნული მასალის ანალიზის საფუძველზე საწარმო-დაწესებულებებს ეძლევათ გარკვეული რეკომენდაციები. მრავალი ამ რეკომენდაციებს წარმატებით იყენებს, რითაც აღწევს გარემოს გაჭუჭყიანების დონის შემცირებას, რაც თავისთავად უკვე დადებითი შედეგია.

რაც შეეხება იმ ეკონომიურ ეფექტს, რომელსაც იძლევა გარემოს კონტროლის სისტემა, მეტად რთული საკითხია. ცხადია, რომ აქ ეფექტი ორგვარია. პირველი — იმ ზარალის გაანგარიშება, რასაც გარემოს გაჭუჭყიანება იწვევს, ხოლო მეორე — ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ბუნებრივი გარემოს გაჯანსაღებით მიღებული მოგება.

თუ პირველის გამოთვლა შედარებით შესაძლებელია, მეორის ზუსტი დადგენა საკმაოდ რთულია. მაგრამ ერთი რამ ცხადია: რა თანხებიც არ უნდა დაიხარჯოს გარემოს გაჭუჭყიანების დონის შესამცირებლად, მათი ანაზღაურება ხდება არა უმეტეს ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში. თამამად შეიძლება ითქვას — გარემოს გაჯანსაღებისათვის დახარჯული შრომა ერთ-ერთი მომგებიანი საქმეა, რომ არაფერი ვთქვათ ამ საკითხის სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, რომელთა ფულით გამოხატვა ყოველთვის შესაძლებელი არაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ეფექტის დადგენას უნდა აწარმოებდეს თვით მომხმარებელი. სამწუხაროდ, ამ მხრივ, საქმე არც ისე კარგად გვაქვს. ჯერ ერთი, რომ დღემდე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და საუწყებო ინსტიტუტების მიერ შემუშავებული არ არის ცალკეული საწარმოო-დაწესებულებების მიერ გარემოს გაჭუჭყიანების დონეზე ჩატარებული სამუშაოების ეკონომიკური ეფექტის გამოთვლის მეთოდები და მეორე, მომხმარებელთა უმეტესობას არ გააჩნია გარკვეული სტრატეგია მიღებული ინფორმაციის მიმართ. ასეთი მომხმარებლები, ობიექტური და არაობიექტური მიზეზების გამო, არ აღნუსხავენ იმ ზარალსა და მოგებას, რასაც მათ გარემოს გაჭუჭყიანების დონეზე მიღებული ინფორმაცია აძლევს.

ყოველივე ზემოთთქმულის გამო შეუძლებელია თქვენს მიერ დასმულ კითხვაზე ეკონომიკური ეფექტის შესახებ სრული პასუხის გაცემა. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ეს ეკონომიკური ეფექტი რეალურად არ არსებობდეს, მხოლოდ მისი ზუსტად დადგენა არ შეგვიძლია.

**გ. მ.** — ხშირად გვესმის, რომ მუშავდება ე. წ. გრძელვადიანი პროგრამები გარემოს დაცვის დარგში. ამ დროს კასპის, რუსთავის და სხვა მსხვილი სამრეწველო ობიექტების თავზე „საშიში ღრუბლები" დაცურავენ. მეცნიერებმა და სპეციალისტებმა სხვებზე უკეთ უწყიან, თუ რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს გარემოს გაჭუჭყიანების ყოველ ასეთ კონკრეტულ შემთხვევას. ამიტომ გთხოვთ აგვიხსნათ, როგორც მეცნიერმა, სპეციალისტმა, გარემოს კონტროლის სამსახურის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, როგორ ახერხებს ზოგიერთი მათგანი ესოდენ მწვავე ეკოლოგიური საკითხთა მიღმა დარჩენას?

**რენო ცხვიტავა:** — თუ როგორ ახერხებს ზოგიერთი ხელმძღვანელი ეკოლოგიური საკითხთა მიღმა დარჩენას, მართლაც საინტერესო საკითხია, ალბათ უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ ეს კითხვა სწორედ მათთვის დაგესვათ. ეტყობა, რომ მათ გააჩნიათ საკმარისი „გამოცდილება" ამ საქმეში.

მაგრამ კითხვა დასმულია და მას პასუხი უნდა გაეცეს.

მაშ ასე: როგორ ახერხებენ ზოგიერთი ხელმძღვანელები მწვავე ეკოლოგიური საკითხის მიღმა დარჩენას?..

პირველი და ეს უმრავლესობას ეხება — უმოქმედობით. დიახ, ეს ხელმძღვანელები ბუნების დაცვის საქმეში სრულ უმოქმედობას იჩენენ. ასეთი ხელმძღვანელები „გვიმტკიცებენ", რომ მათ „ზემოდან" არ აძლევენ კაპიტალურ დაბანდებას, არ გააჩნიათ არავითარი სახსრები, საშუალებები და ა. შ.

მეორე — უცოდინარობით. სამწუხაროდ ასეთებიც საკმაოდ ბევრნი გვხვდებიან. მათ ნამდვილად არ იციან თუ რა ზარალს აყენებენ გარემოს გაჭუჭყიანებით არა მარტო საზოგადოებას, არამედ საკუთარ ობიექტსაც კი.

გასულ წელს შევხვდით ზესტაფონის ფერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენადნობი ქარხნის მაშინდელ დირექტორს, გურამ ქაშაყაშვილს. თუ რა შედეგები მოჰყვა ქარხანაში გატარებულ ღონისძიებებს, მან სხვა ციფრობრივ მასალათა შორის ასეთი ფაქტიც აღნიშნა: „მეოთხე საამქროს რეკონსტრუქციამდე ქარხანას 700-მდე მუშა აკლდა. რეკონსტრუქციის შემდეგ ქარხანა მთლიანად დაკომპლექტდა და 100 კაცზე მეტი თადარიგში დგას. თუ ჰაერი სუფთა იქნება, მუშაობის მსურველთა რიცხვს ქარხანა ვერ აუვა". აი, რა მოჰყვა დღეღამეში 65 ტონა მანგანუმის მტვრის დაჭერას.**

**აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში და განსაკუთრებით საინჟინრო სასწავლებლებში, ეკოლოგიური პრობლემების სწავლება ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე, ეს საკითხი კი უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს.**

**მესამე — შემრიგებლური პოზიციით, რაც დამახასიათებელია, არა მარტო საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელისათვის, არამედ გარემოს გაჭუჭყიანების მაკონტროლებელი ორგანოებისთვისაც. შეიძლება დავასახელოთ სხვა მიზეზებიც.**

**ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ ეს სამი ნაკლოვანება აღმოიფხვრება „საშიში ღრუბლები" მსხვილი საწარმოების თავზე საძებნელი გვექნება.**

ბ. მ. — დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირების პირველხარისხოვანი ეკოლოგიური გამოკვლევებითა და რეკომენდაციებით აღჭურვა სპეციალიზირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების საქმეა, მაგრამ ხშირად აქ მნიშვნელოვან წარმატებას აღწევენ უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე ენთუზიასტი სპეციალისტებიც. სამწუხაროდ, არის შემთხვევა, როცა სიახლე, გამოგონებაც კი უყურადღებოდ რჩება, ამიტომ ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ბატონ შოთას აზრი, სამეცნიერო-პედაგოგიური და ექსპერიმენტულ-საკვლევაძიებო მუშაობის მისეული გამოცდილება, და რაც მთავარია, თუ როგორ ინერგება ცხოვრებაში ახალი გამოგონება.

**შოთა სიდამონიძე,** (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრის გამგე, ღოცენტი):

— გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უახლესი მონაცემებით ავტომობილი ადამიანის სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს ყველაზე აგრესიული გამჭუჭყიანებელია. ავტომობილს მიეწერება ატმოსფეროს საერთო გაჭუჭყიანების 60 პროცენტი, ამასთანავე ტექნიკურ გაჭუჭყიანებებს შორის იგი ყველაზე ტოქსიკურია. გარდა იმ გლობალური უარყოფითი ზემოქმედებისა, რომელიც შეუძლია ნახშირბადის დიოქსიდმა (ე. წ. „სათბურის ეფექტი") და აზოტის ოქსიდებმა (ოზონის დამცველი შრის მოსპობა) მოახდინოს კონტინენტის საერთო კლიმატზე, ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი აირები წარმოადგენს მაღალ-ტოქსიკურ ქიმიურ ნაერთებს და ქმნის ადამიანის ორგანიზმისათვის მეტად საშიშ ქიმიურ გარემოს. ასე, მაგ., ნახშირის ოქსიდი (რომელიც გამონაბოლქვი აირების 12 პროცენტს შეადგენს) 200-ჯერ უფრო აქტიურად უერთდება ჰემოგლობინს, ვიდრე უანგბადი. ამის შედეგად წარმოიქმნება კარბოქსიდჰემოგლობინი და ადამიანის ორგანიზმში ქვეითდება უანგბადის გადატანა — იწყება „უანგბადის შიმშილი". ეს უკანასკნელი კი მიზეზია მთელი რიგი ფუნქციონალური მოშლილობისა ადამიანის ორგანიზმში და იწვევს გონებრივი მოქმედების დაქვეითებასა და უარყოფით ემოციებს. აშშ სამედიცინო საზოგადოების მონაცემებით ჰაერში ნახშირის ოქსიდის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მოქმედი ნორმის შემთხვევაშიც კი შრომის ნაყოფიერება 20-26 პროცენტით ეცემა, ადამიანში მკვეთრად სუსტდება ქრონომეტრაჟით შეზღუდულ პროცესების შესრულების უნარი, 2-3-ჯერ იზრდება საავტომობილო ავარიების რიცხვი და სხვა. ტოქსიკური ზემოქმედების სიმძაფრით გამოირჩევა აზოტის ოქსიდებიც. მათ მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარე აღმოჩნდა ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემა.

დღეისათვის გამონაბოლქვი აირებით ატმოსფეროს გაჭუჭყიანებასთან ბრძოლა მსოფლიოს ყველა განვითარებული სახელმწიფოს ყურადღების ცენტრშია. შიდაწვის ძრავების კარბურატორიანი და დიზელიანი (მართალია ამ უკანასკნელში გამონაბოლქვი აირები ნაკლებია, მაგრამ მაღალმოლეკულური საწვავის გამოყენების გამო მნიშვნელოვნად გაზრდილია კანცეროგენული ნაერთების შემცველობა) მანქანების მრავალნაირი ახალი მოდიფიკაციების შექმნა, ავტოტრანსპორტის მოძრაობის („მწვანე ტალღა" და სხვა) შემოღებამ გამონაბოლქვი აირების აუცილებელი ნეიტრალიზაციის საკითხი დღის წესრიგიდან ნაწილობრივაც ვერ მოხსნა. ეკოლოგიური სტრატეგია მოითხოვს უფრო ეფექტური გზების ძიებას. დღეისათვის დადგენილია, რომ გამონაბოლქვი აირების სრული დაჟანგვა ყველაზე ეფექტურად კატალიზატორული ნეიტრალიზატორებით ხორციელდება.

მსოფლიოს გამოჩენილი სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ გამონაბოლქვი აირების სრული კატალიზური დაჟანგვის მეთოდის გადამწყვეტ უპირატესობას. არსებული საპატენტო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ გამონაბოლქვი აირის კომპონენტების სრულ დაჟანგვაში ეფექტური კატალიზატორის როლი შეუძლიათ შეასრულონ სპილენძის, ქრომის, მანგანუმის, კობალტის და განსაკუთრებით კი ძვირფასი ლითონების პალადიუმისა და პლატინის შემცველმა კატალიზურმა კომპოზიციებმა.

**და აი, 1978 წელს ჩვენმა კათედრამ დაამუშავა გამონაბოლქვი აირების სრული კატალიზური ნეიტრალიზაციის ახალი მაღალეფექტური კატალიზატორი. იგი მიღებულია ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელებული ბუნებრივი ცეოლიტის ბაზაზე და თავისი აქტიურობითა და სხვა მონაცემებით მნიშვნელოვნად სჯობნის მსოფლიოს ფართოდ აღიარებულ ამავე დანიშნულების კატალიზატორებს.**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრის კატალიზატორი პოლუფუნქციონალურია, საზღვარგარეთული კატალიზატორებისაგან განსხვავებით ნახშირბადის ოქსიდის დიოქსიდად გარდაქმნა და აზოტის ოქსიდების აზოტამდე აღდგენა მასზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს.**

**სსრ კავშირის აღმოჩენათა და გამოგონებათა კომიტეტმა სცნო ამ კატალიზატორის უპირატესობა და ავტორების სახელზე 1981 წელს გასცა საავტორო მოწმობა № 83116, ხოლო მისი სერიული შექმნისა და ფართოდ დანერგვა-გამოყენების საკითხი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომპლექსურ პრობლემებისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ კონფერენციებზე დაისვა. სამწუხაროდ ფაქტია, რომ საქმით დღემდე არცერთი ორგანიზაცია არ დაინტერესებულა.**

**ქ. თბილისის გეოგრაფიული მდებარეობა და აქედან გამომდინარე საჰაერო აუზის სუსტი ბუნებრივი ცირკულაცია ქმნის გამონაბოლქვი აირების ქალაქში დაგროვების რეალურ საშიშროებას. ეს საშიშროება ასევე გასათვალისწინებელია ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი საკურორტო ქალაქებისათვის. კათედრას არა არა აქვს საშუალება აღნიშნული კატალიზატორი გამოსცადოს სხვადასხვა ტიპის შიგაწვის ძრავებისათვის, შეარჩიოს სხვადასხვა რეჟიმზე მომუშავე კატალიზატორის ოპტიმალური პარამეტრები, ე. ი. კათედრას არ შესწევს უნარი კატალიზატორი ფართოდ დანერგოს პრაქტიკაში. ასეთი სამუშაოების განხორციელება მხოლოდ ბუნების დაცვის სამსახურების თანადგომითა და მონაწილეობით შეიძლება...**

**ბ. მ. — გარემოს დაცვა პარტიული საქმეა — იგი ერთნაირი სიმწვავით დგას თითოეული სამეურნეო დარგის ხელმძღვანელის წინაშე: სამწუხაროდ, დამოკიდებულება ამ საკითხისადმი სხვადასხვაგვარია. თქვენ, ბატონო გურამ, ვთქვათ განიხილავთ ამ პრობლემას უპირველესი საკითხების რიგში, მაგრამ შეიძლება მრავალი მაგალითის მოყვანა, როცა პოულობენ მრავალ — „ობიექტურ" მიზეზს გაიმართლონ თავი, რომ არა აქვთ საკმარისი თანხა, ან თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკა მათ ეფექტურს ვერაფერს სთავაზობს და სხვა.**

**ამ დროს, აგერ გარდაბნის რაიონში გამოჩნდნენ ენთუზიასტები, რომლებმაც დანერგეს პრინციპულად ახალი ტექნიკური სიახლენი და გარემოს ძლიერ გამაჭუჭყიანებელი მეღორეობის კომპლექსის ნარჩენებისაგან დაიწყეს პლასტმასის დამზადება, საყვავილე ქოთნებისა და სუვენირების კეთება.**

**„გარდაბნის ფენომენი — ეკონომიკური გაანახლება ანუ ყველაფერისაგან მოგების მიღება გახლავთ" — წერდნენ გაზეთები — „კომუნისტი" და „იზვესტია".**

**საქმისადმი ამგვარი მიდგომა ჯერ ერთი ეკონომიურია, ხელსაყრელია და მეორეც — სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების მოძალებისასაგან იხსნიდა საქართველოს ყველა მდინარეს თუ ნაკადულს, დიდად შეუწყობდა ხელს შავი და კასპიის ზღვების აუზების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების შესახებ პარტიისა და მთავრობის ცნობილი დადგენილებების შესრულებას, რომელიც 1985 წლისათვის რესპუბლიკის წყალსატევებში გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვების სრულ ლიკვიდაციას ითვალისწინებს. მაშ, რა გვიშლის ხელს?**

**გურამ მგელაძე, (საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე):**

**— ბუნების დაცვის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას მომწამვლელი ნივთიერებისაგან გარემოს გაჭუჭყიანების თავიდან აცილება წარმოადგენს. ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნება შხამქიმიკატები (პესტიციდები), რომლებიც ფართოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში.**

**გასულ ხუთწლედში ყველა კატეგორიის მეურნეობებსა და „საქსოფლქიმიის" ბაზებში აშენდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა 8 ათასი ტონა ტევადობის შხამქიმიკატების შესანახი საწყობები. გარემონტდა და წესრიგში იქნა მოყვანილი არსებული საწყობები. სრულიად აღიკვეთა უვარგისი და ხმარებიდან ამოღებული შხამქიმიკატების ადგილებზე თვითნებურად ჩამარხვა-განადგურების პრაქტიკა.**

**მინიმუმამდე შემცირდა სინდიყის შემცველი ქლორ-ორგანული პრეპარატების გამოყენება. დაინერგა ნაკლებტოქსიკური, ახალი და უფრო ეფექტური პრეპარატები.**

**გარკვეული უურადღება ექცევა მავნებლებსა და სხვადასხვა დაავადებებთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებას. რესპუბლიკაში აშენდა და ამჟამად მოქმედებაშია ბათუმის, ზუგდიდისა და გორის ბიოლაბორატორიები, სადაც ამრავლებენ და უშვებენ სასარგებლო მწერებს. მშენებლობის პროცესშია სოხუმისა და გურჯაანის ბიოლაბორატორიები.**

**მეორე წელია ყურძნის ჭიისა და ვაშლის ნაყოფჭამიების საწინააღმდეგოდ ბალტიისპირეთიდან შემოგვაქვს ახალი ბიოლოგიური საშუალება — მჭერი ფერომონები.**

აფხაზეთის ასსრ და მახარაძის რაიონში მიმდინარეობს საცდელი სამუშაოები საკარანტინო სარეველა ამბროზიას ფოთოლგამია ხოჭოს აკლიმატიზაციისა და გამრავლებისათვის. წინასწარი მონაცემები საიმედოა და პერსპექტიული.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, ამ საქმეში კვლავ გაგვაჩნია გარკვეული ნაკლოვანებანი — ჯერ კიდევ ბევრგან ტიპიური პროექტით არ არის აგებული შხამქიმიკატების შესანახი საწყობები, არის დარღვევები შხამქიმიკატების გამოყენებაში.

ანგარიშგასაწევია სეტყვასთან ბრძოლის რაკეტების მიერ გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემაც. 1976 წლიდან კახეთის რამდენიმე რაიონში ვენახების გადახურვისათვის იცდება კაპრონის ბადე, რომელმაც კარგი შედეგი მოგვცა. იგი 50 პროცენტით ამცირებს ქარის სიჩქარეს, მყარდება უკეთესი ტემპერატურული პირობები, საბოლოო ჯამში 15-20 პროცენტით იზრდება მოსავლიანობა, 1-1,5 პროცენტით კი შაქრიანობა. მაგრამ ვენახების დაცვის ამ საშუალების ფართოდ დანერგვას ხელს უშლის ბადის მაღალი თვითღირებულება, საყრდენი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის ნაკლებობა და ა. შ.

ბ. მ. — საქართველოს ენდემების გენოფონდის შენარჩუნება, დაცვა, აღწარმოება, შესწავლა და რაციონალური გამოყენება, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების არდავიწყება, ჩვენი პატრიოტული მოვალეობაა კაცობრიობის წინაშე. მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ წითელ წიგნში შეტანილ ცხოველთა და მცენარეთა სახეობანი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო კომიტეტის სავარგულებსა და ტყეებშია გავრცელებული, არამედ შინაური ცხოველებიც — როგორიცაა ქართული ნაგაზი, თუშური და მეგრული ცხენი, ხევსურული ძროხა, იმერული და თუშური ცხვარი, ჩვენებური ფუტკარი, ქართული ვაზის, ხილისა და ხორბლის უნიკალური ჯიშები და ასე შემდეგ. როგორ გესახებათ ამ პრობლემის გადაჭრის გზები?

**გურამ მგელაძე: — უკანასკნელ წლებში კომიტეტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად; შეიქმნა და გაძლიერდა ამიერკავკასიის სელექციური ცენტრი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრა სპეციალურად ფინანსდება ჩვენი სახსრებით და წარმატებით აწარმოებს კვლევას ამპოლეოგრაფიულ ლაბორატორიაში, სადაც 500-მდე ვაზის აბორიგენულ ჯიშზე შეისწავლება ჯიშობრივი აგრობიოლოგიის დაზუსტებისა და საშრეწველო სელექციაში მათი გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხები, მათი შენარჩუნებისა და კვლავწარმოების პრობლემები.**

**ამავე ინსტიტუტში, გენეტიკისა და სელექცია-მეთესლეობის კათედრაზე, კომიტეტმა გახსნა დარგობრივი ლაბორატორია (ხელმძღვანელი პროფ. პ. ნასყიდაშვილი), რომელიც მთლიანად დაკავებულია ქართული ენდემური და აბორიგენული პურეული კულტურების გენეტიკასა და სელექციის ტექნოლოგიური საკითხების შესწავლა-დამუშავებით.**

**ვინაიდან, მოსავლიანობის ზრდის პოტენციალით აღჭურვილ სამრეწველო ჯიშებს ჩვენი აბორიგენული ჯიშები ვერ უწევენ სათანადო კონკურენციას, ვფიქრობთ, მათი შენარჩუნება და სათესლე მასალის მარაგის ყოველწლიური დაგროვება, ალბათ, არ იქნება ძნელი წარმოების დღევანდელ პირობებში. აღნიშნულ საკითხს ამჟამად ამუშავებს საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების პრეზიდიუმი.**

**კომიტეტი თავის მხრივ ატარებს ღონისძიებებს ადგილობრივ პირობებთან შეგუებული, შედარებით მაღალ პროდუქტიული ჯიშის პირუტყვისა და ფრინველის შენარჩუნება-განვითარებისათვის. ასე, მაგალითად; ექვსი წელია ჩხოროწყუს რაიონში ფუნქციონირებს მეთხეობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც ადგილობრივი ჯიშის თხებია მოშენებული, ლანჩხუთის რაიონში კი მოშენებული ჰყავთ მეგრული ჯიშის ძროხები, რომლებიც შედარებით მაღალპროდუქტიულობით და დაავადების მეტი ამტანობით ხასიათდებიან.**

**ჟურნალ „ცისკრის" მკითხველთათვის, ალბათ საინტერესო იქნება ვაუწყოთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩვენი სახსრებით გაიხსნა სპეციალური ლაბორატორია, რომელიც მოწოდებულია შეისწავლოს საქართველოს ეთნოსში გავრცელებული და სადღეისოდ დავიწყების მიჯნაზე მდგარი, ქართული კერძების უსაზღვროდ დიდი ასორტიმენტი, რომლებიც ადგილობრივი ბუნებრივი რესურსებისა და ნედლეულის ბაზაზე მზადდება.**

ბ. მ. — ამჟამად საქართველოს მიწას არ ჰყავს უფრო დიდი მტერი, ვიდრე ამბროზია და ეროზია. ცნობილია, ქარისმიერმა და წყლისმიერმა ეროზიამ მოიცვა ჩვენი სავარგულების 71 პროცენტი, არანაკლებ საშიშროებას გვიქადის ამბროზია, ბირკა, გვირილა, შხამა, ფარსმადუკი... რომლებსაც რესპუბლიკის სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვარი დაუპყრიათ. აწ განსვენებული აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი მათს წინააღმდეგ საბრძოლველად ქუდზე კაცს მოუხმობდა. რას აკეთებენ ამ მიმართებით კომიტეტის მეცნიერები და სპეციალისტები?

**გურამ მგელაძე:** — ჩვენი ტერიტორიის ბუნებრივ-ლანდშაფტური პირობების გამო, მიწის საერთო ფონდში სახნავი ფართობი 8,5 პროცენტია, უფრო ნაკლები ფართობი უკავიათ მრავალწლიან ნარგავებს, ხოლო სათიბ-საძოვრების წილად მოდის 26 პროცენტი. სულ კი ეროზიას განიცდის 1 მილიონ 200 ათასი ჰექტარი (ყიზლარის საძოვრების ჩათვლით); დავაკვირდეთ ამ მონაცემებს; დადგენილია 15000-მდე მოქმედი მეწყერი და მეწყერსაშიში უბანი, 2000-ზე მეტი ღვარცოფური აუზი, რომელთა საერთო ფართობი 2 მილიონ ჰექტარზე მეტია, ყოველწლიურად ათობით კილომეტრზე ირეცხება მდინარეთა ნაპირები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს აკლდებათ ხეხილის ბაღების, ვენახების, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციების, ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები, სათიბ-საძოვრების დიდი ნაწილი. ამ მიზეზებით ბოლო წლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებას დაკლდა თითქმის 200 მილიონი მანეთის პროდუქცია. მოსახლეობა თითქმის ყოველ წელიწადს ტოვებს დამეწყრილ ადგილებს, ამჟამად კი საშიშ ზონაში მოყოლილია 15 ათასი კომლი.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბოლო 15 წელიწადში აშენდა 76 მილიონი მანეთის ღირებულების ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური და ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობანი, მინდორსაცავი ტყის ზოლები გაშენდა 12,4 ათას ჰექტარზე, გატყევდა 28 ათასი ჰექტარი ეროზიული ფართობი, 9,2 ათას ჰექტარზე მოეწყო ტერასები, დასავლეთ საქართველოს რაიონებში ტერასების მოწყობამ და აქ სუბტროპიკული კულტურების გაშენებამ მნიშვნელოვნად უზრუნველყო, როგორც ფერდობების დაცვა, ისე ციტრუსოვანთა მოსავლის ზრდა, მაგრამ ყოველივე ეს, ეროზიასთან ბრძოლის საჭირო მასშტაბებთან შედარებით, მეტად მცირეა.

რესპუბლიკის სპეციალური ინსტიტუტები ამუშავებენ ეროზიის საწინააღმდეგო რეკომენდაციებსა და წინადადებებს, მაგრამ ამ ღონისძიებებისათვის მანქანა-იარაღების შექმნასა და დანერგვაში დიდია რესპუბლიკის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისადმი წაყენებული მოთხოვნები.

სახელმწიფო კომიტეტმა, სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო ინსტიტუტებისა და საგეოლოგიის მონაწილეობით დაამუშავა რესპუბლიკაში 1981-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გენერალური სქემა, ყველა სახის სამუშაოების ღირებულება მოიცავს დაახლოებით 2 მილიარდ მანეთს.

სოციალურ-პოლიტიკური ასპექტის გამო საქართველოს ბუნების დაცვის პრობლემას, მისი პოტენციალური რესურსების რაციონალური გამოყენების საქმეს და აგრარიტეტის მართვის პოლიტიკას ჩვენ ერთ მთლიანობაში განვიხილავთ და ვცდილობთ ამის შესაბამისად დავამუშაოთ მეცნიერულად სწორი და პრაქტიკულად გამართლებული ღონისძიებანი.

**გ. მ.** — მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს გამსვლელ გაფართოებულ სხდომაზე გამოსვლისას ამხ. ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა: — „1976-1980 წლებში რესპუბლიკაში გამოვლინდა ბრაკონიერობის, თევზჭერისა და ნადირობის წესების დარღვევის 35 ათასზე მეტი შემთხვევა. ესე იგი საქმე უკვე მასობრივ ხასიათს იძენს“. შემდეგ მომხსენებელმა დიდი უკმაყოფილება გამოთქვა ზოგიერთი ჩვენი სამსახურის მუშაობისადმი და დასძინა: „პირდაპირ ვიტყვი, ადამიანები, რომლებიც მშობელ ბუნებას აჩანაგებენ, ამახინჯებენ, მტაცებლურად ეკიდებიან რესპუბლიკისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს, თავიანთი ხალხის მტრები არიან, სხვა სიტყვებს ვერ ვპოულობთ და მათ ისე უნდა ვექცეოდეთ, როგორც დამნაშავეებს“ („კომუნისტი“, 22. 9. 1983).

მართლაც, კანონები გვაქვს — 1958 წლის 28 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ბუნების დაცვის პირველი კანონიდან დაწყებული რესპუბლიკაში ძალაში შევიდა და მოქმედებს მიწის, წიაღის, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, ტყის, ჯანმრთელობის, ცხოველთა სამყაროს, ბუნების ძეგლის დაცვის კანონები, კოდექსები და კონსტიტუციურ საფუძველზე განმტკიცებული სხვა იურიდიული აქტები. შემსრულებლები გვყავს — რესპუბლიკის პროკურატურის, იუსტიციის, მილიციის, სასამართლოს, ბუნების დაცვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ფართო ქსელი, ხოლო ბრაკონიერობა ინტენსიურად იზრდება, როგორ ახსნით ამ მოვლენას თქვენ ბატონო ჯამბაკურ, როგორც იურისტი, ადვოკატი, სოციოლოგი — საქართველოს ბუნების დაცვის ორმილიონიანი საზოგადოების სოციოლოგიის სექციის თავმჯდომარე?

**ჯამბაკურ ბაქრაძე,** (იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი):

ამხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვები დიდი და პირველი პატრიოტის გულისტკივილის გამოძახილია. აბა, როგორ უნდა მონათლო ბუნების ქომაგმა ბუნების მომსპობი ბრაკონიერი თუ არა როგორც სამშობლოს მტერი? მათი დანდობა ნიშნავს საქართველოს წარმტაცი ბუნების განადგურებას.

სამწუხაროდ ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს ბრძოლა ბრაკონიერებთან. თქვენ მართალი ბრძანეთ, რომ გვაქვს კარგი კანონმდებლობა, — გვყავს პროკურატურა, სასამართლო, მილი-

ცია, მაგრამ ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენენ ბრაკონიერებისადმი.

იურისტთა კადრებს და, საერთოდ, საზოგადოებას ბოლომდე არა აქვს შეგნებული ბრაკონიერობით მიყენებული ზიანის რეალობანი და ამიტომ საქართველოს ბუნების დაცვის რესპუბლიკური საზოგადოება და ბუნების დაცვის კომიტეტი ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებენ საზოგადოებაში შესაბამისი ფსიქოლოგიური განწყობის, მეცნიერული ცოდნის შეტანის მიზნით, მაგრამ თუ სათანადო დახმარებას გვიწევს პრესა, ასეთივე დიდი მხარდაჭერა არ ჩანს სხვა უწყებათა მხრიდან. ამიტომ ყველა უწყების, პირველ რიგში რადიოსი და ტელევიზიის მოქმედების გააქტიურება არის საჭიროც და მისასალმებელიც.

ბ. მ. — ზოგიერთი იურისტი აყენებს საკითხს იურისპრუდენციაში შეიქმნას ახალი მიმართულება — ეკოლოგიური სამართალი, რომელიც რეგულირებას გაუწევს მოქალაქეთა მოქმედებას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგში. როგორია თქვენი თვალსაზრისი?

**ჯამბაკურ ბაძრაძე:** — სამართლის მეცნიერება მეტად უძველესი და მარად ახალგაზრდა მეცნიერებაა. სამართლის მნიშვნელობა განუსაზღვრელია სოციალური პროგრესისათვის. სამართლის განვითარებისაგან მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკის, პოპულაციის, გერონტოლოგიის, ბედნიერების გრძნობის არსებობა და განვითარება საზოგადოებაში; ეს ჭეშმარიტება კარგად ჰქონდათ შეთვისებული ძველ ქართველ იურისტებს. ასე მაგალითად: ვახტანგ მეექვსეს კოდექსში პირდაპირ და ნათლად არის მითითებული ამ პრობლემებზე.

სამართლის მეცნიერების განვითარება და მიღწეული ცოდნის პრაქტიკულ იურისპრუდენციაში გამოყენება სათანადო იურიდიული ნიჭიერებით დიდი სიკეთის მომტანია ხალხის სოციალური ცხოვრებისათვის. სამწუხაროდ, ზოგიერთ იურისტთა უსულგულობა და გონებრივი შეზღუდულობა დიდად უშლის ხელს სამართლის მეცნიერების ფართო განვითარებას ჩვენში. ცხადია, ეკოლოგიური ნორმების იურიდიული დამუშავება მოგვცემს გარკვეულ ნორმათა, ქცევის წესთა სისტემას და შეიძლება გამოიყოს „ეკოლოგიური სამართლის" სახელწოდებით, მაგრამ მათ უნდა ჰქონდეს ფართო სოციოლოგიური ცოდნის საფუძველი, რადგან ყველაფერი, საბოლოოდ, საჭიროდ მიიჩნევა ადამიანისათვის და მისი კეთილდღეობისათვის. ამიტომ იყო, რომ 26-ე ურილობამ მთელ მსოფლიოს ამცნო „ჩვენი მიზანია — შევქმნათ ცხოვრება საბჭოთა ადამიანებისა უფრო ლამაზი, უფრო წარმტაცი და მიმზიდველი".

ჩვენს სამეურნეო თუ სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელებს არ უნდა ჰყავდეთ უცოლო თანამშრომელი, ყველამ უნდა შექმნას ოჯახი, ანდა მორალური და ადმინისტრაციული პასუხი აგოს საზოგადოების წინაშე...

აუცილებლობა და „იძულება" ცოლის შერთვისა, რომ უნაყოფო ფანტაზია არ არის, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთ ფაქტს, მართლაც მეტად საინტერესო ცნობა გამოქვეყნდა 1974 წლის 30 დეკემბრის გაზეთ „პრავდაში", რომ მექსიკის მთავრობამ თავის ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა განისაზღვრება ორმოცზე მეტი მილიონი ადამიანით, შემოიღო იძულებითი ქორწინება სახელმწიფო დაწესებულების ყველა მამაკაცისათვის და პირველ რიგში პოლიციის, სახანძრო დაცვის და სხვა უწყებების თანამშრომლებისათვის. საინტერესოა, რომ ახალი კანონით, უცოლო მამაკაცები სამსახურში გაფრთხილების და ვადის დანიშვნის შემდეგ აღარ დაიშვებიან, თუ ამას აკეთებს ორმოც მილიონიანი მექსიკა — 5 მილიონიან საქართველოში 850 000 ცოლშეურთავი მამაკაცი და 750 000 გაუთხოვარი ქალის ყოლა ხომ დიდი სოციალური უბედურებაა. ამ საკითხის გონიერი საკანონმდებლო წესით მოგვარება ჩვენი რესპუბლიკის ერთ მილიონიან უოჯახო ახალგაზრდა მოსახლეს ჩააყენებს ჩვენი ხალხის პოპულაციის და პროგრესის სამსახურში. ამ პრობლემით ძირითადად გადაწყდება გვიანი ქორწინების პრობლემაც საქართველოში, რომელიც დეგრადირების გზაზე აყენებს ქალს, მამაკაცს და ოჯახს, როგორც ეკონომიურად, ასევე ფიზიკურად და სოციალურად.

სოციოლოგიურმა კვლევამ ნათლად დაამტკიცა, რომ გამრავლების უპირველესი საშუალება სამართლიანობაა. რადგან უსამართლობა არის ყოველგვარი უარყოფითი მოვლენის საფუძველი საზოგადოებაში. ჯერ კიდევ ვახტანგ მეექვსის ცნობილი სამართლის წიგნი საქვეყნოდ აცხადებს:

„უსამართლობა ამა სოფელს კაცსა უძეოდ აღმოფხვრის და გარდაავლინებს, დღეთსიგრძეობასა მოუკლებს, ქვეყანას აუოხრებს, ცანი ცვარს დაკლებენ და ქვეყანა — ნაყოფს ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წასწყმედს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს. ესენი ყველაფა უსამართლობისაგან გამოვლენ, და სამართლის ენა მეფესა და მსაჯულს ამა ყოვლის ბოროტისაგან შორედ ყოფს და განსდევნის (ვახტანგ VI, „სამართლის წიგნი", თბილისი, 1955 წ. გვ. 471).

ამრიგად, უსამართლობა-სამართლიანობაზე ყოფილა დამოკიდებული შვილების გამრავლება (ე. ი. პოპულაციის პრობლემა), ხანგრძლივი სიცოცხლე (ე. ი. გერონტოლოგიის პრობლემა), ქვეყნის მშენებლობა და ნაყოფიერება და საზოგადოებაში ბედნიერების გრძნობის დამკვიდრება, მორალის სიმტკიცე და ყოველგვარი ბოროტის განდევნა. ამიტომ, რადგან გვსურს სა-

ზოგადოების, მთელი სამშობლოს სოციალური და ეკონომიკური პროგრესი, უნდა ვესწრაფოთ ყოველთვის და ყველაფერში მტკიცედ დავნერგოთ სამართლიანობა.

ბ. მ. — 1984 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს დაარსების ათი წელი შეუსრულდა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დარგის წამყვანი, მაკოორდინირებელი, სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა განხორციელების საკონტროლო ორგანო, ჩვენი რესპუბლიკის გარდა, მხოლოდ აზერბაიჯანში, ბელორუსიაში, ლიტვაში, მოლდავეთსა და უკრაინაში არის. მათი გამოცდილება და ტრადიციები, მეცნიერთა და სპეციალისტთა აზრით, ჩვენი ქვეყნის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა და საკავშირო მეთაური გარემოს დაცვის ორგანოს შექმნის საწინდარია.

ამიტომ, ბატონო ვასილ, უპრიანი იქნება, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ მეათე და მეთერთმეტე ხუთწლედების ბუნების დაცვის პროგრამის განხორციელებისათვის სახელმწიფო კომიტეტის მეცადინეობით შესრულებული ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეები.

**ვასილ მიქაშავიძე, (საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე):**

—როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი საკონტროლო ორგანოა და როგორ განვახორციელებთ ჩვენზე მონიჭებულ უფლებებს, რამდენად შევძლებთ დავეუფლოთ კონტროლის თანამედროვე, კომპლექსურ მეთოდებს, როგორი პრინციპულები, ობიექტურები ვიქნებით, ბევრადაა დამოკიდებული რა გზით წარიმართება მომავალში სამინისტროების, უწყებების და ორგანიზაციების საქმიანობა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საქმეში.

საკონტროლო ფუნქციების განხორციელების საქმეში წლითიწლობით უმჯობესდება ვითარება. მაგალითისათვის მოვიყვანთ რამდენიმე ციფრს. თუ 1978-80 წლებში 2700-მდე ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევა იქნა გამოვლენილი, გატარებული ღონისძიებების შედეგად ათასზე მეტი პირი იქნა დაჯარიმებული, რომლის საერთო თანხამ 300 ათას მანეთს მიაღწია. 1982-83 წლებში გამოვლენილ დარღვევათა რიცხვმა 6200 გადააჭარბა, ხოლო ჯარიმებმა და ბუნებაზე მიყენებულმა ზარალმა, რომელიც ცალკეული პიროვნებებს და ორგანიზაციებს ვაზღვევინეთ, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 3,2 მილიონი მანეთი შეადგინა.

თქვენს ყურადღებას არ შევაჩერებ იმ ღონისძიებათა ჩამოთვლით, რაც ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფო კომიტეტის სამსახურებმა განახორციელეს; მათი მოღვაწეობის ასპარეზი ისეთ რესად ფართოა და მრავალფეროვანი. ძირითადი ღონისძიებების მოკლე ანოტაციები, კომიტეტის თაოსნობით ან უშუალო მონაწილეობით განხორციელებული საქმეები, თავმოყრილია კრებულში, რომელსაც კომიტეტის მიერ გაწეულ საქმიანობის ნუსხა-მატიანე ეწოდება. იგი რამდენიმე ასეულ ასეთ ღონისძიებას მოიცავს. მათ შორისაა საკავშირო თუ რესპუბლიკურ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, წყლის რესურსების, მიწისა და მისი წიაღის დაცვა-გაჯანსაღების, ფაუნისა და ფლორის მომრავლების, ეკოლოგიური განათლებისა და პროპაგანდის პრობლემები. ეს ღონისძიებები მოიცავენ რესპულიკის ყველა ქალაქსა და რაიონს, მრავალ სამინისტროსა და უწყებას, დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

ცალკე მინდა გამოვყო 1977 წელს იუნესკოსა და იუნეპის თაოსნობით თბილისში ჩატარებული გარემოს დარგში განათლების საკითხებისადმი მიძღვნილი სამთავრობათაშორისო კონფერენცია, რომელმაც მიიღო, დღეს მსოფლიოში ცნობილი, თბილისის დეკლარაცია, — ამ დარგში საერთაშორისო საპროგრამო დოკუმენტი.

ჩვენი რესპუბლიკისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო 1978 წელს ჩატარებული გარემოს დაცვის კომპლექსური პრობლემებისადმი მიძღვნილი პირველი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის რეკომენდაციები საქართველოს კომპარტიის ცკ-ის XVIII პლენუმმა დაამტკიცა და ბუნების დაცვის სამოქმედო პროგრამად იქცა.

ბ. მ. — წარმოვიდგინოთ რომ როლები შეიცვალა — თქვენ უცებ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი, თუმცა გარემოს ძლიერ გამაჭუჭყიანებელი უწყების (ვთქვათ შავი ან ფერადი მეტალურგიის) ხელმძღვანელი გახდით. უპირველეს ყოვლისა რას იღონებდით?

**ვასილ მიქაშავიძე:** — სანამ ამ შეკითხვაზე პირდაპირ გიპასუხებდეთ, მინდა გავიხსენო ერთი საინტერესო შემთხვევა. არცთუ დიდი ხნის წინ, მოსკოვში, ერთ-ერთ საკავშირო ღონისძიებაზე ვიყავით შეკრებილნი. აქ იყვნენ მსხვილი წარმოების ხელმძღვანელები, მეცნიერები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელები. იყვნენ ბუნებისდაცვითი ორგანოების წარმომადგენლებიც. სხდომათა შორის შესვენებაზე ფოიეში ნახევრადოფიციალური საუბარი ჩამოვარდა, მთაგორიან რეგიონებში ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულების არასაკმარის დონეზე ჩვენს ქვეყანაში; ითქვა, რომ ნიადაგის საფარის დაზიანება და გადარეცხვა ყოველნაირი გზებით და მეთოდებით უნდა იქნეს თავიდან

აცილებული. ერთი მსხვილი უწყების ხელმძღვანელმა, ვისი მისამართითაც ყველაზე მართებული იყო ასეთი კრიტიკა, როგორც შემდეგ გამოირკვა, მოუფიქრებლად განაცხადა — „ძალიან ძვირი გვიჯდება ეკოლოგიაზე ზრუნვა, ამის საშუალება ჩვენს სახელმწიფოს არა აქვს, უბრალოდ წამგებიანია“. ცხოველი კამათი გაიმართა ამ თეზისის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. საბოლოოდ სრული და შეუქცევადი გამარჯვება მოიპოვეს მოწინააღმდეგეებმა. მათი ძირითადი დასკვნა ასეთი ფრაზით გამოიხატა — ის რაც ეკოლოგიურია, ამავე დროს ეკონომიკურიცაა.

და მართლაც თუკი დღეს მოვითხოვთ, რომ ჩატარდეს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებანი მდინარეებზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, მეწყერულ და სელურ რეგიონებში, თუ ვქადაგებთ წესრიგში მოიყვანონ სამრეწველო საწარმოების ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები, დავნერგოთ უნარჩენო ტექნოლოგია და ნედლეულის მეორადი გამოყენება, საბადოთა კომპლექსური ათვისება და სხვა მრავალი, ყველა ამ ღონისძიებისათვის დახარჯული სახსრები და მატერიალური რესურსების სანაცვლო იქნება ათეულ ათასობით ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე დარჩენილი პროდუქტიული ნიადაგის ფენა, მთაგორიან სოფლებში ასეულობით თავის ფუძეზე დარჩენილი თუში თუ ხევსური, აჭარელი თუ იმერელი, გადარჩენილი მთელი სოფლები და ქალაქის ტერიტორიები თელავისა და ლაგოდეხის რაიონში მომხდარი სელების მსგავსი მოვლენებისაგან, წმინდა მდინარეები და წყალსატევებში თევზთა სიმრავლე, მილიონობით მანეთის დაზოგილი რესურსები, ენერგია, შრომა — ჯერ კიდევ ჩვენი მეცნიერების მიერ ზუსტად დაუდგენელი დიდი ეკონომიკური ეფექტი, ზუსტად დაუდგენელია მისი საზღვრები, მაგრამ უკვე დღეს უდავოა ყველასათვის რომ ეს ეკონომია, მართლაც, ძალიან დიდია. სწორედ საერთო, სახელმწიფოებრივი პოზიციებიდანაა დღეს მომგებიანი, რენტაბელური და ეფექტური ეკოლოგიური წონასწორობის შესანარჩუნებლად გაწეული დანახარჯები. ესაა ჩემი პასუხი თქვენს შეკითხვაზე — მომავალში მზირალი, კაცი მეურნე, საღი გონებისა და ფხიზელი ანგარიშის, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ პოზიციებზე მდგომი, ვისთვისაც მხოლოდ მეტალის, ცემენტის ან ღვინისა და ჩაის წარმოება კი არ არის ერთადერთი და მთავარი, არამედ ის, თუ რას და როგორ დაუტოვებთ ჩვენ მომავალ თაობას, რა შეგვეძლო და რა გავაკეთეთ ჩვენი ბუნებისათვის, ჩვენი საარსებო გარემოსათვის, ჩვენი და ჩვენი შვილების სიცოცხლისათვის.

აი ასეთი ხელმძღვანელი მესახება სამაგალითოდ და მომავლის იმედად.

**გ. მ. — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში, რომელიც მან გაგრაში, მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს გამსვლელ გაფართობულ სხდომაზე გააკეთა („კომუნისტი“ 1983, 22 სექტემბერი. გვ. 1-2), შეიძლება ითქვას, პირველად მთელი სისრულით წარმოჩინდა შავი ზღვის პრობლემები.**

**ითქვა, რომ დაზიანდა რესპუბლიკის სანაპიროს თითქმის ორი მესამედი, წყალქვეშ აღმოჩნდა რამდენიმე დასახლებული უბანი, დაინგრა კომუნიკაციები, შენობები, დამახინჯდა უნიკალური ლანდშაფტები, ხშირია ბრაკონიერობის შემთხვევები, არასაკმარისია წყალგამწმენდ ნაგებობათა ეფექტიანობა და ა. შ.**

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ უბედურებათა მთავარი მიზეზებია მოუფიქრებელი აქტიური სამეურნეო საქმიანობა და საქმისადმი ვიწრო, უწყებრივი მიდგომა; მხარი დაუჭირა მეცნიერთა აზრს, რომ მთავარია აღსდგეს ზღვისა და ხმელეთის თანამოქმედების თვითრეგულირება. მთელი ბუნებისდაცვითი საქმიანობა შავი ზღვის სანაპიროზე წარიმართოს მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე მიღწევების დონეზე.**

**სასიამოვნოა ითქვას, რომ ეს სურვილები მალე უთუოდ რეალურ სინამდვილედ გადაიქცევა — ამის გარანტიას იძლევა გარემოს დაცვის დარგის სანიმუშო მმართველობითი ცენტრი — „საქზღვისნაპირდაცვა“, სამეცნიერო, საპროექტო, სამშენებლო და სარემონტო ორგანიზაციათა გაერთიანება, რომელიც არა მხოლოდ აკვირდება, სწავლობს, არამედ აგრეთვე წარმოადგენს ერთიან შემკვეთს და შესრულებულ სამუშაოთა მაკონტროლებელ ორგანოს.**

**ბატონო არჩილ, გთხოვთ, ამ გაერთიანების მუშაობის ძირითად მიმართულებებზე გვიამბოთ.**

**არჩილ კიკნაძე, (სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვისნაპირდაცვის“ გენერალური დირექტორი):**

**— ამჟამად ზღვის ნაპირების დაცვის „ძალისმიერი“ მეთოდები ძირითადად უარყოფილია და ძირითადი ღონისძიებანი მიმართულია ზღვასა და ხმელეთს შორის წონასწორობის ხელოვნურად აღდგენისაკენ. მეცნიერები იკვლევენ ამა თუ იმ მდინარემ რა ფრაქციისა და შემადგენლობის რამდენი ხრეში დააკლო სანაპიროს, რათა ბუნების მიერ „დაკლებული“ ადამიანმა შეავსოს. ცხადია რომ ეს ღონისძიებები ჯერ გარეცხილი ხმელეთის აღდგენისაკენ არის მიმართული, ხოლო შემდგომ ხმელეთისა და ზღვის ურთიერთმოქმედების ბუნებ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივ თვითრეგულირების და დამყარებული წონასწორობის შენარჩუნებისაკენ წარიმართება.

გაერთიანება, ამჟამად, ატარებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ე. ი. სისტემატიურად აკვირდება და სწავლობს ზღვის სანაპიროზე მიმდებარე პროცესებს, განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტურობას, იძლევა პროგნოზს მოსალოდნელ პროცესებისა და ცვლილებების შესახებ და შეიმუშავებს რეკომენდაციებს გასატარებელ ღონისძიებებზე. ეს რეკომენდაციები საფუძველს წარმოადგენს, რომ შედგეს საპროექტო დოკუმენტაცია მშენებლობის განსახორციელებლად, რისთვისაც გაერთიანებას გააჩნია თავისი საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო. ნაპირდამცავი ობიექტების მშენებლობას გაერთიანება აწარმოებს, როგორც საუწყებო სამშენებლო-სარემონტო, ისე სხვა მოჯარე ორგანიზაციების ძალებით. ხაექსპლოატაციოდ ღებულობს დამთავრებულ ობიექტებს და დაკავებულია მისი მოვლა-პატრონობით. მაშასადამე, გაერთიანებაში თავი მოიყარა სამუშაოთა მთელმა კომპლექსმა და მისმა საწარმოო ძალებმა, თუმცა მას ჯერ კიდევ არ გააჩნია მშენებლობისათვის საჭირო სათანადო ბაზები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი.

გაერთიანება შეუდგა, და 1985 წელს მთლიანად დაამთავრებს შავი ზღვის ნაპირების გამაგრების ახალ გენერალურ სქემას. ეს სამუშაო ეტაპებად სრულდებოდა — 1983 წელს დამთავრდა გენსქემის ნაწილი აჭარის ასსრ ტერიტორიის ფარგლებში, 1984 წელს სქემის შედგენა მდინარე ნატანების შესართავთან მდინარე ერისწყალამდე და ა. შ.

„საქზღვისნაპირდაცვის" მიერ შედგენილია გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 2000 წლამდე განხორციელდეს ზღვის სანაპიროს დაცვის ფართო მასშტაბის ღონისძიებანი, რის შედეგად მთლიანად გადაწყდება წარეცხილი უბნების ნაწილობრივად აღდგენის და საფრთხეში მყოფი სახალხო სამეურნეო ობიექტების დაცვის პრობლემები. დასახულ ღონისძიებათა სავარაუდო ღირებულება 276 მილიონი მანეთია და ერთი კმ. ნაპირის დაცვის საშუალო ღირებულება 1,26 მილიონ მანეთს შეადგენს. დღეისათვის კი იგი 2,5 მილიონი მანეთი ჯდება. ნაპირდამცველი ნაგებობების მშენებლობასთან ერთად პროგრამა ითვალისწინებს ხელოვნური პლაჟების მოწყობას, რისთვისაც მიზიდული და დაყრილი უნდა იქნეს 30 მილიონამდე კუბური მეტრი პლაჟის მასალა. დასახული პროგრამის დადგენილი რიგითობის მიხედვით და ვადებში განხორციელების შემთხვევაში 2000 წლისათვის მივაღწევთ სანაპიროს სტაბილურობას, რის შემდეგ მკვეთრად შემცირდება ამ სამუშაოებზე კაპიტალდაბანდებათა გაღება და შემდგომში, ყოველწლიურად, მხოლოდ 600-800 ათასი კუბური მეტრი პლაჟის მასალის ხელოვნურად შეზიდვა მოგვიხდება, რაც უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების შენარჩუნებას. აღნიშნული პროგრამის განხორციელება არის „საქზღვისნაპირდაცვის" ძირითადი პრობლემა და აქედან გამომდინარეობს დანარჩენი სხვა ყველა ამოცანა და საკითხი. 276 მილიონი მანეთი საგრძნობლად დიდი თანხაა, ამიტომ ნაპირის გამაგრების ახალ გენერალურ სქემაში გადაწყდება სამუშაოთა დაფინანსების საკითხიც. მთლიანი კაპიტალდაბანდება სათანადო დასაბუთებისა და გაანგარიშების საფუძველზე განაწილდება საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების ყველა იმ სამინისტროზე, უწყებასა და ორგანიზაციებზე, რომელთა ობიექტები განლაგებულია ზღვის სანაპიროზე, ან სარგებლობს ზღვისა და ხმელეთის იქ არსებული სიკეთით, აგრეთვე ისეთ ორგანიზაციებზე, რომელთა სამეურნეო საქმიანობამ ზიანი მიაყენა სანაპიროს და გამოიწვია დინამიკური წონასწორობის დარღვევა (ისინი გაიღებენ საკომპენსაციოდ საჭირო სახსრებს). ე. ი. პროგრამის განხორციელება წილობრივი მონაწილეობის გზით უნდა გადაიჭრას.

„საქზღვისნაპირდაცვის" არსებობის მცირე პერიოდში გარკვეული ძვრები მოხდა და დადებით შედეგსაც მივაღწიეთ, მაგრამ საბოლოო მიზნამდე ჯერ შორს ვართ, ამიტომ ნაადრევია ვიმსჯელოთ და შევაფასოთ დადებითი შედეგები, რაც დიდი პროგრამის მცირე ნაწილის გაკეთების შედეგად მოხდა.

ბ. მ. — მთელი თქვენი სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობით ზღვას განიხილავთ როგორც სტიქიას, და ეს გასაგებიცაა. ამიტომ იქნებ ორიოდე სიტყვით ზოგი მისი სიკეთეც აღგვენიშნა?

**არჩილ კიკნაძე:**

— ზღვა და ხმელეთი, მიწა და წყალი ჩვენი პლანეტის განუყოფელი ნაწილებია, წარმოუდგენელია მათი ცალ-ცალკე და განკერძოებული არსებობა. ფასდაუდებელი და განუზომელია ზღვის ამაგი და სიკეთე ხმელეთისათვის, სიცოცხლის არსებობისათვის. წარმოვიდგინოთ უწყლო პლანეტა, სადაც ყველაფერი თითქმის მკვდარია,. დედამიწაზე კი სიცოცხლეა გამეფებული, ყველაფერი მოძრაობს და ეს მისი კანონზომიერებაა. ზღვა რომ ღელავს ეს მისი თვითგანწმენდის საშუალებაა, უამისოდ დამყაყდებოდა მისი წყალი და თუ ზვირთცემა რამდენადმე აზიანებს ნაპირს, ეს იოტისოდენა ხინჯს არ აყენებს მის სასარგებლო სიკეთის მომცემ თვისებებს. ზღვა (წყალი) ისევე უყვარს ადამიანს, როგორც ხმელეთი, რადგან შეიცნო მათი სიკეთე, მათ მიჯნაზე გაიჩინა საცხოვრებელი და სარგებლობს ამ სიმდიდრით. ზრუნავს მათზე, რაც უკანვე უბრუნდება.

ოღონდაც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში და შემდგომში მისი კიდევ უფრო განვითარებისას დიდი სიფრთხილეა საჭიროა გარემოს იმ პირობების შენარჩუნების და გაუმჯობესებისათვის, რაც განაპირობებს სიცოცხლის არსებობას დედამიწაზე, არ უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა ისეთი რამ, რომელიც მოსპობს მთელ სიცოცხლეს. ეს უნდა გახდეს ადამიანის გარემოსადმი დამოკიდებულების და ზრუნვის უპირველესი ამოცანა.

ბ. მ. — იუნესკოსა და იუნეპის თაოსნობით მოწყობილმა სამთავრობათაშორისო კონფერენციამ (თბილისი, 1977, ოქტომბერი) ეკოლოგიური აღზრდა-განათლება განათლების საერთო პროცესის განუყოფელ ნაწილად გამოაცხადა. ამ ცოდნით უნდა შეიარაღდეს თითოეული დარგის სპეციალისტი, რათა მომავალმა თაობებმა დედამიწა უფრო გამდიდრებული და გამშვენიერებული ჩაიბარონ. ამიტომაც გასაგებია ის პროგრესი, რაც ამ დარგში შეინიშნება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

სასიხარულოა, რომ საქართველოში, ამ დიდი მოძრაობის მესაძირკვლე რესპუბლიკაში, დღეს გარემოს დაცვა, როგორც საგანი, თითქმის ყველა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში იკითხება, უფრო მეტიც, მოქმედებენ გარემოს დაცვის (ეკოლოგიის) კათედრები (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში, 1980, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1981, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, 1982...), და მაინც, ბატონო კარლო, მკითხველების სურვილია მეტი იცოდნენ ამ მიმართულებით განხორციელებული ორგანიზატორული, სასწავლო, სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდური სამუშაოებისა და პერსპექტივების შესახებ.

**კარლო ჭელიძე**, (საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მინისტრის მოადგილე, ბუნების დაცვის საუწყებათაშორისო სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე):

— სამინისტროსთან არსებული ბუნების დაცვის საბჭო ამოწმებს სასწავლო დაწესებულებებში ბუნების დაცვის საგნის სწავლებას, ასევე სამეცნიერო კვლევის მდგომარეობას და გამოვლენის ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის სახავს საჭირო ღონისძიებებს.

ბუნების დაცვის საკითხებზე მომზადდა გამოსაცემად სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები. დასაბეჭდად გადაცემულია ოთხი სახელმძღვანელო. მათ შორის ერთი სახელმძღვანელო — ა. ვორონცოვი, პ. ხარიტონოვი — „ბუნების დაცვა" — თარგმნილია რუსულიდან.

ბუნების დაცვის კონკრეტულ საკითხებზე 1980-1984 წლებში ჩატარდა რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს მოსკოველმა, ლენინგრადელმა და მოკავშირე რესპუბლიკების სპეციალისტებმა. კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები დიდი ტირაჟით გამოიცა.

მოსწავლეთა და სახალხო მეურნეობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებზე იკითხება ბუნების დაცვის აქტუალური საკითხების მოკლე კურსი.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გარემოს დაცვის კათედრა ნაყოფიერ სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ახორციელებს.

კათედრის თანამშრომლებმა შეიმუშავეს „გარემოს დაცვის" სალექციო კურსისა და ლაბორატორიული სამუშაოების პროგრამა, რომლის შესაბამისად 1982-83 წლებში ინსტიტუტის გამომცემლობაში გამოიცა ლექციების კურსი — „ატმოსფეროს დაცვა", „წყლის რესურსების დაცვა", „ნიადაგის დაცვა", „უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესების შექმნის საფუძვლები", გამომცემლობა „განათლებაში" დაიბეჭდება სახელმძღვანელო „გარემოს გაჭუჭყიანების წყაროები და მისი დაცვის ტექნიკური ღონისძიებები". 1984-85 წლებში გათვალისწინებულია მომზადდეს და გამოიცეს ლექციების კურსი — „ეკოლოგიის საფუძვლები", „ბუნებრივი რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენება", „ლაბორატორიული პრაქტიკუმი", „გარემოს დაცვითი კანონმდებლობა", კათედრა ამზადებს საინსტიტუტო შრომების კრებულს „გარემოს დაცვა".

არსებობის ორი წლის მანძილზე უნივერსიტეტის ეკოლოგიისა და ჰიდრობიოლოგიის კათედრამ ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის ხაზით ასევე მრავალი საქმის გაკეთება დაიწყო.

კათედრა ხელმძღვანელობს ორ სპეციალიზაციას — „ჰიდრობიოლოგია-იქთიოლოგია" და „ეკოლოგია და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება" (ეს უკანასკნელი შემოღებულია 1983 წლიდან). 1984 წლიდან სტუდენტთა სწავლება ამ სპეციალიზაციის შესაბამისად ხორციელდება.

1983 წელს კათედრამ რექტორატის წინაშე აღძრა შუამდგომლობა თსუ ყველა ფაკულტეტზე ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის კურსის სწავლების შესახებ — ფაკულტეტების სპეციფიკის გათვალისწინებით. ჯერ-ჯერობით ასეთი სპეციკურსი შემოღებულია გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტებზე, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ იგი სხვა ფაკულტეტებზეც გავრცელდება.

ასეთი ღონისძიების ჩატარება მეტად სასურველად მიგვაჩნია.

ამავე კათედრის თაოსნობით უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭომ განიხილა

სოლიდური სახელმძღვანელოს შედგენა „ზოგად ეკოლოგიაში“.

უახლოეს ხანებში კათედრას დაგეგმილი აქვს საქართველოს ეკოლოგიური საზოგადოების დაარსება. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი პირველი იქნება კავშირის მასშტაბით. უკვე შედგენილია საზოგადოების წესდების წინასწარი მონახაზები. ეკოლოგიურმა საზოგადოებამ ფართო სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობა უნდა გაშალოს ეკოლოგიური გამოკვლევების გაფართოებისა და გარემოს დაცვის მიზნით.

ბ. მ. — საქართველოს ზაფხულის შრომითი სემესტრებს დიდი ტრადიცია აქვს. სტუდენტთა და მოსწავლეთა რაზმები კარგა ხანია წარმატებით ართმევენ თავს სხვადასხვა სამეურნეო თუ სამშენებლო ამოცანას. რატომ არ შეიძლება თქვენი და განათლების სამინისტროს, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, ბუნების დაცვის სამსახურებისა და დაინტერესებულ უწყებათა გაერთიანებული მეცადინეობით, რამდენიმე ასეთი რაზმი საქართველოს გარემოს გაჯანსაღების კონკრეტულ საქმეზე გავამწესოთ?

**კარლო ჭელიძე:** — ჩინებული წინადადებაა. კარგად მოფიქრებული ეკოლოგიური პროგრამა, ნიჭიერი ორგანიზატორი და... ახალგაზრდობა უთუოდ, როგორც ყოველთვის, თავის სიტყვას იტყვის.

ბ. მ. — პირველი ნახატი წიგნები, ზღაპრები, დედა ენა, რომელიც თავისი შინაარსით, შეიძლება ითქვას ეკოლოგიური წიგნია. კინო, რადიო, ტელევიზია, ბავშვს თავიდანვე აყვარებს ბუნებას, მერმე საბუნებისმეტყველო საგნებით იწყება გარემოს ნამდვილი შეცნობა. ერთი სიტყვით საფუძველი ჩაყრილია, ყველაფერი ჯანსაღ ნიადაგზე ვითარდება, მაგრამ გადის დრო, ბავშვი იზრდება და იგივე მოწაფე, ვინც პატარაობისას „ვანო და ჩიტის“ ან „შვლის ნუკრის ნაამბობის“ კითხვისას აცრემლებულა, ახლა კი თვითონ გვევლინება ბუნების ხელმყოფის როლში — ანგრევს ბუდეებს, აკრძალული ხერხებით ნადირობს ან იჭერს თევზს, ჭრის ან კოდავს ხეებს, აშრობს მდინარის ტოტს, ანაგვიანებს წმინდა გარემოს... უკვე ასაკში შესულ ადამიანს ვუჩიჩინებთ, ვასწავლით როგორ მოეპყრას ბუნებას, რა მოხდა, რატომ აღმოჩნდა სინამდვილეს მოწყვეტილი ჩვენი ეკოლოგიური მეცადინეობა?

**მამია დარჩია** (საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე):

— აღზრდაში მასწავლებლის როლი უდიდესია, მაგრამ ეს უკვე მეორადია. პირველადი და ფუძეთაფუძე მშობელია, რომელიც მყარ საფუძველს აძლევს მასწავლებელს მოსწავლის შემდგომი აღზრდისათვის.

ხშირად ასე ხდება: დედა თავის პატარას გართობის მიზნით მისცემს პატარა, უსუსურ წიწილას, სათამაშოდ მიუგდებს ლამაზ ლეკვს, შემთხვევით დაჭერილ ჩიტს ან ბარტყს, ბავშვი გატაცებით ერთობა ამ უსუსური არსებით, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მოთამაშე ბავშვებს ხელში აკვდებათ, იღუპება, მაგრამ მოზარდის გარშემომყოფთაგან ეს ფაქტი არავის აშფოთებს, თითქოსდა ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყოს. მოზარდმა, რა თქმა უნდა, არ იცის თავისი მოქმედების არსი, მაგრამ ამ შემთხვევაში აღსაზრდელი კი არა — ჩვენ, დიდები ვართ დამნაშავენი ასე უდარდელად რომ ვთესავთ გულცივობას

თუ დედა ნახავს, რომ თავისი ახლადფეხადგმული შვილი თამაშისა და გართობის მიზნით ასანთით უკიდებს ცეცხლს ძვირფას ნივთს (დავუშვათ ძვირფას კაბას, მანქანას და ა. შ.), წარმოიდგინეთ რა აღშფოთებული მივარდება იგი ასანთიან ბავშვს და როგორ მკაცრად, დასამახსოვრებლად ან სულგრძელად, ტაქტიანად, მაგრამ ძალზე გამაფრთხილებელი-დამრიგებლური ტონით აუკრძალავს მას ასეთ საქციელს და ეს ყველაფერი ისე შთამბეჭდავად მოხდება, რომ პატარა იგივეს იშვიათადღა თუ გაიმეორებს, ასეთი სერიოზულობით რომ მოეკიდოს ყველა დედა თავიდანვე გარემოსადმი მოზარდის სხვა არასასურველ (დაუშვებელ) მოქმედებას, მე მგონია თითზე ჩამოსათვლელი გვეყოლება ბუნების უდიერად მომპყრობი ბავშვები, ასევე მოზრდილებიც. ვიმეორებ, არ ვასუსტებ ამ მიმართულებით მოსწავლის აღზრდაში მასწავლებლის როლს, მაგრამ უძლიერესია ის, რაც თავიდანვე „სულს დაიჩნდების“.

ამასთანავე სკოლამდელი დაწესებულებების წინაშე სერიოზული ამოცანა დგას; უფრო ღრმად გააცნოს ბავშვებს ბუნება და დააახლოვოს მას, ჩაუნერგოს სიყვარული და მისი დაცვის მოვალეობა, გააცნოს ეკოლოგიური განათლების ელემენტები, რათა ასეთ დაწესებულებაში აღზრდილმა ბავშვმა ხვალ სულ სხვა თვალით შეხედოს ბუნებას, გაუფრთხილდეს, დაიცვას იგი.

ჩვენი მოსწავლეების დიდი უმეტესობა მონაწილეობს გარემოს გამწვანებაში, ათასობით მცენარეს რგავენ, მაგრამ მოსწავლეთა ამ შრომით პროცესში ჭარბობს მხოლოდ ორგანიზაციული მოტივი, რადგან უმეტესად ეს შრომითი პროცესი მოსწავლეთა წინასწარი თეორიული შემზადების გარეშე ხდება. მხედველობაში მაქვს საკითხის ის აუცილებელი მხარე, რომ მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს იმ მცენარის ბიოლოგია, რომელსაც რგავს, დარგვისა და ახალგაზრდა ნარგავების მოვლის წესები. მოსწავლე ბოლომდე უნდა იყოს დაინტერესებული თავის მიერ დარგული მცენარის ბედით, მისი სიცოცხლით, მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს მოსწავლეებში ბუნებისადმი სიყვარულს აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

თანამედროვე ადამიანი სულ უფრო მეტად მოითხოვს ბუნებისაგან ნედლეულს. მოზარდი კარგად ხედავს თუ როგორ გამოიყენება ბუნების სიმდიდრე ხალხის კეთილდღეობისათვის, თუმცა ნაკლებად იცის ბუნებისადმი ფრთხილი მოპყრობის, მისი აღდგენისა და სრულყოფის კანონები, ეს კი მასში იწვევს ბუნებისადმი ე. წ. „მომხმარებლური დამოკიდებულების" ჩამოყალიბებას. აქ აუცილებელია მოზარდის სულიერი აღზრდა ჰუმანურ საფუძვლებზე, რაც არამარტო ოჯახის, არამედ სკოლის და მთელი საზოგადოების უპირველესი მოვალეობაა.

ბ. მ. — პარტიისა და მთავრობის ბუნებისდაცვით საპროგრამო დოკუმენტებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში — (ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი), — მოსწავლეთა ეკოლოგიურ განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იქნებ გვიამბოთ მთელს ამ ბუნებისდაცვითი საგანმანათლებლო მოძრაობას რა კონკრეტული საქმეები მოჰყვა სამინისტროს სისტემაში?

**მამია დარჩია:** — ეკოლოგიის საფუძვლებზე დაყრდნობით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებისათვის შემუშავებული და გამოცემულია 40-ზე მეტი დასახელების მეთოდური მითითება ბროშურების სახით. გამოიცა ბუნების ნორჩ დამცველთა, ნორჩ მეტეოროლოგთა, ნორჩ ფენოლოგთა, მწვანე არქიტექტურის მოყვარულთა, სამკურნალო მცენარეების შემსწავლელთა, ნორჩ ენტომოლოგთა, აქვარიუმის მოყვარულთა და დაწყებითი კლასების წრის პროგრამები. შემუშავდა და გამოიცა ცისფერი და მწვანე საგუშაგოების მუშაობის დებულება, ხოლო გადასალისდა სასკოლო სატყეოსა და საწარმოო ბრიგადების მუშაობის დებულებები.

მასალა ბუნების დაცვის ღონისძიებების შესახებ მოცემულია ყველა სახელმძღვანელო დისციპლინის პროგრამებსა და სახელმძღვანელოში. ბუნების დაცვის საკითხებზე მასალები პერიოდულად იბეჭდება პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში", მის საგნობრივ გამოცემებში „ქიმია-ბიოლოგია სკოლაში", „გეოგრაფია სკოლაში".

მოზარდის დაახლოებას ბუნებასთან, ბუნებისადმი სიყვარულისა და სათუთი დამოკიდებულების აღზრდას ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში, საბავშვო ბაგა-ბაღში ეყრება საფუძველი. ამ პრინციპზეა აგებული აღზრდის პროგრამის მოთხოვნა, რომელიც ძირითადად ორი მიმართულებით ხორციელდება: მშობლიური ბუნების სიყვარულისა და მისი სილამაზის აღქმის აღზრდა, ცხოველების, ფრინველებისა და მცენარეებისადმი ფრთხილი დამოკიდებულების გამომუშავება და მეორე: სკოლამდელებში ელემენტარული ცოდნის ჩანერგვა ბუნების შესახებ. კონკრეტული წარმოდგენის მიცემა ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების მოვლენების შესახებ.

სკოლებში ბუნებისდაცვითი განათლება ძირითადად საგნობრივი და ფაკულტატიური მეცადინეობების გზით ხორციელდება, სკოლაში მიღებული ცოდნის განმტკიცებისა და მისი პრაქტიკულად განხორციელება წარმოებს მოსწავლეთა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის პროცესში. ამგვარი მუშაობის ძირითად ფორმას წარმოადგენს ნატურალისტური წრეობრივი მუშაობა და ბუნების დაცვის ისეთი პირველადი ორგანიზაციების ჩამოყალიბება, როგორიცაა სასკოლო სატყეოები, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები, შრომისა და დასვენების ბანაკები, ცისფერი და მწვანე საგუშაგოები და სხვა.

უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა სასკოლო სატყეოების რიცხვი (დღეისათვის მუშაობს 596 სასკოლო სატყეო, სადაც გაერთიანებულია 28635 მოსწავლე, გაფართოვდა მწვანე და ცისფერი საგუშაგოების შრომისა და დასვენების ბანაკების მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების ქსელი, ნორჩ ნატურალისტთა წრეთა რიცხვმა კი 2240-ს მიაღწია, რომლებშიც 33667 ნატურალისტია გაერთიანებული). გაიხსნა ნორჩ ნატურალისტთა სადგურები — ზუგდიდში, ფოთში, წალენჯიხაში, თერჯოლაში, მაიაკოვსკში და ადიგენში.

ტრადიციად იქცა ყოველწლიურად აპრილისა და მაისის თვეებში ფრინველისა და ტყის დღის, ყვავილთა დღესასწაულის ჩატარება, რომლებშიც ყველა სკოლა და სკოლისგარეშე სხვა საბავშვო დაწესებულებებია ჩაბმული. ნორჩი ბუნების ქომაგების მიერ ჩატარებული მუშაობის შეჯამებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით, ასევე ტრადიციად იქცა, ორწელიწადში ერთხელ, ნორჩ ბუნების ქომაგთა რესპუბლიკური შეკრებებისა და გამოფენების ჩატარება. შეიქმნა ნორჩ ბუნების ქომაგთა რესპუბლიკური საზოგადოება, რომელიც თავის რიგებში ნახევარმილიონზე მეტ წევრს აერთიანებს.

ბუნების დაცვის სწავლების გაუმჯობესებას მიეძღვნა მთელი რიგი რესპუბლიკური, რაიონული თუ საქალაქო შეკრებები, გამოფენები, ექსპედიციები, ლაშქრობები, ექსკურსიები, სამეცნიერო შემოქმედებითი კონფერენციები, დილა-საღამოები, შეხვედრები, თათბირ-სემინარები და სხვა.

ნორჩ ნატურალისტთა საკავშირო ესტაფეტა-კონკურსში, „დედა სამშობლოს მწვანე სამოსელი", ჩვენი რესპუბლიკის მრავალმა მოსწავლემ მიიღო აქტიური მონაწილეობა, რითაც გარკვეული წვლილი შეიტანა მშობლიური ბუნების დაცვა-გამრავლების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მზია შენგელია

# უცნაური პოემა

## გრალდეგა

იმ არედან, რომელიც „გველის-მჭამელის" მკვლევართა საგანგებო ყურადღებითაა შემოსაზღვრული, ამჯერად სამი საკითხი გვაინტერესებს: მზიას სახე პოემაში, პოემის „არალოგიკურობა", მითოსის გავლენა.

სამივე საკითხი მეტად თავისებურადაა გაანალიზებული თ. ჩხენკელის წიგნში „ტრაგიკული ნიღბები" (ქვესათაური „ფერისცვალება") და რადგან იგი, ამასთანავე, ერთ-ერთი უკანასკნელია „გველის-მჭამელზე" არსებულ მასალათა შორის და, ამდენად, ითვალისწინებს მანამდე გამოთქმულ მოსაზრებებს, ჩვენც სწორედ ამ წიგნთან მიმართებაში განვიხილავთ აღნიშნულ საკითხებს.

მკვლევართა განსაკუთრებული დაინტერესება მზიას პიროვნებით იმან განაპირობა, რომ გმირის ტრაგედია ოჯახის შექმნით იწყება. რაში მდგომარეობს მინდიას ოჯახის დანაშაული, ვინ არის მიზეზი განხეთქილებისა, რამაც მინდიას დაცემა გამოიწვია? — მზია, ასეთია მკვლევართა ნაწილის აზრი.

„ცოლი და ოჯახი პოემაში წარმოდგენილია როგორც ვიწრო, შეზღუდული, საქვეყნო საქმესთან დაპირისპირებული ინტერესების, ხოლო მინდიასთან მიმართებაში, როგორც ეშმაკეული, მომაცდუნებელი, არაჭეშმარიტი ცხოვრების ზოგადი ხატი" (გვ. 288). ეს, რა თქმა უნდა, ყოველივე ასეა, მაგრამ რატომ, ან ნიშნავს თუ არა იგი მზიას დანაშაულს?

ცოლი და ოჯახი პოემაში წარმოდგენილია როგორც ვიწრო, შეზღუდული ინტერესების მქონე და ასეთია იგი სინამდვილეშიც (ე. ი. ეს ფაქტი არ გამომდინარეობს მზიას პიროვნული ნაკლიდან). ოჯახის ინტერესები არაფრით არ არის ქვეყნის ინტერესების ტოლფარდი. ზოგადად მათ აქვთ საერთო წერტილები, მაგრამ პოემაში დაპირისპირება იმდენად ყოვლისმომცველი, ტოტალური ფორმით არის წარმოდგენილი, რომ თანაარსებობა გამორიცხულია, თანაარსებობა გმირისა, როგორც ერისკაცისა და როგორც ოჯახის უფროსისა.

მზია „ცხოვრების ზოგადი ხატია", მისი საუკეთესო გაგებით, შესაძლებლობის ფარგლებში. მას რაიმე განსაკუთრებული, ზედმეტი არ მოუთხოვია მინდიასაგან. მისი უმაღლესი მოვალეობაა დედის მოვალეობა — აღუზარდოს სამშობლოს ვაუკაცები და მომავალი დედები. მაშ რატომ უნდა მივიჩნიოთ იგი „ეშმაკეულად", „არაჭეშმარიტად", ხოლო მაცდუნებელია იმდენად, რამდენადაც ეს ცხოვრებაა — „და უწოდა ადამ სახელი ცოლსა თჳსსა: ცხორებაი".

„გველის-მჭამელში" მინდიას პირით მზია დახასიათებულია, როგორც „ყბედი" და „ზეზერე მგრძნობარე" (გვ. 289), ზემოთმოტანილ აზრთა უმრავლესობაც მზიას მიმართ მინდიას მიერ წაყენებული ბრალდებების საფუძველზე წარმოითქვა, მაგრამ ეს ბრალდებები „მინდიას პირით" კი არ არის ნათქვამი (მინდიას ზურგს უკან ვაუა იგულისხმება), არამედ მინდიას მიერ, რადგან „გმირის შეგნება ერთგვარ, შეფარდებით დამოუკიდებლობას იძენს ავტორისეული შეგნების, ჩანაფიქრის პლანში. გმირის ცნობიერება იხატება, როგორც სხვა ცნობიერება, იმდენად მნიშვნელოვანისა და ღირსეულის მიმწოდებელი საკუთარი თავისა და სამყაროს გაგებაში, რომ ავტორისეული რემარკები ან უკანა პლანზე გადადის, ან სრულიად აღიკვეთება. მინდია ჩვენ გვეძლევა არა როგორც საგანი გარედან მწერლისეული ჭვრეტისა და, ამდენად, საზღვარშეჩენილი და დამთავრებუ-

ლი, როგორც ობიექტი; მინდიას ნიშან-თვისებანი ნეიტრალურნი კი არ არიან მისსავე თვითშეგნებასთან მიმართებაში, არამედ — პირდაპირი საგანი ამ შეგნების მუშაობისა. ამისდაკვალად, მინდია სრულუფლებიანი სუბიექტია, რომლის სამყარო შემოუფარგლავია, ღიაა, რამდენადაც მისი შინაარსი და საზღვრები სუბიექტის შინაგან ვითარებაზეა დამოკიდებული" (გრ. ფარულავა — „სიტყვა პერსონაჟისა", „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა", 1975 წ. გვ. 228). და როგორია „შინაგანი ვითარება" ბრალდების წაყენების ჟამს? — კულმინაციური, — მინდიამ „სიბრძნე" დაკარგა, მიზეზი კი ოჯახის ინტერესებია და ისიც ცოლ-შვილს ადანაშაულებს, მაგრამ ცოლ-ქმრის დიალოგი უფრო გამამართლებელი საბუთის ძებნაა („თავს რით ვიმართლებ ღმერთთანა"), ვინემ უდავო დამნაშავის გამომჟღავნება, რადგან, „თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვით, ჩქარა ვიუბნებთ სხვისასა".

მკვლევარს მოჰყავს პარალელები ვაჟას სხვა პოემებიდან, რათა გვიჩვენოს, თუ რამდენად მტკიცეა ავტორის პოზიცია „დედათა ბუნებაიწროობის" შესახებ, მაგრამ თვით პოემაში „ავტორისეული რემარკა" ამ საკითხთან დაკავშირებით „სრულიად აღკვეთილია". სამაგიეროდ პოემის მეორე თავი მთლიანად ეძღვნება ქალებს, რომელთა ზოგად სახესაც მზია გამოხატავს და რომლებიც დიდი იმედით მიაცილებენ ომში მიმავალ ლაშქარს „და ახვეწებენ თავის ჯარს ღვთისა და ხატის ძალასა... ისინიც სამშობლოსადა ლოცვას ამბობენ წმინდასა" — სწორედ ამ კუთხით ჩათვალა საჭირო მათი წარმოჩენა ვაჟამ.

მზიასა და ბავშვებს ერთიდაიგივე „დანაშაული" მიუძღვით მინდიას წინაშე. ეს დანაშაულია მათი არსებობა, მაგრამ მინდიას უნებურად არ შექმნილა ეს ოჯახი, იგი მინდიასია და პასუხიც სწორედ მას მოეთხოვება.

მინდია, რომელიც ერის ბელადი და მამაა, ოჯახის მამაც გახდა. მას უკვე მარტო ქვეყნის კი არა, ოჯახის სამსახურიც მართებს. იგი „ორი ბატონის" მსახურია და, ცხადია, მისი ბუნებაც გაორდა. სწორედ ამ გაორების გამოვლენის მნიშვნელობით შემოიფარგლება დიალოგი ცოლ-ქმარს შორის, რადგან მთავარია არა უთანხმოება მათი, არამედ განხეთქილება თვით მინდიას პიროვნებაში.

ვინაიდან სიტყვა მინდიას გაორებაზე ჩამოვარდნა, ლოგიკური იქნებოდა მისი შემდგომი მოქმედება უნებისყოფობით აგვეხსნა, მაგრამ ჩვენ პირიქით, ნებისყოფად ის მივიჩნიეთ, რამაც მინდია საბოლოო დამარცხებამდე მიიყვანა. აქ უნდა აღინიშნოს, უთუოდ, რომ, ვინაიდან მინდიასათვის ოჯახური და საზოგადოებრივი ინტერესები შეუთავსებელია, რომელიმე მათგანის დათმობა გმირისაგან უსათუოდ ნებისყოფას მოითხოვს, ხოლო, თუ რომელი მათგანი გაწირა მინდიამ და რატომ, ეს უკვე სხვა საზომით გაიზომება.

ვაჟა-ფშაველამ ადამისძეთა მოდგმის ორი უძლიერესი გრძნობით მიაჯაჭვა (სცადა!) მინდია საქვეყნო საქმეს — სიყვარულით (ყვავილები) და სიბრალულით (ხეები) და თუმცა „იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაი", რა ძალას უნდა გადაეცდინა მინდია გზიდან, თუ არა ისევ იმ გრძნობებს, რომლებიც მას ამ გზაზე ატარებდნენ — შვილების სიყვარული და სიბრალული გადაულახავ ზღუდედ აღიმართა უებრო მხედართმთავრის წინაშე, მაგრამ „არჩევანი" გრძნობათა შეფარდებითი სიდიდით არამც და არამც არ განიზომება — აუცილებელია ფიზიკური შესაძლებლობის გათვალისწინება. რაში მდგომარეობს იგი?

გავიხსენოთ განდეგილობის საკითხი. მისი აუცილებელი თანმხლებია, ან იგი თავისთავშივე მოიცავს საზოგადოებისგან ფიზიკურ განდგომას, თუმცა „სულის განწმენდის" ყველა დანარჩენი პირობის შესრულება უმაგისოდაც შეიძლება თითქოს. მაშ, რისთვის არის საჭირო უდაბნოში გახიზვნა? — მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა შემთხვევაში ამ პირობების დაცვა ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობას აღემატება (იგულისხმება ხსნის ინდივიდუალური ფორმა, რომელიც არ მოიცავს ქრისტიანული რელიგიისათვის დამახასიათებელ ფენომენს — სიკეთეს); „იქ, სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე-დაღამ", მწირი წუთიდან წუთამდე, დღიდან დღემდე, წლიდან წლამდე, გამუდმებით, ნებისყოფის სრული დაძაბვით უნდა მოქმედებდეს, ასეთი ფსიქოლოგიური დატვირთვა კი ადამიანის უნარს აღემატება ბევრად.

მინდიას „არჩევანის" მიზეზიც ესაა. მის წინაშე განუწყვეტლივ დგას ოჯახის რჩენის პრობლემა. იგი ყოველდღე ხედავს, როგორ „ილევიან" ბავშვები სიცივითა და შიმშილით. რაღაც მომენტისათვის ამის ატანა შეუძლებელი გახდა და გმირიც „მეორე მხარეს" გაემართა: „დღეს მოვჭერ ერთი ჭანდარი თუმც მემუდარა ბევრია", „ხვალ ორი მოვჭერ" — მუდარაზე უკვე არაა ლაპარაკი, — ხოლო ზეგ „რომ სულ აღარა მეგრძნო რა, ძალაც ვითხოვე ღვთისაო" — საქმე შედარებით ადვილად წავიდა და იქცა გველისმჭამელი კვლავ ხევსურ მინდიად.

თვითმკვლელობის ცდამ მინდიას უკვდავების კიბეზე შეადგმევინა ფეხი (მხედველობაში გვაქვს არა მისტიკური ზეასვლა, არამედ ცხოვრებისეული უკვდავება). უკანასკნელ საფეხურზე იდგა, როცა უკან ჩამოსვლა მოისურვა, მაგრამ ამ კიბეს საფეხურები მხოლოდ მაღლა ასასვლელად აქვს და მინდიაც ჩამოვარდა... ჩამოვარდა და მერეღა ჩასწვდა უკვე გასული „წამის მშვენიერებას": „მიზეზ-შედეგთა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე დაძაბული განსჯის უამს გმირი ყველაზე ნათლად ეხლა ადგენს, რა უნდა ყოფილიყო იგი, რითაც კიდევ უფრო ცხადად მოჩანს, რა არ უნდა ყოფილიყო და რა არის ახლა იგი" (გრ. ფარულავა გვ. 281) — სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ განსჯის ღირებულება, თვით მინდიასათვის, ამ მომენტში, ურმის გადაბრუნების შემდეგ გამოჩენილი გზის ღირებულების ტოლფასია მხოლოდ

ამრიგად, დაპირისპირება მინდიასი მზია-ჩალხიასთან (ახინი ერთიანდებიან როგორც „მარტივი გონების ადამიანები") გამოწვეულია გმირის პიროვნების ვინაობისა (ერის ბელადი) და მისი შინაგანი ბუნების (შინაგანად მოუმზადებელი) გამოსავლენად. ეს კი სულაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ამ უკანასკნელთ ბრალი დავდოთ რაიმეში — თითოეულმა კარგად იცის თავისი მოვალეობა, რაც მათი უნარით განისაზღვრება. მიეციათო კეისარს კეისრისა — მივცეთ, ან რა უფლება გვაქვს, არ მივცეთ, როცა იგი კუთვნილია მისი — კეისრისაა, მივცეთ, მაგრამ მოვთხოვოთ კიდეც — კეისარს კეისრისა.

პოემის „არალოგიკურობა" — საკითხი ს. დანელიას მიერ იქნა წამოჭრილი. შემდეგ მკვლევარებმა სცადეს, შეერბილებინათ იგი და არალოგიკურად თვით მინდია წარმოადგინეს (გმირის არასრულფასოვნება საბოლოოდ მაინც ქმნილების ღირებულებაზე მეტყველებს), კრიტიკოსთა ნაწილი საკითხზე ზოგადი მსჯელობით დაკმაყოფილდა და ბოლოს თ. ჩხენკელი:

„გველის-მჭამელის" მაგისტრალური იდეა იმთავითვე სწორად იყო ამოცნობილი და გაგებული. ამ იდეის ფაბულური ორიენტირები პოემაში მკაფიოდ არის მოხაზული (გველის ჭამით ინიციაცია, ცოდნის დაკარგვა, ამის გამო ხინანული და ტანჯვა, თავის მოკვლა). დავას იწვევდა და იწვევს ამ იდეის ფონზე გაშლილი ცალკეული ეპიზოდებისა და აზრობრივი ასპექტების ურთიერთ-შეპირისპირებისას გამოვლენილი შეუსაბამობანი, რომელთა ერთიან ლოგიკურ სისტემაში გაერთიანება ჭირს (ხაზი ავტორისაა). ... პოემის მთლიანმხატვრულ სტრუქტურაში, როგორც ზემოთ ითქვა, შესამჩნევია ურთიერთგადამკვეთი მხატვრული აზრობრივი ასპექტების ერთგვარი შეუსაბამობა, რაც ზოგჯერ ცხადლივ იგრძნობა" (გვ. 254, 262).

არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მკლევარის მიერ მოტანილ ორ უკანასკნელ ორიენტირს შორის საკმაოდ დიდი მანძილია (პოემის თითქმის ნახევარი) და აღვნიშნოთ: უმთავრესი ბრალდება პოემა „გველის-მჭამელის" მიმართ აქაც ძალაში რჩება. პატივცემულ მკვლევარს არც უცდია მათი ახსნა და ფაქტიურად იმის თქმით დაკმაყოფილდა, რომ „... წინააღმდეგობას მითოსური და სიტუაციური პლანების შეუთანხმებლობა ბადებს" (ხაზი ავტორისაა) და რომ „პოეტის დაბვიანებული რეფლექსია, პოეტური ინტუიციის საფუძველზე, უკვე განხორციელებული მითოსური პასაჟის მხატვრულ სინამდვილეს შინაგან წინააღმდეგობას უწევს". ერთგან ავტორი ამბობს: აქ მითოსურ მოდელს არ ღალატობს პოეტი-ო (ხაზი ჩვენია, გვ. 265, 269, 270) და, უნდა ვიკითხოთ უსათუოდ, როცა პოემა „გველის-მჭამელზეა" საუბარი, ვინ არის ვაჟა-ფშაველა, პოეტი თუ ფოლკლორისტი? ან რა ღალატზეა ლაპარაკი, რა ისეთი ვალი ადევს ავტორს, ან რომელი ფიცითაა შეკრული.

თ. ჩხენკელის მიერ პირველ (ნაწილობრივ)— მეორე პუნქტში (გვ. 262-71). მოყვანილი გმირის მოქმედების „არალოგიკურობა" „ღვთის ბრძანებით" ხდება, რადგან იგი მთლიანად ბუნების საგანთა სურვილზეა დამოკიდებული. ხოლო თუ რატომ არის ეს ბრძანებები მაინცდამაინც ასეთი და არა სხვანაირი, ამის აუცილებლობაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ წერილში „მოჯადოებული წრე". შევჩერდებით მესამეზე, იქ სადაც გმირი თავისთავს ეუფლნის.

„ასე მხოლოდ ქრისტიანული ღმერთის წინაშე ლოცულობს ქრისტიანი. მაგრამ ეს ქრისტიანი მინდიაა და იგი ხახმატის ხატშია დაჩოქილი, სადაც წარმართულ ღვთაების სახელზე დაკლულ კურატთან „ხანჯარ-სისხლიანი" ხევისბერი დგას... ხევსურთა სალოცავში გველისმჭამელის ასეთი ლოცვა ისევე ძნელად წარმოსადგენია, როგორც მის მიერ ცხოველთა ხოცვის გამო დაკარგული სიბრძნის გამოსათხოვრად ძროხების დაკვლა, რადგან, თუ პირველ შემთხვევაში ეთნიური კოლორიტია დარღვეული, მეორეგან დანაშაულის მონანიება იმავე დადანაშაულის საზღაურად ხდება. მაგრამ, როგორც ჩანს, პოემაში ცათა მიმართ ქრისტიანულ ლოცვას სწორედ კურატის წარმართული მსხვერპლშეწირვა შეესაბამება" (გვ. 273).

ჩვენ არ ვიცით, როგორ ლოცულობენ ხახმატის ხატში (არ გვინახავს) და, რაკი ავტორი ამბობს, განსხვავება უთუოდ არის (თუმცა მკვლევარისათვის ამ ცოდნის ერთ-ერთი წყარო ალბათ ვაჟას ეთნოგრაფიული ხასიათის წერილებიცაა ხევსურეთზე), მაგრამ, თუ ეს განსხვავება ლოცვის ხანგრძლივობასა და მის მხურვალებაში გამოიხატება მხოლოდ, მაშინ, და განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ძნელად წარმოსადგენია, მკითხველისათვის ამის მიზეზი უფრო საინტერესო უნდა იყოს, ვიდრე კოლორიტის სიზუსტე, რამეთუ ცხადია: ცოდნადაკარგული მინდია რიგითი ხევსურია, რომლისთვისაც ღმერთთან „კავშირის" ერთადერთი გზა არსებობს (ხევსურთა სალოცავები) და იგი იმდენადაა ქრისტიანი, რამდენადაც ყველა ხევსური. ლოცვის უჩვეულობა აქ სიტუაციის ხა-

განგებო სიმძაფრეზე მიუთითებს. მლოცველი თავის სახლ-კარსა და ცხვარ-ძროხას კი არ ავედრებს უფალს, არამედ სამშობლოს, რომლის სიკვდილ-სიცოცხლისა თუ ყოფნა-არყოფნის საკითხი სწორედ მისი მიზეზით გამხდარა საეჭვო.

მკვლევარი აღნიშნული „არალოგიკურობის" პირველ ნაწილში ეთნიური კოლორიტის დაცვას მოითხოვს და სწორედ ამის გამო ჩვენთვის არც თუ გასაგებია, რატომ ითქვა ოდნავ ქვემოთ: „გველის-მჭამელის" პირველსავე თავშია ნახსენები ფშავ-ხევსურული ეთნოლოკალისათვის შეუსაბამო, პირწმინდად ქრისტიანული „აღდგომა", „ზოგა" და „სამოთხე". თუმცა პოემის მხატვრული ნამდვილობა მხოლოდ ხატობასა სცნობს რელიგიურ დღესასწაულად" (გვ. 273). ეს ქრისტიანული ტერმინები „მთხრობელის" (ვაჟას) ლექსიკიდანაა. მისი რელიგიური მსოფლმხედველობა რამდენადმე მაინც განსხვავდება პოემის გმირთა მსოფლმხედველობისაგან. მხატვრული რეალობა კი, ამ შემთხვევაში კოლორიტი, სწორედ ხატობას მოითხოვდა რელიგიურ დღესასწაულად. თუ დავუკვირდებით, მკვლევარმა აქ იმის ხაზგასმა ჩათვალა საჭიროდ, რისი დაუცველობაც ერთი აბზაცით წინ კოლორიტის დარღვევად აღნიშნა.

რაც შეეხება „დანაშაულის მონანიებას იმავე დანაშაულის საზღაურად", იმ ინფორმაციით, რომლითაც პატივცემული მკვლევარი სარგებლობს, არალოგიკურობა აშკარაა და რომ გავიგოთ მიზეზი პოემის ლოგიკური ხაზის „გამრუდებისა", აუცილებელია, დავიცვათ ორი წინაპირობა: განისაზღვროს, ვინ არის მინდია და რას ევედრება იგი ღმერთს. პირველ კითხვაზე ავტორს არა აქვს კონკრეტული პასუხი, ხოლო მეორეში კრიტიკაში გავრცელებულ თვალსაზრისს იზიარებს და იგი მცდარია (იხ. „ცისკარი" №8, 1980 წ.).

გველისმჭამელი „მთიელი ერის" ბელადია და იგი ხახმატის ხატს სამშობლოს გადარჩენას ევედრება. და, თუ ამასთანავე, გავიხსენებთ „სიბრალულის ყოველგვარ საზღვარგადაცილებული გრძნობის მატარებელი გმირის" სიხასტიკეს სამშობლოს მტრებთან („მტრისას, ხმლით ნაჭერს, მინახავ, მინდია სდგამდეს გორასა"), თუმცა ისინი ბუნების უმაღლესი პროდუქტი — ადამიანები — არიან (აკი ითქვა კიდეც პოემაში: „კაცის კვლა ყველასა სჭარბობს, თუნდ მტერი იყოს ყოველთი"), ყველაფერი თავის ადგილას აღმოჩნდება — მინდია პირადი ინტერესების გამო არ სწირავს ღმერთს საქონელს, მისი მოქმედება თავისი ქვეყნის კეთილდღეობაზე ფიქრითაა ნაკარნახევი, ამ სარბიელზე კი გმირის შინაგან ბუნებას საზღვარი იმთავითვე არ დასდებია, ან უფრო ზუსტად — სწორედ ამ მხარეს იქნა გეზმიმართული გველისმჭამელის „დიდი ცოდნა და ძალია".

ამრიგად, მინდიას შეუძლია მოჭრას ხე, მოთიბოს ბალახი, მოკლას ადამიანი, გაანადგუროს ყოველივე ცოცხალი, თუ ამას მოითხოვს ქვეყნის ინტერესები და არა პირადად მისი. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი თვალსაზრისის მართებულობას პოემის ძირითადი საკითხების შესახებ, ხოლო თუ რამდენად ლოგიკურია იგი (პოემა) მკითხველმა განსაჯოს.

თ. ჩხენკელის აზრით, პოემის დედააზრის შემადგენელი უტილიტარული „მოტივის გამო ითრგუნება ვაჟასეული სტილის სპეციფიკა პოემაში: მინდია გლეხია, ხევსურთა თემი — სამშობლო, მინდიას სამკვიდრებელს ქოხი ჰქვია, ხატობას — დღეობა, ხოლო ქავს — სახლი და კოშკი" (ხაზი ავტორისაა, გვ. 275). ითრგუნება სტილი (ავტორის უნებურად, მოტივის სიძლიერის გამო) და, რა თქმა უნდა, თვით პოემაც. ბელადი გლეხია, თემი — სამშობლო და უნდა ვიკითხოთ კვლავაც: იქნებ დანიის პრინცის ტრაგედია იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ იგი მეფის სასახლეში მოხდა და რომ იქ ტრაგიკული გმირი უფლისწულია და მომავალი მეფე. ჩვენ რომ გვკითხონ, ამ ორი პიროვნების შედარებისას ბევრს ვერაფერს ვიტყვით ეჭვიანი პრინცის სასარგებლოდ, რადგან მისი ტრაგედია, პირველ რიგში, მაინც პიროვნების ტრაგედიაა (ძლევამოსილი ფორტინბრასის მოსვლა სასახლეში გმირის სიკვდილისთანავე, რომელიც უფლისწულის ანდერძში ტახტის ერთადერთ და კანონიერ მემკვიდრედაა დასახელებული, ქვეტექსტში ტოლფასია ცნობილი შეძახილის: მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!), მინდიას ტრაგედია კი ერის ტრაგედიაა (ამ აზრს უკვე მაიძულებელ ფორმად უზის პოემის უკანასკნელ თავში წარმოდგენილი სურათი: ჯერ „ერის" დაცემის „ცუდი ნიშანი" — „და ამ დროს ნახა სოფლებში ცეცხლები — ცუდი ნიშანი" — და მხოლოდ ამის შემდეგ, და მხოლოდ ამის გამო თვითმკვლელობა გმირისა) და მერე... მერე შეიძლება ვისაუბროთ პიროვნებაზე.

აქ გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პოემის მთლიანობაში ტრაგედიის ლოკალურობა, ხევსურთა ტრაგედია, არ განსაზღვრავს მის მასშტაბებს; — როგორც უკვე ცნობილია კრიტიკაში, თამარ მეფის სახე პოემაში სრულიად საქართველოს ძლიერების სიმბოლოა და მას არც მინდია ჰყავს უკვე და არც „ერი მთიელი", ვერც იტყვის ამიერიდან ასე გულდაჯერებით: „ოღონდ მინდია თან მყვანდეს, მასთან მთიელი ერია, რაც უნდ ძალიან ეცადოს, ვერას დამაკლებს მტერია".

„გველის-მჭამელის" მხატვრულ ღირებულებაზე გამოთქმულმა მოსაზრებებმა გვაფიქრებინა, საგანგებოდ გვეძებნა სუსტი ადგილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოემაში და, თუმცა შეიძლება შედეგი მხოლოდ ამ წერილის ავტორის უნარზე მეტყველებდეს, რაკი ასეთი მოსაზრებები არსებობს, ჩვენ იგი ვერსად შევნიშნეთ. სწორედ ასეთი ძიების დროს მიიქცია ყურადღება პოემის IX თავმა. არა თუ მნიშვნელობა, არსებობაც კი მისი ალბათ რამდენჯერ დაგვისხლტა მხედველობის არედან. იგი საკმაოდ მცირეა და მთლიანად მოვიყვანთ:

შუა-ღამისას დაიწყო
დელგმა, მოჰხეთქა ღვარები,
გატეხეს, თუ სად ლოდების
ხევებში იყო კარები
და სწორედ არ მიუტანეს
ბარს მთისა დანაბარები.
ხშირად დაედვა ბალახთა
ღრუბელთა ცრემლის ცვარები,
გაჰქრა და აღარცა ბეუტავს
ხახმატს ლოდებზე სანთლები.
აღარსად ხევისბერი სჩანს,
აღარც მლოცავი მტირალი,
მარტო საჯარის ყორეა
მრისხანედ გამომზირალი
და კლდეებს არღვევს არაგვი
გაბეზრებული, მყვირალი.

ზედმეტია — ასეთი იყო პირველი შთაბეჭდილება; იმის თქმას, რომ „მტირალი მლოცავის" ვედრებას ბოლოსდაბოლოს დასასრული ჰქონდა, ცალკე თავი არ ესაჭიროებოდა და არც მისი აღნიშვნა იყო აუცილებელი. როდისროდის და სულ სხვა კითხვამ მოგვაბრუნა უკან; პოემის უკანასკნელ თავში გმირის გონებაში გაელვებული სატკივარი — „უჭირსთ და აღარ სადა ჰყავ ლაშქარი მისაშველები". აქ დაიბადა უკანასკნელი კითხვაც: რატომ აღმოჩნდნენ ხევსურები მტრის წინაშე მარტო, სად არის „თამარით განსახიერებული სრულიად საქართველო" ანუ ლაშქარი მისი (ხევსურებმა ორი დღით ადრე გაიგეს მოსალოდნელი ომის ამბავი, ომი ორ დღეს გაგრძელდა):

შუა-ღამისას დაიწყო
დელგმა, მოჰხეთქა ღვარები,
ბატეხეს, თუ სად ლოდების
ხევებში იყო კარები
და სწორედ არ მიუტანეს
ბარს მთისა დანაბარები.

„ბარმა" ვერ გაიგო „მთის" გასაჭირი და, რაღა თქმა უნდა, აქაც ყოვლისშემძლე უფლის ხელი ურევია. ეს იყო ღვთის თითქმის მეუსეული (IX თავი უშუალო გაგრძელებაა მინდიას ვედრებისა ხახმატის ხატში ან სწორედ „დელგმამ" დაუსვა წერტილი მის „უჩვეულო" ლოცვას), მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფითი რეაქცია გველისმჭამელის ხანგრძლივ და მხურვალე ვედრებაზე — ღვთის შეუვალობა აქ რეალური სინამდვილის მხატვრული საფარველია; ერი, რომელსაც ერთი პიროვნება მაინც არა ჰყავს ისეთი, როგორიც მინდია უნდა ყოფილიყო, შეღავათებს არ იმსახურებს თვით ცხოვრებისგან: ხევსურები ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გაიწირნენ დასაღუპად, ფინალის გარდუვალობა მაშინ ჩაისახა, როცა მინდიამ ცოლი მოიყვანა, მის უფროს ძესთან ერთად მოევლინა ქვეყანას ამას და იქიდან დაიწყო, სადაც ოჯახის საჭიროებას პირველი ვერხვი თუ წიფელი შეეწირა.

... კითხვა კი ყველაზე ბოლოს მოვიდა, რადგან ქართველი მკითხველისათვის, რომელიც ყურმოკრულად მაინც იცნობს სამშობლოს ისტორიას, არც თუ რამეა გასაკვირი, როცა მისი ქვეყნის რომელიმე კუთხე მტრის წინაშე მარტო აღმოჩნდება. და მაინც ვაუამ საჭიროდ ჩათვალა მისი აღნიშვნა — „გველის-მჭამელი" არ არის დაწერილი მხოლოდ იმ მკითხველთათვის, რომლებიც იცნობენ მითოსს, ხევსურულ კოლორიტს ან გნებავთ საქართველოს ისტორიას, თუ, რა თქმა უნდა, თამარ მეფის ვინაობა არ განსაზღვრავს ამ უკანასკნელს.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად გამართლებულია ლოგიკის მეტნაკლებობაზე ლაპარაკი, მაგრამ თუ იგი სწორია, „გველის-მჭამელი" „რკინისებური" ლოგიკით დაწერილი ნაწარმოებია, ხოლო თუ მკვლევარებში რომელიმე ეპიზოდი რაიმე ეჭვს ბადებს, ლოგიკა აქ არაფერ შუაშია, დამნაშავეა დამუშავებული ინფორმაციის ცალმხრივობა.

მკითხველს შეიძლება მეტისმეტად მკაცრი მოეჩვენოს ნათქვამი, ამიტომ გვინდა შევახსენოთ: იქ, სადაც მკვლევართა მიერ მინდიას ლოცვის აზრი იქნა განსაზღვრული, ლოგიკის წინაშე დასმული ამოცანა მარტივი ტოლობის დონემდეა დაყვანილი: მინდიამ „ცოდნა" დაკარგა, რას ევედრება იგი ღმერთს? — ცოდნის დაბრუნებას. ლოგიკა „შეცდა", შეცდა, რადგან სწორი პასუხის მისაღებად აუცილებელია გათვალისწინება პოემის მთელი რიგი „ზედაპირული თუ „სიღრმისეული" მოვლენებისა.

რა ვალი ადევსო ვაუას, ვიკითხეთ ჩვენ და ამ „ვალის" რაობაც არ არის დიდი ხაიდუმლოებით მოცული; როცა ფაუსტზე ლაპარაკობენ, არავის ეეჭვება, რომ იგი უცილოდ გოეთესია, როცა მინდიაზეა საუბარი, ფოლკლორში ეძებენ პოემის გმირის ვინაობას. სწორედ ამ კუთხითაა აქცენტირებული პოემა თ. ჩხენკელის მიერ და სრულიად ამ ხაზზე დგას ა. ბაქრაძე, რომლის აზრითაც პოემა მითოსურია (ავტორის უნებურად, რაკი „ვაუას სპეციალურად არ დაუწერია მითოლოგიური პოემა" — ა. ბაქრაძე — „ფიქრი და განხჯა", 1972 წ. გვ. 100). შესამჩნევია ადვილად, თუ რამდენი რამ ხდება პოემაში ავტორის უნებურად.

მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს, რომ როცა ჩვენ ვსარგებლობთ გ. კიკნაძის ან გრ. ფარულავას თვალსაზრისით გმირის დამოუკიდებლობის შესახებ, პირველთან უსათუოდ იგუ-

ლისხმება, ხოლო მეორესთან აშკარადაა მითითებული ამ დამოუკიდებლობის ფარდობითობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტორის წარმოსახვაში გმირი ყალიბდება, ან ავტორი გარდაიხახება გმირად, როგორც ფსიქოლოგიურად სრულფასოვანი პიროვნება. ამდენად, განსხვავება ავტორისეულ და გმირისეულ თვალსაზრისთა, ან პირველისთვის სასურველ, ხოლო მეორის „არჩეულ" მოქმედებას შორის, ქმნილების მაღალმხატვრულობაზე მეტყველებს და არ ნიშნავს იმას, თითქოს პოემაში რაიმე ავტორისდა უნებურად ან შემთხვევით ხდებოდეს.

„გველის-მჭამელის" კრიტიკაში ბევრი რამ თქმულა პოემაზე ლეგენდის გავლენის შესახებ, როგორც მის სახარგებლოდ, ასევე საწინააღმდეგოდ. თავისთავად სიუჟეტის „ესხების" ფაქტი არ განსაზღვრავს ნაწარმოების ღირებულებას, მაგრამ როცა ხდება შედარება „ორიგინალთან", პირველ რიგში, უნდა გაირკვეს, რამდენად ახალი ინფორმაციის მომტანია იგი მკითხველისათვის, თითოეული ეპიზოდის საჭიროება (მიუხედავად „დუბლირებისა"), აუცილებლობა და შედეგი მისი „ახალი" (რაკი „ძველი" არსებობს) ნაწარმოების მთლიანობაში. ყველა სხვა შემთხვევაში ეს სიტყვა — გავლენა — მეტად და მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა „ფერისცვალების" წაკითხვის შემდეგ. მკვლევარი ყველგან და ყველაფერში მითოსურ პირველწყაროს ეძებს და ერთი შეხედვით და საკმაოდ დამაჯერებლადაც, აღწევს კიდევაც შედეგს.

„ნაპირს მიჯარულ მზიას მძიხე სახის მჭოლნე შავი კაცები ხელისკვრით აბრუნებენ უკანვე და ეს შავი კაცები ანთროპომორფიზირებული დევები არიან... საგულისხმოა, რომ მინდია ბრძოლიდან „შამურვილი სახის" ხევსურებს გამოჰყავთ (ხაზი ავტორისაა, გვ. 283). რატომ არის ეს უკანასკნელი „საგულისხმო"? — „შამურვილი სახის" ხევსურები" — „შავი კაცები" — „ანთროპომორფიზირებული დევები" — აი, ის მეტამორფოზა", რომელსაც მკვლევარი გვაწვდის და დამაჯერებლობა მისი იმაშია, რომ დასკვნას მკითხველისგან მოელიან. ნუ იჩქარებს მკითხველი. ეს სიტყვა, „შამურვილი", პოემაში ერთგან კიდევ გვხვდება, მაგრამ ამჯერად მას მეტისმეტად მიწიერი განმარტება აქვს მიცემული:

სახლზე კოშკია მიდგმული,
შემურვილია ბოლითა,
დღე-მუდამ შაძრწუნებული
ჩაზეირების სროლითა.
რა დაასვენებს საბრალოს,
მინამდე ირგვლივ მტრებია,
მინამდე შურის ძიება
კაცის ტომს გულში სდებია...

ასევე, „შემურვილი სახის" ხევსურები ფიცხელი ომის შუაგულიდან მოდიან და [illegible] ამისა ზედა აქვთ. სხვა საკითხია ამით [illegible]ბა მზიას სიზმრის მხატვრულ რეალობაში აცხადებისა, მაგრამ რატომ არიან დვთის ბრძანების შემსრულებლები, თუნდაც ანთროპომორფირებული მაგრამ მაინცდამაინც დევები? — კვალს, რაღა თქმა უნდა, მითოსის სამყაროში მივყავართ.

„გარკვეული თვალსაზრისით, მინდიას წინარე სახეებია შერე და ახუნდი. ამ უკანასკნელი, ორსახიანი გმირის დღისიერი, კეთილი ნიღაბი მინდიასებური ბუნებათანაზიარობით არის შეძერწილი... ახუნდი ფრინველებსა და მწერებს ეგებება სალმით, მინდიას კი ყვავილნი და თავთავები ეგებებიან ვაშას ძახილით. ახუნდი „ბრიყვებს, ულვთოებსა და ცოდვილებს" უწოდებს ჭიანჭველების ფეხით მთელავებს (მინდია ურჩევს თვისტომებს: ვერხვ-წიფელს ნუ მოკლავთ, „მოდით, ნუ ჰშვრებით ცოდვასო")... ახუნდის ყველა ეს თვისება აბსოლუტურად შეეხატყვისება მინდიას შინაგან ბუნებას) თუმცა მასზე „გველის-მჭამელში" არ არის გამახვილებული ყურადღება" (ხაზი ჩვენია, გვ. 291).

სიტუაცია ზუსტად არის გადმოცემული; — ახუნდი ფრინველებსა და მწერებს ეგებება სალმით, ხოლო მინდიას ყვავილნი და თავთავები ეგებებიან. მაგრამ, თუ მეორე შემთხვევაში ბუნებასთან კავშირი ეჭვს არ ბადებს, სამაგიეროდ არავითარი ნიშანი ამისა პოემა „ახუნდში" არა გვაქვს. ყველა აღნიშნული მოქმედება „წმინდანის" ნიღბის" შექმნითაა განპირობებული და იგი გამიზნულია მხოლოდ და მხოლოდ თვისტომთა თვალის ასახვევად. ამ ნიღბის უკან კი დგას მძარცველი და კაცისმკვლელი და, რის საფუძველზე ნიღბის ნიშანი, მკვლევარის შემდგომ მსჯელობაში, გმირის თვისებად გამოცხადდა და შემდეგ გავლებული იქნა პარალელი პიროვნებასთან, რომელიც კრიტიკაში ლამისაა „ყოველგვარ საზღვარგადაცილებული სიბრალულის გრძნობის" მატარებლადაა მიჩნეული.

„გველის-მჭამელში" ამაზე „არ არის გამახვილებული ყურადღება", ახუნდი არ არის ასეთი, პარალელი კი სწორედ ამ მხრივ იქნა გავლებული და ვფიქრობთ ძირი მისი კვლავაც მითოსის სიბრტყეზე ძევს: ლოგიკა მოითხოვს მინდიას, როგორც „ბუნებასთან წილნაყარი მოგვის" (გვ. 261, 265, 271, 272, 275, 285), შემთხვევითობის გამორიცხვას ვაუას შემოქმედებიდან და, რადგან ახუნდი თითქოსდა იძლევა ამის სშუალებას, არჩევანი... გვინდა თუ არ გვინდა ამის აღნიშვნა, ფაქტია — „წმინდანი" განსაკუთრებით ხაშში ბოროტმოქმედია".

„გველის-მჭამელისა" და „ზოგაის მინდიას" ფოლკლორული ვარიანტების შედარება-ანალიზი სრულადაა მოცემული დ. წოწკოლაურის წიგნში „ვაჟა-ფშაველას ეპოსის წყაროებისა და მხატვრული სტრუქტურის საკითხები" (თსუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1982 წ.) მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმე საკითხს, რომლებიც აუცილებლად მივიჩნიეთ ჩვენი წერილისათვის.

ერთ-ერთი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ „მინდიას ფოლკლორული ვარიანტები ვაჟა-ფშაველას პოემის დაბეჭვდის შემდეგ იქნა შეკრებილი და გამოქვეყნებული" (ს. ჩიქოვანი —„რჩეული", გვ. 331). დაახლოებით ოთხი ათეული წლის შემდეგ დაიბეჭდა „ხოგაის მინდიას" ექ. გ. თედორაძის მიერ ჩაწერილი ვარიანტი, რომელიც შენიშნავს: „თქმულება ჩვენ დავამუშავეთ და გადავაკეთეთ, რათა მინდიას სიბრძნე უფრო ძლიერად გამოგვეხატა" (გ. თედორაძე — „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში", გვ. 97). რამ მოასურვა ავტორს ფოლკლორული მასალის „გამდიდრება"? — მხოლოდ იმან, რომ იგი იცნობდა პოემა „გველის-მჭამელს" და მის ფონზე ლეგენდა ერთობ ფერმკრთალი ჩანდა. 40 წლის განმავლობაში, მთაში, სადაც ზეპირსიტყვიერება უმაღლეს დონეზე იდგა, რამდენ ასეთ გადამკეთებელს გაივლიდა თქმულება ვაჟას პოემის გავლენით, ამის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ისინი რომ აუცილებლად იქნებოდნენ, უდავოა. სწორედ ამიტომაც შემდგომ ჩაწერილ ვარიანტებშიც გაცილებით მეტ საერთოს ვხედავთ პოემასთან, ვიდრე ეს თვით ვაჟამ აღნიშნა და, თუარა ეს აღნიშვნა (ვაჟა-ფშაველა — ტ. IX გვ. 324), უდავო იქნებოდა აზრი, რომ „ახლა ძნელი დასადგენია, რა წამოიღო პოეტმა ხალხური წყაროებიდან და რა წაიღო ხალხურმა პოეზიამ თავად ვაჟა-ფშაველას პოემიდან" — მიზეზიც რომ გვქონდეს, უფლება არა გვაქვს, არ დავუჯეროთ ადამიანს, გენიოსს, რომელსაც უდიდესმა და, ცხადია, დაუმსახურებელმა გულისტკივილმა ათქმევინა: „ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ მთიდან ყვირილი ხარისა" — გნებავთ, მთელი ჩემი შემოქმედება უშინაარსო და არაფრის მთქმელ ყვირილად მიიღეთო ხარისა, თორემ, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, თუ ვინ არის ეს ხარი, თვით ხარის ყვირილიც ხომ **ამქვეყნიური** სატკივარითაა გამოწვეული, ყურადღებამისაქცევია, უთუოდ.

მეორეც, ა. გაჩეჩილაძის აზრით, „ვაჟას არ აინტერესებდა ის საკითხები, რომლებიც წარმართული პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი; ღვთაებისა და ბუნების დამოკიდებულების საკითხს, ღვთაების დაცემისა და მისი ადამიანად გარდაქცევის პროცესს ვაჟა სრულიად არ ეხება. „ხოგაის მინდი" მისთვის მხოლოდ მასალა იყო იდეური ჩანაფიქრის აშენებისათვის" (ა. გაჩეჩილაძე — „გადმოცემა ხოგაის მინდიაზე და პოემა „გველის-მჭამელი", გვ. 53), ჩანაფიქრისა, რომლის ქვაკუთხედი პოემის დაწერამდე თერთმეტი წლით ადრე გამოითქვა ლექსში „მესტვირის ანდერძი" (ტ. I, გვ. 89), ხოლო „გველის-მჭამელის" წინასაფეხური, პოემა „ივანე კოტორაშვილის ამბავი" 1886 წელს დაიწერა. ამიტომაც, იქნებოდა თუ არ იქნებოდა თქმულება ხოგაის მინდიაზე, „გველის-მჭამელი" აუცილებლად შევიდოდა ვაჟას შემოქმედებაში; სხვა სათაურით, სხვა ფაბულით, მაგრამ იგივე თემითა და იდეით.

მესამე, გამომდინარე მეორედან, „ხოგაის მინდიასა" და „გველის-მჭამელის" გმირებს „მხოლოდ სახელი აქვთ საერთო" (დ. წოწკოლაური). ასევე, უკლებლივ ყველა ეპიზოდს, რომელიც ორივეგან გვხვდება, მხოლოდ ტარეგანი მსგავსება ახასიათებს. თითოეულ ეპიზოდს პოემაში მკაცრად განსაზღვრული, ძირითადი ფუნქცია აკისრია (ძირითადი ფუნქცია, ცხადია, არ გამორიცხავს პარალელური მოტივების არსებობას), ფოლკლორული მასალისაგან განსხვავებული და „ღია ტექსტით" დაფიქსირებული. თ. ჩხენკელის მიერ შეინიშნა ეს, მაგრამ იგი „პოეტის დაგვიანებულ რეფლექსიას" მიეწერა. მაგალითად ყანის მკის ეპიზოდი სრულიად საკმარისია.

მიუხედავად იმისა, რომ პირადად ჩვენი თვალსაზრისი სრულიად გამორიცხავს პოემაზე ლეგენდის გავლენას (**უშუალოდ გავლენას**), ან სწორედ ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ ერთი მაგალითი მაინც, დამადასტურებელი ამ განსხვავების პრინციპულობისა.

იმთავითვე აღვნიშნეთ, რომ მინდიას ტყვეობის პერიოდის უმთავრესი მომენტი თვითმკვლელობის ცდაა („ცისკარი" № 5, 1982 წ.). ეს იყო „ღვთის გუნების ცვალების" მიზეზი და აქედან დაიწყო გმირის ზეასვლა. იგი სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანად სცნეს, უნივერსალური „ცოდნით" დააჯილდოვეს და ის ბედნიერება არგუნეს წილად, რომელიც თვით ავტორსაც კი „შეშურდა" — ბედნიერია ვისაც კი მადლიერი ჰყავს ქვეყანა". ეს ბედნიერება „სესხად და ვალად" დაედო მინდიას და მანამ შერჩა, სანამ კეთილსინდისიერად იხდიდა ვალს.

ამრიგად, გმირის „გამეცნიერების" მიზეზი (თვითმკვლელობის ცდა — სამშობლოს დიდი სიყვარულის აღიარება), მიზანი (ქვეყნის სამსახური) და შედეგი (ბელადობა) სავსებით კონკრეტულია.

ახლა ვნახოთ, როგორია მინდიას „ფერისცვალების" მიზეზ-შედეგი ფოლკლორში. შესადარებლად ავიღოთ ის ორი ვარიანტი, რომლებიც ყველაზე პოპულარულია კრიტიკაში: ერთი, ჩაწერილი გ. თედორაძის მიერ, გამოქვეყნებული 1939 წ. და მეორე — დ. გოგოჭურის მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებული 1947 წელს ა. გაჩეჩილაძის მიერ.

პირველის მიხედვით მინდიას ფერისცვალების გზა ასეთია: იგი ნადირთმწყემსის, „ეშმაკის მოციქულის" ძმობილია. ეს უკანასკნელი მოისურვებს მკბენარებისაგან მინდიას გათავისუფლებას და გუგულების ქვეყანაში მიჰყავს იგი. ნადირთმწყემსის პროტექციითა და სხვა ფრინველთა თავდასხმისაგან გუგულების გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩენის საზღაურად, გუგულები მინდიას გველის ხორცს აჭმევენ და მკბენარების მოაცილებენ. „ამის შემდეგ მინდია ისე დამჩატდა ლამის გაფრინდეს“ (გვ. 99).

მეორეში, ქაჯეთს ტყვედნამყოფ და /გამოპარულ მინდიას გზა აერია და არხოტის ნაცვლად გუგულების ქვეყანაში აღმოჩნდა. გუგულების დარბევის მოსურნე „ჭკათა ლაშქარის“ გაულეტით, მინდიას მათი სიყვარული დაუმსახურებია და როცა არხოტში წაყვანა უთხოვია, გუგულებს მისთვის გველის ხორცი უჭმევიათ, რის შედეგადაც მკბენარები მოსცილებია, სიმძიმე დაუკარგავს და მეგზურად წამოსულ ცალთვალა გუგულს ფრენა-ფრენით გაჰყოლია არხოტში.

როგორც ვხედავთ, პირველ შემთხვევაში ფერისცვალების მიზეზი „ძმობილის“ სურვილი და სიკეთის სიკეთით გადახდაა, მეორეში მხოლოდ უკანასკნელი. მიზანი ერთგან მკბენარების მოცილებაა, მეორეგან არხოტში დაბრუნება, რაც პირველის გარეშე შეუძლებელი ჩანს და არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, რომ იგი (მკბენარების მოცილება) უთუოდ მოიცავს მითოსურ ქვეტექსტს, რადგან მას აუცილებლად მოჰყვება სიმძიმის დაკარგვა. ორივეგან ჩატარებული „ოპერაციის“ პირველი შედეგი ერთიდაიგივეა — ხორცის სიმძიმე დაკარგა მინდიამ და მასში გაღვთიურების გზაზე შემდგარი ადამიანის პირველ ნაბიჯს თუ დავინახავთ მხოლოდ (ვინ არის ხოგაისძე საბოლოოდ, ჩვენ ამის დადგენა შეუძლებლად თუ არა, საკმაოდ ძნელ საქმედ მიგვაჩნია).

განსხვავება პოემასა და ლეგენდას შორის აშკარაა. ფერისცვალების მიზეზი, მიზანი და შედეგი სრულიად შეუთავსებელია და, როგორც აღვნიშნეთ, იდენტურობა გარეგნულ ფორმაში თუ შეინიშნება. ეს გარეგნული ფორმა ამჯერად ფერისცვალების საშუალებაში, გველის ხორცის ჭამაში გამოიხატება და ამიტომ ყოველგვარ გავლენაზე ლაპარაკი უსაფუძვლოდ მიგვაჩნია.

ვაჟამ გამოიყენა ფოლკლორული მასალა. აქ არაფერია სადავო. გამოიყენა „საკუთარი იდეური ჩანაფიქრის“ განსახორციელებლად და თუ მაინცდამაინც აუცილებელია, ამას გავლენა ერქვას, აღვნიშნოთ იქვე: იგი ზუსტად იმდენია, რამდენიც გავლენა იმ მარმარილოს (მარმარილოს!) ლოდისა, რომლისგანაც გამოიკვეთა, ვთქვათ, მიქელანჯელოს „მოსე“ და რომლისგანაც ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა გამოკვეთილიყო მისივე „დავითი“ — ხელოვანი იყოს ოღონდაც.

ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო (პოემაში მითოსური გმირის ძებნა და პირიქით), თ. ჩხენკელი სრულიად ლოგიკურად მივიდა დასკვნამდე: „გველის-მჭამელი“ ვაჟას დიდმნიშვნელოვანი პოემაა და ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ მკრეხელობად არ უნდა ითვლებოდეს იმის თქმა, რომ მხატვრული სრულყოფის თვალსაზრისით იგი ვერ შეედრება „გოგოთურ და აფშინას“, „კოპალას“, გენიალურ „ალუდა ქეთელაურს“, „სტუმარ-მასპინძელსა“ და „ბახტრიონს“ (ხაზი ავტორისაა, თუმცა ჩვენც საჭიროდ მიგვაჩნია მისი გამოყოფა, გვ. 275). თუ ეს მკრეხელობა არ არის, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ მიზანი არ ყოფილა იგი, მაგრამ დაეჭვება პოეტის შესაძლებლობაში მასში უთუოდ ჩანს — მკვლევარებს, რომლებსაც პოემის განხილვისას რაიმეს უკმარისობა განუცდიათ, პირველ რიგში საკუთარი აზრის სისწორე დაუყენებიათ ეჭვქვეშ. სწორედ ამიტომაც ითქვა დ. ბენაშვილის მიერ: „იგი (პოემა — მ. შ.) ამოუხსნელ ამოცანასავით დგას ჩვენს წინ და ლოგიკურ ცნებებში ვერ გამოგვისახია ესთეტიკური, ეთიკური და ფილოსოფიური სიღრმე პოემისა, რომელსაც მხოლოდ უშუალო განცდითა ვგრძნობთ მისი ყოველი მკითხველი“ (დ. ბენაშვილი — „ვაჟა-ფშაველა“, გვ. 127) და კვლავ ამასვე გვეუბნება გრ. კიკნაძე: „დიდებულია ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი“, ანდა „ალუდა ქეთელაური“, მაგრამ ეს პოემა სხვაგვარია, ვიდრე „გველის-მჭამელი“, „გველის-მჭამელი“ თავისებურად შეიძლება უფრო დიდებულია“ (გრ. კიკნაძე — „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, გვ. 154).

არ გვინდა მკითხველს შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენ „ტრაგიკული ნიღბების“ ღირებულებას აქ მიყვანილი შენიშვნებით ვსაზღვრავდეთ. იგი თავის დროზე წლის საუკეთესო წიგნადაც იქნა დასახელებული და უსათუოდ კარგი წიგნია, თუმცა ჩვენ სრულად ვიზიარებთ ს. ცაიშვილისა („ცისკარი“ № 12, 1978 წ.) და რ. თვარაძის („წერილები“, 1979 წ.) შენიშვნებს ამ წიგნის თაობაზე და ზემოთქმულის შემდეგ უფლებას ვიტოვებთ, დავსძინოთ: სამწუხაროდ, მკვლევარმა ბევრგან მიჯნა იქ ვერ გაავლო, სადაც მთავრდება მითოსი და იწყება ვაჟა-ფშაველა.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მითოსური მომენტების სწორად გაგებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვს გამოთქმული რ. სირაძეს წერილში — „მითოსური ხილვისა და ჩვენებათა ფუნქცია ვაჟა-ფშაველას პოემებში“ (რ. სირაძე — „წერილები“, 1980 წ.). საკითხი განხილულია ვაჟას ხუთი პოემის („გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ეთერი“, „გველის-მჭამელი“) მაგალითზე და, თუმცა ავტორი მას მხოლოდ მოსამზადებელ საშუშაოდ თვლის, ჩვენი აზრით, აქ გაკეთებული დასკვნების უმრავლესობა უზუსტესი ანალიზის შედეგია. მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

„I. ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემის მიხედვით მითოსური ხილვისა და ჩვენებათა ფუნქცია ესთეტიკურია და არა მსოფლმხედველობითი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პოემების მიხედვით არ წარმოგვიდგება ერთიანი მოდელი მითოსური სამყაროსი, რომელიც ვაჟას კოსმოგონიურ ან კოსმოლოგიურ თვალსაზრისს ამჟღავნებდეს.

2. როცა ვაჟას პოემებში მოვლენათა მიზეზობრივ საფუძვლად მითოსური მოტივი გამოდის, ეს არ ნიშნავს რომ მოვლენათა არსია დანახული მითოსურ საფუძვლებში...

3. ... განხილულ პოემათა მიხედვით, შეუძლებელია ჩამოვაყალიბოთ ვაჟას ერთიანი მითოლოგიური სისტემა. ვფიქრობთ, ასეთი სისტემა საერთოდ არ არსებობს.

5. ...მითიური პლანი უველგან აგრძელებს რეალურ პლანს. ამით მინიშნებულია მითოსური სინამდვილის შემოტანის პირობითობაზე...

6. ...ამ პოემებში („სტუმარ-მასპინძელი", „გველის-მჭამელი" — მ. შ.) პერსონაჟების მითოსურ სამყოფელში გადაყვანით ვაჟა მათ ანიჭებს ისეთ თვისებებს, რაც ვერ განხორციელდებოდა ყოფით სინამდვილეში".

თ. ჩხენკელი მსოფლიო და ქართული მითოსის მაგალითებიდან გამომდინარე სწორედ ამ ერთიან მითოსურ მოდელს ეძებს ვაჟას ნაწარმოებებში. საკითხის განხილვა ვაჟას შემოქმედების მასშტაბით ჩვენი წერილის მიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ რაც შეეხება „გველის-მჭამელს", თ. ჩხენკელის მიერ წარმოებული მითოსური წიაღსვლები, უკეთეს შემთხვევაში, **არავითარ** დამატებით ინფორმაციას არ იძლევიან პოემის შინა-არსის გასაგებად, უარეს შემთხვევაში სწორედ მათ მიიყვანეს მკვლევარი იმ დასკვნამდე, რომელიც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

მითოსურ ხილვა-ჩვენებათა ფუნქცია „გველის-მჭამელში" არაფრით არ სცილდება რ. სირაძის მიერ გაკეთებულ დასკვნათა არეს. ჩვენი აზრით, მისაღებია ყოველი მათგანი გარდა ერთისა, რომელიც უშუალოდ „გველის-მჭამელს" ეხება": 10. „გველის-მჭამელში" მითოსი მრავალპლანიანი მხატვრული სინამდვილის აგებას ემსახურება. რეალურსა და მითოსურს შორის საზღვრის წაშლით ვაჟა პოემის მრავალი ასპექტით წაკითხვის შესაძლებლობას ქმნის".

„მრავალპლანიანობა", რომელიც ვაჟას დიდი პოემებისათვის დამახასიათებელი თვისებაა (გრ. კიკნაძე), არ არის და არც შეიძლება იყოს თვითმიზანი. იგი შედეგია ავტორის თვისებისა, ესა თუ ის პრობლემა, რაოდენ დიდმნიშვნელოვანი და საჭირბოროტო იყოს იგი, მოგვცეს არა გარესამყაროსაგან იზოლირებულად, არამედ „ცხოვრებისეულ წვრილმანთა" სრულ გარემოცვაში. ეს, ერთი მხრივ, საშუალებას აძლევს მკითხველს, სრულად წარმოიდგინოს გმირის ფსიქოლოგიურ ძვრათა გამომწვევი მიზეზები, მეორე მხრივ აცილებულია ძირითადი პრობლემის „აფიშირება" — „ტენდენცია ჩამარხულია, არ არის მოწოდებული შიშველი რეკლამის სახით".

უანრის ტრადიცია მოითხოვს საერთო დასკვნას, მაგრამ ჩვენ მისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებთ. აქ გვინდა გავიხსენოთ მხოლოდ: მაღალმხატვრული ქმნილება არამც და არამც არ თავსდება იმ სიბრტყეზე, რომელზედაც გადმოიცემა. იგი სამგანზომილებიანია, ხოლო საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს მეოთხე განზომილებაც გააჩნიათ — დრო. კრიტიკას შეუძლია და მოვალეა კიდეც, დროულად გაამახვილოს მკითხველის ყურადღება ასეთ ნაწარმოებზე, სხვა, დიდ ნაწარმოებს ვერც რას დააკლებს, ხოლო მცირეთ ვერც რას შემატებს იგი. ამ მხრივ ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ ვერაფერი სამსახური გაუწია პოემა „გველის-მჭამელს", რადგან ვფიქრობთ, არა მიზეზი, თუ არა „მრავალაზრიანობა", არ არსებობს, რის გამოც „გველის-მჭამელი" დღემდე ვერ გაცდა ვაჟას პოეტური გენიის თაყვანისმცემელთა ზღვარს — პოემა ყოველთვის მოიხსენება პოეტის საუკეთესო ნაწარმოებთა გვერდით, მაგრამ ადგილი მისი და მნიშვნელობა ვაჟას შემოქმედებაში განუსაზღვრელია ჯერაქამომდე; ნაწილის აზრით, ავტორმა „აქ აშკარად მარცხი განიცადა", ნაწილის აზრით, პოემა საშუალო ღირებულების ქმნილებაა, ნაწილის აზრით, გენიალური...

„მრავალაზრიანობა", რომელსაც ჩვენ ასე „დაუნდობლად" დავესხით თავს („ცისკარი" № 8, 1980 წ.) და ამის შესახებ იქავე აღვნიშნეთ, რამდენადმე მაინც კანონზომიერია (არა იმ დონეზე, რა თქმა უნდა, როცა შეფასება მოსალოდნელი ღირებულების სრულ დიაპაზონს, სუსტი — გენიალური, მოიცავს), რადგან დიდი ნაწარმოები დიდი დავის საგანია მუდამ-უამ. და კიდევ ერთი ნიშანი: „ვაჟას რომელიმე თხზულება ერთ გარკვეულ მოტივზე აგებული კი აღარ არის, არამედ მასში მოტივთა პარალელური დინებაა (გრ. კიკნაძე, გვ. 36).

უკანასკნელი არ ნიშნავს იმას, რომ პოემას ძირითადი თემა და იდეა არა აქვს; ეს პარალელური დინებები იქიდან გამოდიან, სადაც, მინდია ბელადი დგას (აქ იწყება პოემა) და იქ იკვეთებიან, სადაც მრავალტანჯული ხევსურის სული და ხორცი განერიდა ერთურთს — აქ მთავრდება იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა ჩიტაური

# ილია ჭავჭავაძის ორი პროზაული თარგმანი

(ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის შესახვედრად)

XIX საუკუნის 70-90-იანი წლების საქართველოში ლიტერატურული პროცესების ძირითადი წარმმართველი ილია ჭავჭავაძის „ივერია" იყო. „ივერიის" ფურცლებზე მკითხველი ეცნობოდა არა მხოლოდ ქართველ, არამედ უცხოელ მწერალთა შემოქმედებასაც. აღსანიშნავია ამ მხრივ თვითონ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა. XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ილიამ თარგმნა და „ივერიაში" გამოაქვეყნა ალფონს დოდეს, მარიანო ხოსე დე ლარას მოთხრობები, ი. ს. ტურგენევის „ლექსნი პროზითა". უ. კლარეტის, გ. ებერსის, ა. ბუვიეს და სხვათა ნაწარმოებები. ი. ჭავჭავაძის ყველა პროზაული თარგმანი „ივერიაში" ხელმოუწერლად დაიბეჭდა, მაგრამ მათ ილიასეულობას თარგმნის სტილთან ერთად ადასტურებს ამ ნაწარმოებთა ხელნაწერი ასლების არსებობა ხელნაწერთა ინსტიტუტის ი. ჭავჭავაძის პირად საარქივო ფონდში. როგორც ირკვევა, მასალა ხელნაწერ კრებულებში გადაწერილია „ივერიიდან" ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის გამოცემის მომზადების მიზნით, მართლაც, მათგან მცირე ნაწილი შესულია ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის გამოცემის III ტომში.

ყურადღებას იქცევს ი. ჭავჭავაძის ორი პროზაული თარგმანი „შვილი მოხუცებულის ჰამზასი" (სერბიული მოთხრობა), (ხელნაწერი № 216) და „უბინაო კაცი ნიუ-იორკში. (ხელნაწერი № 215). მოხრობა „შვილი მოხუცებულის ჰამზასი" გამოქვეყნებულია ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის" 1878 წლის მე-6-10 ნომრებში (იგი შესულია ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის გამოცემის III ტომშიც); ხოლო „უბინაო კაცი ნიუ-იორკში" დაბეჭდილია „ივერიის" ამავე წლის მე-3-5 ნომრებში (მაგრამ არ არის წარმოდგენილი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის გამოცემაში).

აღნიშნული თარგმანები განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მათ მითითებული არა აქვთ არა მხოლოდ წყარო და თარგმნის დრო (როგორც დანარჩენი პროზაული თარგმანების შემთხვევაშია), არამედ თვითონ ტექსტის ორიგინალის ავტორიც.

მოთხრობის „შვილი მოხუცებულის ჰამზასი" წარმომავლობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სახელწოდების შემდეგ ფრჩხილებში მოთავსებული განმარტება „სერბიული მოთხრობა" და თვით ნაწარმოების შინაარსი, რის მიხედვითაც მოთხრობა ერთი შეხედვით სერბიული ხალხური ეპოსის შთაბეჭდილებას სტოვებს. მასში ასახულია სერბიის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი, კერძოდ, XII საუკუნე. ეს ეპოქა იმდენად ბრწყინვალე და დიდებულია სერბი ხალხის ისტორიაში, რომ ცნობილია არა მხოლოდ ისტორიული მატიანეებისათვის, არამედ მან ფართო ასახვა ჰპოვა უმდიდრეს და უძველეს სერბიულ ეპოსში და მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქცა. მაგრამ მოთხრობის შესავალმა ნაწილმა ცხადი გახადა, რომ ნაწარმოები შექმნილია გვიან, სერბიის ძნელბედობის უამს. ავტორი პირდაპირ კი არ იწყებს თხრობას, როგორც ეს სერბიული ეპოსისათვის არის დამახასიათებელი, არამედ თავდაპირველად შესავალში გვამცნობს თავის ძირითად მიზანს და იდეას.

როგორც ცნობილი გახდა, ასეთი სახის რომანტიულ-ისტორიული მოთხრობები დამახასიათებელია XIX საუკუნის 60-70-იანი წლების სერბიული ლიტერატურისათვის.

ქ. ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის კატალოგების გადასინჯვამ შესაძლებელი გახადა დაგვედგინა მოთხრობის ავტორი. XIX საუკუნის სერბი მწერლისა და პოეტის იაკშიჩის ნაწარმოებებს შორის დასახელებულია ჩვენთვის საინტერესო მოთხრობა. Сын седога Гамзе, ამავე ბიბლიოთეკაში არსებული პეტერბურგში რევოლუციამდე გამოცემული რუსული ჟურნალ-გაზეთების ხაძიებელთა დახმარებით დაძებნილ იქნა მოთხრობის რუსული თარგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანიც. იგი გამოქვეყნებულია ყოველკვირეულ ჟურნალ «пчела»-ს 1877 წლის მე-8 ტომის მე-16 ნომერში, სათაურით „Сын съдаго Гамзы". სახელწოდების შემდეგ მითითებულია ავტორი, რუსი მთარგმნელი აღნიშნული არ არის; როგორც ფაქტობრივ-ქრონოლოგიური მონაცემები, ასევე ტექსტების შედარება ცხადყოფს, რომ ჯურა იაკშიჩის ნაწარმოების „შვილი მოხუცებულის ჰამზახი" ილია ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანის წყაროს აღნიშნული რუსული თარგმანი წარმოადგენს.

ქართული და რუსული ტექსტები მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ქართულ ტექსტში რამდენიმე ადგილი შემოკლებულია, დამატებულია ერთი კომენტარი. დანარჩენ შემთხვევაში ქართული ტექსტი ზუსტად მიჰყვება რუსულს. აღნიშნულ თარგმანთან დაკავშირებით ეს სიზუსტე მაქსიმალურად არის დაცული. საერთოდ ი. ჭავჭავაძის დანარჩენი პროზაული თარგმანებისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი ხშირად და ძალიან ბევრს ტოვებს. განსაკუთრებით ისტორიული, რელიგიური ხასიათის ცნობებს, მოქმედ პირთა, ბუნების აღწერებს, ამით ტექსტს ნაკლებად ტვირთავს, ცდილობს, რაც შეიძლება გასაგები გახადოს ქართველი მკითხველისათვის. ამ დროს ილია უფრო მეტ მნიშვნელობას ნაწარმოების შინაარსს, მის ძირითად იდეას ანიჭებს, ვიდრე ენას, ლექსიკას. ამიტომაც მისი პროზაული თარგმანების უმრავლესობა მხატვრულობის თვალსაზრისით ვერ გამოირჩევა. (განსაკუთრებით მის ორიგინალურ ნაწარმოებებთან შედარებით). უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი თარგმანი ამის თქმის საფუძველს არ იძლევა. საერთოდ, მოთხრობის რუსული თარგმანიც საკმაოდ მხატვრულად არის შესრულებული. ამას ნაწარმოების ემოციური შინაარსი და როგორც ჩანს, თვით ტექსტის ორიგინალის ლექსიკაც განაპირობებს.

ქართული ტექსტის გაცნობა ცხადყოფს, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი პასუხისმგებლობით და გატაცებით მოკიდებია ამ თარგმანს. ქართულად ზუსტი შესატყვისი მოუძებნია თითოეული სიტყვისათვის, გამოთქმისათვის, ზოგიერთი ადგილი გაუვრცია კიდევაც. სწორედ ამიტომ აღნიშნულ ნაწარმოებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ილია ჭავჭავაძის პროზაულ თარგმანებს შორის.

რამ გამოიწვია ილიას ინტერესი სერბი მწერლის იაკშიჩის შემოქმედებისადმი, კერძოდ ამ ნაწარმოებისადმი?

„ივერიის" ნომრებს თუ გადავხედავთ, აშკარა გახდება, რომ მისი რედაქტორი დიდ ადგილს უთმობდა საერთოდ სლავი ხალხებისა და მათ შორის სერბების ისტორიისა და ყოფის აღწერას. მით უმეტეს 1877-1878 წლებში, როდესაც ომი მიმდინარეობდა რუსეთსა და თურქეთს, აგრეთვე სერბებსა (საერთოდ სლავ ხალხებს) და თურქებს შორის. ამ დროისათვის მთელი სლავი ხალხი და განსაკუთრებით სერბები, იბრძვიან თურქთა მრავალსაუკუნოვანი უღლისაგან საბოლოოდ განთავისუფლებისათვის. 1877-1878 წლების გაზეთ „ივერიის" თითქმის ყველა საპოლიტიკო მიმოხილვაში ვხვდებით თუ ვრცელ მიმოხილვას არა, მოკლე ინფორმაციას მაინც ამ ბრძოლის შედეგების შესახებ. ქართველი საზოგადოება თვალყურს ადევნებს სერბი ხალხის საუკეთესო შვილების მოღვაწეობას.

როგორც ჩანს, ილია ამ პერიოდში დაინტერესდა სერბული ლიტერატურითაც, კერძოდ, მისი ერთ-ერთი თანამედროვე წარმომადგენლით, ჯურა იაკშიჩის შემოქმედებით (1832-1878).

ჯურა იაკშიჩმა თავისი კალამი და ძალები ლიტერატურის ყველა ჟანრში სცადა. იაკშიჩის შემოქმედება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა იმ მხრივ, რომ მისი მოღვაწეობის ხანა (1850-1878 წ.) ემთხვევა სერბულ ლიტერატურაში რომანტიზმის დასუსტებისა და რეალიზმის დამკვიდრების პერიოდს. იგი ერთ-ერთი უკანასკნელი სერბი რომანტიკოსია, ხოლო „რეალიზმის ეპოქამ" მის შემოქმედებაში რეალისტური მოტივები შეიტანა და მწერალი საბოლოოდ რეალისტად ჩამოაყალიბა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა იაკშიჩის რომანტიულ-ისტორიული ნაწარმოებები.

ჯურა იაკშიჩი სხვა სერბი რომანტიკოსი მწერლების მსგავსად თავის რომანტიულ-ისტორიულ მოთხრობებში ფართოდ იყენებს სერბი ხალხის ისტორიას, მიმართავს ხალხურ ლეგენდებს, თქმულებებს. როგორც რომანტიკოსი მწერალი, იაკშიჩი ისტორიიდან ან სერბული ზეპირსიტყვიერებიდან იღებს რაიმე კონკრეტულ მოვლენას, თქმულებას და მას აწყმოსთან უშუალო კავშირში განიხილავს. ამიტომაც მის რომანტიულ-ისტორიულ მოთხრობებში ერთმანეთს ენაცვლება ლეგენდა, ფანტაზია და ისტორიული ამბავი, სინამდვილე, მწერლის რომანტიული განწყობილებანი და რეალური თვალთახედვა.

იაკშიჩის რომანტიულ მოთხრობებს შორის შეიძლება დავასახელოთ „კრალიცა", „შვილი მოხუცებულის ჰამზახი", „ტყვე", „საცოლე", „ორი ტახტი" და სხვა. როგორც სალიტერატურო კრიტიკაშია აღნიშნული, იაკშიჩის რომანტიულ-ისტორიული ნაწარმოებები არ იტაცებს მკითხველს შინაარსის სიღრმით, არც ისტორიული ამბების ზუსტი გადმოცემით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ისინი საინტერესონი არიან თავისი ნამდვილი და ღრმა ლირიკული განცდებით, საკვირველი სურათებით, ცოცხალი სახეებით, პოეზიით, შესანიშნავი მხატვრული ენით.

მოთხრობაში „ვშილი მოხუცებულის ჰამზასი“ ასახულია სერბიის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი, ნემანიჩების მეფობის ბრწყინვალე ეპოქა. როგორც ტექსტის ქართულ და რუსულ კომენტარშია მითითებული და სერბიის ისტორიიდანაც გახდა ცნობილი, XII საუკუნიდან XIV საუკუნემდე სერბიაში მეფობდა ნემანიის გვარეულობა. ამ დროს გავრცელდა ქვეყანაში ქრისტიანობა. (მართლმადიდებლობის სახით), ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ეროვნული ეკლესია, შეიქმნა დამწერლობა, რაც მთავარია, სერბია გაერთიანდა. ნემანიჩებმა ბრძოლა გამოუცხადეს ბიზანტიას, ბულგარეთს, უნგრეთს. არაერთხელ დაამარცხეს ისინი და შექმნეს სერბიის დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მოთხრობის რუსული ტექსტის კომენტარებიდან ირკვევა, რომ ნაწარმოების შექმნის თავდაპირველი იდეა ავტორს ხალხურმა ლეგენდამ შთააგონა. იგი შესავალში ავითარებს ნაწარმოების ძირითად თემას, ცხადყოფს თავის მიზანს. ერთმანეთს უპირისპირებს აწმყოს (რომელიც მიუღებელია მისთვის, რადგან მისი ქვეყანა თურქების ხელშია) და წარსულს — სტეფანე ნემანიჩის მეფობის დიდებულ ხანას (რომლითაც ის ამაყობს, რადგან მაშინ სერბია ძლიერი და რაც მთავარია, თავისუფალი ქვეყანა იყო). შესავლის შინაარსი ადასტურებს, რომ იგი ძლიერ საინტერესო უნდა ყოფილიყო „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ ავტორისათვის.

ი. ჭავჭავაძის ყურადღება, როგორც ჩანს მიიპყრო არა მხოლოდ მოთხრობის მიმზიდველმა, ემოციურმა შინაარსმა, არამედ უპირველეს ყოვლისა მისმა თემატიკამ, განსაკუთრებით ნაწარმოების პატრიოტულმა სულისკვეთებამ და მასში შექმნილმა ხალხურმა ხასიათებმა.

მოთხრობაში წარმოდგენილი ყველა გმირი სერბიული ეპოსისათვის დამახასიათებელი დიდებულების ელფერით არის შემოსილი. მათში ერთმანეთს ერწყმის წარმტაცი გარეგნული სილამაზე და შინაგანი კეთილშობილება, სიამაყე. შეიძლება ითქვას, ნაწარმოების ყველა მოქმედი პირი დადებითია, თითოეულის საქციელს თავისი გამართლება აქვს.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია მოხუცი ჰამზას სახე. ბრძენი ჰამზა თითქოს ყველა ერის წარსული ტრადიციებისა და დიდების განსახიერებაა. იგი ერთგულია მამა-პაპათა ღმერთებისა. ჰამზა არ დაემორჩილა მეფეს, არ მიიღო ქრისტიანობა. მეფემ ამის გამო ის სახახლიდან გააძევა, მოხუცი ჰამზა ჩაიკეტა თავის სამფლობელოში, ციხე ჰამზიგრადში. იგი კვლავ განაგრძობდა წარმართული კერპებისადმი თაყვანისცემას. ყოველივე ამის მიუხედავად, ჰამზა სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული და მეფის ერთგულია. სიკვდილის წინ მან შვილს უანდერძა: „მიიღე ჩემგან ლოცვა და კურთხევა, შვილო ჩემო! ღმერთნი შენთა წინაპართა, ღმერთნი, რომელნიც მრავალ საუკუნეს ჰპატრონობდნენ და ჰფარავდნენ სერბიის ერსა და რომელთაც თაყვანს ვცემდი მე, იყვნენ მფარველ და მეოხ შენი, ჩემო კარგო! შენ სული გაქვს გმირისა. ემსახურე შენს ქვეყანას და შენს მეფეს და როცა საყვირი ბრძოლისა მოგიწოდებს შენ საომრად, წადი და გულდაგულ დახვდი რაზმსა მტრისასა, ეგ იმისთანა თავგანწირვაა, რომლისათვისაც ღმერთნი შენთა მამა-პაპათა მიანიჭებენ კაცს სამარადისო სახელს და დიდებას. შვილო ჩემო! ნუ დაივიწყებ ჩემს ანდერძს! ნუ ჰგმობ და ნუ უღალატებ შენ სამშობლო ქვეყანას და შენს მეფეს. გმობა და ღალატი წყეულია მთელის ქვეყნისაგან. ხოლო მოერიდე მეფის კარს და სიკვდილი გერჩივნოს ვიდრე ნახვა იმ ტახტისა, რომელზედაც სხედან ნემანიჩების შთამომავალნი“ (თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ტ. III, 1892 წ. გვ. 265).

ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირი — ჭაბუკი რადიშა სერბიული ეპოსის გმირების მსგავსად ყველა რაინდული თვისებებით არის შემკული: ულამაზესი, მამაცი, საუკეთესო შვილდოსანი, მონადირე, მამის უსაზღვროდ მოყვარული, სამშობლოს დასაცავად თავგანწირულად მებრძოლი გმირი და ბოლოს ფიცისა და მამა-პაპათა სარწმუნოების ერთგული. იგი ისევე, როგორც კრინა, ტრაგიკული სახეა. რადიშასა და კრინას სიყვარული რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულს გვაგონებს. მათ ერთად სიკვდილი არჩიეს განშორებას. ავტორი (და მთარგმნელიც) ათასგვარ ეპითეტს, შედარებას და სხვა მხატვრულ ხერხს მიმართავს მათი გარეგნობისა და გრძნობების გადმოსაცემად.

მოთხრობისათვის ძირითადია სერბული ეპოსის ცენტრალური თემა: ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის.

შესაძლებელი გახდა დაგვედგინა ი. ჭავჭავაძის მეორე უავტორო პროზაული თარგმანის „უბინაო კაცი ნიუ-იორკში“ რუსული წყაროც. მოთხრობის რუსული ტექსტი სათაურით **Нью-Йорский бродяга** გამოქვეყნებულია ყოველთვიურ ჟურნალ „**Отечественные записки**“-ს 1877 წლის მე-12 ნომერში. თარგმანის ბოლოს მიწერილია ინიციალები „**А. П**“. მოთხრობის ქართული და რუსული ტექსტების შედარება ცხადყოფს, რომ ილიასეული თარგმანის წყაროს აღნიშნული რუსული თარგმანი წარმოადგენს. თუმცა ქართული ტექსტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზუსტად არ მისდევს რუსულს. ზემოთგანხილული თარგმანისაგან განსხვავებით ამ შემთხვევაში საკმაოდ ბევრი ადგილი ჯამოტოვებულია ან მოკლედ არის გადმოცემული, მკვეთრად იგრძნობა საერთოდ თარგმანის ილიასეული მანერა: ადგილების შემოკლებისას და გამოტოვებისას დაცულია გარკვეული კანონზომიერება. ილია ტოვებს და ამოკლებს იმას, რაც მისი აზრით, მოთხრობას ზედმეტად გადატვირთავდა და ამავე დროს არაფერს დააკლებდა ტექსტის მთლიან შინაარსს, ძირითადად თემას და იდეას. იმისათვის, რომ ნაწარმოები რაც შეიძლება ადვილი გასაგები იყოს ქართველი მკითხველისათვის, ქართულ ტექსტს რუსულისაგან განსხვავებით დართული აქვს კომენტარები.

რაც შეეხება თვითონ ტექსტის ორიგინალის ავტორს, იგი ჯერჯერობით უცნობია. რუსული ტექსტის ბოლოს მიწერილი ინიციალები „А. П.“ აღმოჩნდა XIX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილი პოეტის, პროზაიკოსის და მთარგმნელის ალექსი ნიკოლოზის ძე პლეშჩეევის (1825-1893) ფსევდონიმი. როგორც ჩანს, პლეშჩეევს ჩვენთვის უცნობი რომელიღაც უცხოური წყაროდან მოთხრობა რუსულად უთარგმნია, მაგრამ არ მიუთითებია ტექსტის ორიგინალის ავტორი. პლეშჩეევის თარგმანთა გაცნობა აშკარას ხდის, რომ ეს ფაქტი ერთადერთი და მოულოდნელი არ არის მის შემოქმედებაში. იგი უცხოელ ავტორს ხშირად არ აღნიშნავს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ნაწარმოები ზუსტად კი არ არის თარგმნილი, არამედ გადმოკეთებულია. ზარდა ამისა, პლეშჩეევის მთარგმნელობით მოღვაწეობაში გვხვდება აგრეთვე თარგმანის თარგმანიც. მკვლევარი ი. ა. შჩუროვი აღნიშნავს: „პლეშჩეევი საფუძვლიანად ფლობდა ფრანგულ, გერმანულ და პოლონურ ენებს, ინგლისელ, უნგრელ და იტალიელ ავტორებს, როგორც ჩანს, იგი თარგმნიდა გერმანული წყაროებიდან“.

მოთხრობის შინაარსის გაცნობა აშკარას ხდის, რომ მისი ავტორი მხოლოდ ამერიკელი მწერალი შეიძლება იყოს. იგი კარგად იცნობს ნიუ-იორკს, მის საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ქალაქის წესებს და კანონებს, ამერიკელი ხალხის ყოფა-ცხოვრებას. გარდა ამისა, რუსულ ტექსტში გვხვდება ინგლისური სიტყვებიც.

მოთხრობის „უბინაო კაცი ნიუ-იორკში“ თემა სოციალურ-ფსიქოლოგიურია. „ტლახის ნაამბობის“ ავტორისათვის და მისი მკითხველისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო უბინაო, უთვისტომო და ღარიბი კაცის ბედი დიდ ქალაქ ნიუ-იორკში.

ზემოთ განხილული პროზაული თარგმანები შესაძლოა ახალს არაფერს მატებდეს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით თემატიკას, მის მსოფლმხედველობას და იდეურ-მხატვრულ სამყაროს, მაგრამ ჩვენთვის დღეს ძვირფასი და საინტერესოა დიდი ილიას მიერ დაწერილი თითოეული სტრიქონი, მით უმეტეს აღნიშნული თარგმანები, რომელნიც კიდევ უფრო ფართო სახით წარმოგვიდგენს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას „ევერიაში“, მის მთარგმნელობით შემოქმედებას, მისი ინტერესების სფეროს. როგორც ჩანს, ილია ყურადღებით ადევნებდა თვალს უცხოური ლიტერატურის განვითარებას და „ევერიის“ საშუალებით განვითარების ამ პროცესს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, საცნობელს ხდიდა ქართველი მკითხველისათვის. ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ნაწარმოებების თემატიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მწერალს ისინი შემთხვევით არ აუღია სათარგმნად და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თარგმანს ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა ორიგინალური ლიტერატურის განვითარების მონაწილედ.

ნათელა ფოფხაძე

# „იეროთეოსის წიგნის“ შესახებ

დიონისე არეოპაგელის შრომებში ნახსენებია ვინმე იეროთეოსი, რომელიც, ავტორის თქმით, მისი პირველი მასწავლებელი იყო. დიონისე არეოპაგელი წერს, რომ იეროთეოსმა დაწერა ორი წიგნი: „ღვთისმეტყველების საფუძვლები“ და „სიყვარულის ჰიმნები“. გაირკვა, რომ დიონისე არეოპაგელი არ არის ტრაქტატების ავტორი, რომ დიონისე ფსევდონიმია. რაც შეეხება იეროთეოსს, მას ზოგი მეცნიერი რეალურ პიროვნებად თვლის, ზოგის აზრით კი არავითარი იეროთეოსი არ არსებობდა. ნუცუბიძე—ჰონიგმანის თეორიის თანახმად, იეროთეოსი იყო პეტრე იბერის მასწავლებელი — იოანე ლაზი. ცნობილი მეცნიერი ჰუგო კოხი კი თვლიდა, რომ იეროთეოსის პიროვნება მხოლოდ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფანტაზიის ნაყოფია. გასული საუკუნის ბოლოს ა. ნატროშვილი აღნიშნავს, რომ მან ათონის ქართულ მონასტერში იხილა იეროთეოს იბერიელის წმინდა ნაწილები. ჩვენი აზრით, ამ ცნობისთვის ჯერ არ მიუქცევიათ ყურადღება. ვფიქრობთ, არეოპაგიტიკის პრობლემებზე მუშაობისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს, რომ იეროთეოსის სახელზე დღემდე უძველესი საუკუნეებიდან მოღწეულია თეოლოგიური ნაშრომი „იეროთეოსის წიგნი“, რომელიც სამი სირიული ხელნაწერის მიხედვით დაბეჭდა პროფესორმა ფ. მარშმა. (ფ. მარში, ბუქ ოვ ჰოლი იეროთეოს 1927). სირიული ხელნაწერების ნომრებია: 1) ბრიტანეთის მუზეუმი, დამატებითი 7189, 2) ბრიტანეთის მუზეუმი, აღმოსავლური 1017 და 3) ჰარვარდის უნივერსიტეტის სემიტური მუზეუმის ხელნაწერი 4009. ჩვენ გავეცანით სირიული ხელნაწერების ინგლისურ თარგმანს, რომელიც დაბეჭდილია პროფ. მარშის დასახელებულ გამოცემაში. სირიული ხელნაწერების გაშიფრვასა, ტექსტის გამართვასა და კვლევაში პროფესორ მარშს დაეხმარნენ ასევე სახელმოხვეჭილი მეცნიერი-სირიოლოგები: პროფ. მორი, პროფ. ბივენი, დრ-ი ლუკინ ვილიამსი (ბრიტანეთი), პროფ. ფუქსი (აშშ), ჰერრ ადოლფ ჰოლცჰაუზენი (ბონი). ცნობას „იეროთეოსის წიგნის“ შესახებ მივაკვლიეთ ჟურნალში „ორიანს ქრისტიანუს“, 1954 წ. გვ. 4.

აი, რას წერს „იეროთეოსის წიგნის“ შესახებ ცნობილი ორიენტალისტი უილიამ რაიტი, რომელმაც ბრიტანეთის მუზეუმის სირიული ხელნაწერების კატალოგი დაბეჭდა: „მეხუთე საუკუნის ხელნაწერებიდან უნდა მოვიხსენიოთ შრომები, რომლებიც შეცდომით მიეწერებოდა დიონისე არეოპაგელს; ეს წიგნები სირიულად თარგმნეს სერგიოს რეშაინელმა და ფოკა ედესელმა, ისინი დიდხანს იყო სირიელთა საყვარელი ნაწარმოებები. ამავე საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი წიგნი „ღვთის სახლის საიდუმლოთა შესახებ“, რომელიც მიეწერება იეროთეოსს, წმ. პავლეს მოწაფეს. ამ ნაწარმოების შესწავლას და მის განმარტებას თევდოსი ანტიოქიელმა და გრეგორიუს ბარ-ჰებრეუსმა მრავალი წელი შესწირეს“. (ვ. რაიტი, კატალოგ ოვ სირიაკ მანუსტრიპტს ინ ბრიტიშ მუზეიმ, ლონდონი, 1872, p. XXI).

აღმოჩნდა, რომ იეროთეოსის წიგნი ხმარებაში იყო მთელი შემდგომი საუკუნეების მანძილზე. ცნობილმა მოღვაწეებმა იოანე დარამ (VII ს.), თევდოსი პატრიარქმა (VIII-IX სს.), ანტიოქიის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატრიარქმა კირიაკოსმა (VIII ს.), მეცნიერმა და თეოლოგმა გრეგორიუს ბარ-ჰებრეუსმა (XIII ს.) განიხილეს ეს წიგნები და აღფრთოვანებით წერენ მასზე.

„იეროთეოსის წიგნი" ამ სახელწოდებით არის ცნობილი მეხუთე საუკუნიდან. თვით ტექსტში ავტორის სახელი არსად არ არის ნახსენები. მეხუთე-მეექვსე საუკუნეების მოღვაწეებს არ დაუტოვებიათ რაიმე ცნობა ამ წიგნის ან მისი ავტორის შესახებ. მეშვიდე საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქმა და მწერალმა იოანე დარამ, რომელმაც კომენტარები დაწერა დიონისე არეოპაგელის ტრაქტატებზე შენიშნა, რომ „იეროთეოსის წიგნი" სირიელმა სტეფანე ბარ-სუდაილიმ დაწერა. ეს აზრი გადმოცემულია ერთი ფრაზით, დასაბუთების გარეშე. იოანე დარას „იეროთეოსის წიგნის" ავტორისგან ორი საუკუნე აშორებს, ამიტომ მის ცნობას სანდოდ არ მიიჩნევენ.

VIII-IX სს-ში ანტიოქიის პატრიარქმა თევდოსიმ დაწერა „განმარტებანი იეროთეოსის წიგნისათვის", რომელიც იწყება თევდოსის წერილით კვიპროსის ეპისკოპოსთან, რომელსაც სურდა „იეროთეოსის წიგნის" წაკითხვა. შემდეგ თევდოსი აღწერს წმინდა იეროთეოსის ცხოვრებას; ეს ნაწილი ზუსტად იმეორებს დიონისე არეოპაგელის ტრაქტატებში მოყვანილ ფაქტებს, რომ იეროთეოსი იყო პავლე მოციქულის მოწაფე და დიონისეს მასწავლებელი. ამის შემდეგ თევდოსის მოაქვს „იეროთეოსის წიგნის" ტექსტი აბზაც-აბზაც და მისი განმარტება. თევდოსი თვლის, რომ წიგნის ავტორია იეროთეოსი, დიონისე არეოპაგელის მასწავლებელი და პავლე მოციქულის მოწაფე.

მეცამეტე საუკუნეში ცნობილი მეცნიერი და თეოლოგი გრეგორიუს ბარ-ჰებრეუსი დაინტერესდა ამ წიგნით. მხოლოდ თოთხმეტი წლის შემდეგ შეიგრძნო მან „იეროთეოსის წიგნის" მთელი სიღრმე და სისავსე. ის აღფრთოვანებულია იეროთეოსის გონების ძალით. აღნიშნავს, რომ იეროთეოსი წიგნის ავტორს უწოდეს იმიტომ, რომ მან პირველმა მოგვცა ღვთის სახელის აღწერილობა: ბარ-ჰებრეუსმა გადაამუშავა „იეროთეოსის წიგნი", კომპაქტური გახადა ის. ასეთი სახით ეს წიგნი მთელ სირიაში იხმარებოდა სახელმძღვანელოდ მეცხრამეტე საუკუნემდე.

მეცხრამეტე საუკუნეში ინგლისელმა მეცნიერმა ა. ფროდინგემმა დაბეჭდა მონოგრაფია, სადაც განიხილა მეშვიდე საუკუნის სირიელი მოღვაწის სტეფანე ბარ-სუდაილის შესახებ შემორჩენილი სირიული ხელნაწერები. (ა. ფროდინგემი, „სტეფენ ბარ-სუდაილი ენდ ბუკ ოვ იეროთეოს", (ლონდონი, 1896 წ.). ცნობილია, რომ სტეფანე წიგნებს წერდა, მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევია. შემორჩენილია ერთი სირიელი პატრიარქის მიმოწერა მეორესთან, სადაც აღწერილია სტეფანე ბარ-სუდაილის მრწამსის ზოგიერთი საკითხი, კერძოდ მისი რწმენა, რომ ყოველივე საბოლოოდ ღმერთს შეუერთდება. ამის საფუძველზე ფროდინგემი თვლის, რომ შესაძლებელია „იეროთეოსის წიგნი" დაეწერა სტეფანე ბარ-სუდაილის. შემდგომში ეს აზრი არ გაიზიარეს ცნობილმა ორიენტალისტებმა, მაგ. ფ. მარშმა, რომელიც თვლის, რომ ბარ-სუდაილი არ შეიძლება იყოს „იეროთეოსის წიგნის" ავტორი, რადგან იმ წიგნებიდან, რომლებიც მას მიეწერება, არც ერთი არ არის „იეროთეოსის წიგნის" მსგავსი.

1898 წელს დაიბეჭდა ინგლისელი მეცნიერის ა. ვენსინკის წიგნი (ა. ვენსინკი, მისთიკ თრითიზიზ ოვ ისააკ ნინევე, ლეიდენი, 1898). შესავალში, რომელსაც გამოკვლევის სახე აქვს, ავტორი წერს, რომ მისი აზრით „იეროთეოსის წიგნს" ბევრი რამ აქვს საერთო სირიელი მოღვაწის, ისააკ ნინეველის მოძღვრებასთან და სავარაუდოა, რომ ეს წიგნი მან დაწერა.

1927 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ძველი ენების აღიარებულმა მცოდნემ ფ. მარშმა დაბეჭდა „იეროთეოსის წიგნის" სირიული ტექსტი მთლიანად თევდოსი პატრიარქისა და გრეგორიუს ბარ-ჰებრეუსის კომენტარებით „იეროთეოსის წიგნზე" სირიული ხელნაწერების მიხედვით, თარგმნა ყოველივე ინგლისურ ენაზე. მანვე შეადგინა გამოკვლევა, განიხილა „იეროთეოსის წიგნის" მთელი წინაისტორია, ჩაატარეს მათემატიკურ-ლინგვისტური ანალიზიც. (ფ. მარში, იეროთეოსის წიგნი, ლონდონი).

პროფ. მარშის აზრით „იეროთეოსის წიგნი" იეროთეოსის დაწერილი უნდა იყოს, რადგან ჯერ ერთი, მეხუთე საუკუნიდან ამ წიგნს „იეროთეოსის წიგნი" ეწოდებოდა, მეორე — არც ისააკ ნინეველი, არც სტეფანე ბარ-სუდაილი, რომელთაც იოანე დარა და პატრიარქი კირიაკოსი მიაწერენ ამ წიგნს (ერთი ფრაზით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე) არ არიან ამ წიგნის ავტორები.

ამგვარად, მეცნიერებმა ღრმად შეისწავლეს „იეროთეოსის წიგნთან" დაკავშირებული საკითხები.

„იეროთეოსის წიგნი“ იმდენად ჰგავს არეოპაგელის ტრაქტატებს, რომ საკითხი ასე ისმის: ის პირდაპირ მომდინარეობს არეოპაგელის წიგნიდან ან პირიქით, არეოპაგიტიკა დაიწერა იეროთეოსის წიგნის მიხედვით, სამყაროს აგებულების სურათი ორივეში ერთნაირია. იგივე ითქმის საყოველთაო სიკეთის ჰიპოსთასის განმარტებაზე. ზეციური იერარქია, ანგელოსების ცხრა რიგად დაყოფა არეოპაგელთანაც ასევე მოცემული. მრავალი მაგალითი მიუთითებს იეროთეოსის წიგნის კავშირზე სხვა ნაწარმოებებთან — იმ წიგნებთან, რომელთა უმრავლესობა მოხმობილია დიონისე არეოპაგელის ტრაქტატებში. თუ რაოდენ ახლოა „იეროთეოსის წიგნი“ და ფსევდო-დიონისეს შრომები, ჩანს მსგავსი ადგილების შედარებისას.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 9. 04. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4. 06. 85 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 865. უე 05219. ტირაჟი 62.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

# «ЦИСКАРИ»

**ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ**